საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№30 (73)
11 – 17 აგვისტო, 2010
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

# პანთეონის გენერლები



ქართული არმია მართლაც გმირულად იბრძოდა, სანამ მთავარსარდლის ლაჩრულად გაქცევის ამბავს შეიტყობდა, ქართული საზოგადოებაც მტკიცედ იდგა, სანამ პარლამენტის თავმჯდომარე დანა-ჩანგლის მომარჯვებისკენ მოუწოდებდა, ხელისუფლება კი... ხელისუფლება ახლა მკერდზე ყაყაჩომიბნეული სასაფლაოებზე დადის და დაღუპულთა ოჯახის წევრების წინაშე უსირცხვილოდ პირმოთნეობს. 3

## ომი დასრულდა, გაკვეთილების სწავლის დროა 2

## კოლუმბიური პალსტუხი 5

## პრეზიდენტი აეროპორტის მშენებლობის მანიამ შეიპყრო 8

## ანაკლიის ბულვარი – ფეშქაშად ადამკუსს 9

## მიშას რა უნდა და... ცხელი აგვისტო 11

## ყველას მინუს ხაინდრავა 13

## რაზე გადის საქართველოში გზა მინისტ-რობისკენ 15

# გენოციდი, რომელიც არ ყოფილა 12

## 2008 წლის აგვისტოს ომი: პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერ-მორალური შედეგები 6



## აშშ – უფრო დიდი დეპრესია, ვიდრე იყო 30

## რევოლუცია თავისივე შვილების ჭამას განაგრძობს!

მორიგი ლუკმა – უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა 13



# რატომ დავკარგეთ ამდენი ტანკი? 20

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## გაფხიზლებულნი



**მიხეილ სააკაშვილი,**
**საქართველოს პრეზიდენტი:**

მე მითხრა ერთმა თანამდებობის პირმა, რომ დაავალა თავის დაქვემდებარებულ სამსახურს, შეესწავლა, რას ფიქრობს დღეს ცხინვალში დარჩენილი მოსახლეობა. მან თქვა, რომ ცხინვალში დარჩენილი მოსახლეება არ ამტყუნებს საქართველოს. ეს ჩემთვის იყო დიდი აღმოჩენა, რადგან ამას მომავლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

*„ინტერპრესნიუსი“*



**ედუარდ შევარდნაძე,**
**ექსპრეზიდენტი:**

მთავარსარდალი ასე არ უნდა იქცეოდეს. თუ გეშინია, მაშინ ომში რა გინდა, რატომ მიდიხარ? რაც შეეხება ჩინოვნიკების გაქცევას, მათ რა უნდა უთხრა, როცა პრეზიდენტი გარბოდა, მათაც უნდოდათ თავის გადარჩენა!.. დამარცხებული ჯარი არასდროს ზეიმობს, ეს ჩემი მოგონილი არ არის. მითუმეტეს მაშინ, როცა ჩვენი ახალგაზრდების ცხედრები ჯერ კიდევ უპატრონოდ ეყარა ბრძოლის ველზე.

*„ასავალ-დასავალი“*



**ვალერი გელბახიანი,**
**ექს-დეპუტატი:**

თუ სააკაშვილს ჰააგის სასამართლოში არავინ უჩივლა, მაშინ როგორ დაიწყება გამოძიება? თავის შეწუხება არ უნდა არავის! სარჩელის დაწერა კი არა, სხვისი დაწერილის წაკითხვა არ უნდა ამ ოპოზიციას! პირადად მე სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას ჰააგის სასამართლოში სააკაშვილის წინააღმდეგ შესატანი სარჩელის შედგენაში!

*„ასავალ-დასავალი“*



**ნიკა ლალიაშვილი,**
**„ქრისტიან-დემოკრატიული“ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:**

2008 წელს განვითარებული მოვლენების შედეგად საქართველო ყველა პოტენციური ბიზნეს-პარტნიორისთვის უვარგის ქვეყნად იქცა... ხელისუფლების მცდელობების მიუხედავად, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არც ერთი მსხვილი უცხოელი ინვესტორი ქართული აქტივებით არ დაინტერესდება...

*„პირველი“*



**ირაკლი მელაშვილი,**
**„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

თუ ეს კაცი ამ ცვლილებებს განახორციელებს და არ შეცვლის საარჩევნო გარემოს, ეს ნიშნავს საქართველოს თურქმენბაშიზაციას...

ჩვენ კარგად უნდა გავიგოთ, რომ დასამარცხებელი გვეყოლება სააკაშვილი, ის თავისით წამსვლელი არსად არ არის.

*„ალია“*



**გოგი თოფაძე,**
**„მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ლიდერი:**

როგორ შეიძლება საგარეჯოში, ან მცხეთაში, ან ნატახტარში მოიყვანო პომიდორი და ის უფრო ძვირი იყოს, ვიდრე ეგვიპტიდან შემოტანილი, როგორ უნდა იყოს ის ამაზე იაფი? ამიტომ კვდება ის ყველაფერი, რაც აქ უნდა ვაწარმოოთ გლეხმა თუ მეწარმემ...

*„ალია“*



**ჯაბა ჯიშკარიანი,**
**მოძრაობა „7 ნოემბრის“ ლიდერი:**

26 აგვისტოს აპირებენ გეიაღლუმის ბათუმში ჩატარებას... ამისთვის ისინი გეგმავენ უცხოეთიდან პედერასტების ჩამოყვანასა და საერთაშორისო გეიაღლუმის გამართვას. უცხოელ გეებს ჩამოჰყვებიან მათი უფლებების დამცველებიც, რათა შემდეგ მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნონ და დაწერონ, რომ საქართველოში იდევნება სექსუალური უმცირესობები, განსხვავებული პოზიცია და ა.შ.

*„ალია“*

# ომი დასრულდა, გაკვეთილების სწავლის დროა

**აგვისტოს ომის მეორე წლისთავი ხელისუფლებამ მთელი რიგი ღონისძიებებით აღნიშნა, მათ შორის საკმაოდ არაადეკვატური ტაშ-ფანდურით, თუმცა საზოგადოების დიდ ნაწილს ამ გაუგებრობაში ჩართვის განსაკუთრებული სურვილი არ გამოუმჟღავნებია: ჩვეულებრივი მოქალაქეები, უბრალოდ, ეკლესიებში მივიდნენ და დაღუპულთა საფლავები მოინახულეს. ეს გასაგებიცაა, ყველაზე კარგი ასეთ სიტუაციაში ქრისტიანული ტრადიციის შესაბამისი მოქმედებაა; თანაც იმისათვის, რომ მსგავს აქციებზე ხელისუფლების წარმომადგენელთა გვერდით დადგე, ალბათ, უნდა დაივიწყო, რასაც ისინი 2008 წლის აგვისტოში აკეთებდნენ. სკლეროზი ამ ქვეყანაში ჯერჯერობით საყოველთაო ხასიათს არ ატარებს; ასე რომ, ხელისუფლება და საზოგადოება ამ დღეებში ისევ ცალ-ცალკე იდგნენ.**



### მოტივაციის აქტივაცია

გასული კვირა კარგ ნიადაგს ქმნიდა გულახდილი, არგუმენტირებული საუბრისთვის, რომელიც ომის შედეგად წარმოქმნილ პრობლემებს შეეხებოდა, თუმცა ხელისუფლებამ კვლავ სადღეგრძელოებსა და ემოციურ შეძახილებს მიმართა. ინფორმაციაში, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ოფიციალურ ვებ-გვერდზე დევს და დევნილებთან, მარნეულის რაიონის სოფელ შაუმიანში გამართულ შეხვედრას ასახავს (იქ სააკაშვილმა საქართველოს გამთლიანების სადღეგრძლო შესვა; სავარაუდოდ, იგულისხმებოდა ის საქართველო, რომელიც მისი დაუცხრომელი მოწადინების შედეგად დანაწევრდა), მხოლოდ ერთი გამონათქვამია მოყვანილი: **„დევნილთა და დაზარალებულთა განსაკუთრებულობა ის არის, რომ ცხოვრებაში უფრო მეტი შანსი აქვთ, წარმატებას მიაღწიონ. ერთი მდგომარეობიდან მეორეზე გადაწყობა, ერთის მხრივ, ძნელია; მაგრამ, მეორეს მხრივ, მოტივაცია უფრო მეტია — ადამიანს, რომელმაც ყველაფერი დაკარგა, გამძლეობა და გადარჩენის მოტივაცია უფრო მეტი აქვს.**

ამისათვის მათ ხელი უნდა შევუწყოთ და კომპიუტერთან მუშაობა, ენები, პროექტების წერა უნდა ვასწავლოთ“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

იმას, ვინც ამ წიაღსვლებს უსმენდა, შესაძლოა, გაუჩნდა კიდეც დაოუკებელი სურვილი, შემდეგი მოქმედებები განახორციელოს: **წაართვას სააკაშვილსა და მის თანამოაზრეებს ყველაფერი, რაც აბადიათ, და ყურადღებით დააკვირდეს, რა მოტივაცია გაუჩნდებათ ამის შემდეგ; ისიც ნახოს, ისწავლიან თუ არა ისინი თოხნას (ალბათ, ყოველმხრივ სასარგებლო იქნებოდა), თუ ისევ პროექტებს დაწერენ.** თუმცა მთავარი სხვა რამ არის: **შაუმიანში ჩასახლებულ დევნილებს პატარა ლიახვის ხეობაში სახლ-კარი ჰქონდათ, ახლა კი აქ აქვთ და სააკაშვილის წვლილი ამაში ძალზე დიდია.**

**ფოტოზე, რომელიც ინფორმაციას ახლავს, სააკაშვილი იღიმება, ისევე, როგორც ორი წლისწინანდელ ფოტოზე, როდესაც დაღუპული ჯარისკაცის მამის გვერდით იდგა: ის კაცი ტიროდა, სააკაშვილი კი იღიმებოდა, კონტრასტი იმდენად დიდი იყო, რომ ის სურათი მთელ საქართველოს დაამახსოვრდა.**



ფოტოზე, რომელიც ინფორმაციას ახლავს, სააკაშვილი იღიმება, ისევე, როგორც ორი წლისწინანდელ ფოტოზე, როდესაც დაღუპული ჯარისკაცის მამის გვერდით იდგა: ის კაცი ტიროდა, სააკაშვილი კი იღიმებოდა, კონტრასტი იმდენად დიდი იყო, რომ ის სურათი მთელ საქართველოს დაამახსოვრდა. როდესაც პოსტმიშისტურ ხანაში ეროვნულ მუზეუმში აგვისტოს ომისადმი მიძღვნილი მუდმივმოქმედი ექსპოზიცია გაიხსნება, იმედია, ეს ფოტო იქ აუცილებლად მოხვდება.

რა კეთდება იმისთვის, რომ დევნილები მშობლიურ კერას დაუბრუნდნენ? რა კონკრეტული ციფრები ასახავს ზრუნვას მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე? ალბათ, პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლება ამ თემების გარშემო ისაუბრებდა, თუმცა კონკრეტიკასა და რეალისტურ შეფასებებს გასულ კვირას მხოლოდ „Amnesty International”-ისგან თუ გავიგებდით. მის დასკვნაში ნათქვამია, რომ დევნილები **„უმუშევრობას განიცდიან და საზოგადოებისგან გარიყულები არიან. 1990-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ომების გამო იძულებით გადაადგილებული პირები ცხოვრებას „სასტიკ“ პირობებში განაგრძობენ. მათი დაახლოებით 42% დღემდე საბავშვო ბაღებში, საავადმყოფოებში, სასტუმროებსა და ბარაკებში ცხოვრობს. „დევნილებს იმაზე მეტი სჭირდებათ, ვიდრე ჭერით უზრუნველყოფაა“**, — განაცხადა ნიკოლა დაკვორტმა, Amnesty-ს ევროპისა და ცენტრალური აზიის პროგრამების დირექტორმა („Reuters; „Foreignpress.ge”-ს თარგმანი).

სააკაშვილის ხელისუფლების დიპლომატიური ძალისხმევის შედეგი დევნილების თავიანთ სახლებში დაბრუნების მიმართულებით ნულია. **„ვარდების რევოლუციიდან“ დღემდე სხვადასხვა უაზრო** (რიგ შემთხვებში კი, უბრალოდ, ფსიქოპატურ) **პროექტებზე დახარჯული ფულის ნაწილი დევნილთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე რომ წასულიყო, დღეს ასეთ ცუდ დღეში არ იქნებოდნენ.**

ახლა დავდგეთ და ვუყუროთ, როგორ საუბრობს სააკაშვილი დევნილი ბავშვების ფონზე მოტივაციის წარმოქმნის მექანიზმებზე ისეთი აპლომბით, თითქოს ზიგმუნდ ფროიდმა მისგან დისერტაცია გადაიწერა, ხოლო კარლ იუნგმა დიპლომი მოიპარა.

სიტყვამ მოიტანა და დიპლომების, ისევე, როგორც ზოგადად განათლების თემამ გასულ კვირას განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა, როცა ეროვნული გამოცდების ცენტრის დირექტორმა მაია მიმინოშვილმა რიგი თავზარდამცემი ციფრები გაგვანდო.

### კენწეროში გამწარდების

**„14 ათასი აბიტურიენტიდან, რომლებმაც მათემატიკა აირჩიეს, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 34%-მა ვერ გადალახა, ფიზიკა მხოლოდ 81-მა აბიტურიენტმა აირჩია, თუმცა მათგან 58%-მა ვერ ჩააბარა. ქიმიის გამოცდაში კი 465 აბიტურიენტიდან მინიმალური კოპეტენციის ზღვარი 38%-მა ვერ გადალახა“,** — განაცხადა მაია მიმინოშვილმა („GHN“). შედარებისთვის მან გასული წლის მონაცემები მოიყ- ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ ვანა, როდესაც მათემატიკაში მინიმალური ზღვარი აბიტურიენტთა 24 პროცენტმა ვერ გადალახა.

ნებისმიერ მსურველს შეუძლია გაეცნოს მათემატიკაში ტესტების ნიმუშებს და ნახოს, რომ წელს მათში რაიმე განსაკუთრებულად რთული კითხვები არ შეუტანიათ. თუმცა 10%-იანი ზრდა სახეზეა; ყველაფერს ცუდ სწავლებასა და პროგრამების უხარისხობას ვერ დავაბრალებთ, მიუხედავად იმისა, რომ მათი გაცნობისას რიგ მომენტებში შეიძლება შეგვექმნას შთაბეჭდილება, რომ ამ პროგრამებს ადგენდნენ გონებასუსტები გონებაჩლუნგებისთვის. არის კიდევ ერთი, შესაძლოა, მთავარი ფაქტორი: **უმაღლეს სასწავლებლებში ის აბიტურიენტები აბარებდნენ, რომლებიც სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურებზე სააკაშვილის მმართველობის წლებში სწავლობდნენ. ასე რომ, რაც ხელისუფლებამ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში დათესა, იმას დღეს მთელი საზოგადოება იმკის** და, შესაძლოა, მათემატიკაში ჩაჭრილთა 34 პროცენტი მხოლოდ დასაწყისია.

საერთოდ, ჩამოთვლილ საგნებში კომპეტენციის კლება ცივილიზაციის დაცემის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია. მართალია, საკმარისი დრო არ გასულა იმისთვის, რომ ასეთი გლობალური დასკვნები გავაკეთოთ, თუმცა ჩავთვალოთ, რომ პირველი (რაღა პირველი) გამაფრთხილებელი ზარი უკვე გაისმა; მეორეს მხრივ, **ჩვენ გვაქვს საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი და უმაღლესი სასწავლებლების (თუ იმის, რაც მათგან დარჩა) დამატებითი ღირებულების გადასახადით დაბეგვრის მცდელობა, რაც სწავლის ღირებულების გაზრდას გამოიწვევს და შესაბამისად, ბევრ აბიტურიენტს უმაღლესი განათლებისკენ გზას გადაულობავს.**

აქ კი შეიძლება სავსებით ლეგიტიმური კითხვა დაისვას: **სჭირდება თუ არა ხელისუფლებას, რომ საქართველოში საკმაო რაოდენობით ცხოვრობდნენ განათლებული და კრიტიკული აზროვნების უნარის მქონე ადამიანები?** თუ მისი პოლიტიკა განათლების სისტემასთან მიმართებაში ორიენტირებულია იმაზე, რომ მიაღწიოს ისეთ მდგომარეობას, როდესაც აღარ დარჩება არავინ, ვინც ეტყვის იმას, რაც პროფესორმა პრეობრაჟენსკიმ შარიკოვს უთხრა: „Все ваши поступки чисто звериные, и вы, в присутствии двух людей с университетским образованием, позволяете себе с развязностью совершенно невыносимой, подавать какие-то советы космического масштаба и космической же глупости...“ **(ისე, წელს რუსულში აბიტურიენტების 24% ჩაიჭრა).**

### მიზანმიმართული პოლიტიკა თუ უთავბოლობა?

იმის გათვალისწინებით, რომ ამ ხელისუფლების ხელში თითქმის ნებისმიერი საქმე ფუჭდება, ხოლო იმას, რაც კეთდება, ისეთი სახე აქვს, რომ ჯობდა, საერთოდ არ გაკეთებულიყო, გამორიცხული არაა, რომ საქმე მორიგ წარუმატებლობასთან გვაქვს. თუმცა, თუ გავიხსენებთ იმ ცუდად დაფარულ სიძულვილს, რომლითაც წარმოითქვა ცნობილი ფრაზა „ჩასარეცხებზე“, საკადრო პოლიტიკას უმაღლეს სასწავლებლებში, იმ დამოკიდებულებას, რომელსაც ხელისუფლება მეცნიერების მიმართ ავლენს (ეს ცალკე საუბრის თემაა, რომელსაც მომავალში აუცილებლად შევეხებით), შეიძლება საპირისპირო დასკვნამდე მივიდეთ.

**შესაძლოა, ვიღაცისთვის ქვეყნის მართვა გაცილებით იოლია, როდესაც მოსახლეობა გათავისუფლებულია ისეთი „უსარგებლო ტვირთისგან“, როგორიცაა აკადემიური განათლება და ისეთი „ქიმერისაგან“, როგორიცაა სინდისი.** ცხადია, ამ გარემოების გამო ნასწავლს არავინ დაივიწყებს და საკუთარ რწმენა-წარმოდგენებსაც არ უარყოფს. თუმცა, **ეროვნული გამოცდების პირველადი შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ახალ თაობას გაცილებით მეტი შანსი აქვს, მომავალში „იდეალური მოსახლეობის“ როლი შეასრულოს.**

„დღეს თაობების ბრძოლა მიდის. ძველი თაობა უკმაყოფილოა ახალი წესებით, მისთვის უფრო მარტივი იყო ცხოვრებაში გაგებით ეხელმძღვანელა. მას აჩერებს მხოლოდ შიში კანონის წინაშე. ჩვენ კი გვინდა, რომ გაიზარდოს ახალი თაობა, რომელიც ძველს ჩაენაცვლება. მაშინ ჩვენი რეფორმები შეუქცევადი გახდება“, — რუსული „კომერსანტის“ პუბლიკაციების იმ სერიაში, რომელიც ვანო მერაბიშვილსა და მისდამი დაქვემდებარებულ უწყებას მიეძღვნა, შსს-ს ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ეს სიტყვები, ცოტა ვინმემ თუ შეამჩნია, რადგან ძირითადი ყურადღება მაშინ მერაბიშვილის განცხადებებს დაეთმო. არადა, **ეს პასაჟი ძალზე სახასიათოა, ის საკმაოდ ნათლად ასახავს სამყაროს იმ სურათს, რომლითაც ხელისუფლების წარმომადგენლები ხელმძღვანელობენ.**

საზოგადოების დაყოფიდან ორ — ჩამორჩენილ და პოტენციურად პროგრესულ ნაწილად (ამ შემთხვევაში — ასაკობრივი ნიშნით), სავსებით ბუნებრივად სეგრეგაციის პოლიტიკა იბადება. ის ადამიანები, რომლებიც სააკაშვილს რასისტული გამონათქვამებისთვის (სავსებით სამართლიანად) აკრიტიკებენ, ისე ცხარედ, თითქოს „კუ-კლუქს-კლანი“ და აპარტეიდი მან გამოიგონა, ალბათ, იმაზეც უნდა დაფიქრდნენ, რომ **რასისტული სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელი სეგრეგაციის აჩრდილი** საქართველოშიც დადის, ოღონდ დაყოფა, **არა რასობრივი, არამედ ასაკობრივი ნიშნით** ხდება.

დაბოლოს, ძველად რომ იტყოდნენ, ტერმინების მცირედი განმარტება: ა) სიტყვებს „ასაკობრივი სეგრეგაცია“ ფსიქოლოგები (ძირითადად, ამერიკელები), როგორც წესი, მაშინ იყენებენ, როდესაც ახალგაზრდა თაობის პრობლემებს აღწერენ. საქართველოში ამ სიტყვებმა, როგორც ჩანს, საპირისპირო მნიშვნელობა შეიძინა; ბ) ბავშვების, უმწიფარი ყმაწვილკაცების ხელისუფლებას ძველი ბერძნები „პედოკრატიას“ უწოდებდნენ.

### სიბრძნე სიმართლისა

ერთ-ორი თაობა რომ შეიცვლება და ნებისმიერ მოწაფეს ეცოდინება, აგვისტოს ომი მიხეილ სააკაშვილმა მოიგო, რომელიც პირადად უძღვებოდა ჯარებს წინ სტალინგრადის შტურმის დროს და მანვე აიყვანა საქართველოს ეკონომიკა ისეთ მწვერვალებამდე, რომ 2015 წელს პურის ყოველდღიურმა ნორმამ 170 გრამს მიაღწია, მანვე დაწერა „ვეფხისტყაოსანი“ და გადაიღო ავტობიოგრაფიული დოკუმენტური ფილმი „მატრიცა“, მანვე... სდექ, სავარაუდოდ, ამაზე მეტი არაფერი ეცოდინებათ. მოკლედ, იმ მშვენიერ მომავალში ზედმეტი კითხვები არავის გაუჩნდება და მილიონობით სახეგაბრწყინებული ადამიანი ცარიელ ენთუზიაზმზე პირამიდების მშენებლობაზე იმუშავებს. მანამდე კი, უხერხული კითხვები ხელისუფლების მიმართ კვლავ გაჩნდება, თუმცა **გასულმა კვირამ აჩვენა, რომ საზოგადოების პასიურობა ნელ-ნელა ყოვლისმომცველი აპათიის ნიშნებს იძენს.**

**მაგალითი: მიმდინარეობს საკონსტიტუციო ცვილებების განხილვა, თუმცა ოპოზიციის ლიდერებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეების გამოსვლებში ეს თემა სადღაც უკანა პლანზე ტივტივებს.**

**კიდევ ერთი მაგალითი: აგვისტოს ომის შემდეგ ორმა წელმა ისე ჩაიარა, რომ საქართველოში არ გამოქვეყნებულა არც ერთი სერიოზული საექსპერტო დასკვნა, რომელიც კონფლიქტის ყველა** (არა მხოლოდ სამხედრო) **ასპექტს მიმოიხილავდა და მომხდარს** (ფაქტების საფუძველზე) **სათანადო შეფასებას მისცემდა.**

მას შემდეგ, რაც დროებითმა საპარლამენტო კომისიამ მუშაობა დაასრულა, უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დარჩა, თუმცა საზოგადოებრივი კომისია, რომელიც 2008 წლის მოვლენებს შეისწავლიდა, არ შექმნილა. როგორც ჩანს, მისი ჩამოყალიბების სურვილი არ გვქონდა ან საორგანიზაციო ნიჭი არ გვეყო. თუ სიმართლეს ჩვენ შესახებ ჰაიდი ტალიავინი ან რონალდ ასმუსი გვეტყვის? ან, უბრალოდ, ნებისყოფა არ გვყოფნის იმისთვის, რომ თვალი გავუსწოროთ ამ სიმართლეს? (პათეტიკურად კი გაიჟღერა, მაგრამ, სავარაუდოდ, რეალობასთან ახლოსაა).

**მაშინ სხვა არაფერი დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ ჩავრთოთ ტელევიზორი, აღტაცებით მოვუსმინოთ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებს და მორჩილად დაველოდოთ იმ მომენტს, როდესაც პარტია „პირველად საქართველოს ისტორიაში“ პირამიდების მშენებლობაზე გვიხმობს.**

**დიმიტრი მონიავა**

**აგვისტოს ომის შემდეგ ორმა წელმა ისე ჩაიარა, რომ საქართველოში არ გამოქვეყნებულა არც ერთი სერიოზული საექსპერტო დასკვნა, რომელიც კონფლიქტის ყველა ასპექტს მიმოიხილავდა და მომხდარს სათანადო შეფასებას მისცემდა.**

# პანთეონის გენერლები

**ხელისუფლებამ „ხსოვნის კვირეული“ გამოაცხადა. პარადოქსია — გამარჯვებულები, როგორც წესი, „ხსოვნის კვირეულს“ კი არა, ტრიუმფს აღნიშნავენ, მაგრამ ჩვენ არაორდინალური (ცივილიზებულ დასავლეთში უფრო სწორი ფორმა მოუძებნეს — არაადეკვატური) ხელისუფლება გვყავს და არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ გამარჯვებას ხსოვნით აღვნიშნავთ.**



**2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 169 სამხედრო პირი და 14 პოლიციელი დაიღუპა. დღემდე დაკარგულად ითვლება 8 ჯარისკაცი. მამაპაპეული ფუძის დატოვება მოუწია 150 ათას ადამიანს. ჩვენი ხელისუფლება ამას გამარჯვებას უწოდებს.** ორი წელიწადია, ჩაგვჩიჩინებენ, გავიმარჯვეთო. მათ მართლაც გაიმარჯვეს. ნაცხელისუფლების ერთ-ერთი ბურჯი გიგა ბოკერია ომის ორ წლისთავზე თავდაჯერებული აცხადებს: **„ქართველები დღეს თავს ამ ომში გამარჯვებულად მიიჩნევენ იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთმა სააკაშვილის მთავრობის ჩამოგდება ვერ მოახერხა“.**

ყველას თავისი სიმართლე აქვს, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ ქართველებს ამ ომში არ გაგვიმარჯვია, ამ ომში გაიმარჯვეს პანთეონის გენერლებმა, რომლებიც სახეზე ფარისევლური ნიღბით დააბიჯებენ მუხათგვერდის **ძმათა სასაფლაოზე** (რომლისთვისაც, უპრიანი იქნებოდა, **გმირთა პანთეონი** ეწოდებინათ) და იქაც კი, **დაღუპული ჯარისკაცების ოჯახის წევრებთანაც კი არ ერიდებათ საკუთარი თავის ტრიუმფატორებად გამოცხადება.**

არც ერთ ქართველს არ მიაჩნია თავი ამ ომში გამარჯვებულად, რადგან სააკაშვილის მთავრობა საქართველო არ არის. ამ ომში ხელისუფლებამ გაიმარჯვა, რადგან კვლავაც იმ სავარძლებში სხედან, რომელთა დაკარგვის შიშიც ცრემლს აღვრევინებდათ ორი წლის წინათ და ამის ყველაზე ნათელი მაგალითი პარლამენტის თავმჯდომარის — დავით ბაქრაძის მაშინდელი სიტყვებია: **„ყველა დასახლებულ პუნქტში მცხოვრებმა ყველა მოქალაქემ ყველა საშუალებით გაუწიეთ წინააღმდეგობა რუსულ ჯარებსო“,** მოგვიწოდებდა და თვითონ გასაქცევად ემზადებოდა.

პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადება — **„ცხინვალის რეჟიმი ამოსაღებად განწირული მოყანყალებული კბილიაო“,** პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მესაფლავეობა — **„ყველა რუსი ჯარისკაცის საფლავი უკვე გათხრილია საქართველოშიო“,** თავდაცვის მინისტრის მაშინდელი მოადგილის, ბათუ ქუთელიას კვეხნა — **„რუსულ ჟანგიან ტანკებს ჩვენი ძლევამოსილი ჯარი უმოკლეს ვადაში გაანადგურებსო“,** დაგვირგვინდა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ თემურ იაკობაშვილის 2008 წლის 8 აგვისტოს შემზარავი ინფორმაციით: **„ჩვენი ჯარები მთლიანად აკონტროლებენ ცხინვალს და მიემართებიან ჯავისა და როკის გვირაბის მიმართულებითო“.**

შემზარავია, რადგან ყველა ოდნავადაც ინფორმირებულმა ადამიანმა ძალიან კარგად იცოდა, რა შედეგით შეიძლებოდა დასრულებულიყო ეს სისხლიანი ავანტიურა, რომელშიც ნაცხელისუფლების ყველა ლიდერი იყო ჩართული თბილისის მერ გიგი უგულავათი დაწყებული და პარლამენტარ გოკა გაბაშვილით დამთავრებული.

შედეგი ვნახეთ!

**საქართველომ თავისი ტერიტორიის 20 პროცენტი დაკარგა. 144 ქართულ სოფელში ქართული ფუძე მოიშალა, სანაცვლოდ კი ხელისუფლებამ გეტოები ააშენა.**

პრეზიდენტი სააკაშვილი იხტიბარს არ იტეხს: **„მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ორი რეგიონი ოკუპირებულია, მტერმა ვერ შეძლო საკუთარი გეოპოლიტიკური და საქართველოს მიმართ მიზნების განხორციელება. მინდა, კარგად გვესმოდეს, რას მიაღწიეს ჩვენმა ბიჭებმა თავგანწირვით — მათ დაანახეს მტერს, რომ საქართველოს შეუძლია ბრძოლა 10-ჯერ უფრო აღმატებული მტრის წინააღმდეგ. მტერმა ვერ მოახერხა საქართველოს ხელისუფლების დამხობა, თუმცა ეს იყო მისი მთავარი მიზანი. მას ხელისუფლების დამხობა ქვეყნის პოლიტიკური კურსის შესაცვლელად სურდა. საქართველოს პოლიტიკური კურსი განმტკიცდა და შეუქცევადია. მტერმა ვერ მოახერხა საქართველოს საერთაშორისო იზოლაცია“.**

უნდა დავეთანხმოთ, ბიჭები მართლაც თავგანწირვით იბრძოდნენ და მათი თავგანწირვა კიდევ უფრო დასაფასებელია იმ დროს, როცა მთავარსარდალი დაოთხილი გარბის, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები კი ოჯახის წევრებთან ერთად ქვეყნიდან გადახვეწას ჩქარობენ.

თურმე **„რაც ორი წლის წინათ მოხდა, მოულოდნელიც იყო და მოსალოდნელიც“,** თურმე რუსეთი **„მთელი სამი წლის განმავლობაში ემზადებოდა ომისთვის“.** იცოდა საქართველოს ხელისუფლებამ, იცოდა, რომ უთანასწორო ბრძოლაში საქართველო მარცხისთვის იყო განწირული და მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი არსებობა გაემართლებინა, ფართომასშტაბიან სისხლისღვრასაც არ მოერიდა.

ახლა კი პირმოთნეობენ და ცდილობენ, სირცხვილი ჩამოირეცხონ. პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ამაყობს, რომ **„ქართულმა არმიამ გმირულად იბრძოლა და დაიცვა ქვეყანა, რადგან ქართული საზოგადოება იდგა მტკიცედ, შეკრულად და არ დაანება მტერს ქვეყნის დაშლა, რადგან ხელისუფლებამ ხალხთან ერთად უკან არ დაიხია მტრის წინაშე“.**

სიყალბე. ამათ ჰგონიათ, რომ ჩვენ კოლექტიური ამნეზია დაგვემართა და აღარ გვახსოვს, როგორ გარბოდნენ, როგორ მიატოვეს ქვეყანა და ხალხი და როგორ ცდილობდნენ, ფუმფულა სავარძლებს მორგებული უკანალების გადარჩენას.

**ქართული არმია მართლაც გმირულად იბრძოდა, სანამ მთავარსარდლის ლაჩრულად გაქცევის ამბავს შეიტყობდა, ქართული საზოგადოებაც მტკიცედ იდგა, სანამ პარლამენტის თავმჯდომარე დანაჩანგლის მომარჯვებისკენ მოუწოდებდა, ხელისუფლება კი... ხელისუფლება ახლა მკერდზე ყაყაჩომიბნეული სასაფლაოებზე დადის და დაღუპულთა ოჯახის წევრების წინაშე უსირცხვილოდ პირმოთნეობს.**

**თუკი „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი არა დაღვრილის — დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა“, რისი მაცნეა პანთეონის გენერლების მკერდზე დაბნეული ყაყაჩოები? ხელისუფლებას უყვარს სიმბოლოები. რისი მინიშნება უნდათ ამით? იქნებ, დასაღვრელი სისხლის მაცნეა ეს სიმბოლო** და ჩვენ ამის შესახებ მხოლოდ მაშინღა შევიტყობთ, როცა „მოდელირებულის“ ნაცვლად ნამდვილი „ქრონიკა“ გვაუწყებს მორიგი სისხლიანი ავანტიურის დაწყებას.

ხელისუფლება — პანთეონის გენერლები — ტერიტორიების დაკარგვას ზეიმობენ. ეს არ არის ჯანსაღი რეაქცია, თუმცა რა სიჯანსაღეზეა ლაპარაკი, როცა ახლაც თვალწინ მიდგას ორი წლის წინათ, 12 აგვისტოს, პარლამენტის შენობის წინ გამართული „კუდიანების დავლური“. **მაშინ, როცა დაღუპული ჯარისკაცებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ცხედრები აგვისტოს თაკარა მზის ქვეშ ქუჩაში იხრწნებოდა, ხელისუფლება, მათი გამოტანისა და გაპატიოსნების ნაცვლად, სავარძლების შენარჩუნებისთვის თავდაუზოგავად ირჯებოდა.**

პრეზიდენტმა სააკაშვილმა „ხსოვნის კვირეული“ გამოაცხადა და წავიდა. წავიდა იქ, სადაც არავინ შეახსენებს ორი წლისწინანდელ „გმირობას“, სადაც ვერავის სახეზე ამოიკითხავს ირონიას, რომელიც მისი ომახიანი განცხადებების მოსმენისას აქ ყველას უჩნდება.

**საინტერესოა, ამშვენებს თუ არა პრეზიდენტის მკერდს წითელი ყაყაჩო... თუ გამარჯვებულები ასეთ სიმბოლოებს არ იბნევენ?**

**ბონდო მძინარაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გაქირიზებულნი



**შალვა ნათელაშვილი,**
**ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:**

მე პირდაპირ შევუვარდი ტელევიზორის მეშვეობით სახლში მილიონობით ამერიკელს და მწარე სიმართლე ვუთხარი. ვუთხარი, რომ ამერიკა, მხედველობაში მქონდა ბუშის ადმინისტრაცია და მთავრობა, აგებს პასუხს, რაც საქართველოში ხდება. მათ მოიყვანეს სააკაშვილი, ისინი მფარველობენ, ესე იგი ქვეყანას შლიან, ხალხს კლავენ და ამერიკის რეიტინგიც ჭაობში ჩაეფლო.

*„სარკე“*



**ირაკლი სესიაშვილი,**
**სამხედრო ექსპერტი:**

ომის შემდეგ სააკაშვილი სრულ საერთაშორისო იზოლაციაში იყო. მერე ათასი მამლუქი გაგზავნა ავღანეთში და ბუშმა მადლობები გამოუცხადა, მერე პრეზიდენტები ჩამოვიდნენ. ახლა კიდევ ათასს დაამატებს, მერე — ორი ათასს და ჩვენი ჯარისკაცები იმსახურებენ სხვადასხვა საერთაშორისო მისიებში, რათა მერე სააკაშვილი ვილაცამ საერთაშორისო კონფერენციაზე მიიპატიჟოს და იქიდან მადლობის წერილი გამოუგზავნოს.

*„სარკე“*



**გიორგი მელითაური,**
**სამხედრო ექსპერტი:**

რომელ ჯარზეა საუბარი, როდესაც ბატალიონის მეთაურად 8-თვიან კურსებდამთავრებული ლეიტენანტი ინიშნება.

სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ დღეს ჩვენ გვყავს არა შეიარაღებული სამხედრო ძალა, არამედ შეიარაღებული ადამიანების მასა, რომლებიც მოქცეული არიან „ნაციონალური მოძრაობის“ დისციპლინარულ ჩარჩოებში.

*„ასავალ-დასავალი“*



**თენგიზ სიგუა,**
**საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი:**

ჩვენი პურის მცხობელი მინისტრის დას რომ დანიშნავ აჭარის მთავრობის მრჩევლად ტურიზმის საკითხებში, რაზეა ლაპარაკი? ამ ქალმა ჯერჯერობით რაც მოახერხა, ის არის, რომ ბათუმში უნდა ჩაატაროს გეიპარადი, თანაც მსოფლიო მნიშვნელობისა.

*„კვირის ქრონიკა“*



**მარიამ ცაცანაშვილი,**
**იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი:**

ჩვენ ყველამ ხომ კარგად ვიცით, რომ ტურიზმზე ლაპარაკი საბოლოოდ კრახით დამთავრდება? რომელ ტურიზმზეა საუბარი, როცა პარალელურად მეცნიერებას და განათლებას მთელი ძალებით ანგრევენ?

*„კვირის ქრონიკა“*

# «პატარა ჭუჭყიანი ომი»

**სააკაშვილის სამარცხვინო ავანტიურიდან ზუსტად ორი წელი გავიდა. ეს თარიღი ხელისუფლებამ გორში, განმუხურსა და ანაკლიაში დიდი ფეიერვერკებით აღნიშნა. ეს ნამდვილად გაუგებარია, ვინაიდან არც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი ფეიერვერკებით არ აღნიშნავს ომის სამარცხვინო წაგებას და გარდაცვლილთა სულებს ამგვარად არ შეურაცხყოფს! სააკაშვილმა კი ამ დღეს სადღაც გადაკარგულში, კოლუმბიაში მოკურცხლა, სადაც მას, როგორც ყოველთვის, არავინ ელოდა. მაგრამ სააკაშვილი ხომ შეჩვეულია ყველგან დაუპატიჟებლად ჩასვლას, მაგრამ ამით რომ საქართველოს პრესტიჟი ილახება, ცხადია, სრულებითაც არ აინტერესებს! და თან „რუსთავი 2“-ს შანსი მისცა, ამაყად გამოეცხადებინა, რომ „სააკაშვილი ერთადერთი სტუმარია ევროპიდან!“, ოღონდ დაავიწყდა ეთქვა, რომ იქ არც აზიიდან და აფრიკიდან არავინ ჩასულა...**



ვინაიდან ამ დღეებში მსოფლიო პრესას საერთოდ არ აღელვებს ორი წლის წინანდელი ჩვენი სამხედრო კატასტროფა (და ეს მაშინ, როდესაც ჰიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვიდან უკვე 65 წელი გავიდა და ყოველწლიურად ფართოდ აღინიშნება ამ არნახული ტრაგედიის წლისთავი), დავინტერესდი, თუ რას წერდა მსოფლიოს პრესა ორი წლის წინათ. ასზე მეტი პუბლიკაცია ვნახე და, ცხადია, ყველას აქ ვერ მოვიტან. ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოები შევარჩიე ქრონოლოგიურად, რაც სურათს კარგად გვიჩვენებს.

**13 აგვისტოს „ნიუ იორკ ტაიმსი“ წერდა, რომ ჯერ კიდევ ივლისის დასაწყისში ვაშინგტონმა სააკაშვილი გააფრთხილა, რომ არ ჩაბმულიყო სამხედრო კონფლიქტში რუსეთთან, ვინაიდან მას გამარჯვების შანსი არ ჰქონდა.** გაზეთი ციტირებას უკეთებს მაღალი დონის ამერიკელ ოფიციალურ პირს, რომ თბილისში კონდოლიზა რაისმა 9 ივლისს სადილზე სააკაშვილს უთხრა, რომ მას ხელი უნდა მოეწერა ძალის გამოუყენლობის დოკუმენტზე სეპარატისტებთან მოლაპარაკების დროს. „ნიუ იორკ ტაიმსი“ აგრძელებს: **„ვიდრე სააკაშვილი ცხინვალის დაბომბვას დაიწყებდა, ამ რეგიონისთვის ამერიკის ყველაზე მაღალი დონის კურატორი დენიელ ფრიდი და სხვა ოფიციალური პირები ბოლო წუთამდე აფრთხილებდნენ საქართველოს, არ გამოეწვია კონფლიქტის ესკალაცია“.**

იგივე გაზეთი წერდა 5 დღის შემდეგ: **„სააკაშვილი კიდევ უფრო დაამცირა პირადად ამერიკის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა, როდესაც ხელშეკრულების საბოლოო ტექსტი პირადად გადასცა და იქიდან ამოიღო ფრაზა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე რუსეთის თანხმობის შესახებ“.** და ეს მოხდა ერთი დღის შემდეგ, რაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ საქართველომ უნდა დაივიწყოს ტერიტორიული მთლიანობის ცნება.

**ბრიტანული გავლენიანი გაზეთი „ინდეპენდენტი“ 17 აგვისტოს წერდა, რომ „სამხრეთ ოსეთი“ წარმოუდგენელია როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, ის ან საქართველოს, ან რუსეთის შემადგენლობაში უნდა იყოს. მაგრამ აფხაზეთს ამის უკეთესი შანსი აქვს. მას მშვენიერი ზღვისპირეთი აქვს და რუსეთის გარდა სხვა ქვეყნებიც შეუძლია მოიზიდოს.**

აი, 19 აგვისტოს კი **„ვაშინგტონ პოსტი“** ორიგინალურ მოსაზრებას აქვეყნებს: **„საქართველოში მომხდარი კონფლიქტი, რომელიც ოლიმპიური თამაშების დროს მიმდინარეობდა, ოლიმპიური სპორტი რომ ყოფილიყო, ოქროს მედალს აგრესიულობისთვის რუსეთის პრემიერი ვლადიმერ პუტინი დაიმსახურებდა, ვერცხლის მედალს დამღუპველი უჭკუობისთვის მიხეილ სააკაშვილს გადასცემდნენ, ხოლო ბრინჯაოს მედალს ბილ კლინტონი და ჯორჯ ბუში გაინაწილებდნენ მათი დამღუპველი საგარეო პოლიტიკის გამო“** (აქ იგულისხმება ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების პოლიტიკა. – რ.კ.).

ამ გაზეთის **პოლიტიკური ექსპერტი რუსეთის საკითხებში მაიკლ დობსი** წერს: **„7 აგვისტოს ღამეს, სააკაშვილის ბრძანებით, დაიწყო ცხინვალის საარტილერიო დაბომბვა და ქალაქის ასაღებად გაიგზავნა შეიარაღებული ძალები. ის, როგორც ჩანს, ელოდა დასავლეთის დახმარებას და, მისი აზრით, რუსეთი ვერ გაბედავდა საპასუხო დარტყმას, მიუხედავად იმისა, რომ რუსი მშვიდობისმყოფელები აუცილებლად დაიხოცებოდნენ და დაიჭრებოდნენ. ეს იყო უზარმაზარი შეცდომა“.**

20 აგვისტოს კი ბრიტანელი კონსერვატორების გაზეთი **„დეილი ტელეგრაფი“** აღნიშნავს: **„ახლა სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. მიხეილ სააკაშვილი არის ძალიან დისკრედიტირებული“.**

23 აგვისტოს წამყვანი გერმანელი დიპლომატი და პოლიტოლოგი წერს, რომ პოლიტიკური მიმომხილველები შიშით უცქერიან ბოლო კვირაში განვითარებულ მოვლენებს. მათ აწუხებთ, რომ ქართულ-რუსული კონფლიქტი გამოიწვევს დაპირისპირებას ძველსა **(ანუ დასავლეთ ევროპა. – რ.კ.)** და ახალ ევროპას შორის **(ყოფილი კომუნისტური ქვეყნები – რ.კ.).** მაგრამ, **რაც ყველაზე მთავარია, რაოდენ დიდიც უნდა იყოს უფსკრული ძველ და ახალ ევროპას შორის, ისინი ერთნაირად უსუსურები არიან.**

ხოლო 25 აგვისტოს რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ ეთერში ჩვენთვის კარგად ცნობილი **მეთიუ ბრაიზა** აცხადებს: **„მთელი ოთხი წელი ჩვენ და ყველაფერს ვაკეთებდით, რათა ქართველებს სამხედრო ძალა არ გამოეყენებინათ. და მთელი ოთხი წელი ისინი ჩვენ გვიჯერებდნენ“.**

29 ოქტომბერს ბი-ბი-სის ჟურნალისტმა ტიმ ჰიუელმა გააკეთა რეპორტაჟი ცხინვალში ვიზიტის შემდეგ, სადაც პირველად იყო მოყვანილი გამაოგნებელი ფაქტები, რომ **„ქართული ტანკები ესროდნენ საცხოვრებელ სახლებს, ხოლო ჯარისკაცები ესროდნენ სამოქალაქო პირებს, რომლებიც მანქანებით**

## მოკლედ



### სასოწარკვეთილი საქართველო

**„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერის — გუბაზ სანიკიძის განცხადებით, რეგიონებში მოსახლეობა სოციალური პრობლემებისგან სასოწარკვეთამდეა მისული.** საჩხერის რაიონს ცოცხალი ადამიანისთვის პირველადი აუცილებლობების დაკმაყოფილების პრობლემა აქვს — წყალი, გზა, განათლება, უმუშევრობა და უსახსრობა. მიუხედავად ამისა, ბატონი გუბაზის თქმით, ხალხი ყველაზე მეტად სააკაშვილის წასვლითაა დაინტერესებული. ფორუმელებმა საჩხერლებს წყალი ვერა, მაგრამ თავიანთი პარტიული გეგმები დაუნანებლად უწილადეს, საარჩევნო გარემოს შეცვლის დეტალებიც გაუზიარეს. „ეროვნულმა ფორუმმა“ საქართველოს შემოვლა და მოსახლეობასთან შეხვედრები შიდა ქართლიდან დაიწყო. იმერეთის შემდეგ კი სამეგრელოს ეწვევა.



### უკანონო დელფინები

**ბიძინა ივანიშვილის ინვესტიციით აშენებული ბათუმის დელფინარიუმი, შესაძლოა, საერთაშორისო სკანდალში გაეხვეს. დელფინარიუმს საერთაშორისო კონვენციისა და ქართული კანონების დარღვევაში ადანაშაულებენ. გავრცელებული ინფორმაციით, მან 20-მდე დელფინი კოლხეთის ეროვნულ პარკში დაიჭირა.** ქართული კანონებით, შავ ზღვაში მობინადრე სამი სახეობის დელფინის დაჭერა აკრძალულია. „შავ და ხმელთაშუა ზღვებში ბიომრავალფეროვნების დაცვის კონვენციის“ მიხედვით კი, ბათუმის დელფინარიუმს შეუძლია შეიძინოს დელფინები, თუმცა ეს შავი ზღვის დელფინები არ უნდა იყოს. ბათუმის დელფინარიუმში შავი ზღვის დელფინების აღმოჩენის შემთხვევაში, ქვეყანას ფინანსური სანქციები ელის.




### წინ — წყალი, უკან — მეწყერი

**„ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი ნიკა ლალიაშვილი ირწმუნება, რომ მსოფლიო კრიზისი ჯერ მხოლოდ მოგვიახლოვდა და უახლოეს პერიოდში საქართველოში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებას პროგნოზირებს.** „ფინანსური თვალსაზრისით, უმძიმეს პერიოდში საქართველომ ის 4-მილიარდიანი დახმარება მიიღო, რომელიც 2008 წლის ომის შემდგომ პერიოდში გამოიყო და ქვეყანა დღემდე მოიყვანა. თუმცა, დღეის მდგომარეობით, დონორთა მხრიდან გამოყოფილი თანხები, პრაქტიკულად, ამოწურულია და საქართველო იმ მძიმე ფინანსურ კრიზისში შევა, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნები იმყოფებიან,“ — განაცხადა საუბრისას ლალიაშვილმა.



### ბესელია მოითხოვს

**საზოგადოებრივი მოძრაობის „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელი ეკა ბესელია საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, შეასრულოს დაპირება, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა დევნილებს ადგილობრივი არჩევნების წინ მათთვის საცხოვრებელი ფართების გადაცემის თაობაზე მისცა.** პერსონალური მოწოდება მიიღო ეკონომიკის მინისტრმა ვერა ქობალიამ, „რომლის ზრუნვა დევნილებისადმი მეტისმეტად ხანმოკლე აღმოჩნდა და, როგორც ჩანს, მინისტრობისთვის მოსამზადებელ კვირეულს ეძღვნებოდა“. დევნილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი, რომლის ,,კეთილი ბიჭობის“ შესახებ მითი, კარგა ხანია, გაქრა. ბესელია მისგან მოითხოვს, რომ შეასრულოს საკუთარი მოვალეობა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**ცდილობდნენ გაქცევას“.** იგივე ფაქტები დაადასტურა წამყვანმა ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციამ **„ჰიუმან რაიტს ვოჩმაც“.**

ძალიან საინტერესო იყო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ინტერვიუ პეტერბურგში გაფრენის წინ, იმავე წლის 31 ოქტომბერს. მე აქ მხოლოდ ერთ ამონარიდს მოვიყვან იმ ინტერვიუდან, რომელზეც კომენტარი, მე მგონი, ზედმეტია:

**კითხვა:**

**— რას აპირებთ, უნდა დაარწმუნოთ რუსეთი, უარი თქვას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე?**

**კუშნერი:**

— **ჩვენთვის მთავარია დევნილების დაბრუნება თავიანთ სახლებში. აი, ამის შემდეგ კი ვნახოთ** (?! – რ.კ.).

უფრო ზევით კი კუშნერი ამბობს — ჩვენი მიზანი იყო ომის შეჩერება და ჩვენ ეს სამ დღეში გავაკეთეთ. ახლა უკვე საჭიროა მოლაპარაკებები. მაგალითად, ახალგორთან დაკავშირებით, რომელიც მხოლოდ ქართველებით იყო დასახლებული.

**მაგრამ დასავლეთმა საბოლოოდ შეიცვალა თავისი პოზიცია 2008 წლის 10 ნოემბერს, ომის დაწყებიდან ზუსტად სამი თვის შემდეგ, როდესაც ორივე წამყვანმა ამერიკულმა გაზეთმა — „ნიუ იორკ ტაიმსმა“ და „ვაშინგტონ პოსტმა“, ასევე ბრიტანულმა „სანდი ტაიმსმა“ გამოაქვეყნეს ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ორი წამყვანი წევრის, ბრიტანელი მაღალჩინოსანი სამხედროების დასკვნა, რომელიც მათ გააკეთეს ეუთოს დახურულ ბრიფინგებზე. ეს დასკვნა სრულიად აბათილებს სააკაშვილის ვერსიას.**

აქედან ჩანს, რომ **ტალიავინის კომისიის დასკვნა შეუძლებელია მოულოდნელობა ყოფილიყო ვინმესთვის; ამასთან, ეჭვქვეშ არავის დაუყენებია ის ფაქტი, რომ ომი სწორედ სააკაშვილმა დაიწყო!**

**2009 წელს ამ პრობლემისადმი ინტერესი განელდა და მხოლოდ 14 პუბლიკაცია დავთვალე, ძირითადად ტალიავინის კომისიის დასკვნასთან დაკავშირებით.** და უკვე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 30 სექტემბრის რეზოლუცია სენსაცია აღარავისთვის ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ იქ პირდაპირ არის მოწოდებული, რომ ამ ომში ჩადენილი დანაშაულები ჰააგის სპეცპროკურორმა გამოიძიოს, რაც სააკაშვილს, რბილად რომ ვთქვათ, მეტად არაკომფორტულ მომავალს უქადის.

წლევანდელი მთავარი პუბლიკაცია იყო **ბრიუსელში მარშლის ფონდის ფილიალის ხელმძღვანელის** — **რონალდ ასმუსის** წიგნი **„პატარა ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა: საქართველო, რუსეთი და დასავლეთის მომავალი“.** წიგნში ბევრია ტალიავინის კომისიის დასკვნისგან განსხვავებული სუბიექტური ხედვა, რაც უფლებას მაძლევს, რომ მას შეკვეთილი ვუწოდო. ეს აზრი კიდევ უფრო ამ დღეებში, ამ წიგნის ქართული თარგმანის პრეზენტაციის შემდეგ, გამიძლიერდა. ის იმდენად არაობიექტურია, რომ, ვინ იცის, იქნებ, ჯერ ქართულად დაიწერა? მე ეს წიგნი თავის დროზე დეტალურად გავარჩიე და ამიტომ მასზე არ შევჩერდები. მაგრამ არის ერთი ფრაზა, რომელსაც ვეთანხმები: **ასმუსის აზრით, რუსეთმა ისეთი გაკვეთილი მოუწყო საქართველოსა და დასავლეთის სახელმწიფოებს, რომელსაც ისინი ვერასოდეს დაივიწყებენ!**

ამ წიგნის მთავარი სენსაცია იყო საუბარი საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისა და რუსეთის პრემიერ ვლადიმერ პუტინს შორის, როცა პუტინს მეტად ვულგარული გამოთქმა უხმარია სააკაშვილის მიმართ და რომელიც, კარგა ხანია, მთელმა მსოფლიომ იცის, იმდენჯერ გაიმეორა ეს თვითონ სააკაშვილმა. პუტინს კი თავისი სიტყვები ჯერჯერობით უკან არ წაუღია და ბევრი ელოდება, თუ რამდენად არის ის სიტყვის კაცი. თუმცა მიმაჩნია, რომ, **ვინაიდან სააკაშვილის პრეზიდენტობა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ინტერესებშია, ამიტომ ასეთ ფინალს ტყუილად ნუ ველოდებით; უფრო რეალურია ჰოლანდიის უმშვენიერესი სატახტო ქალაქი ჰააგა და მისი კომფორტული ციხე.**

საინტერესო რეაქცია ჰქონდა ამ წიგნზე წამყვან ფრანგულ გაზეთ **„Le Mond”-ს.** მისი აზრით, წიგნის სათაური ცოტა სხვანაირი უნდა ყოფილიყო **„პატარა ომი, რომელსაც უნდა შეეძრა მთელი მსოფლიო, მაგრამ ვერ შეძლო“.** ხოლო თავის კომენტარებში **„ნიუ იორკ ტაიმსი“** კიდევ უფრო შორს წავიდა და ერთი სიტყვა დაუმატა: ეს იყო **„პატარა ჭუჭყიანი** ომი“!



ყველაფერი ეს შეიძლება შევაჯამოთ **ჰაიდი ტალიავინის** სიტყვებით: **„ამ ომში გამარჯვებული არავინ ყოფილა – ყველამ წააგო. პერსპექტივა კი ამ მხარეებს შორის მხოლოდ დიალოგია“.**

მაგრამ ვინ უსმენს ტალიავინს?! როგორც თავიდან აღვნიშნე, ხელისუფლებამ ომის დაწყების დღე ყოველგვარი ზომიერების გარეშე კონცერტებით აღნიშნა, რაც ნამდვილად სამარცხვინო ფაქტია. ეს უნდა ყოფილიყო გლოვის დღე, ტყუილად, მაგრამ გმირულად დაღუპული ბიჭების ხსოვნის დღე. არადა, **ამ ომში ყველაზე მეტად საქართველო დაზარალდა – მან, თუ სამუდამოდ არა, ძალიან დიდი ხნით დაკარგა ტერიტორიები და რა აქვს საზეიმო, ვერავინ აგიხსნით.**

ამ ხელისუფლებისთვის თავის მოჭრაა (რასაც, რასაკვირველია, თვითონ ვერ მიხვდებიან), რომ ცხინვალში ეს დღე ზომიერად აღნიშნეს, როგორც დაღუპულთა ხსოვნის დღე. არადა, **ყველაზე მეტად მაინც სეპარატისტებმა მოიგეს, ვინაიდან თავიანთი მარიონეტული მთავრობა შეინარჩუნეს და თან სააკაშვილისგან საჩუქრად ახალი ტერიტორია მიიღეს ახალგორისა და ქსნის ხეობის სახით.** უფრო მეტიც, სააკაშვილის რეჟიმი ყველაფერს აკეთებს, რომ ახალგორი ქართული მოსახლეობისგან დაცალოს. რა ლოგიკაა ამაში, ნამდვილად ვერ გეტყვით, იმდენად ანტიქართული ქმედებაა ეს.

**არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სააკაშვილმა კიდევ ერთი სუფთა ქართული ტერიტორია – დალის (კოდორის) ხეობა გააჩუქა.** ამას ჩვენ მაშინვე უნდა მივმხვდარიყავით, როდესაც მას რატომღაც „ზემო აფხაზეთი“ დაარქვა და, ფაქტობრივად, სეპარატისტებს მიანიშნა, რომ ამ ტერიტორიასაც მათ ჩუქნიდა.

ან და რატომ დაცალეს ეს ხეობა მოულოდნელად, წინააღმდეგობის გაუწევლად და რატომ დატოვეს იქ უამრავი ახალი შეიარაღება? ამაზე ბატონ ნათელაშვილს აქვს პასუხი – ხელისუფლებამ ეს იარაღი 250 მილიონ დოლარად მიჰყიდა რუსებს და ფული „სომხეთის რკინიგზისგან“ მიიღო, რომელიც რუსეთის საკუთრებაა.

**აი, სააკაშვილმა კი ამჯობინა, მის მიერ სასაკლაოზე გაგზავნილთა მოხსენიების დღეს საქართველოში არ ყოფილიყო. იგი შორეულ ცენტრალურ ამერიკულ სახელმწიფო კოლუმბიაში გაემგზავრა.** ეს სახელმწიფო მხოლოდ იმითაა ცნობილი მთელ მსოფლიოში, რომ მათ ყველაზე ცნობილი ნარკობარონები ჰყავთ, თუნდაც — მედელინის კოკაინის კარტელის განთქმული ლიდერი პაბლო ესკობარი. ეს ქვეყანა, ასევე, განთქმულია სისხლიანი სამოქალაქო ომებით და მარქსისტი პარტიზანებით. **„კურიერმა“ კი ამაყად გვაცნობა, რომ სააკაშვილი კიდევ ერთ ღვთისაგან დავიწყებული ლათინოსი ქვეყნის – ელ სალვადორის პრეზიდენტს შეხვდა. რას იზამ, თუ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას შენთან, სააკაშვილთან შეხვედრა არ სურს, სალვადორის პრეზიდენტს ხომ ხვდები, რითაა მასზე ნაკლები?**

დღეს კოლუმბია ლამის ომის მდგომარეობაშია მეზობელ ვენესუელასთან, რომლის ექსცენტრიული პრეზიდენტი უგო ჩავესი სააკაშვილის ალიკვალია — როგორც სააკაშვილი ლანძღავს რუსეთსა და მის ხელისუფლებას, ჩავესი ზუსტად ისევე ლანძღავს ამერიკასა და მის ხელისუფლებას. ვინ იცის, იქნებ, ჩავესის ჯიბრზეა იქ, მან (ჩავესმა) ხომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა“ აღიარა? მაგრამ სააკაშვილს რას გაუგებ – დღეს სულ უფრო მტკიცდება აზრი, რომ ყველაფერ ამის გასაგებად პოლიტიკური ანალიტიკოსი კი არა, ფსიქოანალიტიკოსია საჭირო...

**რამაზ კლიმიაშვილი**



საავტორო სვეტი

# კოლუმბიური ჰალსტუხი

**გასულ კვირას მიხეილ სააკაშვილი კოლუმბიას სტუმრობდა. ვიზიტის ფორმატი ისეთივე იყო, როგორც რამდენიმე თვის წინათ კოსტა-რიკაში, როცა ახალარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციას დაესწრო. სულ სამხრეთ ამერიკაში 12 ქვეყანაა, ცენტრალურში — შვიდი, კარიბის ზღვაში კიდევ 20-მდე კუნძული-სახელმწიფოა (ზუსტ დათვლას მიკროსკოპი სჭირდება): ასე რომ, კიდევ ბევრგან შეიძლება ჩავიდეს. იმედია, სახელისუფლო პროპაგანდა განმარტავს ამ ვოიაჟების ისტორიულ მნიშვნელობას, თორემ საზოგადოება გულუბრყვილოდ ფიქრობს, რომ სააკაშვილს, უპირველესად, თავისი ჰონდურასი ჰყავს მისახედი.**

„სიკვდილის ბრიგადები“, ტოტალური სატელეფონო მოსმენები, „ძირგამომთხრელი“ ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დევნა, მედიის „თვითცენზურა“, ვაშინგტონის მიერ მართული პოლიტიკური სპექტრი — ეს ჩამონათვალი სავსებით მიესადაგება როგორც საქართველოს, ისე კოლუმბიის მდგომარეობის აღწერას. სხვაობა მხოლოდ დეტალებშია, ყოფილი **პრეზიდენტი ალვარო ურიბე შიშსა და ძალმომრეობაზე დაფუძნებული სისტემის გამყარებას პარტიზანებთან და ნარკობიზნესთან ბრძოლის აუცილებლობით ამართლებდა, სააკაშვილი კი მეტწილად გარე საფრთხეზე საუბრობდა.** თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, იქ, სადაც ადამიანის უფლებები იზღუდება, ნებისმიერ შემთხვევაში, კარგი არაფერი გამოვა.

**მკვეთრი მოქმედებებისკენ ერთსაც და მეორესაც „ნეოკონებმა“ უბიძგეს. იქამდე კოლუმბიაში, ისევე, როგორც საქართველოში, ნელა, ხშირად წარუმატებლად, თუმცა მაინც განუხრელად, სამშვიდობო პროცესი მიდიოდა.** ურიბემ კი, ბუშის ადმინისტრაციის წაქეზებით, პარტიზანებს ტოტალური ომი გამოუცხადა, გარკვეულ წარმატებებს მიაღწია კიდეც, თუმცა მთელი რიგი რაიონები ისევ მეამბოხეთა კონტროლქვეშ დარჩა. ურიბე ახორციელებდა ამბიციურ ეკონომიკურ პროგრამას, რომელსაც (აქაურისგან განსხვავებით) რიგი წარმატებები ახლდა, მაგრამ კოლუმბიაში უმუშევრობის დონე კვლავინდებურად ერთ-ერთი ყველაზე მაღალია რეგიონში, მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, ომმა და დუხჭირმა ცხოვრებამ ქვეყნიდან 3 მილიონი ადამიანი გააქცია. საგარეო ვალი კი წლიდან წლამდე იზრდება; სხვანაირად ვერც მოხდებოდა იმ კოლოსალური ხარჯების გათვალისწინებით, რომელიც არმიასა და პოლიციას ხმარდება. ყოველივე ეს ძალიან ნაცნობია: **სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ კოლუმბიას არ განუცდია ისეთი ყოვლისმომცველი კრახი, როგორიც საქართველოს 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის პოლიტიკამ მოუტანა.**

ალვარო ურიბე ველესზე არავის უთქვამს, რომ იგი არასერიოზული ან არაადეკვატური ადამიანია. ვაშინგტონის მარიონეტი? — კი, ბატონო. საეჭვო მაქინაციების მონაწილე? – შესაძლოა... მაგრამ ჰალსტუხის გემო ნამდვილად არასოდეს გაუსინჯავს და სირცხვილიც საქვეყნოდ არ უჭამია. საერთოდ, გარდერობის ამ დეტალზე კოლუმბიაში ნაკლებად ხუმრობენ, რადგან **„კოლუმბიური ჰალსტუხი“ სადისტური მკვლელობის ერთ-ერთი ხერხია, რომელსაც ადგილობრივი ნარკომაფია ხშირად იყენებს. ასე რომ, იქაური მედია ირონიული კალამბურებისგან ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის აღსაზრდელის, მიხეილ სააკაშვილის ჰალსტუხზე, ალბათ, თავს შეიკავებს.**

იქ კიდევ ერთი ტრადიცია არსებობს, რომელიც ჩვენში, იმედია, არასოდეს შემოვა. თუ მძღოლი მანქანის ფანჯარაში შემთხვევით გამოყოფს ხელს, რომელზეც ძვირიანი საათი, სამაჯური ან სხვა „ბრანზულეტკა“ უკეთია, გამორიცხული არაა, რომ მოპედზე ამხედრებულმა მემარცხენე რადიკალებმა ჩაუქროლონ, მაჩეტე მოიქნიონ და ხელი მოაჭრან; ბრძოლა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ხანდახან ასეთ ფორმებსაც იღებს.

**კოლუმბიის ახალ პრეზიდენტზე — ხუან მანუელ სანტოსზე, რომლისთვისაც მისალოცად სააკაშვილი დასავლეთ ნახევარსფეროში გაემგზავრა, მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ იგი, სავარაუდოდ, გააკეთებს ყველაფერს, რასაც ვაშინგტონი უკარნახებს.** შეიძლება მშვიდობის მტრედად მოგვევლინოს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, ქვეყანა მეზობელ ვენესუელასთან ომში ჩააბას. ისიც ხომ თეთრ სახლზეა დამოკიდებული და, რუზველტის ცნობილი გამონათქვამის არ იყოს, **„მათი ძაღლიშვილია“.** თუმცა, სავარაუდოდ, **ადრე თუ გვიან, კოლუმბიაში, ისევე, როგორც დანარჩენ მსოფლიოში, ყველაფერი შეიცვლება და ამ „ძაღლიშვილების“ ეპოქა სამუდამოდ წარსულს ჩაბარდება.**

**დიმიტრი მონიავა**

## მოკლედ




# ვმონაწილეობთ კონსტიტუციის შექმნაში

**საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქართველოს კონსტიტუციის ახალი პროექტის საერთო სახალხო განხილვის პროცესში.**

**სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ დემეტრაშვილი დაგვპირდა, რომ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია ყურადღებით მოეკიდება მოქალაქეების ნებისმიერ რჩევა-რეკომენდაციას და ინიციატივას, რომელიც კონსტიტუციის საბაზისო პროექტის მიმართ იქნება წარმოდგენილი.**

**სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია მოქალაქეების რეკომენდაციებს კონსტიტუციის ახალი რედაქციის საორგანიზაციო კომისიას გადასცემს და ყველა წინადადება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განიხილება.**

ცხადია, წინასწარ ვერავინ იტყვის, რომ ამ წინადადებებიდან რომელიმე აღმოჩნდება გათვალისწინების ღირსი, მაგრამ ახლავე შეიძლება თქმა, რომ, როგორიც არ უნდა იყოს მომავალი კონსტიტუცია, ყოველთვის იქნება იმის მტკიცების შესაძლებლობა, რომ მის შექმნაში მთელი საქართველო მონაწილეობდა.



# არაპროფესიონალი სუბელიანი

**„სუბელიანი საკუჭნაოში ცხოვრობდა, ახლა კი სამსართულიანი ფეშენებელური სახლი აქვს კრწანისში“, — აცხადებენ ლტოლვილები და ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს სიცრუეში, უყურადღებობაში, მოვალეობის შეუსრულებლობასა და არაპროფესიონალიზმში ადანაშაულებენ.**

მათი განცხადებით, სუბელიანმა მხოლოდ ლტოლვილები კი არა, სასულიერო პირებიც მოატყუა, როდესაც უთხრა, რომ დევნილების ახლანდელი საცხოვრებელი შენობა გაყიდულია.

საუბარია ქეთევან წამებულის №71-ში მდებარე ყოფილი სამხედროების შენობაზე, რომელშიც ფართების დარეგისტრირებასაც ითხოვდნენ დევნილები. ეს ხალხი აღნიშნულ შენობაში, უკვე 17 წელია, ცხოვრობს, ბოლო სამი წლის მანძილზე კი — უშუქოდ და უწყლოდ.

გსურთ, გამოიხატოთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# 2008 წლის აგვისტოს ომი: პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერ-მორალური შედეგები

**2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების ორი წლისთავთან დაკავშირებით, 5 აგვისტოს არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თაოსნობით გაიმართა კონფერენცია თემაზე: „2008 წლის აგვისტოს ომი: პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერ-მორალური შედეგები“. ამასთან, წარმოდგენილი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ევრაზიის ინსტიტუტის“ მიერ მომზადებული ბროშურა, რომელშიც გაანალიზებულია საქართველოს ხელისუფლების უპასუხისმგებლო პოლიტიკა. კონფერენციის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი ექსპერტები, უფლებადამცველები, ჟურნალისტები, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები, აგრეთვე, დევნილები კონფლიქტის რეგიონიდან.**



კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს და შეაფასეს საქართველოს ხელისუფლების დამღუპველი პოლიტიკა, რამაც მიგვიყვანა ომამდე და მის ტრაგიკულ შედეგებამდე.

აგვისტოს ომის პოლიტიკურ და ეკონომიკურ შედეგებზე მსჯელობისას საუბრის მთავარი თემა იყო საქართველოს მარგინალიზაცია საერთაშორისო ურთიერთობებში, რაც შედეგად მოჰყვა პრეზიდენტ სააკაშვილის დანაშაულს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ; მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესება კონფლიქტის შემდგომ პერიოდში, ხალხის იმედგაცრუება და საქართველოს სახელმწიფოებრიობის მომავლისადმი ეჭვის გაჩენა; აშშ-ის ხელისუფლების ნეგატიური როლი სააკაშვილის წაქეზებაში ომის დასაწყებად და მართლმადიდებლურ რუსეთთან ტრადიციული ურთიერთობების სანაცვლოდ დასავლეთზე ანგარიშმიუცემელი ორიენტაციის პოლიტიკური და ეკონომიკური უპერსპექტივობა.

ცხინვალზე თავდასხმის სულიერი და ზნეობრივი შედეგები კიდევ დიდხანს იქნება განსჯის საგანი, თუმცა კონფერენციაზე ნათლად ითქვა, რომ ამ ომმა, უპირველესად, უდიდესი ზიანი მიაყენა სულიერებას, რადგან იგი გლობალისტური ძალების სტრატეგიის ნაწილი იყო მართლმადიდებლური სამყაროს შესასუსტებლად და დასანაწევრებლად.

ამიტომ დიალოგის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს „ამერიკული ფასეულობების“ ჯიუტი პროპაგანდისა და მათი თავსმოხვევის სასწრაფოდ შეწყვეტის აუცილებლობაზე ქართული საზოგადოების სულიერ-ზნეობრივი და მსოფლმხედველობრივი საფუძვლების გადასარჩენად, რუს, აფხაზ და ოს ხალხებთან ტრადიციული ძმური ურთიერთობების აღდგენა-შენარჩუნებისთვის; აღინიშნა ქართველი მართლმადიდებელი ერის გადასარჩენად მართლმადიდებელ რუს ხალხთან დაახლოების უალტერნატივობის შესახებაც.

**კონფერენცია გახსნა არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარემ ტარიელ გაგნიძემ,** რომელმაც აღნიშნა: **„ორი წელი გავიდა აგვისტოს ტრაგედიიდან, რამაც უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. უამრავი შეფასება მოვისმინეთ ამის თაობაზე, მაგრამ რაფინირებული სიმართლე ჯერ მაინც ხელმისაწვდომი არ არის ფართო საზოგადოებისთვის.**

**კითხვა უამრავია: რა იყო ცხინვალის ომი — ლოკალური კონფლიქტი თუ გლობალური კატაკლიზმი? როგორ ვითარდებოდა მოვლენები საქართველოში უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში? რა როლს თამაშობს საქართველოს შიდა პოლიტიკაში არაქართული ძალა და სხვ.“.**

ტარიელ გაგნიძემ ხაზი გაუსვა საქართველოში ისტორიის გაყალბებას, ფაქტობრივად, ახალი ისტორიის შექმნის მცდელობას, სადაც რუსეთი ბოროტების საწყისადაა წარმოდგენილი, პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნები კი — ამ ბოროტების მსხვერპლად. **„მარტივად რომ ვთქვათ, წარსულის ამგვარი შეფასება დიდი უმადურობაა, რადგან XIX საუკუნის საქართველოში განათლების, ლიტერატურის, კულტურის ამაღლება და მართლმადიდებლური რელიგიის აღორძინება სწორედ რუსეთის სულიერ სივრცეში განსწავლული ქართველების ძალისხმევის შედეგია, რომ აღარაფერი ვთქვათ რუსეთის მიერ ოსმალეთისთვის ახალციხისა და ჯავახეთის მიწების გამოგლეჯასა და საქართველოსთვის შემოერთებაზე“,** — დასძინა მან.

საქართველოში ანტირუსული მოძრაობის განსაკუთრებით „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გააქტიურებაზე საუბრისას კონფერენციის ორგანიზატორმა განაცხადა, რომ **„საქართველოში ახლა ყველაფერს პრაქტიკულად ამერიკელები აკონტროლებენ და არც იმაში ეპარება ეჭვი ვინმეს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველოს ხელისუფლებამ სწორედ ამერიკელთა წაქეზებით წამოიწყო. ეს ომი იყო ჯონ მაკეინის საპრეზიდენტო არჩევნების პოლიტიკური ნაწილი, რადგან მისი რეიტინგი საკმაოზე მეტად დაბალი აღმოჩნდა, რაც არჩევნების საბოლოო შედეგმა დაადასტურა კიდეც“.**

**„ვერც ჩვენ მოვიგეთ ვერაფერი ამ ომით და ვერც მაკეინმა, საქართველოში კი დამკვიდრდა ნიჰილიზმი, სრული უიმედობა, უპერსპექტივობის განცდა და, რაც მთავარია, ამერიკამ მიაღწია სასურველ მიზანს — ერთმანეთს მტრად გადაჰკიდა მეგობარი ქვეყნები — რუსეთი და საქართველო!“.** ტარიელ გაგნიძის აზრით, სწორედ ამ სინდრომის აღმოფხვრით შევძლებთ საქართველოს უმძიმესი დღევანდელობის შეცვლას და ქვეყანაში მომავლის რწმენის დაბრუნებას.

**გორის სუხიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ლექტორმა არინა თავაქარაშვილმა** აღნიშნა, საქართველო დღეს ორი უძლიერესი ქვეყნის იდეოლოგიათა შეჯახების პოლიგონად არის ქცეული, რაც მეტად საფრთხილო საქმეა და დიდ გამჭრიახობას მოითხოვს ჩვენგან. **„გორის მოსახლეობას ამ ომით მართლაც მიადგა დიდი მორალური და სულიერი ზიანი, დაიხოცა უდანაშაულო მოსახლეობა, მაგრამ აუცილებელია, წყენა დავძლიოთ და მოლაპარაკების მაგიდას მივუსხდეთ რუსებთან, რადგან მხოლოდ წყენა ვერც რუსებს მოუტანს სასურველ შედეგს და ვერც — ქართველებს“,** — **განაცხადა არინა თავაქარაშვილმა. მისი აზრით, „საჭიროა ახალი ურთიერთობების დამყარება იმ განცდით, რომ წარსული წარსულია, მომავალი კი — ჩვენი ერთად ყოფნის გარდაუვალობა...“**

ყოფილი სახალხო დამცველის, პროფესორ **ნანა დევდარიანის** განცხადებით, ჩვენ ახლა არც თვითგვემაში უნდა ვპოვოთ შვება და არც სხვაგან უნდა ვეძებოთ დამნაშავე. **„შეიარაღებულ კონფლიქტს, რომელსაც უდანაშაულო ხალხის მსხვერპლი მოჰყვა, გამართლება არ აქვს,** — თქვა მან, — **ახლა საჭიროა გარკვეული სამუშაოს ჩატარება, რათა გაირკვეს ამ დანაშაულის მიზეზობრივი მხარეები, რაც მომავალში კატეგორიულად გამორიცხავს ძმათამკვლელი ომის ახალი ტალღის წარმოქმნის შესაძლებლობას“.**

ნანა დევდარიანმა სტალინის ძეგლის გორიდან გატანაზეც გაამახვილა კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება და აღნიშნა, რომ ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა: **„მართალია, კომუნისტურ იდეოლოგიაზე უარი ვთქვით, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფრისთვის ზურგის შექცევა მთლად გამართლებული საქციელი არაა. უკვე აშკარა გახდა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მტკიცედ მიუყვება ტროცკისტების გზას — მხოლოდ 1937 წელი აქვთ ამოჩემებული და არაფერს ამბობენ იმ წარმატებებზე, რასაც საბჭოთა კავშირმა მიაღწია დროის მცირე მონაკვეთში; არაფერს ამბობენ იმაზე, რომ სტალინის ხელისუფლებამ მსოფლიო კაცობრიობა იხსნა ფაშიზმის მძიმე უღლისგან“.**

იდეოლოგიათა შეჯახების პირობებში, რომლის პოლიგონადაც რატომღაც საქართველო იქცა, ყოფილი სახალხო დამცველი დიდი სიფრთხილისკენ მოგვიწოდებს: **„თუ რუსებთან საერთო ენას ვერ გამოვნახავთ, გამორიცხული არ არის, იმაზე მძიმე დარტყმები მივიღოთ, ვიდრე აგვისტოს ომი იყო. მინდა ვიხილო ჩემი ქვეყანა ისეთად, როგორადაც ღმერთმა გააჩინა. აუცილებელია რუს კოლეგებთან შეხვედრა, მაგრამ მანამდე ჩვენ უნდა შევიმუშაოთ ერთიანი აზრი...“**

გაზეთ „ილორის“ მთავარი რედაქტორმა **როლანდ ჯალაღანიამ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმ ავბედითი ომის დაწყების დღიდან ორი წლის შემდეგაც კი მასთან დაკავშირებული მრავალი ასპექტი ჯერაც იდუმალებით არის მოსილი.

**„დღედაღამ მიდის დავა იმის თაობაზე, თუ ვინ გამოიყენა გადამეტებული ძალა ამ ორივე ქვეყნისთვის სამარცხვინო და ყოვლად გაუმართლებელ ომში, მაგრამ არავინ საუბრობს იმის თაობაზე, თუ რამ გამოიწვია ეს კონფლიქტი, რა იყო მისი წინაპირობა“,** — განაცხადა როლანდ ჯალაღანიამ და კონკრეტული წინადადებით მიმართა კონფერენციის მონაწილეებს. კერძოდ, მისი აზრით, ჭეშმარიტების დასადგენად უნდა შეიქმნას საქართველო-რუსეთის ერთობლივი კომისია, რომელიც ორივე მხრიდან პარიტეტულ საწყისებზე ჩამოყალიბდება სახელისუფლო და ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებისგან. **„დაე, იდავონ მათ ერთმანეთში, თუნდაც იჩხუბონ კიდეც, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ქართველები და რუსები დაადგენენ ერთობლივი მუშაობით ჭეშმარიტებას, რაზედაც აიგება ახალი ურთიერთობები,** — აღნიშნა მან, — **ჩვენს შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი უმთავრესია, დადგინდეს, ვინ დაიწყო ეს ომი, რათა დამნაშავეს ღირსეული სასჯელი მიეგოს! მაგრამ დასადგენია მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოებაც — რატომ დაიწყო ეს ომი! ეს აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ მომავალში არ განმეორდეს მსგავსი სამარცხვინო პრეცედენტი და ორივე სახელმწიფო მთელი მსოფლიოს დაცინვის ობიექტად არ იქცეს!“**

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელის — გულბაათ რცხილაძის** აზრით, აუცილებელია აგვისტოს ომის შედეგების განხილვა, რათა ცივი გონებით შევაფასოთ განვლილი ორი წელი და დავადგინოთ, რა შედეგებამდე მიგვიყვანა ამ ომმა. **„ზოგიერთები იმ აზრს ავითარებენ, რომ რუსეთს უნდა დავუპირისპირდეთ როგორც აგრესორ ქვეყანას, რაც დამღუპველი იქნება საქართველოსთვის. რუსეთი უნდა მივიღოთ ისეთი, როგორიც არის.** — აღნიშნა გულბაათ რცხილაძემ, — **ამ ომს ჰყავს მოგებულები და წაგებულები. წაგებული დარჩა მხოლოდ ქართველი და რუსი ხალხი, მოგებული კი — მხოლოდ საქართველოს ხელისუფლება, რომელმაც მილიარდობით დოლარის დახმარება მიიღო დასავლეთიდან, რომლის დიდი ნაწილი არაკეთილსინდისიერ ქართველ ჩინოვნიკთა ჯიბეში დაილექა. ასევე, მოგებული დარჩნენ ამერიკელები, რომლებიც ყველა ხერხის გამოყენებით ცდილობენ, უარყოფითი იმიჯი შეუქმნან რუსებს საერთაშორისო სივრცეში“.**

ჟურნალისტმა **თენგიზ პაჭკორიამ** ხაზი გაუსვა, ასევე, დიალოგის აუცილებლობას რუსეთთან: **„მე ჯერ კიდევ 2009 წლის დეკემბერში „მედია-ფორუმზე“ ვუთხარი პრეზიდენტ მედვედევს, რომ საჭიროა საქართველოს მიმართ პოლიტიკის შეცვლა და ამით ორივე ქვეყანა მოგებული დარჩება“.** ჟურნალისტის აზრით, რომელსაც აფხაზეთის ომის დროს სოხუმში ოჯახის წევრები დაეღუპა, **„ჭეშმარიტება მხოლოდ ქართველებსა და რუსებს შორის გამართულმა დიალოგმა უნდა დაადგინოს. სხვანაირად სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ...“**

დიდი სამამულო ომის მონაწილე **შოთა ბუაძე** აღშფოთებას ვერ მალავდა ხელისუფლების ორგანიზებული ანტირუსული პროპაგანდის გამო და ეს მაშინ, როცა მოსკოვში არსებობს ქართული სკოლები. **„სწორედ ეს ბავშვები ეწევიან ქართული სულიერების პროპაგანდას რუსეთში და ნამდვილად არ არსებობს იმის საშიშროება, რომ რუსეთში ოდესმე მიინავლება და საბოლოოდ გაქრება ქართული სული. ამიტომაა აუცილებელი რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა დიალოგით, იარაღის გამოყენებით სასარგებლო საქმე არასოდეს გაკეთებულა“,** — თქვა მან.

**ჟურნალისტმა, გერმანისტმა დავით ქოზალიამ** სეპატიზმის სინდრომზე გაამახვილა კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება და აღნიშნა, რომ ეს სინდრომი სწორედ დასავლეთიდან მოდის: **„გავიხსენოთ თუნდაც ისტორიულად ავსტრიული ტიროლის მხარე, რომელიც, უკვე ოთხმოცდაათი წელია, მიტაცებული აქვს იტალიას და დღემდე მოუგვარებელია მისი საკითხი! ამის შემდეგ რატომ უნდა ჰქონდეს ევროპის იმედი საქართველოს,** რომელსაც ტიროლის საკითხი გამოწვლილვით აქვს შესწავლილი? როგორ შეიძლება ადამიანმა სხვის ოჯახში მოაგვაროს საქმე, როცა ეს საქმე მას საკუთარ ოჯახში აქვს მოუგვარებელი?!“ ჟურნალისტი გაოცებას ვერ მალავს ახალგამომცხვარი ე. წ. პოლიტოლოგებისა და ექსპერტების უტიფრობის გამოც, რომლებიც საქართველოს მთავრობისა და მისი მთავარსარდლის განუმეორებლობისა და სწორი პოლიტიკის შესახებ საუბრობენ, როცა ენით აუწერელ, საშინელ დღეში იმყოფებიან ე.წ. არასახელისუფლო დევნილები — არ აქვთ წყალი, ელექტროენერგია, ცხოვრების ელემენტარული პირობები...

**„ისტორიული მემკვიდრეობის“ მიერ ორგანიზებული კონფერენციის მსვლელობისას, ბუნებრივია, კამათიც გაიმართა და სხვადასხვა მოსაზრებებიც გამოითქვა, თუ როგორ შეიძლება საქართველო ამ უმძიმესი მდგომარეობიდან გამოვიდეს, თუმცა ყველა აღნიშნავდა, რომ ვითარების ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ შემობრუნების ერთადერთი გზა რუსეთთან უპირობო და დაუყოვნებელი დიალოგია.**



**მიხეილ წერეთელი**

# «მიშა მაგარიას» ანგლოსაქსური ვარიაციები ქართული მოძახილის თანხლებით

**იმის გამო, რომ ჩვენი ამერიკანიზებული ტელევიზიები მონდომებით ცდილობენ, ქართული აზროვნება და ქართული ენა ერთნაირად დაგვავიწყონ, თავს დავიზღვევ (ეშმაკს არ ძინავს!) და შეგახსენებთ, რომ მოძახილი არის მეორე ხმა მომღერალთა გუნდში. მეორე — გუნდში. ასე უფრო გასაგები იქნება, როცა ქართულ მოძახილამდე მივალთ ამ წერილში.**

## კონსპექტი სენატორისთვის, ანუ უნებური აღიარება

თავს ვერ დავდებ, რომ 8 აგვისტოს **Wachington Post**-ში გამოქვეყნებული წერილის კონსპექტი სენატორ მაკეინს მისმა თანაშემწემ საქართველოდან ჩაუტანა. შეიძლება არც იყო ის კაცი თავისი კოლეგების იმ ჯგუფში, რომელიც წინა კვირას ომგადახდილ საქართველოს ეწვია.

ისიც არ ვიცი, ვინ დააფინანსა საქართველოსადმი ეს ჯგუფური ინტერესი, კოლექტიურად რომ გაუჩნდათ შორეული ამერიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ამ მოკრძალებულ მშრომელებს.

აი, კონსპექტის წარმომავლობა კი ეჭვს არ ბადებს, რადგან სააკაშვილის ტვინისმჭყლეტელი ტელერეპრიზების კალკირების უზადო ნიმუშია: იწყება რუსეთის მიწაში ჩადებით და მთავრდება სააკაშვილის ხელისუფლების მეცხრე ცამდე აყვანით.

შიგადაშიგ — მტკიცე მხარდაჭერის ურყევი პოზიციის იმდენჯერ გამეორება, რომ არიქა, მიშველეთ, ამ კაცმა ხაროდან ამომიყვანა და უკან დამაბრუნეთო! უკან მიდევნებული დაშტამპული ლამპარი, რომელსაც, როგორც თბილისში 300 არაგველის მემორიალის მარადიულ ცეცხლს, მხოლოდ მაშინ დაანთებენ, როცა პატრიოტიზმის მოჭარბებული გრძნობების დემონსტრაციას მიიჩნევენ საჭიროდ.

ან არ დაანთებენ.

**„რუსეთმა საინფორმაციო ფრონტზე გარკვეულ** წარმატებებს მიაღწია", — შეშფოთებულია პოლიტოლოგ-„უკლონისტი" გია ნოდია.

რახან ეს აღიარა ნოდიამ, ე.ი. ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე, წაგვიგია (თუნდაც **„გარკვეულად"**) პოზიციები ინფორმაციული ომის ფრონტზე. ამიტომ სასწრაფოდ დაძრეს დამატებითი ძალები მთავარსარდლის სტრატეგიული რეზერვიდან.

მაკეინს დავუბრუნდეთ. აღიარებით ჩვენებაზე გადავიდეთ სენატორისა, არიზონას შტატიდან სააკაშვილის საშველად მოხმობილის.

აღიარებს კი მაკეინი სავალალო სიტუაციას, რომელშიც მისი და ბუშის ნებიერა მიხეილ სააკაშვილი ბარაკ ჰუსეინ ობამას გაპრეზიდენტების შემდეგ აღმოჩნდა.

მაგრამ ამ ოღრო-ჩოღრო გზაზე მაკეინის სიტყვამჭევრობის მარგალიტები რომ არ დაგვეფანტოს, დოკუმენტურად დაგიფიქსირებთ და კარგად შეინახეთ, ვინძლო მომავალ არჩევნებში გამოიყენოთ (ეშაკს არ ძინავს-მეთქი, ხომ გითხარით).

Wachington Post-ში ბატონი სენატორი წერს:

**„მუდმივად რუსული საფრთხის პირობებში ცხოვრების მიუხედავად, საქართველო წინსვლას განაგრძობს".** „არიქა დო შარიქა!" თორემ ისე გარბის წინსვლის აღმართს შემდგარი ეს ჩვენი ქვეყანა, შეიძლება ვერც დავეწიოთ. ჩამოვრჩეთ სამარცხვინოდ.

**„თითქმის 1000 ქართველი ჯარისკაცი, უპირობოდ განაგრძობს ჩვენ გვერდით ბრძოლას ავღანეთის ყველაზე რთულ რაიონებში",** — აღფრთოვანებით ტყუის მაკეინი. ან სააკაშვილი ტყუოდა: **მიშას მტკიცებით, ქართველი ჯარისკაცები იქ სამშვიდობო მისიით არიან მივლინებული.** ეს, ვიეტნამის ომის ვეტერანი კი ამბობს, რომ იბრძვიანო, თანაც ყველაზე რთულ რაიონებში.

იტეხეთ თავი და არკვიეთ, რანაირად ტრანსფორმირდება ყველაზე რთული რაიონები მშვიდობიან ნავსაყუდლებად ტერორიზმის მღელვარე ზღვაში?!

**„საქართველოში კანონის დიქტატურა და კორუფციასთან ბრძოლა ძლიერდება** (ჩვენ კი გვითხრა მიშამ, რომ კორუფცია მორჩა და გათავდა! ეტყობა, მთლად ასე არ არის. — **ა.ს.**), **ხოლო მისი ეკონომიკა** (რომელიც არ არსებობს. — **ა.ს.**) **ისეთი ტემპით იზრდება, რომ „მსოფლიო ბანკმა" ქვეყანას მსოფლიოში საუკეთესო ბიზნესგარემოსთვის მე-11 ადგილი მიანიჭა".** ჩამოვიდეს ახალბედა ბიზნესმენის ამპლუაში ბატონი სენატორი საქართველოში და საინტერესო იქნება, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, იმავე აზრზე დარჩება, თუ მე-11 ადგილს ერთადერთ სიტყვას დაუმატებს — „ბოლოდან"?

**„მართალია, პოლიტიკური რეფორმები საქართველში ჯერ არ დასრულებულა** („გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია". — **ა.ს.**) **მაგრამ ევროპარლამენტის წარმომადგენლებმა თბილისის არჩევნებს „ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისკენ გადადგმული რეალური ნაბიჯი" უწოდეს".**

არც ისე მოკლე ფეხები ჰქონია ტყუილს, თუ ამერიკამდე შეძლო ჩაღწევა და დემოკრატიის ეტალონად ჩამოყალიბება. ასე რომ არ იყოს, ვერ მოირგებდა მაკეინი „ახალი წესრიგის" ფუძემდებლისა და მოძღვრის როლს: **„თუ პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი პოლიტიკური და ეკონომიკური მოდერნიზაციის მაგალითს ეძებს, მან მზერა საქართველოს უნდა მიაპყროს, ხოლო თუ ობამას ადმინისტრაციას ისეთი ურთიერთობა სურს, რომელსაც „გადატვირთვა" მართლაც სჭირდება, მანაც საქართველოსკენ უნდა გაიხედოს".**



**თუ ბუში სააკაშვილს ახალი დემოკრატიის ქვეყნების შუქურად მიიჩნევდა, მაკეინი ობამას მოძღვრავს — საქართველოსკენ გაიხედე, მზე იქიდან ამოდისო.**

ბუშის ჩამქრალი შუქურა ამას ისევ ანთებული ჰგონია. ჰგონია კი არა, უფრო წინ მიდის: თუ ბუში სააკაშვილს ახალი დემოკრატიის ქვეყნების შუქურად მიიჩნევდა, მაკეინი ობამას მოძღვრავს — საქართველოსკენ გაიხედე, მზე იქიდან ამოდისო. და აქედან იწყება აღიარებითი ჩვენება, შესახებ იმისა, რომ ობამასა და მის ადმინისტრაციას სააკაშვილი გულზე არ ეხატება. უკაცრავად და, არ აინტერესებს, გინდა — ენთოს, გინდა — იციცინათელოს!

„ადმინისტრაციას, — წუხს სენატორი, — საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობის, ნატოში მისი გაწევრებისთვის პროგრესის ხელშეწყობისა და თავდაცვითი პოტენციალის აღდგენის საქმეში **განსაკუთრებული მზადყოფნა არ გამოუთქვამს".**

„ოკუპაციაც" კი არ უწოდებიაო ამ ბოლო დრომდე რუსეთის ჯარის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნისთვის.

ეგ კი არა, **„ძალიან რთულია ადმინისტრაციის დათანხმება იმაზე, რომ ამ უკანასკნელმა ქართულ არმიას, რომელიც საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებს** (ალბათ, ავღანეთში სამშვიდობო მისიის შესრულების პროგრამით. — **ა.ს.**) **უბრალო შეიარაღება მაინც გადასცეს — ჯავშანტექნიკა და სათადარიგო ნაწილები",** რომლებიც ელიავას ბაზრობის „დაშლილებში" არ იშოვება. მთლად ასე არ უთქვამს, მაგრამ ასე გამოდის.

**ჰოდა, დაეხმარე საქართველოს, ბიძია ბარაკ, ნუ ამათხოვრებ სენატორს, თორემ გაცუდდება მისი აღფრთოვანებული დასკვნა, რომ „საქართველოს დემოკრატიული მთავრობა გადარჩა და ყვავის".**

ყვავის, აბა, რას აკეთებს! გადარჩა კი არა, კიდევ 300 წელიწადს იცოცხლებს, ოღონდ დაეხმარე და ნუ არბენინებ ლათინურ ამერიკაში დაკარგული სამოთხის საძებნელად!

არ უნდა აერჩიათ ეს კაცი აშშ პრეზიდენტად?!

## იწყებს WACHINGTON POST, აგრძელებს GARDIAN

ამ უკანასკნელი გაზეთის ავტორი **დენის მაკშეინი** მეცხრე ცაზეა იმის გამო, რომ **„გასულ თვეში საქართველოს ჰილარი კლინტონი სტუმრობდა იმ მოსაზრების საპირისპიროდ, რომ თითქოს „რუსეთთან უკეთესი ურთიერთობა თეთრი სახლის მხრიდან საქართველოზე უარის თქმას ნიშნავს".**

მაშ, რატომ წუწუნებდა ჯონ მაკეინი, ობამას ადმინისტრაციამ საქართველოზე ხელი აიღოო?!

„არამც და არამც, — ემოციურ წნევას უმატებს დენის მაკშეინი, — **აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა თბილისში ვიზიტის დროს მიხეილ სააკაშვილის მთავრობას მხარდაჭერა დაუდასტურა".**

**ზღვარდაუდებელი ხოტბის შესხმა იმ ხელისუფლებისთვის, რომელიც ამ ტრაგედიის თავიდათავი იყო, აზრის გარყვნილებაა.**

ესეც რომ ჩვენ გვატყუებს! მაგრამ იქვე, საკუთარი ძალებით იბითურებს თავს, რადგან იძულებულია განმარტოს, რომ ქალბატონმა კლინტონმა მიშას მთავრობას კი არ დაუჭირა მხარი, არამედ „მკაფიოდ აღნიშნა, რომ **„შეერთებული შტატები მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას".**

მაგრამ როდის არ უჭერდა? 17 წლის წინათ, 1993 წელს, მაშინდელი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი საქართველოში რომ ჩამოვიდა და რესპუბლიკის მოედანზე შეკრებილი ხალხის წინაშე სიტყვა რომ წარმოთქვა, ზუსტად იგივე გვითხრა. ამიტომ არა მგონია, რომ ჰილარი კლინტონის მსგავსი განცხადება მაინცდამაინც „სააკაშვილის მთავრობის" მხარდაჭერას ნიშნავდეს.

განა თვითონ არ იციან, რომ ასეა? იციან. მაგრამ დაკვეთილი წერილები ძალიან ძვირი იმიტომ ღირს, რომ უნდა თქვა იმის საწინააღმდეგო, რაც იცი და რისიც გჯერა.

გამიგეთ? ვერა?

ალბათ, ცუდად ვთქვი... და თავს მხოლოდ ერთი ჭკვიანური გამონათქვამით დავიმშვიდებ: **„ადამიანები, რომლებიც მხოლოდ იმას იგებენ, რისი გაგებაც შეიძლება, ყველაფერს ვერ იგებენ".**

მაგალითად, ასეთ სიბრძნეს თალმუდიდან: **„ბრძენს ჰკითხეს, რისგან კვდებიან ადამიანები? უპასუხა ბრძენმა: — ცხოვრებისგან".**

ზოგჯერ კი — გადაწყვეტილებისგან, რომელსაც იღებს ის, ვისაც ევალება გადაწყვეტილებების მიღება, როგორც ორი წლის წინათ, როცა **„სააკაშვილი რუსების დაგებულ მახეში გაება, როცა დაინახა, რომ სატანკო დივიზიებმა მისი ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვარი გადაკვეთეს, მან ცეცხლი გახსნა".**

მიამიტურია ასეთი გადაფარება დასაცავ ობიექტზე და „გაბმულხარ, ჩიტო, მახეშით" დიდი ტრაგედიის გამართლება.

**ხოლო ზღვარდაუდებელი ხოტბის შესხმა იმ ხელისუფლებისთვის, რომელიც ამ ტრაგედიის თავიდათავი იყო, აზრის გარყვნილებაა.**

Gardian-ს თავისი ავტორის ავტორიტეტი რომ არ ყოფნის, მსოფლიო მასშტაბზე გადადის: „საერთაშორისო თანამეგობრობა, ფინანსური ინსტიტუტები და არასამთავრობო ორგანიზაციები აქებენ საქართველოს იმ პროგრესისათვის, რომელსაც მან დემოკრატიული რეფორმების საქმეში და ახალი კონსტიტუციისა და არჩევნების შესახებ კანონის შემუშავების პროცესში ოპოზიციის ჩართვით მიაღწია".

ა, ტალანტი!

კიდევ კარგი, რომ ვიცით, რომელ ოპოზიციაზეა ლაპარაკი, თორემ Gardian-ის კვალზე დავიჯერებდით, რომ „ახლახან ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნები, ასევე, თბილისის მერის პირველი არჩევნები წარმატებული აღმოჩნდა"...

გინებაზე უარესია, როცა Gardian-ის ავტორი საქართველოს „პატარა, მაგრამ ამაყ ქვეყნად" მოიხსენიებს.

„Маленькая, но гордая птичка" — რუსულ კინოკომედიაში იხილეთ, და თუ გულაჩუყებულებს ცრემლები გადმოგცვივათ, დაატირეთ: „Птичку жалко"...

დენის მაკშეინისა და Guardian-ს ასეთი თავგამოდების მიზანი პუბლიკაციების დასკვნით აბზაცშია გამჟღავნებული". „ახლა, როცა კამერონი პრემიერ-მინისტრი გახდა, მან საქართველოს არ უნდა უღალატოს".

დევიდ კამერონი, ობამას მსგავსად, დიდად მოწადინებული არ ჩანს სააკაშვილთან სამეგობროდ. ამადაც დაიწერა წერილი „არ უღალატოთ საქართველოს, კამერონ!"

## გია ნოდიას მოძახილი, რომელიც არ ისმის

ძალიან თუ დაძაბავ სმენას, გაიგონებ. მაგრამ რად გინდა, ათასჯერ წაკითხულსა და ნათქვამს გადაეყრები: **„რუსეთის სამხედრო გამარჯვებამ მხოლოდ ერთი შედეგი გამოიღო — კონტროლი აფხაზეთის რამდენიმე ხეობაზე და სამხრეთ ოსეთზე"(!),** რაც ნიშნავს, რომ **„საქართველო იოლად გადაურჩა"** რუსეთს.

გია ნოდია **(„პატარა ომი, რომელმაც რეალურად მსოფლიო არ შეძრა", „რადიო თავისუფლება", 2010 წლის 8 აგვისტო")** სიხარულს ვერ მალავს იმის გამო, რომ მისი სათაყვანებელი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინის ბოროტ განზრახვას გადაურჩა — ვერ ჩამოკიდა რუსეთის პრემიერმა მიხეილ სააკაშვილი კვერცხებით, „ვერც პირდაპირი, ვერც გადატანითი მნიშვნელობით".

ეტყობა, ესენი ელოდნენ, რომ „კვერცხებით დაკიდების" საშიშროება რეალურად ემუქრებოდა მიხეილს.

ძალიან მწარე იქნებოდა!

გადავრჩით.

მარტო ეს რომ იყოს:

**„ომმა ვერ შექმნა ქაოსი საქართველოში და ვერც სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. მიუხედავად ბევრი პრობლემისა, სახელმწიფო ინსტიტუტებმა ამ გამოცდას გაუძლეს" (!) „პრეზიდენტის პოპულარობა განმტკიცდა"(!).**

ირგვლივ ყველა დამარცხდა: **„პრეზიდენტის „ოპოზიციურმა ოპონენტებმა დისკრედიტაცია განიცადეს";** ზურაბ ნოღაიდელი და ნინო ბურჯანაძე როგორი **„არაპოპულარული და მეორე რანგის ადამიანები"** იყვნენ, ისეთებად დარჩნენ; **„უკრაინის ხელისუფლებაში ვიქტორ იანუკოვიჩი მოვიდა"; „ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ ჭინჭყლობა იწყო";** მოლდოვაში პროდასავლური ხელისუფლება კი მოვიდა, მაგრამ **„შემობრუნების წერტილი ნამდვილად არ დამდგარა";** თურქეთს ჩაუვარდა **„მზარდი აქტიურობა" და „უცნაური პლატფორმა".**

აი, ასეთი განწყობილებისა და შეხედულების კაცი იძულებული ხდება, აღიაროს, რომ **„ომის შემდეგ დასავლეთის ლიდერები ნაკლებად ენდობოდნენ სააკაშვილს, ვიდრე ომამდე... ამან „ძირეულად შეასუსტა რეგიონში დასავლეთის პოზიცია", „ნატოში საქართველოს გაწევრება ჩაიშალა"** და ა.შ.

მაგრამ **„რუსეთმა საინფორმაციო ფრონტზე გარკვეულ წარმატებებს მიაღწია".**

აღიარებს. ვერ დაუშლი.

ხოლო ნოდიას მოძახილის ბოლო აკორდი — **„დღის წესრიგიდან, ძირითადად, ამოღებულია ძველი კონფლიქტების გადაწყვეტის პრობლემა",** ზარით დატირებას უფრო მოუხდებოდა, ვიდრე პირველ ხმას, რომელიც გუნდთან ერთად ამაოდ ცდილობს, დავიწყების მორევში ჩათრევისგან იხსნას საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S.საინტერესოა, ამ წერილს, რომლის წაკითხვაც დაამთავრეთ, დაბეჭდავს თუ არა Washington Post-ი? რამდენი უნდა გადავიხადო მასალის პუბლიკაციისთვის?**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# პრეზიდენტი აეროპორტის მშენებლობის მანიამ შეიპყრო

**ჩვენი პრეზიდენტის საყვარელ საკურორტო ქალაქებს კიდევ ორი საკურორტო ზონა — მესტია და ანაკლია შეემატა. გასულ კვირას პრეზიდენტმა ჯერ ანაკლიის ახალი პლიაჟი მოინახულა და იმავე დღეს ვერტმფრენით მესტიაში გადაფრინდა; ბავშვთა შორის სამთო-სათხილამურო ტურნირს დაესწრო და თხილამურებითაც ისრიალა. პრეზიდენტს ხშირად მფრინავი იდეები აწუხებს და ამას, ასე თუ ისე, ყველა შეეგუა. ახლა იგი აეროპორტების მშენებლობის მანიამ შეიპყრო.**

## სააკაშვილის ახალი ახირება: ორ საათში ზაფხულიდან — ზამთარში





მიხეილ სააკაშვილი აქამდე თუ ქვეყანაში გზებს აგებდა, ახლა საჰაერო გზების ათვისებასაც აპირებს. პრეზიდენტის დავალებით, აეროპორტი აჭარის მთიანეთშიც უნდა აშენდეს.

აღსანიშნავია, რომ ბათუმში ერთი აეროპორტი უკვე მოქმედებს. მწყობრშია ქუთაისის აეროპორტიც. როგორც ირწმუნებიან, 2013 წლისთვის იგივე ვითარება იქნება ფოთში, სადაც პროექტს არაბული „რას ელ ჰაიმა ინვესტმენთ აუთორითი ჯორჯია“ ახორციელებს. ამას დაემატება სვანეთისა და აჭარის მთიანეთის აეროპორტები.

**გამოდის, რომ დასავლეთ საქართველოში ყოველ 50-100 კილომეტრში მინიმუმ ერთი აეროპორტი მაინც იმუშავებს. საკითხავია, ვის სჭირდება ეს? რომელი ავიაკომპანია შეასრულებს რეისებს? მართლა წარმოუდგენია საქართველოს პრეზიდენტს, რომ მარშრუტებით: „სტამბული-მესტია“, „ვენა-შუახევი“ ან კიდევ „ლონდონი-ხულო“ ვინმე იფრენს?**

ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში, რომელიც ზღვის ნაპირზე იმ ადგილას მდებარეობს, სადაც მდინარე ენგური შავ ზღვას უერთდება, პრეზიდენტის თქმით, ორ წელიწადში ერთ-ერთი საუკეთესო კურორტი გაკეთდება. მან ადგილზე ესპანელი სპეციალისტები ჩაიყვანა, რომლებიც ორ თვეში ანაკლიის განაშენიანების გეგმას წარადგენენ. საბოლოოდ კი 2011 წლისთვის ქვეყნის შავიზღვისპირეთს კიდევ ერთი დასასვენებელი ადგილი შეემატება (ქულებს იწერს მეგრელებში).

ანაკლიაში, ალბათ, წყალში ჩამსვლელი ვერავინ იპოვეს და პრეზიდენტმაც უკან არ დაიხია, თვითონ შევიდა ზღვაში პატარა ნიკოლოზთან ერთად. შეამჩნევდით, ალბათ, სიუჟეტში, რა ტლანქად მოისროლა ბავშვი ზღვაში. ნიკოლოზის ნება რომ ყოფილიყო, ალბათ, თითსაც არ ჩაყოფდა სუფთა, მაგრამ, როგორც ნიკოლოზმა აღნიშნა, „ცივ წყალში“.

**მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველო ევროპაში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ერთდროულად შეგიძლია ისიამოვნო ტროპიკული პლიაჟით და თხილამურებითაც ისრიალო. რევოლუცია მიშას ოცნებებისთვის მოუხდენიათ. დემოკრატია, სამართლიანობა, კანონის უზენაესობა ვის ენაღვლება, მთავარია, უშბის კალთაზე ჩამოსრიალდე.**

ზაფხულში ზღვაში ბანაობის შემდეგ ვინმეს გაქვთ სურვილი თხილამურებზე სრიალის? პირადად მე, როცა ზღვაზე ვარ, არანაირად არ მოვინდომებ იმავე დღეს სადღაც მთებში ასვლას და იქ თოვლში სრიალს. მგონი „თავისი დრო აქვს ყველაფერს“, როგორც სიმღერაშია. საეჭვოა, უცხოელი ტურისტები იმით მოიზიდო, რომ ზაფხულში ზღვასთან ახლოს გაქვს მთაში სასრიალო. მარტო ამის გამო საქართველოში დიდი რაოდენობით უცხოელი ტურისტის ჩამოსვლა და დასვენება მიშას თუ მოუვა თავში (სომხებს უცხოელებში თუ ჩავთვლით, მაშინ, კი, ბატონო). **არც ერთი ევროპელი არ ამჯობინებს ხორვატიის თუ საბერძნეთის კურორტებს საქართველოს. დაივიწყეთ ეს ზღაპარი.**

იმ ორი საათის სავალზეც ნუდისტურ სამთო-სათხილამურო სადგურს თუ მოაწყობენ, ისე, როგორც აჭარაში აპირებენ, შეიძლება ტურისტების რაოდენობაც გაიზარდოს. თან ამით მთაში ადგილობრივებსაც დავასაქმებთ.

**ჩვენს ქვეყანაში იდეების მთავარი გენერატორი პრეზიდენტია, თანაც რა იდეების! ისიც არ გაურბის თავის მთავარ მოვალეობას. არავინ იცის, რამდენი ხანი იფიქრა, მაგრამ მოიფიქრა, რომ ჩვენ ზაფხულისა და ზამთრის კურორტი არა სეზონების მიხედვით, არამედ ერთდროულად გვექნება. ანუ, როგორც თავად ამბობს, დილით ტურისტი ზღვაში იბანავებს, საღამოს კი თხილამურებით ისრიალებს.**

ამისთვის ანაკლიაში საზღვაო კურორტს აშენებს (აი, იმას, ნიცასა და იბიცაზე უკეთესი რომ უნდა იყოს) და მესტიაში — ზამთრის. გზაც გაჰყავს და ორ საათში ანაკლიიდან მესტიაში ხარ, ზაფხულიდან — ზამთარში. აი, ასეთ რამეს თურქები ნამდვილად ვერ მოიფიქრებენ. შეჰყურებენ თავიანთ ხმელთაშუა ზღვის კურორტებს, სეზონი ექვსი თვე რომ გრძელდება, და ამიტომაც, ჩვენთან შედარებით, სასტუმროები კაპიკებად იშოვება. მერე რა, რომ ჩვენთან სეზონი მხოლოდ სამი თვეა, სამაგიეროდ, როგორც შამპუნების რეკლამებშია, **ჩვენთან იქნება ორი ერთში. ზაფხული და ზამთარი ერთად. მთავარია ფანტაზია, თორემ დილით ჩაიცვამ „პლავკებს“, გაიჭყუმპალავებ, შუადღეზე დაჯდები ავტობუსში, ახვალ სვანეთში, მერე საბაგიროთი და... შეგიძლია არც გამოიცვალო და ტრუსის ამარა ისრიალო თხილამურებზე. რადგან პრეზიდენტი ამბობს, ეს შესაძლებელიაო, რა გზა გვაქვს, უნდა დავუჯეროთ. დარწმუნებული ვარ, პირველი დამსვენებელი, რომელიც მომსახურებით „ორი ერთში“ ისარგებლებს, თავად იქნება. მე შენ გეტყვი, წნევა აუწევს თუ რა?**

შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ რაიმე ახალი წამოწყების წინააღმდეგი ვარ, მაგრამ, როცა ქვეყანაში უამრავი პრობლემაა, არ მიმაჩნია მიზანშეწონილად ქვეყნის პრეზიდენტი მხოლოდ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ხარჯავდეს ამდენ დროსა და ენერგიას. **ამ კურორტებზეც ისევ მიშას „საძმო“ და მისი ოჯახის წევრები თუ ივლიან, თორემ დანარჩენი 95% სულს ღაფავს მხოლოდ. ცოტა ხანში სანაპიროებს შემოღობავენ და შესვლაც ფასიანი გახდება. მერე საერთოდ ზღვაზე ბანაობაც სანატრელი გახდება.**

ან ის რა უბედურებაა, ყველაფერი მიშამ რატომ უნდა გახსნას, კოლმეურნეობის თავმჯდომარეა თუ პრეზიდენტი?! არც დიდი მაკრატლით სირბილი ვარგა. დარბის და უკან დასდევს საწყალი ფოტოგრაფი გედენიძეც. ჯერ წყლის ფოტოაპარატით დარბოდა ანაკლიის პლიაჟზე, მერე ბურნით სდია მიშას და ძლივს მოახერხა, მგონი, ერთი კარგი კადრის გადაღება.

**ის კი მართლაც საინტერესოა, რამდენად ხარისხიანად გაკეთდება ეს ყველაფერი. იმედია, ვაკე-საბურთალოს მთასავით არ ჩამოიშლება ორ კვირაში.**

აღფრთოვანება ჯერჯერობით არც ანაკლიის პლიაჟს გამოუწვევია და არც ნახევრადჭიან მესტიის სათხილამურო ტრასას. ყველაზე მეტად იმაზე ვიხალისე, ახალდაგებულ ასფალტს ხელით რომ სინჯავდა და სიმყარეს უმოწმებდა.

ისე, არა მგონია, მანდ ბევრმა გაბედოს დასვენება, რუსული ტანკები სულ რამდენიმე კილომეტრში დგას. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ანაკლიამაც განმუხურის ბედი გაიზიაროს.

**თეო ტაბატაძე**

## მოკლედ



### კრიმინალი პრეზიდენტი

**აგვისტოს ომის ორი წლისთავთან დაკავშირებით, ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა აგვისტოს ომის დაწყებაში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კიდევ ერთხელ დაადანაშაულა და საერთაშორისო საზოგადოებას, მისი, როგორც კრიმინალის, იზოლაციაში მოქცევისკენ მოუწოდა.** მისი თქმით, ამ ომის პორვოცირებით, მიხეილ სააკაშვილმა გეოპოლიტიკური კატასტროფა მოახდინა და აშშ-რუსეთის ინტერესები საქართველოს ტერიტორიაზე ერთმანეთს შეაჯახა. „მან ქვეყნის ინტერესებს საკუთარი სკამი არჩია. სანამ ეს ადამიანი იქნება ქვეყნის სათავეში, ქვეყანა ვერ გაიხარებს. ამ ორი წლისთავსაც კი არ დაელოდა და კოლუმბიაში გასართობად წავიდა“, — განცხადა ნათელაშვილმა.



### საქართველო რუსეთის წინააღმდეგ

**ჰააგის სასამართლო 13 სექტემბრიდან რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს სარჩელის განხილვას დაიწყებს.** ქართულმა მხარემ ყველა მასალა და დოკუმენტი უკვე გადააგზავნა. სარჩელი რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს ხელისუფლებამ 2008 წლის 12 აგვისტოს შეიტანა და ის 1990-იანი წლებიდან დღემდე რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებულ ეთნოწმენდას ეხება. პარლამენტის თავმჯდომარის — დავით ბაქრაძის განცხადებით, ეს ხანმოკლე და მარტივი პროცესი არ იქნება. „ჩვენ იმედი მაქვს, რომ საბოლოო ჯამში ჰააგის სასამართლო, სტრასბურგის სასამართლო და ყველა ინსტიტუცია, რომელსაც მივმართეთ, განაჩენს გამოიტანს არა პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან, არამედ ფაქტებიდან გამომდინარე“.



### პური გაძვირდება

**მსოფლიო ხორბლის არნახულად მცირე მოსავალზე წუხს, შესაბამისად, პურზე ფასის გაზრდას ქართველი მწარმოებლებიც არ გამორიცხავენ.**

ერთი ტომარა პურის ფქვილის ფასმა შვიდი ლარით უკვე მოიმატა და ეს, ადრე თუ გვიან, პურის ფასზეც აისახება. სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბაკურ კვეზერელმა განმარტა, რომ ეს „გვიან“ ჩვენს ქვეყანაში სექტემბრის თვიდან დაიწყება. აგვისტოში ქვეყანა პურზე ფასს შეინარჩუნებს, ყოველ შემთხვევაში, ასე დაგვპირდნენ, ვინაიდან ჩვენ ხორბალი არ მოგვყავს და მთლიანად იმპორტზე ვართ დამოკიდებულნი, მსოფლიოში ფასების მატება ქართული პურის ფასზეც შესაბამისად აისახება. მინისტრმა დაგვაიმედა, რომ გაძვირდება ყველა პროდუქტი, რომელიც ხორბალს უკავშირდება.



### უგულავა განათლების სამინისტროს უტევს

**თბილისის მერი გიგი უგულავა აღშფოთებულია. მისი თქმით, წლევანდელი „ერთიანი ეროვნული გამოცდების“ შედეგები საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებებში კრიტიკას ვერ უძლებს.** სავალალო მაჩვენებლებზე უგულავა პასუხისმგებლობას მოსწავლეებს, მშობლებს, ხელისუფლებასა და სახელმწიფოს აკისრებს, მაგრამ მთავარ დამნაშავედ შაშკინის უწყება მიაჩნია და განათლების სამინისტროს შეუტია, აბიტურიენტთა დაბალი მომზადების დონე ზოგადი განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობის პირდაპირპროპორციულიაო. მისი აზრით, თუ ასე გაგრძელდა, მოქალაქეების პროტესტი, მომავალი თაობის მოსამსახურე ფენად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, ლოგიკურად გამართლებული იქნება.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ანაკლიის ბულვარი — ფეშქაშად ადამკუსს

**პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჯერ კიდევ 2009 წელს დაჰპირდა ანაკლიელებს, რომ 2010 წლის აგვისტოში ანაკლიაში იახტკლუბის, დაკიდული ხიდის, ბულვარისა და ახალი ინფრასტრუქტურის პრეზენტაციას მოაწყობდა. პრეზიდენტმა ის პირობაც დადო, რომ 2-3 წელიწადში ანაკლია საქართველოში ყველაზე კარგი საზღვაო კურორტი გახდებაო. ადგილობრივი მოსახლეობისთვის ეს დაპირებები, რა თქმა უნდა, ძალზე სასიხარულო იყო, მაგრამ მათი აღფრთოვანება ნაადრევი აღმოჩნდა. თურმე პრეზიდენტს ტურისტული ზონის გაშენება ადგილობრივი მოსახლეობის კუთვნილი მიწების ხარჯზე დაუგეგმავს. როგორც გაირკვა, ანაკლიაში მშენებარე სასტუმროები ადგილობრივი მკვიდრების კუთვნილ მიწაზე შენდება, რომელთაც მიზერული თანხა გადაუხადეს და სხვაგან გადაასახლეს.**



ერთი რამ ცხადია, დღევანდელი ხელისუფლება არც ანაკლიაში და არც სხვაგან მოსახლეობის სასარგებლოდ არაფერს გააკეთებს, თუ თვითონ არ ნახა სარგებელი.

7 აგვისტოს ანაკლიაში სეზონი ოფიციალურად გაიხსნა. გარდა ამისა, ამ დღეს ანაკლიის სანაპიროზე აქცია-კონცერტიც გაიმართა, რომელიც 2008 წელს აგვისტოს ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნას მიეძღვნა. სპეციალურად ამ დღისთვის ანაკლიას რუსი რეჟისორი ანდრეი ნეკრასოვიც ეწვია, რომელიც ავტორია ცნობილი ფილმისა „რუსულის გაკვეთილები". მაყურებლის წინაშე ოპერის მომღერლები: ზურაბ სოტკილავა და მარიკა გულორდავაც წარსდგნენ. კონცერტში მონაწილეობდა პროექტ „ჯეოსტარის" ფინალისტი ვაჟა მანიაც.

**რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, ამ ცერემონიაზე დასწრება ვერ მოახერხა პრეზიდენტმა სააკაშვილმა. აგვისტოს ომის 2 წლის თავზე ბატონმა პრეზიდენტმა კოლუმბიის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე წასვლა გადაწყვიტა. ჩვენს პრეზიდენტს აგვისტოს ომი ცუდად ახსენდება, განსაკუთრებით — გორის მარულა და, დაღუპულთა ხსოვნის ნაცვლად, ხუან მანუელ სანტოს კალდერონს მიაგო პატივი.** თუმცა პრეზიდენტმა ანაკლიელების წინაშე ვალი რამდენიმე დღის წინათ მოიხადა, როცა იქ მარტო ჩავიდა, მარტო გახსნა პლიაჟი და ჯერ არდასრულებული სასტუმრო და პირველმაც დააგემოვნა ანაკლიის წყალი ისე, რომ მთელი საქართველოს გასაგონად განაცხადა, რა სუფთა და კარგი ზღვა ყოფილა ანაკლიაშიო. **ანაკლიის მოსახლეობა ნუ უწყენს პრეზიდენტს 7 აგვისტოს ცერემონიაზე დაუსწრებლობას, რა ექნა, ხელისუფლების წარმომადგენლები კოლუმბიაში წასვლას ურჩევნდენ, რადგან, მათი აზრით, ლათინური ამერიკა, სეპარატისტული რესპუბლიკების არაღიარების საკითხთან დაკავშირებით, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი პარტნიორიაო.**

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი ანაკლიაში არ იმყოფებოდა, ანაკლიას ლიტვის ყოფილი პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი ეწვია. სააკაშვილის არყოფნით გამოწვეული მოწყენილობა რომ არ ეგრძნო, მასპინძლობა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ გაუწია და სააკაშვილის მერე უკვე ლენტგაჭრილი ანაკლია ხელმეორედ ორივემ ერთად „გახსნა". დავით ბაქრაძემ კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ვალდას ადამკუსს იმ თანადგომისთვის, რომელიც ლიტვამ საქართველოს მიმართ 2008 წლის აგვისტოს აგრესიის დროს გამოიჩინა. **„ვალდას ადამკუსმა ბევრი გააკეთა, რათა 2008 წლის აგრესიის დროს ქართული თავისუფლება არ გამქრალიყო, ამიტომ ნამდვილად ღირსია, საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ნაწილის ტერიტორია მის სახელს ატარებდეს",** — აღნიშნა ბაქრაძემ.

**რადგან ასე დააფასა ლიტვის ექსპრეზიდენტმა ანაკლიელები თავისი სტუმრობით, მადლობა ხომ უნდა გადაეხადათ როგორმე?! ჰოდა, ტრადიციისამებრ, ბულვარი უფეშქაშეს. ასე რომ, ანაკლიელებს გაისად ვალდას ადამკუსის სახელობის ბულვარი ექნებათ.**

საინფორმაციო სააგენტო „პირველის" ინფორმაციით, იმ ორ სასტუმროს, რომლებიც ანაკლიის პლიაჟზე შენდება, ზუგდიდის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის — თენგიზ ქობალიას განცხადებით, გამგეობის დაკვეთით ქართული სამშენებლო კომპანია „დაგი" ააშენებს; მეორეს კი — ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია „სანი". თანხის ზუსტი ოდენობის დასახელებისგან ქობალია თავს იკავებს და აცხადებს, რომ „ეს საიდუმლოა". გავრცელდა ინფორმაცია, რომ **ის ორი სასტუმრო, რომლებიც ანაკლიის პლიაჟზე შენდება, არა ზუგდიდის გამგეობის, არამედ ძალოვანი მაღალჩინოსნების, კერძოდ, ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ადეიშვილის პატრონაჟით შენდება.** მათი ხშირი ვიზიტების შესახებ მშენებლობაზე დასაქმებულებიც საუბრობენ, თუმცა ძნელია ასეთ ინფორმაციაზე სამინისტროსგან დადებითი პასუხის მიღება.

**როგორც ჩანს, ხელისუფლებამ სასტუმროს აშენება თავად გადაწყვიტა, რადგან, შესაძლოა, ინვესტორთა დაინტერესება არც არსებობდა. მთავრობას დაგეგმილი აქვს, ანაკლიის „ყველაზე კარგ საზღვაო კურორტად" გადაქცევის შემთხვევაში, სასტუმროების სარფიანად გაყიდვა.**

საინტერესოა, რა რაოდენობის ინვესტიცია ჩაიდო ანაკლიის ტურისტული ზონის მშენებლობაში? რამდენი ადგილობრივი მოსახლე იყო დასაქმებული მშენებლობაზე და რა ეკონომიკურ სარგებელს ნახავს ანაკლია ახალი საკურორტო ზონის გახსნის შედეგად? შესაძლებელია პრეზიდენტის ამ ახალმა წამოწყებამ შედეგი რამდენიმე წელიწადში მართლაც გამოიღოს, მაგრამ ახლა საჭიროა ეფექტური ღონისძიებების გატარება და თანხის ისეთ საქმეში ჩადება, რომლის წარმატებაც ეჭვს არ გამოიწვევს. ანაკლიის ტურისტული ზონა ახლა იქმნება.

**ლილი მიროტაძე**



**ალექსანდრე თვალჭრელიძე,**
**პროფესორი:**

დაახლოებით ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პატრიოტთა ბანაკის გახსნაზე პრეზიდენტმა ბუჩქებისკენ მოუწოდა ახალგაზრდებს. მე მეჩვენება, რომ სწორედ ეს თაობა აბარებდა წელს ეროვნულ გამოცდებს. ვფიქრობ, ასეთი პოლიტიკა, რბილად რომ ვთქვათ, ათაყვანებს ჩვენს ახალგაზრდებს.

*„კვირის პალიტრა"*



**მანანა ნიკოლაიშვილი,**
**„განათლების ლიგის" პრეზიდენტი, ექსპერტი:**

სკოლა მთლიანად დანგრეულია, მაგრამ სწორედ ეს უნდა ჩვენს ხელისუფლებას. ამათი მიზანია, რომ საქართველოში სტუდენტთა რაოდენობა კატასტროფულად შემცირდეს.

*„ალია"*



**ნოდარ ჯავახიშვილი,**
**ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი:**

ჩვენთან სააკაშვილმა ჩამოაყალიბა უნიკალური ტენდენცია, როცა მსოფლიოში ფასები იზრდება, აქაც ავტომატურად მატულობს, მაგრამ მერე აღარ იკლებს. ეს პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ აქ არ გვაქვს არანაირი საბაზო ეკონომიკა, ეს არის პირდაპირი ძარცვა მოსახლეობისა. ამას არც ერთ შემთხვევაში არ დაუშვებდა სააკაშვილი, მისი ინტერესი რომ არ იყოს.

*„ალია"*



**კახა კუკავა,**
**კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:**

საქართველო დაპყრობილი ქვეყანაა. მართალია, დღეს ჩვენ არ გვქვია კოლონია და საბჭოთა რესპუბლიკა, მაგრამ დღეს ჩვენ ვართ ამერიკის შეერთებული შტატების არაოფიციალური კოლონია. ეს ყველაფერი დაგვანახა სწორედ იმ წლებმა, როდესაც მთელი საქართველო ფეხზე იდგა, მაგრამ გადაწყვეტილებები საქართველოს ფარგლებს გარეთ მიიღეს.

*„ახალი თაობა"*



**სოფო ხორგუანი,**
**რესპუბლიკური პარტიის წევრი:**

ძალიან მეშინია აგვისტოსა და ივლისის. ყველა საშინელება ხდება ხოლმე ამ დროს. მედია გაჩერებულია, პრაქტიკულად, მისი დიდი ნაწილი, პოლიტიკოსები წასულები არიან, არასამთავრობოებიც არ არიან ქალაქში და ხელისუფლება თვლის, რომ ახლა არის ის მომენტი, როდესაც, რასაც უნდა, იმას გააკეთებს.

*„ალია"*

## მოკლედ



### კომოროვსკიმ ფიცი დადო

**ბრონისლავ კომოროვსკიმ პოლონეთის სეიმის შენობაში საჯაროდ ფიცი დადო და ოფიციალურად გახდა პოლონეთის პრეზიდენტი. ინაუგურაცია მხოლოდ მას შემდეგ დაინიშნა, რაც პოლონეთის უმაღლესმა სასამართლომ როგგარეშე არჩევნების შედეგები კანონიერად გამოაცხადა.** ის ქვეყანას 5 წლის მანძილზე უხელმძღვანელებს, პოლონეთის არმიის მთავარსარდლის ფუნქციას კი ოფიციალურად 15 აგვისტოს — პოლონეთის არმიის დღეს გადაიბარებს. დამარცხებული კაჩინსკი და მისი პარტიის „სამართალი და სამართლიანობა" წევრები ინაუგურაციას არ ესწრებოდნენ, ვინაიდან, მათი თქმით, კომოროვსკიმ და მისმა თანაგუნდელებმა დაღუპული პრეზიდენტი რამდენჯერმე არაკორექტულად მოიხსენიეს.



### ბრიტანული სიკვდილის ესკადრილია

**ბრიტანეთი ავღანეთში ფართომასშტაბიან საიდუმლო ოპერაციებს ახორციელებს. ამ ოპერაციების მიზანი თალიბანის მნიშვნელოვან ფიგურათა ლიკვიდირებაა.** ეს ინფორმაცია მსოფლიო პრესამ მას შემდეგ გაავრცელა, რაც ავღანეთის ომის შესახებ ნატოს ოპერატიული დოკუმენტები სათანადოდ არ აღმოჩნდა დაცული და მასმედიას ჩაუვარდა ხელთ. პუბლიკაციის ავტორებმა 14 ათასი დოკუმენტი გამოიკვლიეს. ეს ის დოკუმენტებია, რომლებიც არ მოხვედრილა ვებ-გვერდ Wikileaks-ზე გამოქვეყნებულ უამრავ საიდუმლო მასალას შორისაც კი.

მასალების მიხედვით, ბრიტანეთის სპეცდანიშნულების რაზმის მხოლოდ ერთმა ქვედანაყოფმა თალიბანის 2 ათასზე მეტი მეთაური გაანადგურა ან ტყვედ აიყვანა.

ამ ქვედანაყოფს, რომელსაც ოფიციალურად „Task Force 42" ჰქვია, პრესაში სიკვდილის ესკადრილიას უწოდებენ.

ეს სპეცრაზმები ეძებდნენ და ანადგურებდნენ ბომბების დასამზადებელ სახელოსნოებსაც.

მათ მიერ ჩატარებული სამხედრო ოპერაციების დროს არაერთი მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა და დაიჭრა, მათ შორის ქალები და ბავშვებიც. ამასობაში სკანდალის წამომწყებმა WikiLeaks-მა თავის საიტზე ახალი დოკუმენტი დადო, მაგრამ მისი წაკითხვა ჯერჯერობით შეუძლებელია, რადგან ინფორმაცია დაშიფრულია.



### თირკმლით მოვაჭრე უკრაინელები

**უკრაინა „შავი ტრანსპლანტოლოგიის" სკანდალში გაეხვა. 12 წევრისგან შემდგარ დაჯგუფებაში, რომელსაც ისრაელის მოქალაქე ხელმძღვანელობდა, ქირურგიის ნაციონალური ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტებიც შედიოდნენ.** დაჯგუფების წევრები დონორებს ინტერნეტით ეძებდნენ და მათგან 10 ათას დოლარად ნაყიდ თირკმელს 100-200 ათას დოლარად ყიდდნენ. უკრაინელი ქირურგები თითოეულ ოპერაციაში 15-20 ათას დოლარს იღებდნენ. ამ ბიზნესის საერთო წლიური ბრუნვა 18 მილიონ დოლარს აღწევდა, საიდანაც ორგანიზატორებს 15 მლნ „სუფთა" მოგება რჩებოდათ. ძიების მონაცემებით, ბანდის მსხვერპლი 50 ადამიანია. გადანერგვა, ძირითადად, აზერბაიჯანის კლინიკებში ხდებოდა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

### არნო ხიდირბეგიშვილი:

# საქართველოში ყველა ლანძღავს რუსეთსა და პუტინს: ხელისუფლება — იმისთვის, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსული ჯარი სამხრეთ ოსეთში შევიდა, ხალხი — იმის გამო, რომ ის თბილისამდე არ მივიდა!

**აგვისტოს ომის ორი წლისთავზე საქართველოში განვითარებულ მოვლენებსა და ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ორიენტირებზე რედაქციაში მოვიწვიეთ ცნობილი პუბლიცისტი და პოლიტოლოგი არნო ხიდირბეგიშვილი.**



**— ბატონო არნო, ორი წლის წინათ, სწორედ ამ დროს, საშინელი ტრაგედია მოხდა და არ აქვს მნიშვნელობა, რას ვუწოდებთ: ომს, შეიარაღებულ კონფლიქტს, ძალოვან ოპერაციას წესრიგის დამყარების მიზნით, თუ მშვიდობის იძულებით დამყარების ოპერაციას: ძმა — ძმას, ნათესავი — ნათესავს, მეზობელი — მეზობელს ესროდა... შედეგად, საქართველომ თავისი ტერიტორიების 20 პროცენტზე მეტი დაკარგა — აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკებად აღიარეს. შეგვიძლია კი, დღეს ვთქვათ, რომ ამ ორი წლის განმავლობაში შევიცვალეთ და ახლა ასეთ რამეს არ დავუშვებთ?**

— თუ ვილაპარაკებთ იმათზე, ვინც ჩვენს სახელმწიფოში გადაწყვეტილებას იღებს — ძალაუფლების მოყვარე ხელისუფლებასა და მის არც თუ მცირერიცხოვან ელექტორატზე — არა, მათ ვერაფერიც ვერ ისწავლეს და ეს მათთვის გაკვეთილი არ ყოფილა! ისინი დღემდე წუხან, რომ მაშინ ვერ გაიმარჯვეს და ცხინვალის რეგიონში უკლებლივ ყველა არ გაჟუჟეს... და ავიწყდებათ, რომ რუსეთს მაშინ რომ ხელი არ შეეშალა მათთვის ამ საქმის დასრულებაში, მთელი მსოფლიო იმ დღესვე მათ ოსი ხალხის გენოციდში დამნაშავედ მიიჩნევდა! **მიაქციეთ ყურადღება, რომ თვით ქართული ოპოზიციაც სააკაშვილს აკრიტიკებს არა ამ საშინელი ავანტიურის წამოწყებისთვის, არამედ იმისთვის, რომ მაშინ ვერ გაიმარჯვა!**

დიახ, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა სამაჩაბლოს სამხრეთ ოსეთი დაარქვა და ამის გამო თავისი დემოკრატობით ამაყობდა, ჩემთვის ის სამაჩაბლოდ და ცხინვალის რეგიონად რჩებოდა მანამ, სანამ რუსეთმა მისი დამოუკიდებლობა არ აღიარა. ახლა კი, რამდენიც უნდათ, აბუჩადაც აიგდონ ნიკარაგუა და ნაური, რომლებმაც რუსეთის ფედერაციის კვალდაკვალ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარეს, მათ — თვითგამოცხადებული რესპუბლიკები, ხოლო ბაგაფშსა და კოკოითს სეპარატისტთა ლიდერები და დე ფაქტო პრეზიდენტები ეძახონ!.. ისინი ხომ ხალხმა აირჩია! აი, ინებეთ ჩვენი ხელისუფლების გონებრივი არასრულფასოვნების კიდევ ერთი დასტური: მათ ვითომდა პირდაპირი დიალოგის დაწყება სურთ აფხაზებსა და ოსებთან და ამავე დროს მიუფურთხებიათ მათი არჩევნებისთვის და ზიზღით ეკიდებიან...

და რას აკეთებს ჩვენი ხელისუფლება ყოველდღე?! ერთის მხრივ, რუსეთთან დიალოგისთვის მზადყოფნას გამოხატავს; ხოლო მეორეს მხრივ, რუსეთის ხელისუფლებასა და რუსებს აბუჩად იგდებს და ველურ ბარბაროსებად წარმოაჩენს მთელი მსოფლიოს თვალში... და ეს მაშინ, როცა აშშ-ცა და ევროპაც საქართველოს დაჟინებით ურჩევენ რუსეთთან საერთო ენის გამონახვას! **ჩვენი ხელისუფლებისათვის პუტინიცა და პუშკინიც ერთი და იგივეა. თავიანთი გონებაშეზღუდულობის გამო მათ ვერა და ვერ ისწავლეს ხალხისა და კულტურის გამიჯვნა პოლიტიკისა და პოლიტიკოსებისგან, იმიტომ, რომ თვითონ პოლიტიკოსებად ვერა და ვერ ჩამოყალიბდნენ! სხვაგვარად არ მოჰყვებოდნენ რუსი ხალხის მიერ არჩეული მთავრობის მეთაურისა და პრეზიდენტის — პუტინისა და მედვედევის ლანძღვას, რომელიც გერბთან, ჰიმნთან და დროშასთან ერთად, რუსეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი ატრიბუტი, მისი კონსტიტუციის გარანტია!**

ყველას, ვისაც ეჭვი ეპარება ჩვენი ხელმძღვანელობის პროფესიულ უმაქნისობაში, ვურჩევ, მტკიცე ნატოელის, ბრიუსელში ტრანსატლანტიკური ცენტრისა და მარშალის ფონდის აღმასრულებელი დირექტორის **რონალდ დ. ასმუსის წიგნის „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“** წაკითხვას (ვიმედოვნებ, რომ ხელისუფალთაგან არავის მოუბრუნდება ენა, მას კრემლის აგენტი უწოდოს!). არადა, ასეთ გამანადგურებელ დახასიათებებს ყველაზე ოპოზიციური ქართული გაზეთების ფურცლებზეც ვერ ნახავთ!

**— და ხალხი, ბატონო არნო, ხალხი რას ფიქრობს ამაზე?**

— საიდუმლო არაა, **საქართველში დღეს ყველა ლანძღავს რუსეთსა და პუტინს: ხელისუფლება — იმის გამო, რომ რუსეთის არმია 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთში შევიდა, ქართველი ხალხი — იმისათვის, რომ ის მაშინ თბილისამდე არ მივიდა!** ურწმუნოთათვის კვლავაც „Made in USA“ არგუმენტებს მივმართავ: **აშშ-ის ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ საქართველოში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევების თანახმად, მოსახლეობის ნახევარზე მეტი — რესპონდენტთა 59 პროცენტი ოფიციალური თბილისის პოლიტიკას რუსეთთან მიმართებაში მიუღებლად მიიჩნევს, ხოლო გამოკითხულთა 80 პროცენტი რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების მომხრეა.**

> **მოსახლეობის ნახევარზე მეტი — რესპონდენტთა 59 პროცენტი ოფიციალური თბილისის პოლიტიკას რუსეთთან მიმართებაში მიუღებლად მიიჩნევს, ხოლო გამოკითხულთა 80 პროცენტი რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების მომხრეა.**

დიახ, ხალხი დაქსაქსული, მშიერი, დაშინებული, დემორალიზებული და განხიბლულია; დიახ, ახალგაზრდა თაობა დასავლეთის მასკულტურის შხამიანი პროპაგანდით, ძალადობის, ნარკოტიკების, ერთსქესიანი გარყვნილების კულტითაა მოწამლული, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებიც შემდეგ კითხვებს სვამენ: **განა ჩრდილოელი მეზობლის „ფრთუმქვეშ“ საქართველომ 200 წელი ბედნიერად, უომრად არ იცხოვრა, თუ არ ჩავთვლით 1941-1945 წლების სამამულო ომს, რომელმაც კიდევ უფრო შეგვადუღაბა რუსეთთან?! განა გეორგიევსკის ტრაქტატამდე საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 700.000-ზე ოდნავ მეტს არ შეადგენდა, რომელთა შორის ქართველები სულ 300.000 იყო?! განა ზემოაღნიშნულ პერიოდში ეს ციფრები არ გაიზარდა და სსრკ-ის დროს 5 მილიონს (მთელი მოსახლეობა) და 3.5 მილიონს (ქართველები) არ მიაღწია?! განა ყველაფერი, რითაც ვამაყობთ, ამ წლებში არ შეიქმნა — ხელოვნების ნიმუშები, ბოლო ხანებში განადგურებული, მსოფლიო სახელის მქონე სამეცნიერო ცენტრები, მრეწველობა, ფაბრიკა-ქარხნები, სოფლის მეურნეობა, მეჩაიეობა და მევენახეობა?! მაშ, განა ერეკლე II და ილია მართალი (ჭავჭავაძე) მიხეილ სააკაშვილზე, დიმკა შაშკინზე და მათ მრჩევლებზე — რაფაელ გლუქსმანსა და დენიელ კუნინზე სულელები იყვნენ?!**

სხვათაშორის, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად შემცირდა პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მოსვლის შემდეგ და დღეს, მესამე პრეზიდენტის „ნაციონალთა“ მმართველობის ხანაში 2.5 მილიონზე ოდნავ მეტს არ შეადგენს, რომელთაგან ქართველობა სულ 1.8 მილიონია. **რაც შეეხება ომებს — „რუსეთისგან თავისუ-** ▶

## მოკლედ



### გეი-აღლუმი ბათუმში

**თბილისში დაგეგმილი გეი-აღლუმი, სავარაუდოდ, ბათუმში ჩატარდება. გავრცელებული ინფორმაციით, აღლუმის ბათუმში გადატანა ზღვის სეზონზე იქ ტურისტების სიმრავლის გამო გადაწყდა; სხვა ვერსიით კი ღონისძიების მესვეურთ დედაქალაქში მოსალოდნელი წინააღმდეგობისა შეეშინდათ.** აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ თემურ დიასამიძემ აღნიშნულ საკითხზე ბოლო დრომდე დაზუსტებით არაფერი იცოდა. „ჭორის სახით მეც გავიგე, მაგრამ ვინ არის მისი ორგანიზატორი ან როდის გაიმართება, ჩემთვის უცნობია. ამ დრომდე აჭარის ტურიზმის დეპარტამენტისთვის ღონისძიების ჩასატარებლად ნებართვის ასაღებად არავის მიუმართავს“, — განუცხადა მან სააგენტო „პირველს“.



### პრეზიდენტმა ისევ მიგვატოვა

**პრეზიდენტ სააკაშვილის უცხოეთში ვიზიტები ბოლო დროს ერთნაირ ფორმატში ვითარდება — წავა და ისე დაიკარგება, რომ მის ადმინისტრაციაშიც არ იციან ზუსტად, სადაა და როდის დაბრუნდება.** ახლაც ასე დაიკარგა, კოლუმბიის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე წასვლამდე ჯერ ხომ გლოვის დღე და ომის წლისთავი გადმოგვივადა, მერე ამისთვის არ მეცლებაო. ახლა კი, ინაუგურაციიდან კარგა ხნის შემდეგაც მის პრესსამსახურში აცხადებენ, რომ სააკაშვილის ადგილსამყოფელი „მათთვისაც უცნობია“. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცით, რომ 7 აგვისტოს ბოგოტაში იყო და იქიდან პოლონეთში ნამდვილად ვერ გაემგზავრებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იქაური პრეზიდენტის ინაუგურაციაზე არავის მიუწვევია.



### თავისუფალი ინდუსტრიული ზონა თბილისში

**ვერა ქობალია, უკვე ერთი თვეა, „მკლავებდაკაპიწებული შრომობს“ საქართველოს ეკონომიკის აყვავებისა და ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის და, აი, შედეგიც — 2 წელიწადში თბილისში თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ამოქმედდება.** შესაბამისი პროექტი განსახილველად მინისტრთა კაბინეტსაც ოპერატიულად წარედგინა, თავად ქობალიამ კი დაგვიკონკრეტა, რომ თბილისის თიზ-ის ფარგლებში 4 საწარმოს ამოქმედებაა დაგეგმილი. ამ საწარმოების მთავარი მიმართულებები ელექტროტექნიკისა და სამშენებლო მასალების წარმოება და მათი უცხოეთში ექსპორტი იქნება. „ეს საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტია, რომელიც დედაქალაქში დამატებით 1500-ზე მეტ სამუშაო ადგილს შექმნის,“ — ბრძანა მინისტრმა.



### ბოკერიამ თვალი აგვიხილა

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ გიგა ბოკერიამ მთელი საქართველოს მადლი მოისხა და, როგორც იქნა, გაგვაგებინა, რატომ გაიძახის ხელისუფლება ორი წლის მანძილზე, რომ რუსეთთან ომი მოიგო და რა გვეზეიმება წაგებული ომის წლისთავებზე.** The Washington Times-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ბოკერია ამბობს: „ქართველები დღეს თავს ამ ომში გამარჯვებულად მიიჩნევენ იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთმა სააკაშვილის მთავრობის ჩამოგდება ვერ მოახერხა“, ანუ, როგორც თავად პრეზიდენტი იტყოდა, მისი მთავრობა „არ ჩამოიშალა“. ბოკერიამ იმავე ინტერვიუში ისიც განმარტა, რომ „რუსეთსა და საქართველოს შორის ბრძოლა პროვინციების გამო არასდროს წარმართულა“.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ ფალი და დამოუკიდებელი“ პოსტსაბჭოური 20 წლის განმავლობაში ჩვენ მოვახერხეთ ოთხი ძმათამკვლელი კონფლიქტის დაწყება და წაგება: სამხრეთ ოსეთში (მაშინ სამაჩაბლოში) — გამსახურდიას დროს, აფხაზეთში — შევარდნაძის დროს და ისევ სამხრეთ ოსეთში, თანაც ორჯერ — სააკაშვილის დროს. და იცით, რატომ?! **იმიტომ, რომ ჩვენ რუსებს კი არა, საკუთარ თავს, საკუთარ ხალხს ვეომებოდით! და დღეს, როგორც ყოველთვის, საქართველოსა და ქართველი ხალხის მთავარი მტერი ჩვენ, ქართველები ვართ: რატომ ვერავინ ამჩნევს, რომ ეს ორი ბოლო კონფლიქტი (ორ- და ხუთდღიანი) იმ ადამიანების ინიციატივით დაიწყო, რომლებიც შემდეგ სისხლის სამართლის დამნაშავეები აღმოჩნდნენ?! თავდაცვის მინისტრები: ოქრუაშვილი და კეზერაშვილი, დღეს რომ ქართულ მართლმსაჯულებას საფრანგეთსა და ისრაელში ემალებიან — განა არ ჰპირდებოდნენ პრეზიდენტ სააკაშვილს ელვისებურ, გამარჯვების მომტან ბლიცკრიგს და დაჩოქილი გამოსთხოვდნენ სანქციებს საბრძოლო მოქმედებათა დასაწყებად?!** როგორ მოახერხეს მათ „გაქცევა საქართველოდან,“ სადაც ტოტალური თვალთვალი და ვიდეოკამერებია საზოგადოებრივ ტუალეტებშიც კი?! განა ჩვენი მინისტრებივითა და პარლამენტარებივით აუცილებლად დასავლეთის დიპლომებს უნდა ფლობდე (ძირითადად, ფულით ნაყიდ ფარატინა ქაღალდებს, რომლითაც თავიანთ კაბინეტთა კედლები დაუმშვენებიათ!), რომ ტყუილმართლისა და შავ-თეთრის გარჩევა შეძლო?

**— ბატონო არნო, განა ჩვენმა ხალხმა თავად არ აირჩია სააკაშვილი? თუ ჩვენი საზოგადოება მას არ ეთანხმება, რატომ არ ჩაერევა პროცესში? ვინ ექაჩება, როცა საარჩევნო უბნებზე ხმას სააკაშვილსა და მის თანაპარტიელებს აძლევს?!**

— მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც ქართველ ხალხს შეუძლია, ეს ზემოხსენებულ გამოკითხვებსა და მედიაში აზრის გამოხატვაა. და ამ ფუფუნების ნებასაც ყველა როდი აძლევს საკუთარ თავს, ეს უსაფრთხო როდია: შეიძლება სამსახური დაკარგო, ხოლო, თუ უმუშევარი ხარ — თვალის ან სხეულის სხვა ნაწილის გარეშე დარჩე. ანდა რას გიხსნით — განა თქვენი რედაქცია ორჯერ ზედიზედ არ დაარბიეს?! **ხალხის აზრს მნიშვნელობა აქვს მაშინ, როცა ქვეყანაში არსებობს ინსტიტუტები, რომლებიც მისი აზრის ლობირებას ახდენენ. დემოკრატიულ სახელმწიფოში ეს არასამთავრობო სექტორი (NJO) და პოლიტიკური ოპოზიციაა. საქართველოში კი არც ერთი და არც მეორე არ არსებობს: არასამთავრობო ორგანიზაციათა უმრავლესობა სოროსის ფონდისა და აშშ-ის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის „რაიკომებია“, ისევე, როგორც ქართული ოპოზიცია, რომელიც ხელისუფლებაზე უარესი აღმოჩნდა: ხელისუფლებასთან „ჭიპლარით“ დაკავშირებულმა, თავისი უმაქნისობითა და გამყიდველობით, საქართველოს მოსახლეობის თვალში, დიდი ხანია, თავად ცნება „ოპოზიციის“ დისკრედიტაცია მოახდინა და ხალხს კანონიერი პოლიტიკური მეთოდებით სასიკეთო ცვლილებების მიღწევის იმედი მოუსპო! და სანამ ხალხში შიმშილი და წყვდიადი შსს-ს მიმართ შიშს არ დაჩრდილავს, ხალხისგან არაფერს უნდა ველოდოთ.**

**— ნუთუ ჩვენ სამუდამოდ დავკარგეთ აფხაზეთი და ოსეთი, ნუთუ ხალხი თავის სახლებში ვერ დაბრუნდება? ნუთუ ქართველი და რუსი ბავშვები სიძულვილით განიმსჭვალებიან ერთმანეთის მიმართ? ჩვენ რუსეთს ყოველდღე აგრესორსა და ოკუპანტს ვეძახით, ხოლო საპასუხოდ, რუსეთი პრეზიდენტ სააკაშვილს სამხედრო ოკუპანტს უწოდებს: განა ეს ნორმალურია?! მაშ, თქვენ რა გამოსავალს ხედავთ?**

— ჯერ ერთი, რაც სააკაშვილს შეეხება: იმაში, რაც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მოხდა, დამნაშავე მარტო ის როდია — ყველანი დამნაშავე ვართ: საზოგადოებაც, რომელიც მადიანად, როგორც კიტრს, „მიირთმევს“ მის ყველა „გამოხდომას“, რომელიც სულ უფრო აბსურდული ხდება და რუსეთიც, რომელმაც ბედის ანაბარა მიგვაგდო, უფრო სწორად, აშშ-ის ანაბარა! **დიახ, მართლმადიდებელმა რუსეთმა სსრკ-ის დანგრევის შემდეგ ვერ იგრძნო სათანადო პასუხისმგებლობა მართლმადიდებელი საქართველოსადმი, არადა, ის ხომ რეგიონალური ლიდერია!** თუმცა, როგორც სამართლიანად შენიშნა ერთმა ჩემმა მეგობარმა — ცნობილმა რუსმა ექსპერტმა და პოლიტოლოგმა, **„ჩვენ** (რუსები – ა.ხ.) **ვერაფრით შევეჩვიეთ და ვერ გავაცნობიერეთ, რომ ლიდერობა მარტო პატივი და სიკეთე არაა, ეს პასუხისმგებლობა, გარკვეული ძალისხმევისათვის და წინამძღოლობისთვის მზაობაა. ჩვენ ყველას კი „მხართეძოზე წამოწოლილს“ გვინდა მეფობა და ამისათვის, მრავალი წელია, პასუხსაც ვაგებთ“.** როცა საქართველოს არხეინად ტოვებდა „სვავის ბრჭყალებში“, რუსეთს შედეგებზე უნდა ეფიქრა, რომლებმაც დიდხანს არ დააყოვნა: ჰოდა, რას ერჩით სააკაშვილს?! მან ბრწყინვალედ გაართვა თავი დავალებული გეგმის განხორციელებას! **08.08.08 ომის ნებისმიერი დასასრული სააკაშვილის ხელისუფლებისთვის ხელსაყრელი იყო: გამარჯვება? მიშა მრავალ წელს იჯდებოდა პრეზიდენტის სავარძელში! დამარცხება? არცთუ ურიგო გამოსავალი — სადავო ტერიტორიებიც აღარ იქნებოდა, რომელთა გამოც საქართველოს ნატოში მიღებაზე უარს ეტყოდნენ!**

არ ვიცი, სხვები რას ფიქრობენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, **მიშას არასდროს სჯეროდა, რომ ნატოსა და ევროკავშირში მიგვიღებდნენ: „მთავარია,** — ფიქრობდა იგი, — **ამ მიმართულებით ვიაროთ და „გზადაგზა“ სხვადასხვა დივიდენდი მოვკრიბოთ: ფული (საერთაშორისო დახმარების სახით), ქულები („ვაშინგტონის საოლქო კომიტეტის“ წინაშე) და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საკუთარი ხალხის წინაშე დასაკვეხნიც გვექნება“!**

საერთოდ კი, ცხოვრებაში არის ასეთი „ოქროს წესი“: ადამიანი კისერზე არ უნდა დაისვა, რადგან იქიდან მისი ჩამოგდება შენთვისაც ძნელია და მისთვისაც მტკივნეული... **ამას იმიტომ ვამბობ, რომ უმჯობესი იქნებოდა, რუსეთს 2003 წლის ნოემბრის პირველივე დღეებში მხარი არ დაეჭირა სააკაშვილისთვის და მიზეზად არ დაესახელებინა ქართველი ხალხის ნება, თუმცა თავად რუსეთს მაშინ გასაჭირი ადგა... მაგრამ არც იმდენად, რომ საქართველო გადასასვლელზე მიეტოვებინა!“.**

რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს — არსებული სიტუაციიდან გამოსავალს: ეს, რა თქმა უნდა, ეკონომიკა არაა, აფხაზები და ოსები ამით რომ მოვიზიდოთ **(არ შეიძლება იმის განვითარება, რაც არ არსებობს!);** ეს, რა თქმა უნდა, ჟენევის ფორმატი არაა **(ტყუილუბრალოდ რომ აჭიანურებს დროს, რომელიც ისევ არსებული სინამდვილის — ორი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის „დაღვინებაზე“ მუშაობს);** არც რუსეთის ბაზების გაყვანა და აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგია **(გამარჯვებულის დიალოგი დამარცხებულთან, სადაც გამარჯვებულმა დამარცხებულს გამარჯვება უნდა დაუთმოს, აბსურდია, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული და ისტორიაში ანალოგის არმქონე!).** ხოლო სააკაშვილისადმი აპელირება – *აქაოდა, მიშა, წადი, ხომ ხედავ, პრობლემა შენშია, შენ არ გელაპარაკებიან, არ გაღიარებენ, სამხედრო დამნაშავეს გეძახიან, ხომ არ უნდა დაიღუპოს მთელი საქართველო შენ გამოო?!* — სავსებით უსარგებლოა: ***„არ წავალ!*** — პასუხობს პრეზიდენტი, — ***და რომც წავიდე, სადაა იმის გარანტია, რომ რუსეთი არ მოგატყუებთ?! და განა არ იცით, რომ ნოღაიდელიცა და ბურჯანაძეც, არათუ ჩემზე უკეთესნი, ჩემზე უარესები არიან?! განა არ იცით, რომ ხელისუფლებაში მათი მოსვლისას საქართველოს კვლავ წალეკავს კორუფცია და დანაშაული?! განა მათ, თავისი ძველი სამსახურებრივი მდგომარეობით, ჩემდენივე პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ იმისათვის, რაც საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოხდა და განა რუსეთში ეს დაავიწყდათ?! დღეს გახდნენ ისინი პრორუსულები? მთელი ამ ხნის განმავლობაში სად იყვნენ?! განა ამაზე კრინტი დაუძრავთ ან ამის გაკეთება დავუშალე? დიახ, არ ვეხმარებოდი, მაგრამ არც ხელს ვუშლიდი! არა, ისინი ბოლო მომენტამდე ხელისუფლების სათავეებთან ისხდნენ და ტაშს მიკრავდნენ, შემდეგ კი შეშინდნენ და ოპოზიციაში „გაიქცნენ!“.***

ამიტომ გამოსავალს **პოლიტიკურ არენაზე გამოსულ ახალ ადამიანებში ვხედავ — პატრიოტებსა და პროფესიონალებში, რომლებიც ყველა მხარის საყოველთაო ნდობით** (საქართველო, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ქვეყანა-გარანტი რუსეთი) **სარგებლობენ და რომლებიც საკუთარი თავის მადისკრედიტებელ მოქმედ ხელისუფლებას შეცვლიან, ახალი რეინტეგრაციული პროექტის განხორციელებას შეძლებენ და, უპირველესად, დევნილთა დაბრუნების პროცესს დაიწყებენ!**

ესაუბრა
**გიორგი გიგიბერია**

# მიშას რა უნდა და... ცხელი აგვისტოო

**მიმდინარე აგვისტო თითქოს მხოლოდ კლიმატური თვალსაზრისითაა ცხელი. არც ჩვენი გრადები ბომბავს ცხინვალს, არც რუსული ავიაცია დაგვბზუის თავზე და ჰალსტუხებიც ხელუხლებლად ყრია მაღაზიებში; მაგრამ ეს — მხოლოდ ერთი შეხედვით.**

ლამის 40-გრადუსიან სიცხეში მაინც ვითარდება ერთი ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც ფართო საზოგადოების ყურადღების მიღმა რჩება. თუმცა ისიც სავსებით შესაძლებელია, რომ ამ უაზროდ ფართო საზოგადოებრიობას დედამიწის ზურგზე აღარც არაფერი აღელვებს და ეს პროცესი კი არა, მთელი პოლიტიკური სპექტრი ერთ დღეს ბერად რომ აღიკვეცოს, იმასაც კი შეიძლება არ მიაქციოს ყურადღება.

პირველი ეჭვი ამ პროცესის შესახებ მაშინ გაჩნდა, როცა ბევრმა ადამიანმა დააფიქსირა, რომ ეს ჩვენი სტიუარდესას უნარ-ჩვევების მქონე პრეზიდენტი, დღენიადაგ ჰაერში რომაა გამოკიდებული, ფეხს არ ადგამს საქართველოდან და ძლივს დაგვაიმედა, კოლუმბიის ახლადარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციაზე მივდივართ. ოფიციალურ ვიზიტებზე რომ, უკვე კარგა ხანია, არავინ ეპატიჟება, ეს, დიდი ხანია, ვიცით, მაგრამ ვინ თქვა, რომ პრეზიდენტად წოდებული მხოლოდ ოფიციალური ვიზიტებისას ტოვებს ქვეყანას?! ნურას უკაცრავად! აბა, რისთვისაა ამდენი ბოდრუმები, ნიცები, რივიერები, მონტე-კარლოები თუ ლასვეგასები?! **არავის დაუპატიჟებია არსად, მაგრამ თითქმის ორი თვე კი იყო ქვეყნიდან გადახვეწილი და ლამის ინტერპოლის წითელი ცირკულარით გაგვიხდა საძებარი. ახლა კი, ასეთი სიცხის მიუხედავად, ჯოხით ვერ გააგდებ საზღვარს იქეთ, დადის სოფელ-სოფელ და ხან რას ხსნის, ხან – რას. ნუთუ დაჭკვიანდა და დადინჯდა?**

საფუძვლიანი ეჭვი გაჩნდა იმასთან დაკავშირებით, რომ სააკაშვილის „შიდა პატიმრობა“ ელვის სისწრაფით მისაღებ კონსტიტუციასთან არის დაკავშირებული, ანუ ვარაუდობენ, რომ **ცხელი აგვისტო, როდესაც არავის არაფრისთვის სცხელა, ხელისუფლების მიერ სწორედ იმისთვის იქნება გამოყენებული, რომ, რაც შეიძლება მალე, მოკვარახჭინდეს კონსტიტუციის გაშალაშინებისა და „ნაციონალურ“ თარგზე მორგების ამბავი, შემდეგ დღე-ნახევარში მიიღონ იგი სპრინტერული „საერთო-სახალხო განხილვის“ შედეგად და, რაც შეიძლება მალე** (შემოდგომაზე ან, მაქსიმუმ, ადრე გაზაფხულზე), **ვადამდელი არჩევნები დანიშნონ.** ახლა არ იკითხოს არავინ, რაში აწყობს ხელისუფლებას ვადამდელი არჩევნების დანიშვნა და ჩატარებაო.

მთელი ჩვენი უგვანი ოპოზიცია ხმის ჩახლეჩამდე რომ ითხოვდა საპრეზიდენტო მმართველობის გაუქმებასა და საპარლამენტო მოდელის შემოღებას, მაშინ არავის გაუჩნდა კითხვა – **კარგი, ბატონო, გავაუქმეთ ეს საპრეზიდენტო პოსტი, მაგრამ მერე რა ვქნათ, კონსტიტუციაში ჩავწეროთ, რომ სააკაშვილს არ აქვს უფლება, დარჩეს პოლიტიკაშიო?** ან ვინ რას იკითხავდა, ჩვენი ოპოზიცია ხომ მომდევნო ნაბიჯებს კი არა, უკვე გადადგმულსაც ვერ აანალიზებს ვერანაირად. ჰოდა, ერთი ნაბიჯიღა დარჩათ მათივე დადებულ ნაღმზე აფეთქებამდე. **სააკაშვილმა საკონსტიტუციო კომისია დენთიან კასრზე დასვა და ხელში ფითილი დაიჭირა — აბა, ახლა დროზე კონსტიტუცია, თორემ წავუკიდე ცეცხლიო.** არადა, ბავშვის ხელში ასანთი რომ სახიფათოა, გოგა ხაინდრავამაც კი იცის... მოკლედ, ახალი კონსტიტუცია ისე გამოცხვა, საკონსტიტუციო კომისიის ბევრ წევრს რომ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. **პრეზიდენტის უფლებამოსილება ცოტათი შეიკვეცა, მაგრამ ეს არც აღელვებს ხელისუფლებას – სააკაშვილი ხომ მესამე ვადით მაინც ვერ იქნებოდა არჩეული?! სამაგიეროდ, არანაირი საკანონმდებლო ნორმა არ არსებობს დედამიწაზე, რომელიც მას გაპრემიერებაში შეუშლის ხელს და მაინც პირველ კაცად დარჩება გაუპატიურებულ ქართულ პოლიტიკაში.**

არც ის აჩენს კითხვის ნიშნებს, რატომ ასე სასწრაფოდ და უმოკლეს დროში ახალი არჩევნებიო. რატომ და იმიტომ, რომ ექსპერტთა (ჭკვიან და კომპეტენტურ ადამიანთა, და არა მიხუჩინთა) პროგნოზებით, **მომავალი წელი გაცილებით მძიმე იქნება ეკონომიკური თვალსაზრისით, ვიდრე წლევანდელი. ხელისუფლებას გაისად გაცილებით უფრო მეტად გაუძნელდება არჩევნების მოგება, ვიდრე წელს. თანაც, მომავალ წლამდე, შესაძლოა, ოპოზიციამაც** (მეტი არაა ჩემი მტერი, მაგრამ მაინც) **რამე ჭკუასთან ახლოს მოიფიქროს და ხელისუფლებას ოდნავი კონკურენცია მაინც გაუწიოს, წელს კი ეს ოპოზიციად წოდებული ამორფული მასა ისეა დეზორგანიზებული და მარტივ მამრავლებად დაშლილი, სააკაშვილი კი არა, მმართველმა ძალამ კანდიდატად ელდარ კვერნაძე რომ დაასახელოს, იმანაც კი შეიძლება გაიმარჯვოს ყოველგვარი გაყალბება-გამოყალბების გარეშე.**

თანაც სააკაშვილი ამით დასავლეთის გულსაც მოიგებს, თავის დემოკრატობასაც შეახსენებს ყველას და ლეგიტიმაციასაც აიმაღლებს – ა, ბატონო, მე თვითონ ვაუქმებ პრეზიდენტობას, ამაზე მეტი დემოკრატია რაღა გინდათო. ოპოზიცია კი, სავარაუდოდ, ისევ დარჩება ბატების როლში, თუმცა რატომ ბატების, ბატებმა ხომ რომი მაინც გადაარჩინეს?!

**სალვადორ დვალი**



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# გენოციდი, რომელიც არ ყოფილა

**ერთ საინტერესო დებულებას წარმოგიდგენთ განსასჯელად, ფილოსოფიურს, ზოგადს: „წარსული მხოლოდ აწმყოში ცოცხლობს, რამდენადაც მეხსიერებაში არსებობს, რომელსაც, თავის მხრივ, არ შეუძლია იარსებოს არც წარსულში, არც მომავალში“, სანამ მომავალი აწმყოდ არ იქცევა და ჩვენს მეხსიერებას ახალი წარსულით, რომელიც აწმყო იყო, არ გაამდიდრებს.**

### აწმყოს მეხსიერება

ახლა კონკრეტულზე გადავიდეთ: ჩვენს მეხსიერებას ახსოვს, რომ არც თუ შორეულ წარსულში საბჭოთა კავშირში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო „ამერიკის ხმისა“ და რადიო „თავისუფლების“ მოსმენა. გვქონდა ასეთი აწმყო.

**გამოხდა ხანი და ჩვენი მეხსიერება დაიპყრო ახალმა წარსულმა, ყოფილმა აწმყომ, როცა სააკაშვილის ხელისუფლებამ აკრძალა რუსეთის ტელეარხების** (გარდა სპორტულ-გასართობისა) **ტრანსლირება საქართველოს ტერიტორიაზე.**

ეს არა მარტო გვახსოვს, არამედ ასეთ რეალობაში გვიწევს არსებობა და, როგორც უწინდელ საბჭოეთსა და ამჟამინდელ ირანში, სადაც ტრანსეროვნული ტელეარხები ქვეყნის საინფორმაციო სივრციდან ამოკვეთეს, უკვე მერამდენე წელიწადია, ირღვევა ინფორმაციის მიღების ჩვენი ელემენტარული უფლება.

მაგრამ მივეჩვიეთ. ყოველ შემთხვევაში, **ხმას არავინ იღებს, რადგან ამოიღებს და მოღალატეობა თუ არა, რუსეთის სპეცსამსახურების აგენტობა გამოწერილი აქვს,** როგორც პატრულის მიერ მორთმეული გაზრდილი ჯარიმის გადასახდელი ქვითარი.

ემბარგო დაგვიწესეს ღვინოზე?

ემბარგო დავუწესეთ ტელეარხებზე: „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ!“

რაღაც მსგავსი თვითიზოლაციის, რომლის განხორციელების პატენტი და საავტორო უფლება ჩვენია.

არადა, საინტერესოა, რით ცხოვრობს მეზობელი ქვეყანა, ხანძრების გარდა („რუსეთი ცეცხლის ალშია“, „რუსეთი იწვის“), რა ხდება იქ? სხვა თუ არაფერი, იმის გაგება მაინც, მოქმედებს თუ არა რუსეთში დემოკრატიული პრესის პრინციპები? **რას ლაპარაკობენ ჩვენზე? რამდენად ობიექტურები არიან?**

თუნდაც — როგორ აფასებენ შედეგებს 2008 წლის აგვისტოს ომისას, რომლის მეორე წლისთავი ასე პომპეზურად, როგორც ომში გამარჯვებულმა ქვეყანამ, აღნიშნა ამ დღეებში საქართველოს ხელისუფლებამ სააკაშვილის გარეშე: აბა, უმისოდ რა ფასი ექნებოდა კოლუმბიის პრეზიდენტის ხუან მანუელ სანტოსის ინაუგურაციას?!

იქ წავიდა, ლათინურ ამერიკაში, სადაც, როგორც ჩანს, მიაგნო ავტორიტეტის ამაღლების ოქროს საბადოებს, ახალ პოლიტელდორადოს...

### არავინ დარჩენილა მოგებული

სანამ კოლუმბიელი ხალხის აღფრთოვანებისა და მადლიერების ტალღას წავულეკივართ ქართული ტელეეკრანებიდან, RTVI-ის ავტორების — მწერლების, პოლიტოლოგების, მკვლევარების შეხედულებებს გავეცნოთ ჩვენთვის მტკივნეულ საკითხზე — აგვისტოს ომზე. ომის შედეგების თაობაზე.

მათი საერთო აზრი ასეთია: **მოგებული არც ერთი მხარე არ დარჩენილა. მაგრამ ამ საერთოში არის ნიუანსური, ზოგჯერ პრინციპული განსხვავებაც.**

რუსეთი ვერ დაიჩემებს, რომ გამარჯვებულია, მაგრამ ვერც დამარცხებულის იარლიყს დავკიდებთ. **რუსეთი, ომის შემდგომ ნაწინასწარმეტყველებ იზოლაციაში არ მოექცა. მის მიმართ ნაკლები სიმპათიის და მეტი ყურადღების გამოჩენა მთავარ ტენდენციად ჩამოყალიბდა.**

რუსეთს სერიოზულ მოთამაშედ მიიჩნევენ საერთაშორისო ურთიერთობათა ჭადრაკის დაფაზე.

პოლიტოლოგები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ტალიავინის კომისიის დასკვნა სიმართლეს ასახავს. მაგალითად, ყველა გარემოების გამოწვლილვით შესწავლით მან დაადგინა, რომ **ქართული მხარის დადანაშაულება ოსების გენოციდში სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან ფაქტებით არ დასტურდება.**

**ჟურნალისტ არსენ ტროიცკის** აზრით, საქართველო სერიოზულად დაზარალდა, რადგან თავისი ტერიტორიის ათასობით კვადრატული კილომეტრი კარგა ხნით დაკარგა, ყოველ შემთხვევაში, პერსპექტივის უახლოეს თვალსაწიერში. მაგრამ მან, **საქართველომ უეჭველად შეიძინა გარკვეული პოლიტიკური კაპიტალი და სიმპათიები მსოფლიოს მხრიდან.**

რუსეთისთვის შედეგები ამის საწინააღმდეგოა: მარიონეტული ტერიტორიები შეიძინა, თუმცა გაუგებარია, რად სჭირდება ეს ტერიტორიები?!

**ექსპერტები საერთო ჯამში დადებითად აფასებენ საერთაშორისო კომისიის მუშაობას,** რომელსაც მხედველობიდან არ გამორჩენია კონფლიქტამდელი წლების განმავლობაში განვითარებული პროცესები: ორმხრივი პროვოკაციები, ურთიერთბრალდებები, სამხედრო-პოლიტიკური ზემოქმედებისა და ძალადობის აქტები.

### მშვიდობიანი გადაწყვეტის შესაძლებლობა ჰორიზონტზე არ ჩანს

**პოლიტიკოს ვლადიმერ მელოვის** დაკვირვებით, კონფლიქტამდელ პერიოდში არც ერთი მხარე არ ცდილობდა, დაემალა მისწრაფება ამ კონფლიქტისადმი, შედეგად კი მივიღეთ ისეთი ვითარება, როცა უღიარებელი ტერიტორიების პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის შესაძლებლობამ ათობით წლით გადაიწია.

**— ჩემი აზრით,** — თქვა მან, — **ქართველები სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ, აქვს კი აზრი სამხრეთ ოსეთში ძალის გამოყენებას?**



**ბევრი ადამიანი დაიღუპა. მსხვერპლს ვერ დაიბრუნებ. ჩვენ ამ ტრაგიკულ შედეგებთან ერთად მოგვიწევს ცხოვრება.**



**რუსეთის მოქმედებამ ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის, მისი საგარეო პოლიტიკის დისკრედიტაციას. ბევრი ადამიანი დაიღუპა. მსხვერპლს ვერ დაიბრუნებ. ჩვენ ამ ტრაგიკულ შედეგებთან ერთად მოგვიწევს ცხოვრება.**

ევროკავშირის კომისიის დასკვნით, რუსეთს უფლება ჰქონდა, ეპასუხა თავის სამშვიდობო ძალებზე თავდასხმისთვის, ეპასუხა იმ საშუალებებით, რომლებიც საშიშროების პროპორციული იქნებოდა. მაგრამ რუსეთის საპასუხო მოქმედების მასშტაბურობა საეჭვოა.

— ჩვეულებრივ მიაჩნიათ, რომ ომის შედეგად მოიგეს სამხრეთ ოსეთმა და აფხაზეთმა, — აცხადებს **მწერალი ლეონიდ მლეჩინი, — რადგან რუსეთმა ცნო ისინი. ეს — ერთის მხრივ. მაგრამ, მეორე მხრივ, სრულიად აშკარაა, რომ, როგორც ჩანს, დღეის ამას იქით მათ აღარავინ აღიარებს. ასე, უღიარებელ ხარისხში იარსებებენ პერსპექტივაში.**

იმათ შორის, ვისთვისაც ომი მომგებიანი იყო, ზოგიერთი ექსპერტი მიხეილ სააკაშვილს ასახელებს. ასეთ აზრზე დგას **ჟურნალისტი ნიკოლაი ლუჟკოვი**, რომელსაც მიაჩნია, რომ სააკაშვილმა განიმტკიცა პოზიციები ქართველ ხალხში და საერთაშორისო თანამეგობრობაში. ამიტომ მას არავინ გაწირავს.

### როცა ქართველების სახლებს წვავდნენ

**შეცდომად, უფრო მეტიც, კეთილმეზობლობის პრინციპის დარღვევად მიიჩნევენ რუსეთის პასპორტების დარიგებას საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებიც კონფლიქტურ რეგიონებში ცხოვრობდნენ.**

**კულტუროლოგი დანიილ დონდურეი** ყურადღებას გამოყოფილ ტერიტორიებზე შექმნილ სოციალურ მდგომარეობაზე ამახვილებს:

**— სამხრეთ ოსეთი, თავისი 15-ათასიანი მოსახლეობით, გაუგებარი ანკლავია. როგორც ჩანს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ელიტების რაღაც პატარა ჯგუფებმა თავიანთი კეთილდღეობის კუნძულები შექმნეს.**

სინამდვილეში ეს რეგიონები უზარმაზარი ჩირქგროვაა, რომლის მოსაცილებლად დიდი დრო, შეიძლება, ათწლეულები და დიდი ძალისხმევა იქნება საჭირო.

სისხლიან დაპირისპირებაში გამარჯვებულის გამოვლენა უჭირს **„ნეზავისიმაია გაზეტას“ მფლობელ კონსტანტინ ჟემჩუკოვს**. მისი აზრით, საქართველოს, რა თქმა უნდა, არ გაუმარჯვია, თუმცა სიტუაცია კონფლიქტურ რეგიონებში სტაბილიზებულია, რადგან შეწყდა ინფორმაციის დაუსრულებელი ნაკადი გაუთავებელი სროლების, დაბომბვებისა და სხვა პროვოკაციების შესახებ.

**— მაგრამ ისიც ფაქტია,** — განაგრძობს იგი, — **რომ ამ ტერიტორიებს არ აღიარებს დასავლეთი, არ აღიარებს დსთ-ს წევრი ქვეყნები. ეს დაძაბულობასა და უნდობლობას იწვევს. ჩვენ იმის მოწმენი ვართ, რომ ამ პერიოდში გაუარესდა ურთიერთობები რუსეთთან დსთ-ს შიგნით, კერძოდ, ბელარუსთან.**

კონსტანტინ ჟემჩუკოვის აზრით, იმის თქმა, რომ აგვისტოს ომით მოგებული რუსეთი დარჩა, ნაადრევია.

რუსი ჟურნალისტების, მათთან ერთად საერთაშორისო საზოგადოება „ჰიუმან რაითს ვოჩის“ წარმომადგენლები, რომლებიც ცხინვალის რეგიონში 58-ე არმიის კვალზე შევიდნენ, მოწმენი გახდნენ არნახული ბარბაროსობისა და ვანდალიზმის: ადგილობრივი მოთარეშენი მათ თვალწინ წვავდნენ და ძარცვავდნენ ქართულ სოფლებს.

**ტატიანა ლოკშინა, „ჰიუმენ რაითს ვოჩის“** წარმომადგენელი იხსენებს, რომ, როცა ოს მოთარეშეებს ჰკითხეს, რატომ სჩადიოდნენ ასეთ არაადამიანურ ქმედებას, პასუხად მიიღეს: იმიტომ, რომ **არ დაბრუნდნენ ქართველები. დარჩება სახლები, დაბრუნდებიან ქართველები. ამიტომ ამ სოფლებში ქვას ქვაზე არ დავტოვებთო.**

რუსეთის პროკურატურამ გამოიძია ე. წ. ოსების გენოციდის პრობლემა და კონფლიქტიდან ნახევარი წლის შემდეგ საგანგებოდ ამ საკითხისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე საქვეყნოდ განაცხადა, რომ ლაპარაკია 200-მდე გარდაცვლილზე და არა — ათასობით დაღუპულზე, რის შესახებაც იტყობინებოდა ოფიციალური არხები.

ყველა პრობლემა, რომლებიც ომმა წარმოშვა, ყველა დარღვევა გადაუწყვეტელი და რეაგირების გარეშე რჩება. საერთოეროვნული გამოძიება არ ჩატარებულა. ხოლო ცხინვალის ხელისუფლებას ფორმალური სურვილიც არ გამოუთქვამს, რომ დამნაშავეები სათანადოდ დაისჯებიან.

* * *

**ვინ დარჩა მოგებული? ამ კითხვაზე რუსი კოლეგების ერთ ნაწილს სარკაზმის საკმაო დოზით გაჯერებული პასუხი აქვთ:**

— რა თქმა უნდა, **მოიგო კოკოითმა, რომელიც წვრილმანი თაღლითიდან სახელმწიფო „მოღვაწედ“ იქცა** და სახელმწიფოებრივი ვიზიტით მიემგზავრება ლათინურ ამერიკაში (გაიხსენეთ, რომ სააკაშვილიც იქ იყო გასულ კვირაში); **ასევე, — ნაციონალისტებმა რუსეთსა და საქართველოში.**

ამისთვის გასცა ბრძანება სააკაშვილმა ცეცხლის გახსნის შესახებ?!

**არმაზ სანებლიძე**

## მოკლედ



### ობამას საიდუმლო წერილი შიიტებს

**ობამამ ერაყის შიიტების სულიერ ლიდერს დიდ აიათოლა ალი ალ-სისტანს საიდუმლო წერილი გაუგზავნა.** The Foreign Policy-ის ინფორმაციით, წერილში ობამა აიათოლას მოუწოდებს, დაარწმუნოს მეგობარი ერაყელი პოლიტიკოსები, რომ ბოლოსდაბოლოს ჩამოაყალიბონ ახალი მთავრობა. 7 მარტის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პრემიერ ნური ალ-მალიკის მთავრობის ალტერნატიული კაბინეტი ჯერაც ვერ ჩამოყალიბდა, რაც ამერიკას, რომელიც აგვისტოს ბოლოდან ერაყში თავისი სამხედრო კონტინგენტის შემცირებას იწყებს, მშვიდი ძილის საშუალებას არ აძლევს. თეთრი სახლის ადმინისტრაციაში ობამას მიერ აღნიშნული წერილის გაგზავნა არც უარყვეს და არც დაადასტურეს.



### ნატო აღიარებს

**ავღანეთში ნატოს ხელმძღვანელობით მოქმედი უსაფრთხოებისთვის ხელისშემწყობი საერთაშორისო ძალები ქვეყნის აღმოსავლეთით ოპერაციის განხორციელებისას მშვიდობიანი მოსახლეობის დახოცვას აღიარებს.** ამ აღიარებამდე ქვეყნის პრეზიდენტი ჰამიდ ყარზაი 26 მოკლულზე საუბრობდა და ინცინდენტის გამოძიებას ითხოვდა. შეტაკების შედეგად სოფელ ნაკარხაილთან 12 ადამიანი დაიღუპა, დასახლებულ პუნქტ ჰაშიმხაილში კი — 14. ივლისის შუა რიცხვებიდან ავღანეთის ხელისუფლებასა და ნატოს შორის კონფლიქტი დაიწყო. ყარზაი საერთაშორისო ძალებს გელმენდის ოპერაციისას 39 მშვიდობიანი მოსახლის დახოცვაში და ოთხის დაჭრაში ადანაშაულებს. საერთაშორისო ძალების სარდლობა, ცხადია, ამ ფაქტს უარყოფს.

# რევოლუცია თავისივე შვილების ჭამას განაგრძობს!

## მორიგი ლუკმა – უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა

**რამდენიმე დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ უნივერსიტეტის რექტორის — გიორგი ხუბუას საქმიანობითა და შემოსავლებით პროკურატურა დაინტერესდა. ამბობენ, ბატონი რექტორი „ეჭვმიტანილია“ უნივერსიტეტის ქონების გაფლანგვასა და განიავებაშიო. ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობით განათლების სამინისტრო დაინტერესდა. მინისტრის ბრძანებით, თსუ-ში შიდა აუდიტია შესული, რომელიც სხვადასხვა საქმეებთან დაკავშირებით დოკუმენტაციას იძიებს. სავარაუდოდ, შაშკინის უწყება თსუ-ში, მართვის ორგანოების მიერ უფლება-მოვალეობის განხორციელების, სახელმწიფოს შესყიდვებისა და უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების გასხვისების კანონიერებასაც შეისწავლის. ესეც ასე, დაიწყო რევოლუციამ თავისივე შვილების ჭამა! როგორც ჩანს, შაშკინს ძველი კანტორიდან დარჩენილი მოხელეები უშლიან ხელს.**



### «თავისუფლების ინსტიტუტს» უნივერსიტეტში თავისი კაცის დასმა უნდა

გია ხუბუა თსუ-ს რექტორად 2006 წლის აპრილში დანიშნეს. საქმე იყო გასაკეთებელი — უნივერსიტეტიდან ხალხი იყო გასაყრელი. ჰოდა, რომ ვერ იპოვეს ვერც ერთი რესპექტაბელური ადამიანი ვერც უნივერსიტეტში და ვერც მის გარეთ, ხელოვნურად შექმნეს ხუბუა როგორც „მეცნიერი“, გააპროფესორეს და განამწესეს მწყემსად თსუ-ში. გაკეთებული საქმის სანაცვლოდ კი ერგო რექტორობა (როგორც აღმოჩნდა — დროებით).

გაფლანგვები და დარღვევები რომ იქნება, ეს გასაკვირი არაა, რადგან არ მეგულება საქართველოში სისტემა, სადაც დარღვევები არ არსებობს, მაგრამ მარტო ეს არ უნდა იყოს მიზეზი. როგორც ჩანს, გავლენისთვის მიდის ბრძოლა განათლების სისტემაში. შაშკინმა სამინისტროდან ლომაიას ხალხი დაფერთხა. რექტორის პოსტიც ბრძოლის ელემენტია. **თუთბერიძეებსა და ლადარიებს იმიტომ აყეფებს ახლა ლევან რამიშვილი. თსუ-სთან დაკავშირებით „თავისუფლების ინსტიტუტის“ დაჯგუფებასაც ახალი იდეები აქვს. თავისი კაცი უნდათ!**

ჰოდა, ასე: ჯერ ხუბუას მოიშორებენ, მერე დაჭამენ ერთმანეთს გავლენის მოსაპოვებლად.

ხუბუას რა უჭირს, დაჭერას თუ გადაურჩა, წავა ისევ საზღვარგარეთ. უბედურმა სტუდენტებმა და საქართველოს მომავალმა იკითხოს — რა ეშველება მათ ქვეყანასა და დაკნინებულ განათლების სისტემას. დაინიშნება ისევ ჩლუნგი, მაგრამ ნაცების ერთგული, კანდიდატი, რომელსაც მომავალი თაობის ჭკუის გამორეცხვა დაევალება. ისიც არ დაიზარებს და პირნათლად შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

**გიორგი გუგავა „ლეიბორისტული პარტია“:**

— ეს რომ უკანონობის საწინააღმდეგოდ კეთდებოდეს, კარგი იქნებოდა. მაგრამ ეს ყველაფერი სულ სხვა რამეს ემსახურება. ყველასთვის ცნობილია, რომ გია ხუბუა, ისევე, როგორც გიგი თევზაძე, ბიუჯეტის ქურდია. ისინი ხრავენ უნივერსიტეტის ბიუჯეტს, ქონებას. ახლა, როცა ხელისუფლებას ფული შემოაკლდა, შეეცდება, „გაპარსოს“ ის ადამიანები, რომლებმაც მანამდე, მათივე ნებართვით, ბიუჯეტისა და ხალხის ხარჯზე იშოვეს ფული. გარდა იმისა, რომ ხუბუა ცნობილია როგორც უნივერსიტეტის მძარცველი, უნივერსიტეტში იმ პოლიციური რეჟიმის გამტარებელია, რომელიც თავის დროზე პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ იყო ნაბრძანები. გამოყარეს პროფესორ-მასწავლებლები და კოლეჯს დაამსგავსეს უნივერსიტეტი. ამისათვის პასუხი ყველას მოეთხოვება — ხუბუასაც და მის დამკვეთებსაც.

**— მაინცდამაინც დღეს რატომ დაიწყეს ამ საქმეების ამოქმედება?**

— იმიტომ, რომ ფული შემოაკლდათ. ამითაა განპირობებული „კარის ბიზნესმენების“ დაყაჩაღებაც; ზოგს წაართვეს ფული, ზოგიც გაექცათ. ხუბუა ცალ-ცალი კალოშით იყო ჩამოსული, მაგრამ ბევრი ფული იშოვა. არსებობს ხუბუას უკანონო ქმედებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ამის გამო მას პრობლემები შეექმნება. თუნდაც მარტო იმის გამოა პასუხისგებაში მისაცემი, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტის ხარჯზე კერძო სკოლებს ხსნიდა, იწერდა პრემიებს. იგი ცენტრალური ხელისუფლების ტიკიტომარაა და ნებართვაც ჰქონდა მათგან ასეთი საქმეების ჩადენისთვის. ამას მარტო ხუბუა ვერ გაბედავდა. ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც ზემოდან უკვეთავდნენ.

**— გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს „თავისუფლების ინსტიტუტს“ საკუთარი კანდიდატურა ჰყავს ხუბუას ადგილას.**

— მე თუ მკითხავთ, ეს ორგანიზაცია დიდი ხნის აკრძალული უნდა იყოს, რადგან მისი საქმიანობა ანტიქართულია, მიმართულია ტრადიციების, მართლმადიდებლობის, სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ და მისი წარმომადგენლები ჩვენს ქვეყანაში სხვა ქვეყნის რეზიდენტები არიან. ავადმყოფი და არანორმალური ხალხი პასუხისგებაში უნდა მიეცნენ, მათ არავინ ჰკითხავთ ამდაგვარი საკითხების გადაწყვეტას.

**გიორგი გოგოლაშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის პროფესორი:**

— მაინცდამაინც ახლა რატომ გადაწყვიტეს ხუბუას საქმეების გამოძიება, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ის დამნაშავეა, ამაში ეჭვი არ მეპარება. უნივერსიტეტში მოსვლის დღიდან მისი ყველა ქმედება კანონდარღვევა იყო: ჩატარებული კონკურსები, კადრების შემცირება-გაშვება, თავისი სახლობლოდან ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნები. სტრუქტურული რეორგანიზაციები, რაც მან ჩაატარა, საჯაროდ პროტესტდებოდა, თუმცა ეს ყველაფერი რატომღაც აქამდე არავის გამოუძიებია. სამწუხაროდ, მას ჰყავდა მფარველი ლომაიას სახით; მფარველობდნენ პარლამენტშიც, თვითონ პრეზიდენტიც კი დაინტერესებული იყო ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში მომხდარი ცვლილებებით, ამიტომ არც არაფრის ეშინოდა. დღეს მისი საქმიანობით პროკურატურა დაინტერესდა, თუმცა დაგვიანებულიც კია, იმდენი რამის გაფუჭება მოასწრო ამ კაცმა რექტორობის ხარჯზე.

**— რატომ გაწირა ხელისუფლებამ მაშინ საკუთარი კადრი, სხვა რამ ხომ არ იმალება ამის უკან?**

— როცა ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი სულხან-საბას სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტს შეუერთდა, მაშინ აქტიურად საუბრობდნენ იმაზეც, რომ შეიძლებოდა შექმნილიყო ერთი ყველაზე დიდი ამბიციების მქონე უმაღლესი სასწავლებელი — ილიას უნივერსიტეტი. საუბრობდნენ იმაზეც, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიც უნდა გამხდარიყო ამ უნივერსიტეტის შემადგენელი ნაწილი. სამი უნივერსიტეტის შეერთებაზე თავის დროზე ბევრი დაიწერა და ბევრიც ითქვა. ეს საფრთხე მაშინაც იყო და დღესაც არსებობს. თუ ის ფაქტები გახმაურდა, რომელთა ხუბუას წინააღმდეგ გამოყენება შეუძლიათ, რა თქმა უნდა, ხუბუას პასუხისგებაში მისცემენ, თუმცა რა ბედი ელის შემდეგ უნივერსიტეტს, ამაზე საუბარი ძნელია.

**თეო ტაბატაძე**

# ყველას მინუს ხაინდრავა

**კინორეჟისორმა და შეთავსებით პოლიტიკოსმა გოგა ხაინდრავამ განაცხადა – პოლიტიკიდან მივდივარო. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ქართულ პოლიტიკაში ან თუნდაც ხალხში ვინმემ ამის გამო ძაძები ჩაიცვას.**



ქართული პოლიტიკის ტრაგიკომიკურობა კიდევ ერთხელ იმით დადასტურდა, რომ მთელი ქვეყანა მიხეილ სააკაშვილის გადადგომას ითხოვს, მის ნაცვლად კი გოგა ხაინდრავა „გადადგა“. თუმცა ამასაც ვინ ჩივის. **ქართულ პოლიტიკას არც ხაინდრავას ყოფნით დასტყობია რამე სასიკეთო და არც მისი წასვლით დასრულდება ჩვენში პოლიტიკური ცხოვრება.**

არ შეწყდება თუნდაც იმიტომ, რომ, დიდი ხანია, შეწყვეტილიც არის და ჩამკვდარიც. მაგრამ პოლიტიკიდან წასული ხაინდრავა იმხელა ინტერვიუებს არიგებს, პოლიტიკაში ყოფნისას რომ იშვიათად მიუცია, და ბარემ ყოფილიყო ამ პოლიტიკაში, რა განსხვავებაა?!

„გააჩერეთ დედამიწა, ჩავდივარ!“ — ამ ინტერვიუებისთვის ყველაზე შესაფერისი სათაური, ალბათ, ეს იქნებოდა. აკრიტიკებს ყველას და ყველაფერს — ქართულ საზოგადოებას, მთელ პოლიტიკურ სპექტრს თავის ოპოზიციან-ხელისუფლებიანად, ამერიკას, რუსეთს... ჩინეთი გამორჩა რატომღაც.

იპოდრომიდან ინაუგურაციის ადგილისკენ დაძვრის წინააღმდეგი მე ვიყავი, რომ მივსულიყავით, სააკაშვილი ერევანს მოგვიწყობდაო, — ბრძანებს პატივნაცემი გოგა. იქვე გვიმხელს, **არჩევნებით სააკაშვილი არ წავა, ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ ხალხი აჯანყდესო. ოღონდ ისე აჯანყდეს, რომ მე არ დამჭირდეს მოწოდების გაკეთებაო**. უკაცრავად, ეგ როგორ?

**ერთადერთი, ვისაც ხაინდრავა ამ ეპოქალურ ინტერვიუებში დადებითად იხსენიებს, ირაკლი ოქრუაშვილია.** მხოლოდ ეგ დაამთავრებს სააკაშვილის რეჟიმს და ამისთვის, ვისაც საჭირო იქნება, იმას შეეკვრებაო. საჭირო იქნება, ბურჯანაძეს შეეკვრება, საჭირო იქნება — ნოღაიდელსო... და ეს ის ნოღაიდელია, რომელსაც იგივე ხაინდრავა ხელისუფლების პროექტსა და სააკაშვილის დავალებით ოპოზიციაში შეგზავნილს უწოდებს... არის აქ რამე ლოგიკის მაგვარი?

**ყველა დამნაშავეა და „მიქარავს“ — ოპოზიციის ნაწილი, რომელიც რუსეთს ელაპარაკება, ოპოზიციის „ამერიკული“ ფრთა, ე.წ. საპარლამენტო ოპოზიცია... ხალხი ხომ რეგვენზე რეგვენია და თან მშიშარა. ვერ ხვდება ეს „ხალხი“, რომ ყოველგვარი მოწოდების, ორგანიზებისა და დარაზმვის გარეშე უნდა აიღოს კომბლები** (მთელმა ქვეყანამ, ერთდროულად, ოღონდ მოწოდებისა და შეთანხმების გარეშე!) **და შეუტიოს ხელისუფლებას. ხაინდრავა იქ მხოლოდ რიგითი კომბლე იქნება.**

**მხოლოდ პოლიტიკიდან წასვლის განცხადების გაკეთების შემდეგ აღიარა ხაინდრავამ, რომ ამ ქვეყანაში ყველაზე ძლიერი და გავლენიანი ფიგურა ვანო მერაბიშვილია.**

რატომ? პოლიტიკაში ყოფნისას ამას ვერ ხედავდა? თუ პოლიტიკოსს არ აპატიებდნენ შინაგან საქმეთა მინისტრზე ობიექტური შეფასების გაკეთებას?

სხვათაშორის, 7 ნოემბერსაც ბევრი ამბობდა, რომ სწორედ ხაინდრავას მოწოდების შემდეგ დატოვა ზღვა ხალხმა რუსთაველის პროსპექტი და ჯერ საპატრიარქოსთან, შემდეგ კი რიყეზე გადაინაცვლაო. რიყეზე, ანუ გაშლილ ადგილზე, სადაც ხელისუფლების მანქურთებისთვის გაცილებით ადვილი იყო მათთვის ალყის შემორტყმა და სასტიკად დარბევა. იმასაც ბევრი იხსენებს, რომ **იმ დილით მოშიმშილეების დარბევისას პოლიციამ რატომღაც მხოლოდ გოგა ხაინდრავა დააკავა და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანა და გამოუშვა სწორედ იმ მომენტში, როცა რუსთაველის პროსპექტს ზღვა ხალხი მოაწყდა, საცოდავი** (იმ მომენტში მართლა საცოდავი) **სპეცრაზმი მათ ველარ შლიდა და საჭირო იყო რამდენიმე ათეული ათასი ადამიანის იქიდან გარიდება და სადმე წაყვანა.**

ისევ ხაინდრავას ნათქვამს დავუბრუნდები – გამოსავალი მხოლოდ ხალხის აჯანყებააო. არის ამაში სიმართლის ნაწილი, მაგრამ საინტერესოა, როგორ წარმოუდგენია ბატონ გოგას ეს „აჯანყება“? არავინ არ უნდა ჩაატაროს კოლოსალური მნიშვნელობისა და მასშტაბის საორგანიზაციო მუშაობა, არ უნდა შექმნას სპეციალური დამრტყმელი ჯგუფები, არ უნდა დაელაპარაკო არც ამერიკას და არც რუსეთს. უბრალოდ, ასე თავისთავად, „ხალხი უნდა აჯანყდეს“ და მორჩა?

**კინოფილმებს გადავიღებ და ამით უფრო მეტ დარტყმას მივაყენებ სააკაშვილის რეჟიმსო, გვიმხელს ბატონი გოგა თავის სტრატეგიულ გეგმას. ისემც გვერდები არ აუდგეს არავის, სანამ სააკაშვილი მაგ „დარტყმებს“ იგრძნობს...**

ერთი რამ კი არის კარგი მთელს ამ კორდებალეტში — **ხაინდრავას, მთელი დანარჩენი ოპოზიციისგან განსხვავებით, ეყო არ ვიცი ჭკუა, არ ვიცი სინდისი თუ კიდევ სხვა რამ, მაგრამ მხოლოდ მან განაცხადა, პოლიტიკიდან მივდივარო. სინდისი რომ ამ ქვეყანაში არსებობდეს, ხაინდრავასთან ერთად პოლიტიკიდან გამყრელიძეები, ბურჯანაძეები, გრეჩიხები, ოქრუაშვილები, კუკავა-ძიძიგურები და ვინ მოთვლის, კიდევ ვინ აღარ უნდა მიდიოდეს,** მაგრამ არ მიდიან და... კიდევ უფრო მეტად აძულებენ ხალხს თავს. სწორედ იმ ხალხს, რომელმაც თურმე კომბალი უნდა აიღოს ხელში და რომელსაც თურმე პოლიტიკოსები საერთოდ არაფერში სჭირდება. ამაში კია მართალი ბატონი გოგა — **ასეთი „პოლიტიკოსები“ ხალხს ნამდვილად არაფერში სჭირდება.** ამიტომ არ უნდა იმღეროს არც ხაინდრავამ და არც სხვა რომელიმე „პოლიტიკოსმა“ საქართველოში პოლიტიკიდან წასვლისას: Don‘t cry for me, Argentina... მათ მაინც არავინ გამოეტირება.

**სალვადორ დვალი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# მაია სიდამონიძე: მე ლონდონში ვსწავლობდი

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს ლონდონში მცხოვრები 26 წლის მაია სიდამონიძე უხელმძღვანელებს. თუ რამდენიმე წლის წინათ ასაკობრივმა ნიშნულმა 40 წლამდე ჩამოიწია, დღეისთვის ეს ნიშნული უკვე 30 წლამდეა დაყვანილი. რამდენიმე წელიწადში შეიძლება 20 წლამდეც ჩამოვიდეს. მერე უკვე პირდაპირ სკოლიდანაც იქნება შესაძლებელი მინისტრის სავარძელში გადაჯდომა.**



**ბოლო პერიოდში განათლებასთან ერთად რომელიმე წარმატებულ ქვეყანაში რამდენიმე წლით ცხოვრებაც მომგებიანი გახდა.**

სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგები ტურიზმის საინფორმაციო ცენტრში ჟურნალისტებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ გააცნო.

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე მაია სიდამონიძე ინგლისში ცხოვრობს. მისმა პროექტმა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა. ცნობილი გახდა, რომ მაია სიდამონიძე საქართველოში აგვისტოს შუა რიცხვებში დაბრუნდება.

**ბოლო დროს საზღვარგარეთ ცხოვრება მინისტრობის ერთ-ერთი მთავარი პირობა გახდა. უცხოეთში მიღებულ განათლებას რომ ჩვენი ხელისუფლება დიდ პრივილეგიად თვლის, ეს არაერთხელ მოგვისმენია, მაგრამ ბოლო პერიოდში განათლებასთან ერთად რომელიმე წარმატებულ ქვეყანაში რამდენიმე წლით ცხოვრებაც მომგებიანი გახდა.**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა კონკურსი თემაზე „საქართველოს ტურიზმისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოკლევადიანი და გრძელვადიანი განვითარება“ 12 ივლისს გამოაცხადა. კონკურსის მიზანი იყო საქართველოს ტურისტული იმიჯის პოპულარიზაცია, ტურისტთა შემოყვანისა და შიდა ტურიზმის განვითარების პროცესის ხელშეწყობა და სხვ.

საკონკურსო კომისიას თვითონ მინისტრი ვერა ქობალია ხელმძღვანელობდა. კომისიის წევრები იყვნენ **ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი, ჟურნალისტი ეკა ხოფერია, „აჭარა გრუპის“ გენერალური დირექტორი ივა დავითაია, ჟურნალ „ტაბულას“ მთავარი რედაქტორი თამარ ჩერგოლეიშვილი, გაზეთ „24 საათის“ თანადამფუძნებელი პაატა ვეშაპიძე, თავისუფალი უნივერსიტეტის მარკეტინგის პროფესორი ზურაბ ლილუაშვილი, გაეროს ასოციაციის მიმართულების ხელმძღვანელი რამაზ აფციაური და არასამთავრობო ორგანიზაციის „ალპეს“ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მედიაპროგრამების დირექტორი მერაბ ბასილაია.** სამინისტროსთან არსებულ საკონკურსო კომისიაში პირველ ეტაპზე 109 საკონკურსო განაცხადი შევიდა. აქედან კომისიამ საუკეთესოდ 10 მათგანი შეარჩია. 10 საუკეთესო განაცხადის ავტორს მეორე ტურში გაესაუბრნენ. ნაწილთან გასაუბრება პირადად გაიმართა, ხოლო მათთან, ვინც საქართველოში არ იმყოფებოდა, გასაუბრება skype-ს მეშვეობით განხორციელდა. სავარაუდოდ, დეპარტამენტის ამჟამინდელ ხელმძღვანელ მაია სიდამონიძესთანაც გასაუბრება skayp-ით მოხდა, რადგან ჯერჯერობით ისევ ლონდონში ცხოვრობს.

ეკონომიკის სამინისტროს საიტზე მაია სიდამონიძის შესახებ მხოლოდ მცირე ინფორმაციაა მოცემილი. მისი CV-დან ირკვევა, რომ საკმაოდ მრავალფეროვანი სამუშაო გამოცდილება აქვს და განათლებაც ლონდონში და შვეიცარიაში აქვს მიღებული.

განათლება: Imperial College, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი მარკეტინგის CIM სამაგისტრო პროფესიული დიპლომი, WIC – University of Wales Institute, კარდიფი, დიდი ბრიტანეთი; მარკეტინგის მაგისტრის წოდება, London School of Commerce, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი; ბიზნესისა და მართვის მაგისტრი, Hotel Institue Montreux, მონტრო, შვეიცარია; ბაკალავრის წოდება ბიზნეს ადმინისტრირების, ტურიზმისა და სასტუმროების მენეჯმენტში, Hotel Institue Montreux, მონტრო, შვეიცარია; ბიზნეს და საერთაშორისო სასტუმროების მართვის უმაღლესი დიპლომი, Schiller International University, ენგელბერგი, შვეიცარია, სასტუმროს ოპერატიული მართვის დიპლომი.

ფლობს ქართულ, ინგლისურ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებს.

რაც შეეხება სამუშაო გამოცდილებას, დღემდე მუშაობს ლონდონში Jurys Inn Islington, გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერად. ასევე აქვს სამუშაო გამოცდილება: Thistle Kensington Gardens, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი ადმინისტრატორი, „თბილისი მარიოტი“ და „ქორთიარდ მარიოტი“, გაყიდვების აღმასრულებელი მენეჯერი, სასტუმრო „ჰოფგარდენი“, ლუცერნი, შვეიცარია, სტაჟიორი. ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

**დაკავებული პოზიციებიდან საკუთარ სამშობლოში ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელობამდე კარგი ტრამპლინი გაკეთა. დაუფასდა გოგოს ლონდონში სწავლა და შრომა. ვერაფერს იტყვი, მშვენიერი მონაცემებია. იმედია, ამჯერად მაინც ყველაფერი ნამდვილია.**

ვერა ქობალიას განმარტებით, მასზე არჩევანი იმიტომ შეჩერდა, რომ მისი პროექტი დეტალური იყო და შიდა ტურიზმის განვითარებასთან ერთად საქართველოს გარეთ ქვეყნის პოპულარიზაციასაც გულისხმობდა. გარდა ამისა, წარმოდგენილი პროექტი მცირებიუჯეტიანი იყო, თუმცა — ეფექტური. ტურიზმის დეპარტამენტის ახალ თავმჯდომარესთან პირველ ეტაპზე ერთწლიანი ხელშეკრულება გაფორმდება.

**ისე, არ შეიძლებოდა, მაიკო მინისტრად რომ დაენიშნათ და ვერონიკა — მის მოადგილედ რაიმეს დარგში? ვერაზე უკეთესი განათლება კი აქვს, მაგრამ სამაგიეროდ 26 წლისაა. და ვერასავით, ისიც არ იცნობს აქაურ ვითარებას. რატომღაც მგონია, რომ ვარდისფერი სათვალეებით უყურებს სიტუაციას. ვერამ მთელი აქცენტი მასზე გადაიტანა. ამითი უნდა ავშენდეთო.**

**ნაცბანდა ბოლო დროს იმდენ სისულელეს აკეთებს, ეტყობა, ღმერთს მართლა ვუყვარვართ, დღემდე რომ მოვაღწიეთ და ბოლო 7 წელიწადში არ გადავშენდით!**

ტურიზმის დეპარტამენტის ახალმა უფროსმა განაცხადა, რომ **ტურისტებს ისეთი ქვეყნებიდან მოვიზიდავთ, როგორიცაა თურქეთი და ირანიო.** შეიძლება ამ საქმის მცოდნე არ ვარ, მაგრამ საინტერესოა, **თურქი ტურისტი რით უნდა დავაინტერესოთ, როცა აქ დასვენება გაცილებით ძვირია და სერვისიც — დაბალი, ვიდრე თურქეთში. ირანიდან დაძრული ტურისტების ნაკადი დიდი იქნება.** პრობლემები სწორედ ინფრასტრუქტურის განუვითრებლობაშია. ცოტაა სასტუმროები, რესტორნები და ა. შ. **საჭიროა დიდი ინვესტიციები, ფული, რომელიც არ ჩანს. თითო-ოროლა სასტუმროს გახსნა ამინდს ვერ შეცვლის. აჭარაში სეზონი, მაქსიმუმ, სამი თვე გრძელდება, რაც ძალიან ცოტაა. მაგალითად, თემურ ჭყონიამ 3 წლის წინათ ააშენა სასტუმრო აჭარაში, მომგებიანი რომ ყოფილიყო, მეორესაც ააშენებდა და მესამეზეც დაიწყებდა ფიქრს, მაგრამ...**

აუცილებელია, რაღაც განსაკუთრებული შესთავაზო სტუმარს, აქ რომ ჩამოიყვანო. გართობის ინდუსტრია უნდა იყოს მაღალ დონეზე. ამასთან, **პრეზიდენტი ხალხს რუსეთთან შესაძლო ომითა და მათ მიერ გამოწვეული უწესრიგობებით არ უნდა აშინებდეს.** მგონი, მაინც პროპაგანდაა ქართული ტურიზმი.

ასე თუ ისე, უკვე გვყავს ტურიზმის დეპარტამენტის ახალი, 26 წლის ხელმძღვანელი, რომლის ლონდონური განათლება წარმატების გარანტად შეიძლება საკმარისი არც აღმოჩნდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, წარმატებებს ვუსურვებთ, რადგან მთელი იმედები ახლა მასზე და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზეა დამყარებული.

**ლილი მიროტაძე**

## მოკლედ



### მიშელ ობამას გლამურული შვებულება

**აშშ-ის მოსახლეობა პირველი ლედის საქციელით აღშფოთებულია. მიშელ ობამა თანმხლებ პირებთან ერთად დასასვენებლად ესპანეთში მიემგზავრება და მსოფლიოს საუკეთესო სასტუმროთა ათეულიდან ერთ-ერთში — Hotel Villa Padierna-ში დაბინავდება.** პირველი ლედი პირად ხარჯებს საკუთარი ჯიბიდან დაფარავს, მაგრამ მოგზაურობა საიდუმლო სამსახურების აგენტთა სადღელამისო მეთვალყურეობითა და სახელმწიფო აპარატის თანამშრომელთა თანხლებით შედგება. სახელმწიფო მოხელეთა მგზავრობის ხარჯები და ჩარტერული ავიარეისის ღირებულება, რომელსაც აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტი ოფიციალურად ემსახურება, მთლიანად გადასახადების გადამხდელთა ფულით დაიფარება.




### Google-მ მსოფლიოს ყველა ბიბლიოთეკის წიგნი აღრიცხა

**კორპორაცია Google-ის თანამშრომლებმა მსოფლიოს ყველა ბიბლიოთეკის წიგნი აღრიცხეს. 150 სხვადასხვა წყაროს მონაცემთა ანალიზის შემდეგ პროექტის მონაწილეებმა დაადგინეს, რომ მსოფლიოში 130 მილიონი ორიგინალური დასახელების წიგნია.** კორპორაციამ ბიბლიოთეკისა და კატალოგების მილიარდზე მეტი ჩანაწერი განიხილა; მათ შორის, სისტემა ISBN-ის, ასევე მსოფლიოს უდიდესი ბიბლიოთეკების, სახელმწიფო არქივების, WorldCat-ის კატალოგისა და სხვა წყაროების მონაცემებიც. აღრიცხვა 2007 წელს დაწყებული პროექტ Book Search-ისთვის ჩატარდა. მისი მიზანი მსოფლიოს უდიდესი ბიბლიოთეკების წიგნების ციფრული ფორმატის შექმნაა. ახლო მომავალში წიგნები საიტზე თავისუფალი მოხმარებისთვის დაიდება.



### ავღანეთში ექიმები დახოცეს

**ავღანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით ათი ადამიანის გვამი იპოვეს, მათგან რვა უცხოელი და ორი ავღანელი ექიმია.** გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ამერიკელი, ბრიტანელი, გერმანელი და ავღანელი ექიმები ჰუმანიტარული ორგანიზაცია „International Assistance Mission“-ის თანამშრომლები იყვნენ. სროლის ატეხვის ოფიციალური მიზეზები უცნობია, მაგრამ ვარაუდობენ, რომ საბაბი ძარცვა იყო. ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, რომ უცხოელები იქ ორი კვირის წინათ ჩავიდნენ. ექიმების ძებნა საერთაშორისო ძალებმა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყეს, რაც სოფელ ბადახშანეს მცხოვრებლებმა უპატრონოდ მიტოვებული ავტომანქანების შესახებ აცნობეს. სწორედ ამ მანქანებში აღმოაჩინეს ცხედრები.



### რუსეთი აშშ-ს ბრალს სდებს

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც აშშ-ის მიერ შეიარაღებაზე კონტროლისა და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის სფეროში საკუთარი მოვალეობების შეუსრულებლობის ფაქტებია აღწერილი.** იმავე მოხსენებაში აღწერილია მთელი რიგი დარღვევები, რომლებიც აშშ-მა ბილოგიური იარაღის ამკრძალავი კონვენციის ნორმებთან მიმართებაში დაუშვა. ფორმალურად არ არღვევს რა თავის მოვალეობებს, „ამერიკის ადმინისტრაცია გაურბის თავის ბიოლოგიურ მოღვაწეობაზე ნებისმიერი ფორმის საერთაშორისო კონტროლის დაწესებას“. აშშ, აკრძალვის მიუხედავად, განაგრძობს ხელოვნურად სინთეზირებული ჩუტყვავილას ვირუსის კვლევებს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მინი «მისტერია ბუფი»

## ციკლიდან «ვერონიკები»

**მოქმედებენ:** კეკელო და მარო — ყოფილი საკოლმეურნეო შრომის ყოფილი დამკვრელები;
**ყაენი:** ყარაყუმი;
**ვანო** და **მიხო,** სოფლის ყოფილი ხორცმეტები, ამჟამად შარავანდედით მოსილი პარტიის აქტივის თვალსაჩინო წარმომადგენლები.
**არ მოქმედებენ:** ინტელიგენცია და ოპოზიცია;
**არ ჩანან:** ბუში (უმცროსი), რაისა და ბრაიზა;
**მოქმედების ადგილი:** იქ, სადაც იწყება ასფალტი;
**დრო:** ჟამი ისტორიული.

### მოქმედება პირველი და უკანასკნელი

გზააბნეული ჩრდილოეთის ციალის გარიჟრაჟი დასავლეთის ცაზე იწყება. შავი ზღვის მხრიდან უბერავს ცივი ქარი მისტრალი, აფრიალებს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" ოცდამერვე ნომრის სალებავშეუმშრალ ფურცლებს და, როგორც კი მეცხრე გვერდზე გადაშლის, სადაც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ასევე, სასჯელაღსრულებისა და კიდევ რაღაცების მინისტრების პიკანტური კადრებია გამოქვეყნებული, ოცდამეთორმეტეს მორცხვად ამოეფარება და ჩადგება.

პატარძეულის ცენტრალურ შარაზე მოდიან შრომის ყოფილი დამკვრელები კეკელო და მარო, აწრიპინებენ გარმონიკას და კუპლეტებს მღერიან.

**კეკელო:**
**ზემოდანა მოვდიოდით**
**კეკელო და მარო,**
**ერთმანეთს ვეუბნებოდით**
**ეს რა ვნახეთ, ქალო?!**

მისამღერი (ორივე ხმაშეწყობილად):

**ვა, ჰე, ვარალალო,**
**დივლი დარალალოოო.**

**მარო:**
**თავზე კაბაწამოხდილი**
**გოგო ცეკვავს ბარში,**
**სტრიპტიზიორშა**
**რომ მეგონა,**
**შემცდარვიყავ მაშინ.**

მისაღერი მეორდება აქ და შემდეგაც.

**კეკელო:**
**ეგ ხომ ჩვენი მინისტრია, —**
**ვანომ მითხრა ყურში, —**
**კანადაში მიშა შეხვდა,**
**ჩამოაკუნტრუშა!**

**მარო:**
**არაფერი ინტიმური,**
**არაფერი მრუში —**
**ცხელი პურის გემო ნახა,**
**ცოტაც — ტაში-ტუში...**

ამ დროს ცის კაბადონის იმ მონაკვეთზე, სადაც დასავლეთში გადანაცვლებული ჩრდილოეთის ციალი მეფობდა, მშობლიური ცისქვეშეთის შეკვეცილ ჰორიზონტზე აინთება ფერადი ეკრანი — „ყვარლის ზღვის" ნაპირზე მთავრობის გასვლითი სხდომის უნიკალური პრეზენტაციის სიუჟეტით. ყაენი ყარაყუმი შესაწვავი გოჭებივით კრიტიკის შამფურზე წამოაგებს მინისტრებად წოდებულ „ხორცის ნაჭრებს", რომლებიც კარიერის დასასრულის მოახლოებას ვერ გრძნობენ და მახათის გაყრით ერთობიან. კუდიანი



ვლადიმერ მაიაკოვსკის ესკიზები „მისტერია ბუფის" პერსონაჟების კოსტიუმებისთვის

ეშმაკები შამფურს ატრიალებენ: აქ — ეს, დანარჩენი ჯოჯოხეთშიო, — ხითხითებენ.

უყურებენ კეკელო და მარო დემოკრატიული მმართველობის ასეთ გამოვლენას, იძენენ გამოცდილებას და განაგრძობენ:

**მამაკაცებ დაერია,**
**წააცალა თავი,**
**გოგუებით ჩაანაცვლებს.**
**— გენდერითვინ?**
**— რა ვი?..**

თბილისის გავარვარებულ ასფალტზე სოციალურად დაუცველი და კობა დავითაშვილის დაპირებებით დაიმედებული ოჯახების ბედნიერი ბავშვები იწყებენ დახუჭობანას თამაშს: ეგებ, სადმე დაემალონ სიცხეს. თვალებს დახუჭავენ უფროსებიც, მაგრამ სინამდვილე ქუთუთოებს მიღმაც აღწევს.

და ხედავენ: ყარაყუმი იწყებს ნაგინები მინისტრების მოხსნას დაუვიწყარი ბავშვობისდროინდელი გათვლის მეთოდით:

**ვერონიკა,**
**ნიკა, ნიკა,**
**შირე კრუგი —**
**ნიკა-ნიკა.**
**პატრიოტა — მი,**
**მეტიჩარა — ტი!**

თითს გაიშვერს „ტისკენ" და: — „გათავისუფლეუბულია დაკავებული თანამდებობიდან!" მარტივად და იორღად.

**კეკელო** (მიმართავს მაროს):
**რა ატამი, რი ატამი,**
**რა შერჩევა ტურში?!**
**პოდიუმზე გავკეკლუცდეთ**
**ჩვენც ვართ ბაიბუში!**

**მარო** (პასუხად):
**პურის ცხობა მეც კი ვიცი**
**უგულავას მსგავსი,**
**ფეხის პლაკვაც გამომივა,**
**თუ გავტეხე ნავსი!**

კეკელო და მარო იწყებენ ცეკვას „პოსლეზე". ვნებიანად ფრიალებს ბამბაზიის გახუნებული სიჭრელე კახეთის ნავენახარების ფონზე.

მიხო და ვანო ფანდურზე ახურებენ შალახოს რიტმებს.

ეს ორი, თავხედური სურვილით აცეტებული დედაკაცი კი განაგრძობს როკვას და ფინალური კუპლეტით აგვირგვინებს „მისტერია ბუფს":

**გავიპრანჭ-გამოვიპრანჭე**
**ვერონიკასავით,**
**ხვალ მინისტრი**
**თუ არ გავხდე,**
**მაშ, მამიკვდეს თავი!**

მიხო და ვანო მომავალ მინისტრებს ოვაციას უმართავენ და ნასყიდი აქტივისტებივით დარაზმულები სოფლის საარჩევნო უბნისკენ გასწევენ ნაცმოძრაობის კანდიდატებისთვის ხმის მისაცემად, თავიანთი მოქალაქეობრივი ვალის ხელმეორედ მოსახდელად, რადგან არჩევნები 57-პროცენტიანი უპირატესობით მოგებული აქვთ.

კიდევ — რადა?

იმადაა, რომ ყაენი იტყვის — მიდით!

ესენი უპასუხებენ — არის და მზად ვართ! ყოველთვინო.

**ვაიარალალოო!**

ეშვება ფარდა.

ავანსცენაზე გამოდის ვლადიმერ მაიაკოვსკი, ჩაახველებს და რიტორიკული შეკითხვით მიმართავს მაყურებელთა ცარიელ დარბაზს. დაცარიელებულს, რადგან სინგაპურიზაციის მშენებელი ქართველები წასული არიან ბათუმში, უფასო კონცერტზე დასასწრებად, რომელსაც მართავს უცხოელი დიჯეი გოგო — მაია K:

**А вы**
**Ноктюрн сыграть**
**Могли бы**
**На флейте водосточных**
**труб?**

ინთება ალადინის ჯადოსნური ლამპარი, ციმციმებს ბუშის შუქურა. რუსეთის აგენტებს შემოაქვთ წითელი ვარდებით გაწყობილი შავი კუბო. ლევიტანის ხმა კადრს მიღმა (შეიძლება, — დუტა სხირტლაძისაც): **შვიდწლიანი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ოფიციალურად გარდაიცვალა ერის ღირსება.**

**გთხოვთ, ფეხზე წამოდგეთ!**

უნისონსში ჟღერს ფალიაშვილის „თავო ჩემო" და მოცარტის რეკვიემი.

სცენა ბნელდება.

ამოდის წარწერა:

**„კარგაათ!"**

**არმაზ სანებლიძე**

# რაზე გადის საქართველოში გზა მინისტრობისკენ

**ერთხელ ლევან ბერძენიშვილმა ასეთი რამ თქვა: პოლიტიკაში მაია ნადირაძისა და ნინო კალანდაძის ყოფნა მხოლოდ მათი სქესის დამსახურებაა, ანუ პოლიტიკაში მხოლოდ იმიტომ არიან, რომ ქალები არიანო. მაშინ ამ გამონათქვამს დიდი აღშფოთება მოჰყვა და დღესაც ბევრი არ იწონებს, თუმცა ბერძენიშვილმა (მისდამი საზოგადოების დამოკიდებულების მიუხედავად) ათასპროცენტიანი სიმართლე თქვა. გამოხდა ხანი და „ესტაფეტა" დებმა ქობალიებმა აიტაცეს.**





ესტაფეტა ჰქვია ამას თუ გარდამავალი წითელი დროშობა, არ ვიცი, მაგრამ ის კია ფაქტი, რომ, რომ არა სექსუალური და მართლაც კარგი აღნაგობა და გარეგნობა, ვერც ერთი და მინისტრობას კი არა, საჯარო პერსონად ყოფნასაც კი ვერ გამოჰკრავდა ხელს. აკი, ჰქვია კიდეც მათ შორის ლოკომოტივს ვერა, ანუ ვერონიკა. **ეკონომიკა როგორც განვითარდება ვერონიკას ხელში, ადვილი წარმოსადგენია, აჭარაში როგორი ტურისტული ბუმი იქნება წლეულს, მსოფლიოს ნებისმიერ კურორტს რომ გადავუსწრებთ ტურისტების რაოდენობით (ნინას წყალობით), ესეც არაა ძნელად გამოსაცნობი, მაგრამ... მოვყვეთ თანმიმდევრობით.**

პურის საცხობების მფლობელი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მინისტრად რომ დაინიშნა, სკანდალი ამ დანიშვნაშივე იყო ავტომატურად ჩადებული. ყველასთვის იმთავითვე ნათელი იყო, რამ განაპირობა ქობალიას მიერ მინისტრის (რა მნიშვნელობა აქვს, რისი) სავარძლის დაკავება. არა განათლება (შესაბამისი, რა თქმა უნდა), არა კვალიფიკაცია, არა გამოცდილება... სამაგიეროდ, სექსუალური გარეგნობა, უკომპლექსობა და ნახევრადშიშველ მდგომარეობაში ბარის „სტოიკაზე" ცეკვისთვის მზადყოფნა. მეტი არც არაფერია საჭირო მინისტრობისთვის, როცა ამ მინისტრებს სააკაშვილი არჩევს და ნიშნავს.

**სკანდალი სკანდალს მოჰყვა. ჯერ იყო და, კანადურმა გაზეთმა „The Vancouver Sun"–მა აღმოაჩინა, რომ სექსუალური ვერონიკა სრულიად ჩვეულებრივი მატყუარაა და მეტი არაფერი; რომ მის ბიოგრაფიაში მითითებული, კანადური ტელეკომპანია Global TV–ის პროდიუსერობა ბუნებაში არარსებული რამ იყო.** სოლიდურ გამოცემას არ გაუჭირდებოდა აღნიშნულ ტელეკომპანიასთან დაკავშირება და იმის დადგენა, რომ არანაირი ვერონიკა ქობალიას სახელი ამ ტელეკომპანიაში არავის სმენოდა და არც ასეთი თანამშრომელი (პროდიუსერს ვინ ჩივის, დამლაგებელი მაინც) ჰყოლიათ ოდესმე.

**მაგრამ ეს უკვე მას შემდეგ მოხდა, რაც სკანდალურმა ფოტომ ლამის მთელი მედია მოიარა. ვერონიკა იძულებული გახდა, ბრიფინგი გაემართა (რამე ხომ უნდა ეთქვა) და ყველაფერი (ღმერთო, რატომ არ გაიცინებ!) რუსეთისთვის დაებრალებინა, აქაოდა, რუსეთი გვიშლის ხელს ეკონომიკურად მდგრად განვითარებაში და ის გვიქვეყნებს ამ ფოტოებსო. ერთი, რა მაინტერესებს: რუსეთმა უთხრა ვერონიკა და ნინა ქობალიებს – ახლა გაშიშვლდით და ბარის „სტოიკაზე" აძვერითო? კი, ბატონო, ეკონომიკის არ ვიცი და ისე მდგრადობა ნამდვილად გვაქვს გარანტირებული დები ქობალიების დანახვისთანავე, მაგრამ დავიჯერო, მხოლოდ ეს უშლის ხელს ჩვენი ეკონომიკის განვითარებას?**

არც ამით დაკმაყოფილდა ვერიჩკა და გასულ კვირას ისევ განაგრძო ცანცარი. მორიგ ტრაგიკომიკურ ბრიფინგზე, ჯერ იყო და, აბა, უფროსკლასელებო, მომწერეთ, რას იზამდით, მინისტრი რომ ყოფილიყავითო (ნუ გაიკვირვებთ – უფროსკლასელების ასაკის მთავრობა გვყავს და, აბა, ვის სთხოვდა, იდეები შემომაკლდა და მომაშველეთო?), შემდეგ კი ქართული ეკონომიკის მდგრადადი განვითარების კიდევ ერთი გზა მოიფიქრა — **კვირაში ერთხელ მე თვითონ შევხვდები ხალხს და ვკითხავ, როგორ უნდა განვავითარო ეკონომიკა, მდგრადობაზე კი მე თვითონ ვიზრუნებო.** აქ კი „ახალ მემარჯვენეებს" უმტყუნა ნერვებმა. არა, მაინცდამაინც „მარშალის გეგმის" ავტორობით ვერც გამყრელიძის „კამანდა" დაიკვეხნის, მაგრამ ვერონიკას ტინგიცმა ისინიც კი სრულ ისტერიკაში ჩააგდო და ნერვული სიცილტირილი დააწყებინა — რა დღეშია ეს გოგოო.

ამასობაში მეორე დამ — ნინამ აჭარა დაიმხო თავზე. თავიდან **ვერონიკა კი უარობდა, არანაირ აჭარის მთავრობაში ჩემი და არ მუშაობსო, მაგრამ ამაზე უკვე ნინაჩკა გაბრაზდა, რას ქვია, არ ვმუშაობ, მე აჭარის მთავრობის კონსულტანტი ვარ** თუ „შპროტის ბანკაო" და გაავრცელა კიდეც შესაბამისი განცხადება – დიახაც, აჭარის მთავრობის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეც ვარ, ურთიერთობებსაც ვკურირებ (ბარის „სტოიკაზე"), ტურისტების ნაკადის გაზრდაზეც ვზრუნავ და ვის რა გაქვთ სალაპარაკო, აჭარაში თვით დიჯეი Maia-k ჩამოვიყვანეო. აბა, ახლა მოაწყდებიან აჭარას ტურისტები, თუ მოაწყდებიან... **ხუმრობაა, Maia-k-ს საკუთარი თვალით ნახვა? ისე, ნუ მიწყენს ნინაჩკა, მაგრამ, „იმ შავი კაცისა" არ იყოს, ვინაა Maia-k?**

დიდი ხანია, მივეჩვიეთ, რომ ამ საზოგადოებას სერიოზულად არავინ აღიქვამს და არც ანგარიშს უწევს რამეში. ამიტომ ნუ აქვს ამ „საზოგადოებას" პრეტენზიები, როგორ თუ სექსუალურობის ნიშნით ნიშნავენ მინისტრებსო. **„საზოგადოებამ", რომელმაც „მოდელირებული ქრონიკა" მოითმინა და გადაყლაპა, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კეთილი ინებოს და, ქობალიებისა თუ ხათუნა კალმახელიძის მინისტრობასთან დაკავშირებით, ხმა არ ამოიღოს.** თვალს მაინც ახარებენ, ბოლოსდაბოლოს, ეკონომიკას თუ არა.

**სალვადორ დვალი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ევროკავშირი, ნატო და გერმანია გაერთიანდნენ

**„დაძმობილდნენ და გაუდგნენ გზასა“, — Thefrumpet.com-ის პუბლიკაციის ამ სათაურის წაკითხვის შემდეგ ასეთ გაგრძელებაზე წაგიცდება ხელი: მართალი ბრძანდებით, რწყილისა და ჭიანჭველის ზღაპრის ასოციაციას იწვევს, უნებურს, რა თქმა უნდა. თუმცა განსხვავებაც არის. რამდენიმე. პრინციპული. ის საცოდავები რატომ დაძმობილდნენ, რატომ გაუდგნენ გზას, საით მიეჩქარებოდათ, კაცმა არ იცის. სათაურში გამოტანილი სამეულის გაერთიანებას კი სერიოზული საფუძველი აქვს. ნებისმიერი ალიანსი ვიღაცის წინააღმდეგ იკვრება. თავის დროზე ფაშისტური ღერძი — რომი-ბერლინი-ტოკიო დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ შეიქმნა. მსოფლიოზე ბატონობის დამყარების მიზნით. „ახალი წესრიგის“ დასამკვიდრებლად.**



ჩრდილოატლანტიკურ კავშირს ხელი მოაწერეს 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში

ევროკავშირის, ნატოსა და გერმანიის გაერთიანება, რაგინდ კეთილშობილურ მიზნებში შეფუთონ, ამერიკის შეერთებული შტატების ჰეგემონიზმის წინააღმდეგ არის მიმართული, იმ სახელმწიფოსი, რომლის ინიციატივით 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ნატოს შექმნის შესახებ.

მივყვეთ ანალიტიკოსების ლოგიკას.

**„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ**, — მიიჩნევენ ისინი და მათთან ერთად **რონ ფრეიზერი Thefrumpet.com**-ში დაფიქსირებული პოზიციით, — **ნატომ დაკარგა თავდაპირველი ფუნქცია.** ჰაერში გამოკიდებულობის უაზრობა, უწინარეს ყოვლისა, თავად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქვეყნებმა იგრძნეს.

დაიწყო. და უკვე 20 წელიწადია, გრძელდება მისთვის ახალი საზრისის, „ადგილის ძიება თანამედროვე ქაოტურ მსოფლიოში“.

**ნატოს მეთაურმა სახელმწიფომ აშშ-მა დაკარგა თავისი გავლენა ევროპაში, ხოლო ბლოკის წევრმა სახელმწიფოებმა, რომლებიც მყარად დადგნენ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ნიადაგზე, ახალ საერთაშორისო ვითარებაში თავიანთი როლის ამაღლების მიზნით ნატოს ახალ კონცეფციაზე დაიწყეს მუშაობა.**

ამერიკელებმა, პირიქით, „დაკარგეს ბრძოლის ჟინი“, სერიოზულად დასუსტდა მათი ეკონომიკა და, როგორც ეკონომისტები ამტკიცებენ, „აშშ-ში ეკონომიკური მდგომარეობა საბერძნეთისაზე უარესია“. იმდენად კრიტიკულია, რომ **თეთრი სახლის ადმინისტრაციის მთავარი ეკონომისტი კრისტინა რამერი იძულებული გახდა, 6 აგვისტოს გადამდგარიყო თანამდებობიდან.** „დღევანდელ დღეს, — ცინიკურად შენიშნავს რონ ფრეიზერი, — ნებისმიერ უმნიშვნელო ქვეყანას შეუძლია ძია სემს ცხვირზე ხელი წაავლოს და გაიქცეს ისე, რომ სერიოზული შედეგების არ შეეშინდეს“.

პანჩურის ამორტყმას წინ რაღა დაუდგება...

უხერხული ვითარებაა, მაგრამ მას ახალი ადმინისტრაცია ტრაგედიად არ აღიქვამს, რადგან, როგორც ანალიტიკოსი წერს, **პრეზიდენტ ბარაკ ობამას საჯარო განცხადებები უფრო შემგუებლურია, ვიდრე კონსტრუქციული, რადგან იგი, „როგორც ჩანს, არც აპირებს ამერიკის დიდების აღდგენას არც ერთი თვალსაზრისით“.**

ყალბი იყო ის დიდება და იმიტომ. ეს ერთი. და, მეორე, იმიტომ, რომ ამ ზესახელმწიფოს, უწინარეს ყოვლისა, ქვეყნის შიგნით მოსაგვარებელი პრობლემები თავზე საყარი დაუტოვა ბუშმა (უმცროსმა).

საერთო დასკვნით, ეს **„ზესახელმწიფო... სცენას ტოვებს“.** ნატო კი ფართოვდება ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოების ხარჯზე, უფრო მეტიც: ნატოსკენ რუსეთიც მიისწრაფვის, ნატო — რუსეთისკენ. **The Economist** წერს: **„ნატომ და რუსეთმა აღადგინეს სამხედრო კონტაქტები, რომლებიც საქართველოში ომის შემდეგ შეწყდა“** და მხარეებმა **„ოცდამეერთე საუკუნის საფრთხეების“ ერთობლივ განხილვაზე მოილაპარაკეს“.**

„მეტიც, — მიიჩნევს The Economist, — რუსეთი შეიძლება პარტნიორიც კი გახდეს“.

იგივე გამოცემა იმოწმებს ნატოს გენერალურ მდივან **ანდრეს ფოგ რასმუნსენს,** რომლის აზრით, „ნატოს ანტისარაკეტო სისტემის ამოქმედება ევროპაში სამხედრო და პოლიტიკურ დატვირთვას შეიძენდა იმის დემონსტრაციისთვის, რომ თავდაცვის ფარი არა რუსეთის წინააღმდეგ, არამედ მისი დაცვისთვისაა გამიზნული“.

რეალობა ასეთია: **ევროპაში ამერიკის სამხედრო ყოფნის შემცირების ფონზე ევროკავშირისა და ნატოს პარტნიორობა კონტინენტის ქვეყნების უსაფრთხოებისთვის ფრიად მნიშვნელოვანი ხდება.** „ევროკავშირი და ნატო ხელიხელჩაკიდებულები ურთიერთობის განსამტკიცებლად წინ მიიწევენ... ხელს აწერენ მთელ რიგ ხელშეკრულებებს, რომლებიც ალიანსის ინფრასტრუქტურას ევროკავშირისთვის ხელმისაწვდომს გახდის. **მას** (ნატოს. — ა.ს.) **არ შეეძლება დამოუკიდებლად წარმართოს სამშვიდობო ოპერაციები, განსაკუთრებით, რთულ სიტუაციებში“ (Europ's World).**

ეს კი ნიშნავს, რომ ნატო ვერ შეძლებს ევროკავშირთან შეუთანხმებლად განახორციელოს ისეთი სამხედრო ოპერაციები (რომლებსაც მორცხვად სამშვიდობო ოპერაციებს უწოდებენ), როგორიც ბალკანეთის გახლეჩვა და დაბომბვა იყო, რასაც ალიანსი უსიტყვოდ ასრულებდა აშშ-ის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, ამტკიცებენ ექსპერტები, რომ განახლებულმა ნატომ თავის სიმბოლოდ პიკასოს მტრედი აირჩია: **„ნატო ევროკავშირის სამხედრო მანქანად გადაიქცა, რომლის დახმარებითაც ბლოკს თავისი იმპერიალისტური გეგმების განხორციელება შეუძლია“.**

ერთიანი მიზნებისთვის — ერთმანეთის მხარდამხარ! ნაცნობი დევიზია, რომელმაც, ვარიაციული თავისებურებების მიუხედავად, გასულ საუკუნეში კაცობრიობას ბევრი თავსატეხი გაუჩინა — იგივე ბერლინი-რომი-ტოკიოს გაერთიანებიდან დაწყებული, რომელმაც ისტორიაში სახელმწიფოთა უდიდესი დაპირისპირება — მეორე მსოფლიო ომი გამოიწვია.

ანალიტიკოსები ამ ტრაგიკულ ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ იმ საფრთხის გამო, რომელსაც დღევანდელ ვითარებაში მიღებული ზოგიერთი გადაწყვეტილება შეიცავს.

**მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, — შეგვახსენებენ ისტორიკოსები, — ანტიჰიტლერული კოალიციის** ▶

# სანამ ხუთვარსკვლავიანი სასტუმროები ოფიციალურ ბორდელებად გამოუცხადებიათ

**საქართველოდან დანახული ევროპა ედემის ბაღია — აყვავებული ქვეყნები, ძლიერი სახელმწიფოები, ბედნიერი და ყველაფრით უზრუნველყოფილი მოქალაქეები. მაგრამ მკვლევარები სხვა თვალით უყურებენ ბებერი კონტინენტის დღევანდელობასა და, განსაკუთრებით, პერსპექტივას.**

მართალია, ყველა პრობლემა, რაც ბოლო პერიოდში, ასე თუ ისე, დაიძლია (ეკონომიკური რეცესია, „ფერადი რევოლუციების“ დამანგრეველი შედეგები, ადამიანური თუ სავაჭრო კავშირების რღვევა და ა.შ.), მაგრამ არავინ იძლევა იმის გარანტიას, რომ ამის შემდეგ იწყება სიმშვიდისა და კეთილდღეობის ნანატრი ეტაპი.

**მკვლევარები პარალელს ავლებენ რომის იმპერიასთან, რომელიც „ძლიერდებოდა იმიტომ, რომ კრიზისს შთაენთქა, და — დაიშალა კიდეც“.**

პარადოქსული დასკვნაა, მაგრამ არის კი რამე ურყევი ლოგიკის პრინციპზე აგებული მუდმივად ცვალებად დღევანდელობაში?

ანტიკური იმპერიის დაშლა საუკუნეებით გრძელდებოდა. **რომის იმპერიის „ოქროს ხანა“ ორ საუკუნეს მოიცავს — 200 წელიწადს ქრისტეს შობიდან. ევროპული გაერთიანება ტექნიკური და სოციალური სწრაფი განვითარების პირობებში შეიძლება გაცილებით მალე დაიშალოს და დანაწევრდეს.**

ასეთია ევროპელი მკვლევარების ერთი ნაწილის პოზიცია, რომელსაც იზიარებს **ჩეხი პუბლიცისტი იოზეფ პრავეცი.** მის ანალიტიკურ წერილს „ევროპის იმპერიის დაცემა“ **აქვეყნებს ჩეხური ჟურნალი Ekonom 5 აგვისტოს ნომერში.**



გვიდო რენი, „ევროპის მოტაცება“

**ევროპა,** ავტორის აზრით, **ეკონომიკური დეპრესიის მიზეზით სუსტდება,** — ეკონომიკის დამუხრუჭებული განვითარების გამო. მიზეზთა შორის ჩამოთვლილია: **ხელგაშლილი ცხოვრება, რაც ფინანსურად არ არის უზრუნველყოფილი; დავალიანებები; ინფლაცია, უმუშევრობა.**

შეგიძლიათ შეადაროთ საქართველოს „ეკონომიკურ აღმავლობას“ (სააკაშვილის ახირებული აზრი) და დარწმუნდებით, რომ საზოგადოებრივი ეროზიის ის მთავარი ნიშნები, რომლებსაც იოზეფ პრავეცი ჩამოთვლის, ჩვენთვისაც არის დამახასიათებელი. თანაც — გამოკვეთილად.

პარალელს თუ გავავლებთ რომის იმპერიასთან, დავინახავთ, რომ დაცემის პროცესი მესამე საუკუნიდან შეინიშნებოდა, როცა დაიწყო ინფლაციის ზრდა, უსაზღვროდ გაზრდილი გადასახადები აღრჩობდა ვაჭრობას, ხელოსნობას, დღევანდელი ტერმინოლოგიით — ბიზნესს.

მიჩნეულია, რომ ასეთი დამთხვევა შემთხვევითია. მაგრამ ხომ ფაქტია, რომ დღევანდელი ევროპა და საქართველოც იძულებულია, ეძებოს და იპოვოს ოქროს კვეთი, რათა, ერთის მხრივ, ადამიანები წელში არ გაწყვიტოს გადასახადების წარმოუდგენელმა სიმძიმემ; მეორეს მხრივ, სახელმწიფომ შეძლოს ამ გადასახადების შემოდინების კვალად ნორმალური ფუნქციონირება.

**ამ პრობლემამ საქართველოში უკვე სერიოზულად იჩინა თავი. და თუ საკითხი დღეს მთელი სიმწვავით არ დგას, ეს უცხოეთიდან ფინანსური შემოდინებების წყალობითაა, რაც უსასრულო და უშრეტი არც ერთ ქვეყანაში არასოდეს ყოფილა, საქართველოში რომ იყოს,** თანაც, როგორც ჩეხი ავტორი აღნიშნავს, მიღებულ დოტაციებს ევროპაში დანიშნულებისამებრ არ გამოიყენებენ. ჩვენთან ხომ მისამართების ასეთი ცვლა წესად არის დადგენილი.

ამიტომაა, რომ **უსიამოვნო პერსპექტივა, კატასტროფული თუ არა, წინ გვიდევს, რაგინდ „მდგრადი განვითარება“ ჩავუწეროთ დასახელებაში ეკონომიკურ სტრუქტურებს და რაგინდ ეგზოტიკური მინისტრები ჩავუყენოთ სათავეში...**

ევროკავშირი, ხაზგასმულია Ekonom-ის პუბლიკაციაში, წარმოიქმნა როგორც დასავლეთ ევროპის ყველაზე განვითარებული ქვეყნების **ექსკლუზიური კლუბი.** შემდეგ თანდათან გაიზარდა და ბოლოს — სრულიად უკონტროლოდ, უკანასკნელ ათწლეულში კი ათასობით კილომეტრით გადაიწია აღმოსავლეთისკენ.

მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ახალი წევრებით, **პოსტსაბჭოთა ქვეყნებით შევსებულმა კი არ გაიძლიერა სიცოცხლისუნარიანობა, არამედ მონსტრად ქცეული ძნელად სამართავი გახდა.** ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ალიანსში გაერთიანებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების განსხვავებული დონესა და განსხვავებულ კულტურას ასახელებენ.

დაახლოებით ასევე იყო ძველ რომში.

მაგრამ ისტორიის გაკვეთილები საქართველოში დღეს არავის აინტერესებს, წლევანდელი აბიტურიენტების გარდა, რომელთაც ამ საგანში გამოცდა (ისიც ამორჩევით) მისაღები სესიის ახალ წესებში ჩაუწერეს.

კიდევ ერთი, მაგრამ ▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ **ლიდერებმა — სტალინმა, რუზველტმა და ჩერჩილმა საჯაროდ განაცხადეს, რომ ვერმახტის ხელმძღვანელობის სტრუქტურა განადგურებული იყო და არასოდეს აღარ უნდა აღდგენილიყო, რათა მსოფლიო კვლავ არ ჩაეთრია ომის ქაოსში.**

რატომ გახდა აუცილებელი მოკავშირეთა ამ გადაწყვეტილების გახსენება თანამედროვე მსოფლიოსთვის?

იმიტომ, რომ **სწორედ დღეს ევროპის უძლიერესი სახელმწიფო — გერმანია აღადგენს თავისი შეიარაღებული ძალების უმაღლესი ხელმძღვანელობის ძველ სტრუქტურას.**

მასშტაბური ამნეზიის ამ შემთხვევას, გამორიცხული არ არის, გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს.

**„ბოლო 100 წლის განმავლობაში,** — ნათქვამია რონ ფრეიზერის პუბლიკაციაში, **— უკვე მესამედ გერმანიის უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობა შეიძლება სათავეში ჩაუდგეს განახლებულ, მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილ გერმანულ სამხედრო მანქანას, რომელიც აქცენტს სხვის ტერიტორაზე სწრაფი რეაგირების უნარზე აკეთებს“.**

გერმანიამ ხელები გაიხსნა შემბორკავი ვალდებულებისგან. ვერც ვერავინ შეეწინააღმდეგა — ძალი შესწევდა და იმიტომ. ბოლოსდაბოლოს, ეს სიახლე მას თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევს.

უფლებასაც.

გერმანიამ საერთაშორისო სანქციას თავი დააღწია და, ამავე დროს, ავტორიტეტი განიმტკიცა იმით, რომ ევროკავშირში მყოფმა დაიტოვა უფლება, **ალიანსის გადაწყვეტილება ევროპული სამხედრო ძალების მიერ წამოწყებულ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ თავისი მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე მიიღოს. ან ჰო თქვას, ან — არა.**

ჩვეულებრივ, ევროპული ძალების ოპერაციებში ჩართვა ერთხმად მიიღება ევროკავშირის 27-ვე ქვეყნის მიერ.

საერთო წესი ასეთია.

მაგრამ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ ევროკავშირი ფაქტის წინაშე დააყენა, როცა თავისი განაჩენით შექმნა შესაძლებლობა ევროკავშირის გადაწყვეტილების ჩაშლის შესახებ — თავისებური ვეტოს დადების უფლება მისცა გერმანიის სახელმწიფოს.

**ნატოს პირველი გენერალური მდივანი ლორდი სიმეი** ასე ახასიათებდა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს: **„ანგლოსაქსებმა ალიანსი შექმნეს იმისთვის, რომ რუსები გარეთ ჰყოლოდათ, ამერიკელები — შიგნით, ხოლო გერმანელები — ქვემოთ“.**

„პარადოქსი ის არის, — ასკვნიან ექსპერტები, — რომ ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფცია, ევროკავშირის უსაფრთხოების ამოცანებთან და გერმანიის „ახალ სამხედრო ორგანიზაციასთან“ ერთად დასრულდება იმით, რომ **შეიკვრება ალიანსი რუსეთთან, ამერიკელები გარეთ აღმოჩნდებიან, გერმანია კი — სათავეში!“.**

**წაიკითხავს ამ მოსაზრებას ჩვენი განათლებული მკითხველი და უეჭველად დაასკვნის, რომ ასეთ ნატოში საქართველოს მიღება არ უწერია.**

**გერმანია ყოველთვის წინააღმდეგი იყო საქართველოს ნატოში გაწევრების.**

**რუსეთზე ლაპარაკიც ზედმეტია.**

**ამერიკას, რომელიც ჯერ კიდევ ჰეგემონობდა ნატოში, საქართველოს პროტექტორობა ჩაეშალა. ახლა არც არავინ ჰკითხავს, არც თვითონ მოიკლავს თავს.**

**ნატოს, როგორც საკუთარ ყურებს, რაგინდ მანქანის ღიად დარჩენილი კარებივით განზე ჰქონდეს გაშვერილი, საქართველო ვერ დაინახავს.**

**ამიტომაც კრინტსაც აღარ ძრავენ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაერთიანებაზე ჩვენი ხელისუფალნი. ნატოსკენ მისწრაფების მათმა პოლიტიკამ კრახი განიცადა.**

◀ არა უკანასკნელი პარალელი.

თანამედროვე ევროპის წინსვლისა და განვითარების პერიოდი (ძირითადად, XIX საუკუნე) ეფუძნებოდა ელიტისა და მშრომელი ადამიანების, ერთის მხრივ, რწმენას, მეორე მხრივ, იძულებას, რომ აუცილებელია ბევრი შრომა წარმატების მისაღწევად.

**საბჭოთა კავშირში შრომა გმირობისა და ღირსების საქმედ ითვლებოდა.**

**დღეს მძიმე შრომას ჩაენაცვლა თავისუფალი დროის კულტი:** პოპმუსიკა, ფეხბურთი, სექსუალური თავისუფლება, ეროტიკა და პორნოგრაფია (უზარმაზარი ნახტომი „საბჭოთა კავშირში არ არის სექსიდან“ მამათმავლებისა და ლესბოსელების პოპულარიზაციამდე სამთავრობო ტელეარხებზე ნანკა კალატოზიშვილისა და შორენა ბეგაშვილის უმდაბლესი დონის შოუებამდე). **„რომი ყვაოდა იმ პერიოდში, როცა არისტოკრატებს, პლებეებს, მხედრებს, ხელოსნებს ჰქონდათ სურვილი, მიეღოთ გადაწყვეტილებები, ეომათ და ეშრომათ. როცა იტალიას ყოველი მხრიდან სიმდიდრე ემატებოდა, ისინი გაზარმაცდნენ“.**

**ვზარმაცდებით ჩვენც სხვათა მოწყალების ხარჯზე.**

და როცა იმპერიამ ველარ შეძლო ბიუჯეტის შევსება ეკონომიკის წყაროდან, რომის იმპერატორმა კალიგულამ „მონახა“ „არატრადიციული გზა“: ცარიელი ხაზინის შევსება მოინდომა სასახლის მდიდრულ სამეძაოდ გადაქცევის საშუალებით, სადაც კურტიზან ქალებად არისტოკრატების ცოლებსა და ქალიშვილებს იწვევდა.

ელიტამ კალიგულას ახირება, როცა თავისი ცხენი სენატორად აირჩია, ასე თუ ისე, გადახარშა, მაგრამ „გაბარდაკება“ ველარ მოითმინა. „იმპერატორის ახირებულ გეგმებს ბოლო მოუღო აჯანყებული სარდლების მახვილთა კვეთებამ“, — წერს „ევროპის იმპერიის დაცემის“ ავტორი **იოზეფ პრავეცი.**

ჩვენ რა ვქნათ? მაინცდამაინც ველოდოთ მომავალი „ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების“ ოფიციალურ ბორდელებად გამოცხადებას თუ დავკმაყოფილდეთ ჩვენი პარლამენტისა და მთავრობის არსებობით?

**P.S. ზოგიერთი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ რომის იმპერია არ დაქცეულა, იგი დღევანდელ ევროპის იმპერიაშია რეინკარნირებული, რომლის მომავალი წინამორბედის ხვედრის გამეორება იქნება.**

# მიდის, რათა დარჩეს

## აშშ სამხედრო კონტინგენტი ერაყიდან ავღანეთში გადაინაცვლებს

**მიდის ბარაკ ჰუსეინ ობამა ერაყიდან, აშშ-ის სამხედრო კონტინგენტი ტოვებს ძველ მესოპოტამიას, იმიტომ, რათა... დარჩეს. პარადოქსული ვითარებაა დღეს მსოფლიოში და საერთაშორისო პოლიტიკაც მისი შესაბამისია. მასაა მისადაგებული.**



„სამშვიდობო მისიით“ ერაყში

პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებისათანავე ობამამ განაცხადა, რომ ერაყში სამხედრო ოპერაციას 2010 წლის 31 აგვისტოს დაამთავრებდა. აშშ-ის პრეზიდენტი დანაპირებს ასრულებს. მაგრამ ადამიანის კეთილშობილური ნაბიჯი ხშირად იმით არის განპირობებული, რომ მას სხვა გამოსავალი არ აქვს: 31 აგვისტომდე სამიოდ კვირა რჩება. ობამას ნაბიჯიც იძულებითია.

**იძულებითია** არა მარტო იმიტომ, რომ სიტყვა თქვა და, გინდა-არგინდა, უნდა შეასრულოს. პრეზიდენტების ბევრი წინასაარჩევნო იდეა წაულია ქარს და, თუნდაც ქართულ სინამდვილეზე დაყრდნობით, შეგვიძლია განვაცხადოთ, ამის გამო არც პრეზიდენტები გადამდგარან, არც სამყარო დაქცეულა.

**იძულებითია** იმიტომ, რომ ერაყში აშშ-ის შეიარაღებული ძალების ყოფნა უეფექტო აღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში, დეკლარირებული ამოცანების განხორციელების თვალსაზრისით. ამ ქვეყანაში დემოკრატიული წყობილება როგორც არ იყო, ისე არ არის. ხოლო ამერიკის ჯარების იქ ყოფნის მიზანი — მხარი დაუჭიროს ავღანეთის მთავრობას, ეფემერულია, ვინაიდან, პრაქტიკულად, ბოლო ხუთი თვეა, რაც არ არსებობს მხარდასაჭერი „ობიექტი“.

**ამერიკელების ერაყში ყოფნამ ვერ აღკვეთა ტერორიზმის ძლიერი შემოტევა, არადა, სამხედროები მოწოდებულნი იყვნენ, უწინარეს ყოვლისა, ამ საქმეში დახმარებოდნენ ამ ქვეყნის უშიშროების ძალებს. ტერაქტების მსხვერპლთა რაოდენობა, ძირითადად, მშვიდობიანი მოსახლეობის ხარჯზე მატულობს. არსებული ინფორმაციით, ივლისის თვემ შავი რეკორდი დაამყარა.**

ამასთან, ჯარების გამოყვანა ობამას უნდა გამოცხადებინა თუნდაც 40 პროცენტამდე შემცირებული თავისი რეიტინგის შესანარჩუნებლად. აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი აგენტის **ფილიპ ჯირალდის მოსწრებული თქმისა არ იყოს, „ობამა ცდილობს, გამოაცხადოს გამარჯვება და დროზე წაეთრეს ქვეყნიდან“.**

არის ერთი ასეთი „მოარული სიბრძნე“, რომელიც ზიარჭურჭლის კანონს ჰგავს: თუ სადმე საქმე აეწყობა, სხვაგან აირევა. აირევა ახლო აღმოსავლეთში ობამას გადაწყვეტილების განხორციელების შემდეგ.

ამერიკის პრესის მიხედვით, უეჭველია, რომ **ერაყელ ხალხს არავითარი სარგებელი არ მიუღია უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში** (ფატალური 7 წელიწადი ქართულ სინამდვილეზე ექსპოლირებული): უმუშევრობის რიცხვი, გასული კვირის მონაცემებით, 10,5 პროცენტია, მილიონობით ადამიანმა დაკარგა საცხოვრებელი სახლები, ელექტროენერგიით მომარაგება უარესია იმასთან შედარებით, რაც სადამ ჰუსეინის დროს იყო. პრობლემებია სასმელი წყლით მომარაგებაში, ძალიან მწვავედ დგას სოციალური, ეთნიკური, რელიგიური პრობლემები...

**ასეთია იძულების ის ფაქტორები, რომელთა გამო ბარაკ ობამა იძულებულია გადადგას კეთილშობილური ნაბიჯი, რომელიც, ერთი შეხედვით, ძალიან ჰგავს საქართველოში ეგზომ პოპულარული დეოკუპაციის ამერიკული ვარიანტით განხორციელებას.**

ჰგავს, რადგან ელემენტარული არითმეტიკა გვიმტკიცებს, რომ დეოკუპაცია ყურით მოთრეულია.

დავითვალოთ: წლის დასაწყისში ერაყში 144 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი იყო. **აქ განთავსებული კონტინგენტის რაოდენობა გეგმიურად მცირდებოდა და მაისის თვეში უკვე 88 ათასი შეადგინა. ობამას განცხადების თანხმად, ერაყიდან გაიყვანენ 38 ათასამდე სამხედრო მოსამსახურეს. 88 ათასს თუ გამოვაკლებთ 38 ათასს, დაგვრჩება 50 ათასი.**

რა ხდება ამის კვალზე?

**წინა კვირის დასაწყისში ობამამ განაცხადა, რომ სულ მალე მეზობელ ავღანეთში დამატებით 30-ათასიანი კონტინგენტი ჩავა, რათა მინავლებულ სამხედრო ოპერაციას ახალი იმპულსი შესძინოს.** ასე რომ, ჯარების გაყვანისა რა მოგახსენოთ, მაგრამ რეგიონში როქის გაკეთებას რომ ჰგავს, უეჭველია.

მიდიან, რათა იქვე დარჩნენ ადგილგადანაცვლებულნი. იმ ორმოცდაათ ათასს რა ბედი ელის, ვინც ერაყში რჩება? ოფიციალური მონაცემებით, ისინი ქვეყანაში 2011 წლის ბოლომდე დარჩებიან და ადგილობრივ ხელისუფლებას პოლიციისა და არმიის ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და სხვა სოციალური ინიციატივების განხორციელებაში დაეხმარებიან.

ცოტა ღიმილის მომგვრელი განმარტებაა.

დააკვირდით: **ერაყის უშიშროების ძალების საერთო რაოდენობა დღეს 665 ათასი კაცია. ქვეყანაში დარჩენილი ამერიკელი „ინსტრუქტორების“ რაოდენობა — 50 ათასი. გამოდის, რომ ერაყის არმიის ან პოლიციის ერთ განყოფილებას ერთი ამერიკელი მიამაგრებენ. მაგრამ ეს ისეთი ზედმეტობაა, რომლის უფლებას აშშ-ც კი ვერ მისცემს საკუთარ თავს.**

მაშასადამე, რა გამოდის? გამოდის, რომ ჭეშმარიტი და გაცხადებული მიზნები ერთმანეთს არ ემთხვევა. რბილად რომ ვთქვათ, ასეა.

მაგრამ ფორმალურად ჯარი გაყვანილად ითვლება: პრეზიდენტმა ობამამ შეასრულა თავისი წინასაარჩევნო პროგრამის ის ნაწილი, რომელიც ერაყიდან სამხედრო კონტინგენტის გაყვანას ეხებოდა. ავღანეთში გადაამისამართა? დიახ. მაგრამ, ბოდიშს ვიხდი, ეს სხვა პრობლემაა, რომელიც ერაყს არ ეხება. რეგიონში ამერიკელების ყოფნის პარამეტრები არ იცვლება: მიდიან, რათა დარჩნენ. რჩებიან.

აქვეა ირანი, რომელიც, ვერავინ იტყვის, რომ ძალიან შეშფოთებულია მის წინააღმდეგ დაწესებული ახალი საერთაშორისო სანქციებით. პირიქით, **ირანელ საერთაშორისო ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ევროკავშირის მიერ ირანის ნავთობისა და გაზის მრეწველობის მიმართ სანქციების გამკაცრება უარყოფითად შემოუბრუნდება აშშ-სა და ევროპას,** რადგან ისლამური რესპუბლიკა აზიისკენ, შორეული აღმოსავლეთისკენ გაიკვალავს გზას და დასავლეთს მშრალზე დატოვებს. „რაც ნაკლებს ივაჭრებს აშშ და ევროპა ჩვენთან, იმდენად ნაკლები გავლენა ექნება მათ ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე“, — ასკვნიან ისინი.

**რამდენად რეალურია, რომ აშშ დაარტყამს ჯიუტი ახმადინეჯადის ქვეყანას? ამის თაობაზე ჰკითხეს ერთ-ერთ ტელეარხზე აშშ-ის შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის მეთაურს — მაიკ მალენს. რა უფრო უარესია, — ესეც ჰკითხეს, — ირანი ბირთვული იარაღით თუ ამ ისლამურ სახელმწიფოზე აშშ-ის სამხედრო დარტყმის შედეგები?**

**მალენმა უპასუხა: „სამხედრო ვარიანტები იყო და რჩება განხილვის საგნად. ამ თვალსაზრისით, ეს არის ერთ-ერთი ვარიანტი, რომლის არჩევაც შეეძლება პრეზიდენტს. ვიმედოვნებ, რომ საქმე აქამდე არ მივა, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი ვარიანტია, რომლის შედეგები ყველასთვის ცხადია“.**

**არის ვარიანტი, მაშასადამე, გამორიცხული არ არის მისი გამოყენება. სწორედ ამიტომ მიდის ობამა ერაყიდან, რადგან დარჩეს რეგიონში.**

**ესე იგი, არსადაც არ მიდის.**





ერაყის კამპანიის ჩვეულებრივი სურათები

გვერდები მოამზადა
არმაზ სანებლიძე

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## გაფრაზებულნი



**დიმიტრი მედვედევი,**
**რფ-ის პრეზიდენტი:**

ურთიერთობები სრული მასშტაბით მაშინ აღდგება, როდესაც საქართველოს ხელისუფლების სათავეში სხვა ხალხი მოვა. დარწმუნებული ვარ, ეს, ადრე თუ გვიან, მაინც მოხდება და ქართველი ხალხი თავის არჩევანს გააკეთებს და ის საუკუნოვანი ურთიერთობები, რომლებიც საქართველოსა და რუსეთის ხალხებს აკავშირებს, სრული მასშტაბით აღდგება და ჩვენ განვავითარებთ კონტაქტებს კულტურულ-ჰუმანიტარულ, ეკონომიკისა და სხვა სფეროებში.

*„პირველი“*



**დიმიტრი ორეშკინი,**
**რუსეთის პრეზიდენტის საზოგადოებრივი საბჭოს წევრი:**

არც ამერიკა და არც ევროპა საქართველოს საკითხში აზრთა სხვადასხვაობის გამო ურთიერთობებს რუსეთთან სერიოზულად არ გაიფუჭებენ. საქართველოს თემა იქნება საკითხი, რომელსაც მხარეები შეეცდებიან არ შეეხონ. მოსწონთ თუ არა საქართველოში, ფაქტია, რომ აფხაზები თავს ახალ პოლიტიკურ ერად აღიქვამენ და საქართველოში ნებაყოფლობით დაბრუნებას, უბრალოდ, არ მოისურვებენ. საქართველოს სწრაფვა, რაღაც საშუალებებით აღადგინოს აფხაზეთზე კონტროლი, მე რამდენადმე ილუზორული ოცნება მგონია.

*„ინტერპრესნიუსი“*



**უგო ჩავესი,**
**ვენესუელის პრეზიდენტი:**

კულუმბიელ ამბოხებულებს მომავალი არ აქვთ, თუ შეიარაღებული გზით მიისწრაფიან ხელისუფლებაში მოსასვლელად.

*„რია ნოვოსტი“*



**რამზან კადიროვი,**
**ჩეჩნეთის პრეზიდენტი:**

8 აგვისტოს გროზნოში განადგურებული უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრები სავაჭრო-გასართობ ცენტრ „გროზნო-სიტისა“ და ახმატ-ხაჯი კადიროვის სახელობის მეჩეთის აფეთქებას აპირებდნენ. ეს ორი შაითანი დოკუ უმაროვის დავალებას ასრულებდა... მათი თანამზრახველები ბანდიტებზე ვერაგები და მზაკვრები არიან.

*„რია ნოვოსტი“*



**ნაოტო კანი,**
**იაპონიის პრემიერ-მინისტრი:**

კორეელების ნების წინააღმდეგ დამყარებულმა კოლონიალურმა ბატონობამ ამ ხალხს ქვეყანა და კულტურა წაართვა, ღრმა ჭრილობა მიაყენა ნაციონალურ სიამაყეს. მინდა, კიდევ ერთხელ გამოვხატო მწვავე სინანული და მთელი გულით მოვიხადო ბოდიში იმ უზარმაზარი ზიანისა და ტანჯვისთვის, რაც კორეელებს კოლონიური ბატონობით მიადგათ.

*„იტარ ტასი“*

# მითები, რომლებზეც იმპერია დგას

**პრეზიდენტები: ტრუმენი, ეიზენჰაუერი და ბუში გვარწმუნებდნენ, რომ ამერიკის თავისუფლება და კეთილდღეობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად გაიდგამდა ფესვებს დემოკრატია უცხო ქვეყნებში, მაგრამ ეს ასე არ არის.**



1940-ანი წლების ბოლოდან, „ცივი ომის“ დასრულებამდე, შეერთებული შტატების პრეზიდენტები დედამიწის ყველა კუთხის საქმეებში ერეოდნენ, ცდილობდნენ რა საბჭოთა კავშირის შეკავებას ან დანგრევას. არც ერთი ქვეყანა არ იყო იმდენად პატარა, რომ აშშ-ს მისი კავშირი საბჭოთა კავშირთან, ამერიკისთვის, მისი თავისუფლებისა და კეთილდღეობისთვის უკიდურეს საფრთხედ არ აღექვა. პირველად ამერიკამ მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებთან ურთიერთობების სპეციალური კურსის შემუშავება დაიწყო – მავრიტანიასთან, მალისთან, ფიჯისთან, ჩადთან და ეს დამოკიდებულება წამყვანი იყო ეპოქაში, როდესაც აშშ-ზე თავდასხმას ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაბედავდა, კარიბის კრიზისის დროსაც ხომ ძლიერების პიკზე მყოფი საბჭოთა კავშირიც კი შედრკა.

ეს ჰიპერტროფირებული ინტერვენციონიზმი ორ აქსიომაში რწმენის შედეგია. **პირველ რიგში, მიჩნეული იყო, რომ აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოება დამოკიდებული იყო უცხო სახელმწიფოში დემოკრატიული სისტემების სიცოცხლისუნარიანობაზე; მეორეც, რომ სამხედრო ყოფნა მსოფლიოს ყველა იმ ქვეყანაში, საიდანაც მომდინარებდა საერთაშორისო სტაბილურობის უზრუნველყოფისა და რესურსებთან ხელმისაწვდომობის საშუალება, უკიდურესად აუცილებელია ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებისთვის. ერთიც და მეორეც აბსოლუტური სისულელეა, მაგრამ ამერიკაში ამის დღემდე სჯერათ.**

ჰარი ტრუმენმა პირველი აქსიომის შესახებ, 1974 წლის 12 მარტს კონგრესში სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა, როდესაც გამოაცხადა დოქტრინა, რომელსაც მოგვიანებით მისი სახელი შეარქვეს. **მას კონგრესისგან თანხმობა სურდა 400 მილიონი დოლარის გამოყოფაზე თურქეთისა და საბერძნეთის ეკონომიკური და სამხედრო დახმარებისთვის. ჩვენს აღმასრულებელ ხელისუფლებას მიაჩნდა, რომ ამ ქვეყნებს კომუნისტების მხრიდან დაპყრობის საფრთხე ემუქრებოდა.**

ტრუმენმა განგაშის ზარი შემოკრა და განაცხადა, რომ ამ ქვეყნებში მემარცხენეები აჯანყდებოდნენ ან ევროპაში ტოტალიტარიზმი და იმედგაცრუება გამეფდებოდა და მთელ მსოფლიოს საფრთხე დაემუქრებოდა.

**„მსოფლიოს თავისუფალ ხალხებს, მათი თავისუფლების შენარჩუნებისთვის ჩვენგან დახმარება სჭირდებათ. თუკი ჩვენ შევდრკებით, ვერ შევინარჩუნებთ ლიდერის პოზიციებს, საფრთხე მთელ მსოფლიოს დაემუქრება და თავისთავად საფრთხეში აღმოჩნდება ჩვენი ერის კეთილდღეობა“.**

ამგვარად, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანა უნდა გამხდარიყო **„ისეთი პირობების შექმნა, რომელშიც ჩვენ და დანარჩენი ერები შეძლებდნენ ისეთი ცხოვრების წესის ფორმირებას, რომელიც ძალადობისგან თავისუფალი იქნებოდა“**, ხოლო შეერთებული შტატები მუდმივად **„უნდა დახმარებოდა თავისუფალ ხალხებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ შეიარაღებული უმცირესობების ან გარეშე ძალების მხრიდან მათი დამორჩილების მცდელობას“.**

დოქტრინა რევოლუციური იყო, რადგან მანამდე არასდროს ითვლებოდა, რომ დემოკრატია სხვა ქვეყნებში ამერიკის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი იყო. **როდესაც აშშ-მა დიდი ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა, აშშ-ის არც ერთ სახელმწიფო მოღვაწეს არ უთქვამს, რომ ქვეყანა უსაფრთხოდ იქნებოდა, თუკი მოხერხდებოდა ოსმანთა იმპერიის, ჩინეთის, რუსეთის ან საფრანგეთის ტირანიების გარდაქმნა დემოკრატიულ რეჟიმებად.** აშშ პასიურად ადევნებდა თვალს ესპანელი და პორტუგალიელი კოლონისტების წინააღმდეგ წარმოებულ ომებს ცენტრალურ და სამხრეთ-ამერიკაში.

**ამერიკის დამფუძნებელმა მამებმა იცოდნენ, რომ დემოკრატიული ქვეყნები აგრესიული ქმედებებისკენ არანაკლებ იყვნენ მიდრეკილნი, ვიდრე ტირანთა მიერ მართული სახელმწიფოები.**

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, აშშ-სთვის მთავარ საფრთხეს ბრიტანეთი წარმოადგენდა, რომელიც იმ დროს ყველაზე დემოკრატიული ქვეყანა იყო მსოფლიოში. სწორედ ბრიტანეთის პროვოცირებული იყო 1812 წლის ანგლო-ამერიკული ომი, რომელმაც ძალით უბიძგა მობილიზებისკენ ამერიკელ მეზღვაურებს და შემდეგ, ნაპოლეონის ომების დროს, თავს დაესხა ნეიტრალურ ამერიკულ გემებს, ხოლო მონარქისტული საფრანგეთი ამერიკას დამოუკიდებლობისთვის ომში ეხმარებოდა.

ტრუმენმა ვერ შეძლო იმის ახსნა, კონკრეტულად რით დაეხმარებოდა აშშ-ის უსაფრთხოების, თავისუფლების ან კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად; ასევე — თავისუფალი ერის არათავისუფალი ერისგან გამორჩევას; თავისუფალი ხალხების მხარდაჭერა, რომლებიც შეიარაღებული უმცირესობების ან გარეშე ძალების დაპყრობის მცდელობებს ეწინააღმდეგებოდნენ, მაგალითად, **პირველი ქვეყნები — თურქეთი და საბერძნეთი, რომლებმაც დახმარება ტრუმენის დოქტრინის ფარგლებში მიიღეს, 1947 წელს არ იყვნენ დემოკრატიულები, იქ არ არსებობდა პოლიტიკური პარტიების კონკურენცია, სამართლიანი არჩევნები, თავისუფალი პრესა და კანონის უზენაესობა.**

საბერძნეთში იმ დროს მონარქისტებსა და კომუნისტებს შორის სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ამერიკა მონარქისტებს დაეხმარა, თუმ-

## მოკლედ



### ბრიტანეთის შსს იმიგრანტებს მოისყიდის

**ბრიტანეთის იმიგრანტთა საქმეების მინისტრმა დემიან გრინმა წამოიწყო გამოძიება, რომელმაც უნდა გაარკვიოს, თუ სად გაფლანგა გორდონ ბრაუნის მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 13 მილიონი ფუნტი.** ვიდრე გამოძიება დასკვნებს გააკეთებს, პრესა უკვე წერს, რომ წინა მთავრობა ფულს იმიგრანტების მოსყიდვაში ხარჯავდა. მოსყიდვა საჭირო იყო იმისათვის, რომ იმიგრანტებს ქვეყნის ტერიტორია დაეტოვებინათ. შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომლის შემადგენლობაშიც შედის იმიგრაციული უწყებაც, პოლონეთის მოქალაქეებს, რომლებიც შინ დაბრუნებაზე დათანხმდებოდნენ, სოლიდურ ფულად კომპენსაციებს უხდიდა. ასევე სამშობლოში ერთწლიან დაბრუნებას უნაზღაურებდნენ ავღანეთის მოქალაქეებს და იმედოვნებდნენ, რომ ისინი ბრიტანეთისკენ აღარასდროს გამოიხედავდნენ.

სამინისტრო მოისყიდდა მათაც, ვინც ჯერ არ იყო ჩასული ბრიტანეთში, მაგრამ აპირებდა და ამგვარი პრევენციული ზომებისათვის 1,2 მილიონი ფუნტი დაიხარჯა. ფულს უხდიდნენ სხვა ქვეყნების ხელისუფლებებსაც იმისათვის, რომ ემიგრაციის პროცესი გაერთულებინათ და საზღვრებზე კონტროლი გაემკაცრებინათ.



### აშშ-ის დაზვერვის ახალი შეფი

**ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა ნაციონალური დაზვერვის (მის დაქვემდებარებაშიც, ცენტრალური სადაზვერო სამმართველოს ჩათვლით, 16 სპეცსამსახურია) ახალ ხელმძღვანელს, გენერალ ჯეიმს კლეპერს სრული ნდობა გამოუცხადა.** 5 ივნისიდან, ანუ მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თანამდებობიდან კლეპერის წინამორბედი, დენის ბლერი სამსახურებრივი გულგრილობის გამო გაათავისუფლა, კლეპერის კანდიდატურას სენატი განიხილავდა. ეს დაჩქარებული წესით განხილვა იყო. ჯეიმს კლეპერი 2001-2006 წლებში აშშ-ის ნაციონალური თანამგზავრული დაზვერვის სააგენტოს ედგა სათავეში, ახალ თანამდებობამდე კი — თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამმართველოს.



### პენტაგონი Wikileaks-ს ემუქრება

**პენტაგონმა Wikileaks-ისგან გამოქვეყნებული ათასობით საიდუმლო სამხედრო მასალის საიტიდან წაშლა და ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი დოკუმენტების აშშ-ის სამხედრო უწყებისთვის გადაცემა მოითხოვა.** აშშ-ის სამხედრო უწყების წარმომადგენლის — ჯეფ მორელის თქმით, საიტის ადმინისტრაციამ არსებული მდგომარეობა უნდა გაითვალისწინოს და მოთხოვნას გაგებით მოეკიდოს. გასათვალისწინებელი მდგომარეობა კი ისაა, რაც პენტაგონმა უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ ინტერნეტში გამოფენილი ეს „საშიში დოკუმენტები“ საფრთხეს უქმნის კოალიციის ძალებსა და მათზე მომუშავე ავღანეთის მოქალაქეებს. თუკი საიტი თხოვნას არ შეასრულებს, პენტაგონი „სხვა საშუალებების“ გამოყენებით დაიმუქრა.



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



## «ცივი ომის» ეპოქაში პოლიტიკურმა მოსაზრებებმა დაჩრდილა დემოკრატიისთვის ბრძოლისა და ადამიანის უფლებების დაცვის საქმე.

ცა, დემოკრატიის თვალსაზრისით, მათი მიღწევები ძალიან საეჭვო იყო და რა მოხდებოდა იქ, კომუნისტებს რომ გაემარჯვათ? საბჭოთა კავშირისთვის საბერძნეთი მაინც თავისტკივილი გახდებოდა, როგორიც იყო იუგოსლავია ტიტოს დროს, ან — ეკონომიკური ტვირთი, როგორც სსრკ-ის სატელიტები ცენტრალურ და აღმოსავლეთ-ევროპაში.

**საბერძნეთს არ აქვს მიმზიდველი ნაციონალური რესურსები, რომელთა დატაცებაც შეიძლება. ბერძნული არმია უინტერესოა. საბერძნეთი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში 1952 წელს გაწევრდა, მაგრამ მას შემდეგ ვერც ძლიერი სამხედრო მოკავშირე ვერ გახდა და ვერც — სანდო ეკონომიკური პარტნიორი.**

საბერძნეთის მსგავსად, 1947 წელს დემოკატიის ხიბლის თურქეთს არაფერი ესმოდა. ოპოზიციური პარტიების აკრძალვა მხოლოდ ორი წლის შემდეგ გაუქმდა. სამხედრო მდგომარეობა 1947 წლის დეკემბრამდე მოქმედებდა და **ისევე, როგორც საბერძნეთის შემთხვევაში, თურქეთში კომუნისტებს რომ გაემარჯვათ, აშშ მაინც ვერ გახდებოდა ვერც ნაკლებად მშვიდი, ვერც ნაკლებად თავისუფალი და ვერც ნაკლებად მდიდარი სახელმწიფო.** თურქი მუსლიმანები, სხვა ქვეყნების მუსლიმანთა მსგავსად, მაინც გააპროტესტებდნენ საბჭოთა კავშირის „ულმერთო კომუნიზმს“ როგორც ამერიკის დახმარებით, ასევე მის გარეშეც. ოსმანთა იმპერია რუსეთთან მრავალი საუკუნის განმავლობაში იბრძოდა, ვიდრე ის პირველი მსოფლიო ომის შედეგებით არ დაანაწევრეს. სსრკ სამუდამოდ გაებმებოდა ისლამისა და თურქული ნაციონალიზმის ჩახშობის მცდელობებში. ის თურქეთს ვერ მოინელებდა.

**თურქეთისთვის დახმარებაზე უარის თქმით, აშშ შეძლებდა რესურსების დაზოგვას საკუთარი თავდაცვის გასაძლიერებლად ჰაერში, ზღვასა და ხმელეთზე საზღვრების გასწვრივ. როგორც საბერძნეთის შემთხვევაში, ტრუმენმა ვერ ახსნა, რატომ იყო აუცილებელი აშშ-ის სუვერენიტეტისა და ამერიკის მოქალაქეთა თავისუფლების დაცვისთვის კომუნისტებისგან თურქების გადარჩენა.**

მაგრამ **ტრუმენის აბსურდულმა მოსაზრებებმა „ცივ ომზე“ დიდხანს იცოცხლა. ტრუმენის დოქტრინასა და პრეზიდენტ ბუშის კიდევ უფრო უტოპიურ ამბიციებს ერთი ხაზი აკავშირებს, რაც ცხადად ჩანდა მის (ბუშის) მეორე საინაუგურაციო სიტყვაში.** აი, რას ამბობდა იგი მაშინ: **„მოვლენების განვითარებასა და საღ აზრს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ჩვენს მიწაზე თავისუფლების შენარჩუნება სულ უფრო დამოკიდებული ხდება თავისუფლების წარმატებაზე სხვათა მიწებზე. მშვიდობის საუკეთესო გარანტია დედამიწაზე – მთელ მსოფლიოში თავისუფლების გავრცელებაა. ამგვარად, შეერთებული შტატების პოლიტიკა იქნება მსოფლიოს ყველა ქვეყანასა და ყველა კულტურაში დემოკრატიული მოძრაობებისა და ინსტიტუტებისკენ მისწრაფება და მათი მხარდაჭერა, რათა საბოლოოდ დასრულდეს ტირანია დედამიწაზე“.**

**აშშ-ის არსებობის მესიანისტური კონცეფციები პრეზიდენტ ობამას ნობელის სიტყვაშიც აისახა, როდესაც მან განაცხადა, რომ ამერიკის მოქალაქეების თავისუფლება და ბედნიერება იმაზეა დამოკიდებული, შეძლებს თუ არა ამერიკა მსოფლიოს ყველა ხალხისთვის თავისუფლებისა და ბედნიერების მოტანას.**

მაგრამ ტრუმენის დოქტრინაში გამოცხადებული მიზანი (თავისუფალი ხალხების დახმარება საგარეო დამპყრობლებისგან დაცვაში) შესრულებაზე მეტად ირღვეოდა. **„ცივი ომის“ ეპოქაში სუფთა პოლიტიკურმა მოსაზრებებმა დაჩრდილა დემოკრატიისთვის ბრძოლისა და ადამიანის უფლებების დაცვის საქმე.** მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ხალხებს ტრუმენისგან არანაირი საგრძნობი დახმარება არ მიუღიათ. გერმანია და ბერლინი გაიყო. ჩეხოსლოვაკია კომუნისტების ორბიტაზე 1948 წელს აღმოჩნდა, უნგრეთი – ერთი წლით ადრე, ხოლო აზიაში კომუნისტურმა ჩინეთმა 1950 წელს ავტონომია წაართვა ტიბეტს. **არც ერთ ამ სიტუაციაში აშშ სამხედრო ძალით არ ჩარეულა, რათა თავისუფალ ხალხებზე ძალადობა აღეკვეთა.**

აშშ-ის პრეზიდენტების მხრიდან „ცივი ომის“ დროსაც გამოცხადებული იდეალისტური მოტივები არათანმიმდევრული იყო; იგივე შეიძლება ითქვას ეკონომიკურ მოსაზრებებზეც, რომლითაც ისინი მსოფლიო ბატონობისთვის საკუთარ კამპანიას ამართლებდნენ. **ის, რომ ამერიკის კეთილდღეობა უცხო ქვეყნებში სტაბილურობისა და მშვიდობის მხარდაჭერაზეა დამოკიდებული** (რათა უსაფრთხო იყოს სავაჭრო მარშრუტები და მნიშვნელოვან ეკონომიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა) **– ეს „ცივი ომის“ პერიოდის კიდევ ერთი შეცდომაა, რომელიც ჩვენ დღემდე ვერ გავაცნობიერეთ.** პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ერთხელ პირდაპირ განაცხადა: **„ჩემი აზრით, საგარეო პოლიტიკა ეფუძნება ან უნდა ეფუძნებოდეს ერთადერთ მოსაზრებას. ეს მოსაზრება არის აშშ-ის მოთხოვნილება, მოიპოვოს ნედლეულის გარკვეული სახეობები, რათა შეინარჩუნოს საკუთარი ეკონომიკა და, შესაძლებლობის შემთხვევაში, გასაღების სასარგებლო ბაზრები ჩვენი ნამატისთვის.**

ამ მოთხოვნილებიდან არა მხოლოდ იმის აუცილებლობა გამომდინარეობს, რომ ხელი მიგვიწვდებოდეს მნიშვნელოვანი სახეობის ნედლეულის წარმოების ადგილებზე, არამედ იმისაც, რომ ადგილობრივი მოსახლეობა და ადგილობრივი ხელისუფლება მზად იყოს ჩვენთან ვაჭრობისთვის მეგობრულ საწყისებზე“.

ამ რწმენით, აშშ-მა უცხოეთში ასობით სამხედრო ბაზა შექმნა და ზღვების სამართავად უზარმაზარი ფლოტი ააგო.

მაგრამ ეს ყველაფერი მითებს ეფუძნება. არც შეერთებული შტატები და არც ერთი სხვა ქვეყანა არც ერთხელ არ დარჩენილა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქციის გარეშე და ეკონომიკურ ომში არ დამარცხებულა. კონტრაბანდა, ქრთამი და მუშაობა გამდიდრების სურვილის მქონე შუამავლების გზით – ყველა ეს საშუალება ნებისმიერ ემბარგოს აუვლის გვერდს. საბჭოთა კავშირმა მარტივად აუარა გვერდი 1979 წელს, ავღანეთზე თავდასხმის შემდეგ, აშშ-ის ემბარგოს ხორბლის მიწოდებაზე იმით, რომ გაზარდა შესყიდვები ისეთი შუამავლებისგან, როგორებიც იყვნენ ესპანეთი და არგენტინა. გაღატაკებული ჩრდილოეთ კორეა, სადაც მილიონობით მოქალაქე შიმშილობს, მაინც უძლებს მკაცრ საერთაშორისო სანქციებს. ფიდელ კასტროს კუბა, ორმოცდაათ წელზე მეტია, აშშ-ის ემბარგოს უძლებს. ყოველწლიურად **44 მილიარდი დოლარის ხარჯვისა და მსოფლიოში ყველაზე პროფესიონალი სამხედრო და სამართალდამცავი კადრების პირობებშიც კი, აშშ ვერ აჩერებს ნარკოტიკების ნაკადს, რომელიც მის საზღვრებში შემოედინება და მილიონობით ამერიკელ მომხმარებელს აკმაყოფილებს.**

1973 წლის ოქტომბერში ნავთობის ექსპორტიორი-ქვეყნების ორგანიზაციამ ემბარგო აამოქმედა, რომელიც ჩაიშალა. ნავთობის მიწოდება ჯერ კიდევ ემბარგოს შემოღებამდეც მწირი იყო: დეფიციტი პრეზიდენტ ნიქსონის ფასების დარეგულირების ზომებმა და ცალკეული სარემონტო-ნავთობგასამართი სადგურებისთვის მიწოდების პრობლემებმა, ასევე, ნავთობის ნედლეულზე ფასების გაზრდამ გამოიწვია. 1973 წლის მაისისთვის, ემბარგოს შემოღებიდან ხუთ თვეში, ათასი ცალკეული საწარმო დაიხურა. ქვეყნებმა, რომლებზეც ემბარგო არ ვრცელდებოდა, ორგანიზაციის წევრი-ქვეყნებისგან ნავთობის შესყიდვების მოცულობა გაზარდა, მისი ამერიკისთვის მიყიდვის მიზნით. საუდის არაბეთის ნავთობის მრეწველობის მინისტრმა შეიჰ იამანიმაც კი აღიარა, რომ ემბარგო **„არ გულისხმობდა იმას, რომ აშშ-ში იმპორტს შევამცირებდით... მსოფლიო სინამდვილეში – ერთი დიდი ბაზარია. ასე რომ, პირველ რიგში ემბარგოს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა“.**

**რეჟიმები, რომლებსაც რეაქციული ანტიამერიკანიზმი ახასიათებთ, სიამოვნებით ვაჭრობენ აშშ-თან.** ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი ამერიკას მისი ქვეყნის მტერს უწოდებს, მაგრამ ვენესუელა დღესაც აშშ-ში ნავთობის ერთ-ერთი მთავარი უცხოელი მიმწოდებელია. 2007 წელს ორ ქვეყანას შორის საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 50 მილიარდ დოლარს მიაღწია. ირანმა – აშშ-ის მთავარმა მტერმა – უმცროსი ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის დროს – ამერიკული საქონლის იმპორტი გააათმაგა. იურიდიული აკრძალვები რომ არ არსებობდეს, ისლამური რესპუბლიკა აშშ-ს ნავთობსაც მიაწვდიდა.

**ამერიკელების თავისუფლება დამოკიდებული არ არის იმაზე, დადგებიან თუ არა სხვა ქვეყნები დემოკრატიის დროშის ქვეშ და ამაზე დამოკიდებული არც არასდროს ყოფილან, „ცივი ომის“ პერიოდშიც კი. ამერიკის კეთილდღეობა არ მოითხოვს მთელ მსოფლიოში მისი ბაზების არსებობას, ისევე, როგორც ძალისმიერი ზეწოლის შესაძლებლობას მეგობრებსა და მტრებზე, მაგრამ, ამ პოლიტიკური აქსიომების აშკარა სიყალბის მიუხედავად, ამერიკის იმპერია მათ გამოყენებას იმისთვის განაგრძობს, რომ ძალის საყოველთაო დემონსტრირება გაამართლოს,** დაუსრულებელი ომები და სახელმწიფოს აგება ნაციონალური უსაფრთხოების საკითხის ირგვლივ.

რომის იმპერია იმავე სიცრუეს იყენებდა ან იმავე მითებს — იმავე მიზნებისთვის. როგორც 1919 წელს იოსებ შუმპეტერი სტატიაში „იმპერიალიზმის სოციოლოგია“ წერს, **„მსოფლიოს არც ერთი კუთხე არ არსებობდა, სადაც არ უთქვამთ, რომ ამა თუ იმ ინტერესს საფრთხე ემუქრებოდა ან პირდაპირი თავდასხმის საფრთხე. და თუ ეს არ იყო რომის ინტერესი, მაშინ რომის მოკავშირეთა ინტერესი იქნებოდა, ხოლო თუ რომს მოკავშირეები არ ჰყავდა, მათ იგონებდნენ. ყველა ბრძოლა კანონიერების საფარველით იმოსებოდა. მთელი მსოფლიო მტრებით იყო სავსე და მათ მიერ უდაოდ დამუშავებული აგრესიული გეგმებისგან თავდაცვა, რომის აშკარა მოვალეობას წარმოადგენდა“.**

**ბრიუს ფინი,**
**იურისტი-კონსტიტუციონალისტი და სტატიების ავტორი საერთაშორისო ურთიერთობებზე Bruce Fein & Associates and The Lichfield Group-დან.**

The American Conservative

## გაჟღერებულნი



**ვლადიმერ პუტინი,**
**რუსეთის პრემიერ-მინისტრი:**

გაისად ჩვენ სამხრეთ ოსეთისთვის 6,8 მილიარდი რუბლი, აფხაზეთისთვის კი 3 მილიარდი რუბლი გვაქვს დარეზერვებული. ჩვენ ამ სახსრებს ბიუჯეტში ჩავდებთ.

*„მედიანიუსი“*



**ვიქტორ იანუკოვიჩი,**
**უკრაინის პრეზიდენტი:**

გულწრფელად რომ ვთქვა, მიხარია, რომ ქვეყანაში არიან ისეთი აქტიური და გაბედული ადამიანები, რომლებიც სწრაფად რეაგირებენ ხელისუფლების შეცდომებზე.

*„უნიანი“*



**ტარიკ აზიზი,**
**სადამ ჰუსეინის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი:**

ობამა ერაყს მგლებს უტოვებს შესაჭმელად.

„The Guardian“



**ასიფ ალი ზარდარი,**
**პაკისტანის პრეზიდენტი:**

არ არსებობენ კარგი თალიბები, რომლებთანაც მოლაპარაკებები უნდა აწარმოო, და სხვა თალიბები, რომელთაც უნდა ეომო... საერთაშორისო საზოგადოება, რომელსაც პაკისტანი განეკუთვნება, თალიბანთან ომს აგებს... კოალიციის მთავარი შეცდომა ისაა, რომ მან სათანადოდ ვერ შეაფასა მდგომარეობა ადგილზე და პრობლემების მასშტაბურობა ვერ გააცნობიერა...

*„Le Temps“*



**ფიდელ კასტრო,**
**კუბის ყოფილი ლიდერი:**

ბარაკ ობამა, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ თქვენს ხელთაა ერთადერთი რეალური შესაძლებლობა, კაცობრიობას მშვიდობა შესთავაზოთ. თქვენს ქვეყანაში ყველა, თქვენი ყველაზე უარესი მრჩევლების ჩათვლით, მადლიერი დაგრჩებიან ისევე, როგორც აშშ-ის ხალხი, რომელიც აბსოლუტურად არაა დამნაშავე ამგვარი სიტუაციის ჩამოყალიბებაში... გააკეთეთ ეს! მსოფლიო შეძლებს სინამდვილეში გათავისუფლდეს ბირთვული და კონვენციური იარაღისგან.

„*segodnia.ru*“



**ბენიამინ ნეთანიაჰუ,**
**ისრაელის პრემიერ-მინისტრი:**

მინდა ჰამასმაც და ლიბანის ხელისუფლებამაც, რომლებიც ჩვენი ჯარის საწინააღმდეგო პროვოკაციებს აწყობენ, გაიგონ: არ ღირს ისრაელის მოქალაქეებისა და ჯარისკაცების დასაცავად ჩვენი მზადყოფნის გამოცდა... ჩვენი პოზიცია ნათელია — ისრაელი ნებისმიერ თავდასხმას პასუხობდა და უპასუხებს.

„*lenta.ru*“



**ალექსანდრე ფროლოვი,**
**„რუსჰიდრომეტრცენტრის“ ხელმძღვანელი:**

ჩვენ გვაქვს ათასი წლის სახიფათო ამინდების „არქივი“. შეიძლება ითქვას, რომ ათასწლიანი პერიოდის მანძილზე ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე სიცხესთან დაკავშირებით მსგავსი შემთხვევა არ მომხდარა.

*„იტარ ტასი“*



**დიმიტრი როგოზინი,**
**რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ნატოში:**

დღეს ნატოს არ აქვს არანაირი ილუზიები იმასთან დაკავშირებით, თუ ვისთან აქვს საქმე საქართველოს პრეზიდენტის სახით. ყველას ესმის, რომ ეს უკიდურესად გაუწონასწორებელი ადამიანია და მისგან ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ გამოდიან იქიდან, რომ სააკაშვილს ალტერნატივა არ ჰყავს, ვინაიდან ქართული ოპოზიცია უკიდურესად დაქსაქსულია და დღესდღეობით არ აქვს შანსი, ქუჩიდან პრეზიდენტის სასახლეში შევიდეს.

*„იტარ ტასი“*

11 — 17 აგვისტო, 2010 წელი. №30 (73)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## რუსეთი თავდაცვის ხარჯებს ზრდის

**2013 წლისთვის რუსეთი თავდაცვის ხარჯებს 60 პროცენტით გაზრდის.** ნავარაუდევია, რომ თანხის ძირითადი ნაწილი შემდეგი მიმართულებებით გადანაწილდება: პროექტ „885“-ისა და „955“-ის ატომური წყალქვეშა ნავების მშენებლობა და მათი აღჭურვა ახალი სარაკეტო შეირაღებით; შავი ზღვის ფლოტისთვის 3 ახალი ფრეგატისა (პროექტი 11356M) და 3 წყალქვეშა ნავის (პროექტი 636) აგება, აგრეთვე, საფრანგეთში „მისტრალის“ ტიპის ორი ხომალდის მშენებლობის დაწყების დაფინანსება. ამასთ, იგეგმება 90-მდე ახალი გამანადგურებლისა („Су-35“, „Су-30“, „Су-27“, „МиГ-29К“) და 30-ზე მეტი საფრონტო ბომბდამშენის „Су-34“-ის შეძენა.

## „გადატვირთვა“ ჰაერშიც დაიწყო



**რუსეთი და აშშ (კანადასთან ერთად) 8 აგვისტოდან ერთობლივ საავიაციო სწავლებებს „Vigilant Eagle“-ს ატარებენ. მასში სამხედრო მფრინავების გარდა აერონავიგაციო სამსახურების თანამშრომლებიც არიან ჩართულნი.** სწავლებებში გამანადგურებლებთან ერთად მონაწილეობენ რადიოსალოკაციო დაზვერვის თვითმფრინავები: „A-50“ და „Boeing E-3B“. სწავლების მიზანი, ტერორისტების მიერ სამოქალაქო თვითმფრინავის გატაცების შემთხვევაში, მხარეთა მოქმედებების კოორდინაციის მექანიზმის სრულყოფაა.

## ჩვენ რაღას ვუცდით?



**ჰოლანდიელმა სამხედროებმა ავღანეთი დატოვეს. ნიდერლანდების 1600-კაციან კონტინგენტს პროვინცია ურუზგანში ამერიკელი, ავსტრალიელი, სლოვაკი და სინგაპურელი სამხედროები ჩაანაცვლებენ.** 2006 წლიდან მისიის დასრულებამდე ჰოლანდიელებმა 24 სამხედრო მოსამსახურე დაკარგეს. მათ პირველებმა გამოიყენეს ე.წ. „3 D -სტრატეგია“ „Defense, Diplomacy and Development“ (თავდაცვა, დიპლომატია, განვითარება), რომელიც ,,თალიბანთან“ ბრძოლის პარალელურად, ადგილობრივებთან მჭიდრო თანამშრომლობას ითვალისწინებდა. ჰოლანდიელი ჯარისკაცების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პატრულირებაზე ქალაქებსა და სოფლებში ისინი ხშირად ჩაფხუტების გარეშე დადიოდნენ, რათა ავღანელების ნდობა დაემსახურებინათ.

## კანადელებს გადასაყრელი არაფერი აქვთ



**კანადის თავდაცვის უწყებამ ხელი მოაწერა შეთანხმებას კომპანია „G“-სთან, რომელიც საბრძოლო დაჯავშნული მანქანა „LAV III“-ის საფუძვლიანი მოდერნიზაციის დაწყებას ითვალისწინებს.** პროგრამა მოიცავს: ტრანსმისიისა და სავალი ნაწილის მოდერნიზაციას, კაბინის ერგონომიკული მახასიათებლების გაუმჯობესებას, დამატებითი ჯავშნის დაყენებასა და შეირაღების სისტემის განახლებას. მოდერნიზაცია შესაძლებელს გახდის „LAV III“-ის ექსპლუატაციის ვადის გახანგრძლივებას 2035 წლამდე. სულ კანადის სახმელეთო ძალებში 650-მდე „LAV III“-ია.

## ბირთვული ბომბი ყველას ხიბლავს

**მიანმის (ყოფილი ბირმა) სამხედრო ხუნტა ბირთვული იარაღისა და შორი მოქმედების რადიუსის რაკეტების შექმნაზე მუშაობს, — წერს „The Telegraph“-ი იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მიანმიდან გაქცეულმა ოფიცერმა თითქოსდა ამერიკელებს გადასცა.** „Jane’s Intelligence Review“-ი აქვეყნებს ქალაქ ნეილიდოში მდებარე სამხედრო ობიექტის თანამგზავრიდან გადაღებულ სურათებს, სადაც, გამომცემლის ვარაუდით, შეიძლება მიანმის მთავარი ბირთვული ობიექტი მდებარეობდეს. „The Telegraph“-ის ცნობით, შტატებმა გააძლიერეს კონტროლი სამხედრო ტვირთების გადაზიდვებზე ჩრდილოეთ კორეიდან მიანმაში და ამ ქვეყნის მმართველებს ბირთვული პროგრამის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მოსთხოვეს.

# სააკაშვილი და ჩავესი «სახალხო ომისთვის» ემზადებიან

**მიხეილ სააკაშვილი ბოლო დროს ხშირად იყენებს ტერმინს „ტოტალური თავდაცვა“; ამას დაახლოებით ასეთივე პათოსით სხვა ექსცენტრული ლიდერი, ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი აკეთებს. სხვაობა მხოლოდ ისაა, რომ ჩავესი პროფესიონალი სამხედროა და საკითხს სისტემურად უდგება, ხოლო სააკაშვილი სამხედრო პროფესიონალიზმისგან ისევე შორსაა, როგორც სირიუსი ანტარესისგან. შესაბამისად, გაცილებით ძნელი დასადგენია, თუ რას გულისხმობს იგი, როდესაც ამ თემას ეხება.**





ამ ორი ლიდერის გამონათქვამების ანალიზს საბოლოოდ „სახალხო ომის“ კონცეფციამდე მივყავართ, მისდამი აპელირება XXI საუკუნეში, ცოტა არ იყოს, ანაქრონიზმად გამოიყურება. ჩინეთშიც კი, სადაც ამ კონცეფციის შესახებ ვრცელი თეორიული ნაშრომები დაიწერა, დენ სიაოპინის რეფორმების შემდეგ მას „აქტიური თავდაცვის“ სტრატეგია ჩაენაცვლა. **ის დრო, როდესაც ჩინელების ერთადერთ კოზირს წარმოადგენდა რიცხობრივი უპირატესობა უკეთ აღჭურვილ და მომზადებულ მოწინააღმდეგეზე, როგორც ჩანს, წარსულს ჩაბარდა.**

**ვენესუელის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ აშშ-კოლუმბიის ერთობლივი ინტერვენციის შესაძლებლობას განიხილავს. სამხედრო აღმშენებლობა სამი ძირითადი მიმართულებით მიდის: მართვის სტრუქტურის სრულყოფა, არმიის გადაიარაღება და ორგანიზებული რეზერვის რიცხოვნების გაზრდა, რომელიც განსაკუთრებით გვაინტერესებს.** რეზერვის პროგრამა 2017 წლამდეა გაწერილი; ექსპერტთა შეფასებით, უკვე დღეს ვენესუელის სამობილიზაციო რესურსი შესაძლებლობას იძლევა, ბრძოლის ველზე მილიონ-ნახევარი ადამიანი გამოიყვანოს. პროგრამა ითვალისწინებს, რომ 2017 წლისთვის ორგანიზებული რეზერვის რიცხოვნება 15 მილიონამდე უნდა გაიზარდოს, რაც ქვეყნის მოსახლეობის 60%-ს შეადგენს. ეს თანამედროვე მსოფლიოსთვის უპრეცედენტო მაჩვენებელია. ამავე დროს, იგულისხმება, რომ რეგულარული ნაწილების რაოდენობა დიდად არ გაიზრდება (დღეს შეიარაღებულ ძალებში 130 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე ჰყავთ).

**ვენესუელაში რეზერვისტები აქტიურად მონაწილეობენ სახმელეთო ჯარების სამხედრო სწავლებებში, ხოლო შიდაპოლიტიკური დაძაბულობის დროს საპოლიციო ფუნქციებს ასრულებენ.** მათი მეთაურებისთვის სპეციალური მომზადების კურსი არსებობს, ამავე დროს, რეზერვის ქვედანაყოფებში ყოველწლიურად ასობით ოფიცრის მივლინება ხდება. რეზერვისტების მომზადების პროგრამის შემუშავების დროს განსაკუთრებული ყურადღება შემდეგ გამოცდილებას ეთმობოდა: პარტიზანული ბრძოლა ბელორუსიაში მეორე მსოფლიო ომის დროს, ვიეტნამის, ერაყის და ავღანეთის ომები, აგრეთვე, ის გამოცდილება, რომელიც კუბელებმა თავიანთი ქვეყნის „სახალხო ომისთვის“ მზადების პროცესში დააგროვეს.

ჩავესის გათვლა გასაგებია: ერთადერთი შანსი, რომელიც მას აქვს, არის: სამხედრო ევოლუციის გაცილებით მაღალ საფეხურზე მდგომი შეერთებული შტატებისა და მათი მოკავშირე კოლუმბიის ინტერვენციას მილიონობით ცუდად შეიარაღებული მებრძოლი, პარტიზანების ზღვა დაახვედროს და, ამასთანავე, ქვეყნის სანავთობო ინფრასტრუქტურა გაანადგუროს. ამ პერსპექტივის შეფასების დროს ვაშინგტონმა შეიძლება ვიეტნამის ომი გაიხსენოს; მეტიც, ჩათვალოს, რომ ვენესუ- ▶

# რატომ დავკარგეთ ამდენი ტანკი?

**აგვისტოს ომის შედეგების შეჯამება როგორც საქართველოში, ისე რუსეთში გრძელდება. წინა ნომერში ჩვენ ვრცლად მიმოვიხილეთ საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობა ცხინვალის მიმართულებით, თუმცა ისეთ საკითხს, როგორიცაა ტექნიკის დანაკარგები მხოლოდ ირიბად შევეხეთ. დღეს სწორედ ამ საკითხზე ვისაუბრებთ.**

რუსულმა „სტრატეგიებისა და ტექნოლოგიების ანალიზის ცენტრმა“ (ამ ორგანიზაციამ შარშან გამოუშვა სტატიების ცნობილი კრებული „Танки Августа“) გასულ კვირას შემდეგი ციფრები გაახმიანა: **„ჩვენი მონაცემებით, საბრძოლო მოქმედებების დროს ჩამოაგდეს 6 რუსული თვითმფრინავი — სამი „Су-25“, ორი „Су-24“ და ერთი „Ту-22М3“. მას შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთში საბრძოლო მოქმედებები დასრულდა, მოხდა ავიაკატასტროფა, რომელშიც განადგურდა ორი რუსული ვერტმფრენი „Ми-8МТКО“ და „Ми-24“. საბრძოლო მოქმედებების დროს რუსულმა მხარემ დაკარგა სამი ტანკი „Т-72Б (М)“, „Т-72Б“ და „Т-62М“. აგრეთვე, დაიკარგა მსუბუქი ჯავშანტექნიკის არა ნაკლებ 20 ერთეულისა, ცხრა — „БМП-1“, სამ-სამი — „БМП-2“ და „БРДМ-2“, ორი — „БТР-80“, თითო-თითო — „БМД-2“ და „МТЛБ-6“. ამასთანავე, ქართულმა მხარემ გაანადგურა 20-მდე სატვირთო მანქანა, მათ შორის: 10 „ГАЗ-66“ და ორი „Урал-4320“, კიდევ რამდენიმე მანქანა სერიოზული ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაზიანდა“,** — განაცხადა ცენტრის დირექტორმა რუსლან პუხოვმა „ინტერფაქსთან“ საუბარში.



იმ სამი ტანკის დაკარგვა, რომელზეც პუხოვი საუბრობს, დოკუმენტირებულია: „Т-72Б (М)“ განადგურდა ცხინვალის სამხრეთით რუსი მშვიდობისმყოფელების ბაზის ტერიტორიაზე 9 აგვისტოს 18-დან 19 საათამდე; ეკიპაჟის ყველა წევრი გადარჩა, „Т-62М“ განადგურდა 10 აგვისტოს, ნაშუადღევს, ასევე ცხინვალში, მოსკოვის ქუჩაზე; მეთაური და ეკიპაჟის ერთი წევრი დაიღუპნენ. „Т-72Б“ 11 აგვისტოს მოხვდა ჩასაფრებაში სოფელ ზემო ხვითში (ზოგიერთი წყაროს თანახმად, ზემო ნიქოზში); ეკიპაჟის ყველა წევრი დაიღუპა.

**კონფლიქტის ზონაში გადაღებული ფოტო და ვიდეო მასალის თანახმად, ქართული მხარის დანაკარგებია:**

„Т-72“ №425 ცხინვალში, მე-14 საბავშო ბაღის ტერიტორიაზე ააფეთქეს, ერთი — გმირთა ქუჩაზე, სამი — მოსკოვისა და ვაგზლის ქუჩების გადაკვეთაზე, მათი საბორტო ნომრები ფოტოებზე არ ჩანს, თუმცა, სავარაუდოდ, მათ შორის იყო №406 და №409. ეს ყველაფერი, იმ მომენტს უკავშირდება, **როდესაც 8 აგვისტოს, 14-15 საათზე ცხინვალის ცენტრიდან ქართული ქვედანაყოფების უკანდახევა დაიწყო, მას შემდეგ, რაც 42-ე ბატალიონის პოზიციები დაიბომბა. უკანდახევა ქაოტური იყო და ტანკისტები შუაგულ ქალაქში ქვეითების მხარდაჭერის გარეშე აღმოჩნდნენ.**

8 აგვისტოსვე განადგურდა „Т-72“ №109 ცხინვალის შესასვლელთან, „დუბოვაია როშჩას“ სიახლოვეს; იმავე დღეს ორი ტანკი (№110 და №125) მიატოვეს ცხინვალი-ხეთაგუროვოს გზაზე, შემდგომ ისინი ცხინვალისკენ მიმავალმა რუსულმა ქვედანაყოფებმა ააფეთქეს. კიდევ ერთი ტანკი რუსი ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ელაში შეჭრა, უბრალოდ, არ ღირს. **„ყველა სოფელს უნდა შეეძლოს საკუთარი მიწის დაცვა, ყველა დასახლებულ პუნქტში უნდა იყოს პატარ-პატარა მომზადების პუნქტები და ამისთვის საჭირო იარაღი“, — ეს უკვე, ჩავესი კი არა, მიხეილ სააკაშვილია.** იმ შემთხვევაში, თუ ამ სიტყვების მიღმა არ იმალება პროზაული სურვილი, ადგილებზე „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივი შეაიარაღოს, საქმე „სახალხო ომისთვის“ მზადების აქაურ ვარიაციასთან გვაქვს. მითუმეტეს, რომ მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა უკვე შეიტანეს პარლამენტში პროექტი, რომელიც 40 წლამდე მამაკაცებისთვის რეზერვში სამსახურს სავალდებულოს ხდის. საუბარი ნახევარ მილიონამდე პოტენციურ რეზერვისტს ეხება. ამასთან დაკავშირებით, **საინტერესოა სააკაშვილის კიდევ ერთი გამონათქვამი: „ჩვენ გვყავდა რეზერვისტთა ბატალიონები და მათთვის არ გვეყო ოფიცრები“. იმ ბატალიონებისთვის თუ არ გვეყო, ამხელა მასისთვის საიდან ვიშოვით? თუ ოფიცრების გარეშე ვიბრძოლებთ? ომია თუ თვითშემოქმედება?!**

რა თქმა უნდა, საკმარისი დროის ქონის შემთხვევაში, შეიძლება შესაბამისი რაოდენობის ოფიცრების მომზადება. ჩავესს ნავთობდოლარები აქვს, ხოლო საიდან გადაუხდის ამ კონტინგენტს ხელფასს სააკაშვილი, გაუგებარია. თუმცა ამაზე ამჯერად ყურადღებას ნუ გავამახვილებთ, რადგან არის კიდევ ერთი ნიუანსი, რომლის გამო საქართველოს მიერ „სახალხო ომის“ წარმოება ძალიან სერიოზულ საფრთხეს უკავშირდება.

ჩინეთს, ვენესუელას, ვიეტნამს, ავღანეთს, ერაყსა და კუბასაც კი შეუძლია, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მოწინააღმდეგესთან ბრძოლას 2-3 მილიონი ადამიანი შეაკლას. **„სახალხო ომის“ დროს სუსტი მხარის დანაკარგები ძალიან დიდია** და ზესახელმწიფოსთან შეტაკებაში (უკვე მომხდარში თუ სავარაუდოში) მისი დანაკარგების მოცულობა დაახლოებით ამ ციფრების გარშემო ტრიალებს. **ქვეყნებს მცირე მოსახლეობით, როგორიც საქართველოა, ამის „ფუფუნება“ არ აქვთ, მათთვის ეს სრული განადგურების ტოლფასია.**

მეორე მსოფლიო ომის დროს მცირე ქვეყნების წინააღმდეგობის ძალები „თითოეული მეტრისთვის“ კი არ ომობდნენ, არამედ ბრძოლის ასიმეტრიულ ფორმებს პოულობდნენ. ვინ თქვა, რომ ფარული დივერსია რკინიგზაზე ან ელექტროსადგურზე ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე სოფლის შესასვლელში ვერმახტის ერთი მოტოციკლის აფეთქება, რომელსაც ამ სოფლის მიწასთან გასწორება მოსდევს?

**იმ შემთხვევაში, თუ ყველა სოფელი შეიარაღებული წინააღმდეგობის კერად გადაიქცეოდა, დღეს დანიელებზე, ბელგიელებზე, ნორვეგიელებზე, ჰოლანდიელებსა და ბერძნებზეც კი, ალბათ, მხოლოდ ისტორიის სახელმძღვანელოებში წავიკითხავდით.** ვერაფერს ვიზამთ, ამქვეყნად არსებობენ სახელმწიფოები, რომელთაც ფიზიკურად არ შეუძლიათ მომხვდურს ცოცხალი ძალის მრავალმილიონიანი ტალღა შეახეთქონ, და საქართველოც ერთ-ერთი მათგანია.

**სამშობლოს დაცვა მისი თითოეული მოქალაქის მოვალეობაა, მაგრამ** ის ქვეყნის შესაძლებლობებიდან გამომდინარე უნდა დაიგეგმოს. აგრეთვე, **თითოეული მებრძოლისთვის ცხადი უნდა იყოს, სამშობლოს იცავს თუ მმართველის კეთილდღეობას** — ჩავესი იქნება ის, სააკაშვილი თუ ვინმე სხვა.



მშვიდობისმყოფელების სამხრეთ ბაზასთან სარწყავ არხთან განადგურდა. სავარაუდოდ (ვიდეოზე ცუდად ჩანს და კოორდინატებიც გაურკვეველია), კიდევ ერთი ქართული „T-72“ დაახლოებით ვარიანსა და ცხინვალს შორის ააფეთქეს.

**65 ქართული ტანკი რუსებმა (ძირითადად, გორში) ხელთ ნადავლის სახით ჩაიგდეს. მათგან 44 რუსეთში გადაიყვანეს, დანარჩენი კი ადგილზე გაანადგურეს. დაიკარგა უამრავი სხვა ტექნიკა და შეირაღება, თუმცა ამ წერილში ყურადღებას მხოლოდ დაკარგულ ტანკებზე გავამახვილებთ.**

რამ განაპირობა ამდენი ტანკის მიტოვება? შესაძლებელი იყო თუ არა მათი ნაწილის მაინც თბილისისკენ ან სხვა მიმართულებით გადაყვანა? როდესაც ამ კითხვებზე პასუხს ვეძებთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ ვითარებაში სამი ძირითადი ფაქტორი მოქმედებდა: ა) საავიაციო დაბომბვის შიში, რომლის ქვეშ დიდი ალბათობით მოექცეოდა გორიდან თბილისისკენ მიმავალი ტანკების კოლონა; ბ) პანიკა და ინფორმაციის ნაკლებობა; მაშინ, როდესაც საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ეგონა, რომ რუსების ძირითადი ძალები გორს მიადგნენ, ქალაქს მხოლოდ მცირერიცხოვანი მოწინავე ჯგუფები უახლოვდებოდნენ; გ) საცობები და ქაოსი გზებსა და, ზოგადად, კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე, რაც სატანკო კოლონის შეუფერხებელ გავლას მეტად სათუოს ხდიდა.

**„T-72“-ების შეძენისა და მოდერნიზაციისთვის ქვეყანამ ძალიან დიდი ხარჯი გასწია და მატერიალური ზარალიც შესაბამისი გამოდგა. თუმცა ფულს ვინ ჩივის, დაიღუპნენ ადამიანები; მათ შორის ის ტანკისტები, რომლებიც სარდლობის უხეირობის გამო ცხინვალის ცენტრში ქვეითების მხარდაჭერის გარეშე ჩარჩნენ; ამ დანაკლისს კი ვერაფერი აანაზღაურებს.**

მოამზადა
**გიორგი გიგიბერიამ**

# «ალ-ქაიდა» და «თალიბანი»: დაძაბულობა იზრდება

**როგორც კი საბჭოთა ჯარებმა ავღანეთი დატოვეს, ქვეყანაში ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო, რომელშიც მთელი რიგი შეიარაღებული ფორმირებები მონაწილეობდნენ. დროთა განმავლობაში ამ ფორმირებებმა, ერთის მხრივ, აჰმად შაჰ-მასუდის ხელმძღვანელობით — ზომიერი ისლამური მოძრაობა, ხოლო მეორეს მხრივ, სალაფიტების რადიკალურ ფრთას მიკუთვნებული თალიბანის მოძრაობა წარმოქმნა. ეს ძალები ერთმანეთს დაუპირისპირდა — თითოეული მათგანი მეორის განეიტრალებას ცდილობდა.**



„ალ-ქაიდა“

სავსებით ნათელია, რომ საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლა ის საერთო საქმე იყო, რომელიც ამ ორ მოძრაობას აერთიანებდა. საბჭოთა კავშირთან ომის გამოცდილება ზომიერი იდეოლოგიის წარმოქმნის მიზეზად იქცა, რამაც ზემოაღნიშნულ ძალებს შორის იდეური ბრძოლა გამოიწვია. **ავღანეთში თავისუფლებისთვის მებრძოლებს მკაფიო წარმოდგენა არ ჰქონდათ მომავალ ხელისუფლებაზე, რომელიც შესაძლოა წარმოქმნილიყო, თუკი საბჭოთა ჯარები ავღანეთს დატოვებდნენ. როცა ეს მოხდა, უწინ შეუმჩნეველი წინააღმდეგობანი რადიკალურსა და ზომიერ ფრთას შორის განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა.**

ზომიერი იდეები მხოლოდ ავღანური არ იყო. სინამდვილეში ისინი არაბ მოჯაჰედებში ვრცელდებოდა, რომელთა სათავეშიც სულიერი ლიდერი აბდულა აზამი იდგა. საგულისხმოა, რომ იგი უსამა ბინ ლადენის პირველი მასწავლებელი იყო. მათი გზები ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის შემდეგ გაიყო, როცა აზამმა სამხედრო ოპერაციების ჩატარება შეწყვიტა და ქვეყანა სამართავად მის ხალხს დაუტოვა. აბდულა აზამის შვილის გადმოცემით, მან უსამას უთხრა: **„ჩვენ იმისთვის მოვედით, რომ ავღანელ ხალხს ვემსახუროთ. დაე, მათ თავად განაგონ თავიანთი ქვეყნის საქმეები, ხოლო ჩვენ, თუკი ძალა შეგვწევს, დავეხმარებით.“** სულიერ ლიდერს მხედველობაში ჰქონდა დახმარება ჯანდაცვისა და განათლების სფეროში, თუმცა ბინ ლადენმა ამ გეგმაზე უარი თქვა და რადიკალური სამხედრო ორგანიზაცია „ალ-ქაიდა“ შექმნა.

**პრობლემა ავღანეთში „ალ-ქაიდასა“ და „თალიბანის“ რადიკალური დუეტით არ ამოიწურება — მათ „თალიბანის“ მოძრაობის პაკისტანური შტო შეუერთდა და წარმოიშვა ტრიო, რომელიც კონტროლირებად ტერიტორიაზე შარიათის წესრიგის დამყარებას ცდილობდა.** თუმცა ამ ორ უკიდურეს მოძრაობას შორისაც არსებობს უთანხმოებანი. ავღანური თალიბანი ჰანაფიტური ტიპის ისლამის პროპაგანდას ეწევა და ეთნიკურად პუშტუნური მოძრაობაა. მისი სამხედრო სტრატეგია ავღანეთის საზღვრების მიღმა მოქმედებას არ ითვალისწინებს.

**უწინ ავღანურ სამხედრო შეიარაღებულ ფორმირებებს, უთანხმოების მიუხედავად, საბჭოთა ოკუპაცია აერთიანებდათ. ახლა ამერიკის ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლა აერთიანებთ.**

რაც შეეხება „ალ-ქაიდას,“ ის არავითარ საზღვრებს არ აწესებს. მასში სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურის ხალხი ერთიანდება. ისინი ჰანბალისტური ტიპის ისლამს აღიარებენ.

„თალიბანის“ პაკისტანური შტო თავისი ავღანელი დისგან რელიგიური მსოფლმხედველობით, ნაციონალური შემადგენლობითა და სტრატეგიით არ განირჩევა. თუმცა 2008 წლის ბოლოს მისი სამხედრო სტრატეგია ნაკლებ ერთმნიშვნელოვანი გახდა, როცა რეგიონის ფარგლებს მიღმა თვითმკვლელთა მონაწილეობით ტერორისტული აქტების ჩატარების საფრთხე გაჩნდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ „თალიბანი“ პაკისტანში თავისი მუშაობის მეთოდებს ცვლიდა და მაგალითს „ალ-ქაიდასგან“ იღებდა.

**უწინ ავღანურ სამხედრო შეიარაღებულ ფორმირებებს, უთანხმოების მიუხედავად, საბჭოთა ოკუპაცია აერთიანებდათ. რაც შეეხება ამჟამინდელ ტრიოს („ალ-ქაიდა,“ „თალიბანის“ შტოები ავღანეთსა და პაკისტანში), მათ ქვეყანაში ამერიკის ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლა აერთიანებთ. მაგრამ აქვს კი ადგილი ამ ტრიოში ზომიერსა და პრაგმატულ შეხედულებებს?**

დიახ, აქვს. ზოგიერთი ცნობით, აბდულა ანსი, საბჭოთა ოკუპაციისდროინდელი ერთ-ერთი არაბი მოჯაჰედი, რომელიც აბდულა აზამის ქალიშვილზეა დაქორწინებული, ყვებოდა, რომ „თალიბანის“ ავღანურ შტოში ბევრს ჰქონდა ზომიერი შეხედულებები. ამიტომ იგი იმედოვნებდა, რომ მომავალში სწორედ ისინი გადაჭრიდნენ ავღანეთის მრავალ პრობლემას და „ალ-ქაიდას“ მეთოდების უგულებელყოფისკენ მოუწოდებდნენ. ამავე დროს, **გაეროს უშიშროების საბჭოს ახალი ბრძანებულებით, „თალიბანის“ ის ხუთი ლიდერი, რომლებმაც თავის გამოსვლებში პოლიტიკური ბრძოლის წარმოების გზაზე დადგომისა და ხელისუფლების მშვიდობიანი განაწილებისკენ მოუწოდებდნენ, ტერორისტთა შავი სიიდან ამოიღეს.**

სავსებით ნათელია, რომ „თალიბანის“ ავღანური შტო იდეოლოგიურად ზომიერი მოძრაობაა, რამაც „ალ-ქაიდა“ აიძულა, თავისი პოზიციებისთვის გადაეხედა და ყურადღება ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთის რაიონებისკენ მიეპყრო, სადაც პაკისტანური „თალიბანის“ ბაზებია. ეს იმას ნიშნავს, რომ **„ალ-ქაიდასა“ და „თალიბანის“ იდეური სიახლოვე უკვე არც ისე თვალსაჩინოა, მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობის ყველა წევრმა „მართლმორწმუნეთა მბრძანებელს“ — მოლა ომარს ერთგულება შეჰფიცა.** მეორე მხრივ, პაკისტანური „თალიბანის“ ყოფილი მეთაური ბეითულა მაჰსუდი ბინ ლადენს „ეგზისტენციალურ შიშს“ უჩენს მას შემდეგ, რაც მაჰსუდის სავარაუდო მემკვიდრეებს — ფაკიმ მუჰამედს, ვალი რახმანსა და ჰაკიმოლა მაჰსუდს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა, რომელშიც ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა. ეს ბრძოლა, ეტყობა, „ალ-ქაიდას“ პაკისტანური ბირთვის არსებობაზეც იქონიებს გავლენას, რადგან ხსენებული ორგანიზაცია კიცხავს ქმედებებს, რომლებიც ცნება „დაქსაქსულობას“ გულისხმობს. ეს ყველაფერი „ალ-ქაიდას“ 90-იან წლებში დაემართა, ახლა კი ბინ ლადენი სუდანში გაემგზავრა და პაკისტანში ხელისუფლებისთვის მიმდინარე ბრძოლას „ფიტნა“ („დაქსაქსულობა“ ) უწოდა.



„თალიბანი“

რაკი ჰაკიმოლა მაჰსუდი თავისი უკიდურესი შეხედულებებითა და ზომიერი პოლიტიკის უგულებელყოფითაა ცნობილი, „ალ-ქაიდამ“ თავისი პოზიციების განსამტკიცებლად ზომების მიღება დაიწყო. **ყველა ნიშანი იმაზე მიუთითებს, რომ ჰამამ ალ-ბალავის მიერ ამერიკელების წინააღმდეგ განხორციელებული ბოლო აქცია „ალ-ქაიდას“ ხელწერას ჰგავს.** ხოლო ჰაკიმოლა მაჰსუდის ყოფნა ალ-ბალავის გვერდით მის სიკვდილისწინა ვიდეომიმართვაში მაჰსუდის თავისებური რეკლამაა, რომელიც „მემკვიდრეობის“ კანდიდატთა შორის მიმდინარე ბრძოლის სიმწვავის გაქარწყლებისკენაა მიმართული.

ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ ზემონახსენები „ტრიო“, ყველა შემთხვევაში, იდეოლოგიური უთანხმოებისა და ძალაუფლებისათვის განუწყვეტელი ბრძოლის მიზეზით უთუოდ დაიშლება.

**მამუნ შაჰადა**
**Arabic Media Internet Network**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# IQ ქართულად

**გელათისა და იყალთოს აკადემიები გვქონდა. იოანე პეტრიწი და პეტრე იბერიც გვყავდა. „ვეფხისტყაოსანი“ დავწერეთ. ქართველ მეცნიერებს ციტირების ინდექსი საამაყოდ ჰქონდათ. იყო და არა იყო რა.**



ორიოდ დღის წინათ ახლობელმა დამირეკა და ასეთი ამბავი მომიყვა: „მარშუტკით“ ვმგზავრობდი და ორი კაცის საუბარი მესმოდა. ერთი მეორეს ეუბნებოდა, გაიგე, გამოუცხადებიათ, რამდენიმე დღეში ტემპერატურა სამოცდაათ (70!!!) გრადუსამდე აიწევსო?

**ინტელექტუალური დეფიციტი დღევანდელი საქართველოსთვის ერთ-ერთი ისეთ პრობლემათაგანია, რომლის აღმოფხვრის გარეშე, ქვეყანა ვერ განვითარდება კი არა, უფსკრულისკენ სირბილსაც ვერ შეაჩერებს.** ამავე დროს, როგორ გინდა, „უმკურნალოო“ ადამიანს, რომელიც იჯერებს, რომ ვილაც კრეტინის მიერ ჭორად ნათქვამი ასეთი „ინფორმაცია“, შესაძლოა, სიმართლესთან ახლოს იყოს. არადა, ყველას კარგად მოეხსენება, რამდენია ასეთი „სამკურნალო“. **ხომ ნამდვილად არსებობენ ადამიანები, რომელთაც სჯერათ, რომ გიორგი თარგამაძე არის ოპოზიციონერი, მიშა სააკაშვილი — ჭკვიანი, პატიოსანი, განათლებული (?!) და კარგი ადამიანი, ვაჟკაცობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ;** რომ ჩვენს ყველა უბედურებაში მხოლოდ რუსეთია დამნაშავე, თავად ჩვენ კი გადასარევები ვართ; რომ... თუმცა, გაგრძელება, ალბათ, არც არის საჭირო. ამ ჩამონათვალს ნებისმიერი თქვენგანი კარგად გააგრძელებს.

რამდენიმე წლის წინათ კალიფორნიის ერთ-ერთმა რადიოსადგურმა თავის „იუმორისტულ“ შოუში ასეთი რამ განაცხადა: გვატემალაში მოხდა მიწისძვრა და 20 ათასი ადამიანი დაიღუპა. ეს ხომ ტრაგედიააო. — „წუხდა“ ამერიკული რადიო, — მაგრამ მოდი მოვიშველიოთ ადამიანთა შეფარდების შკალა, რომლის თანახმად, ერთი ამერიკელი უდრის 20 გვატემალელს, მაშინ გამოვა, რომ მხოლოდ ათასი ადამიანი დაღუპულა, ესეც ბევრია, მაგრამ 20 ათასის დაღუპვას ხომ ჯობიაო?

მომდევნო ორი საათის განმავლობაში აღნიშნული რადიოსადგური „დაინგრა“ სატელეფონო ზარებისგან და ლამის მთლიანი პარალიზება მიიღო. თქვენ გგონიათ, აღშფოთებული ადამიანები რეკავდნენ და რადიოს იმას ახურავდნენ თავზე, რასაც ასეთ შემთხვევებში ახურავენ ხოლმე ადამიანს? ნურას უკაცრავად! ადამიანები რეკავდნენ ერთადერთი თხოვნა-შეკითხვით: სად შეიძლება მაგ შკალის მოპოვება ან შეძენაო. ესეც თქვენი ამერიკა. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ **ქ.ვენაში ჩასული ამერიკელი ტურისტები ამ ქალაქის სუვენირების მაღაზიებში, ყველაზე ხშირად, კენგურუს სუვენირს ითხოვენ. უცებ ვერ მიხვდით? არა უშავს. ეს მხოლოდ სიცხის ბრალი არ არის. თქვენი ინტელექტი აღნიშნულს, უბრალოდ, ვერ ჩასწვდა. ტურისტებს თავი ვენაში, ანუ ავსტრ...ალიაში ჰგონიათ ხოლმე. ავსტრია, ავსტრალია — რა მნიშვნელობა აქვს...**

მაპატიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, მაგრამ მე არც ერთი ერის წარმომადგენელთა კრეტინიზმი არ მაინტერესებს, ქართველობის გარდა. **მინდა, რომ ჩემმა ერმა გაახილოს თვალი, გაანძრიოს ტვინი და არ თქვას, რომ „გიორგი თარგამაძე ამას არ იზამდა“** (საუბარია პატარკაციშვილისთვის ღალატზე), **რომ მისი ტვინის ხვეულებმა გონებრივი მსჯელობის შედეგად „ამოაგდოს“ სენტენციები — ნოღაიდელი არ შეიძლება იყოს ოპოზიციონერი და, თუ არის, არც ამას აქვს რაიმე მნიშვნელობა; ჩვენ ცუდად ვცხოვრობთ არა იმიტომ, რომ კარგები ვართ და მთელი მსოფლიო გვებრძვის, არამედ სწორედ იმიტომ, რომ ხან ჭკუა არ გვყოფნის, ხან — ვაჟკაცობა, ხან — გამძლეობა, ხან – სამივე ერთად.**

რატომ ვერ იქნა და ვერ შევიმუშავეთ ჩვენი ქვეყნის განვითარების კარგი მოდელი და რით ველარ დავდექით ფეხზეო, — გაიგონებთ ხშირად. **როგორ დავდგებით ფეხზე, ჩემო კარგებო, როცა ნახევარი ქვეყანა „გრეჩიხებს“ დაჰყვებოდა ცხვარივით და ხელში იტაცებდა, სამტრედიაში რკინიგზას კეტავდნენ და, ჩვენ დავანგრიეთ საბჭოთა კავშირიო, იძახდნენ... თურმე იოდის როგორი დეფიციტი ყოფილა ქვეყანაში...**

ასეა თუ ისე, მხოლოდ ვაი-ვიშით ქვეყანა არასოდეს აშენებულა. პრობლემა პრობლემაა, მაგრამ მას გადაწყვეტა სჭირდება, გადამწყვეტი კი არავინ ჩანს. ჰოდა, სანამ ეს პრობლემა მოგვარებულა, დროა, თავს მივხედოთ, რამდენიმე დღეში ტემპერატურა 70 გრადუსამდე აიწევსო, ამბობენ.

# ოდესღაც ზრდილობა ყოფილა საქართველოში...

**უწინ ქართველებს რა კარგი და ჯიშიანი ცხენები გყავდათ და რა უყავით? – უკითხავს ერთ უცხოელს ჩვენი თანამემამულისთვის. იმ ცხენებზე ის უწინდელი ქართველები შესხდნენ და წავიდნენ. ახლა აღარც ცხენები გვყავს კარგი და აღარც — ქართველებიო, — იყო პასუხი.**

იმისა რა მოგახსენოთ, კარგი ქართველები ჯერ კიდევ შემოგვრჩა თუ არა (შემორჩენით კი შემოგვრჩა, რა თქმა უნდა, საქმე მხოლოდ რაოდენობაშია), მაგრამ არც ისე შორეული წარსულის ქართველობისთვის დამახასიათებელი ბევრი თვისება რომ უკანმოუხედავად ჩაბარდა წარსულს და თითქმის აღარავის ახსოვს, ამაში, ალბათ, არავინ შემეკამათება.

**ვის შეუძლია თქვას, უკანასკნელად როდის მოისმინა სიტყვა „თავმდაბლობა“? გაგიჭირდებათ გახსენება? საქმეც ესაა.** სიტყვის გახსენებაც კი ჭირს და წარმოგიდგენიათ, იმის გახსენება რომ დავიწყოთ, ასეთ ქმედებას როდის შევესწარით უკანასკნელად? ან როდის თქვა თუნდაც ჩვენი უახლოესი გარემოცვიდან ვინმემ სხვა ადამიანზე – ის ჩემზე უკეთესია და ჩემზე მეტს იმსახურებსო?

**ძნელია, როცა უზნეოებს უყურებ და ხვდები, რომ დღეს ქვეყანა ამათია**

ისე, იმდენად ნიჭიერები გამოვდექით ქართველები, შუალედური ვარიანტის გამონახვაც კი მოვახერხეთ თავმდაბლობასა და „მანია გრანდიოზას“ შორის. **ადამიანს თუ პარლამენტარობა მოუნდა, იმას კი არ ამბობს, მე ძალიან კარგი ვარ და „იქ“ ყოფნა ჩემთვისაა გამოწერილიო. არა, სრული გულწრფელობით კითხულობს – იქ ვინცაა, ჩემზე უკეთესი რითიაო? და ცამდე მართალიცაა, – არც არაფრით.**

ძველ საქართველოში, თუნდაც ერთი-ორი ათეული წლის წინათაც, ხშირად წააწყდებოდით ისეთ მოვლენას, რომელსაც „უფროსის პატივისცემა“ ერქვა. ეს ცნება არ გულისხმობდა მხოლოდ ტრანსპორტში ამოსული ხანდაზმული ადამიანისთვის ადგილის დათმობას. პატივისცემა იყო მთავარი — ახალგაზრდა ადამიანი შინაგანად გრძნობდა, რომ ასაკოვანს მასზე გაცილებით მეტი გამოცდილებაც ჰქონდა ცხოვრებაში და მასზე მეტიც ნანახი (კარგიც და ცუდიც), მომავალი თაობების აღზრდაშიც წვლილი მიუძღოდა და, მეტ-ნაკლებად, სხვადასხვა სფეროშიც ეთქმოდა ერთი-ორი სიტყვა. **ეს ფუფუნება წარსულს ჩაბარდა, დღევანდელი ხელისუფლება კი გრეჩიხას გაპრეზიდენტებას უფრო დათანხმდება, ვიდრე უფროს-უმცროსობის აღდგენას. ეს თინეიჯერები ხომ სწორედ იმით ყოყლოჩინობენ, ჩვენა ვართ, რაცა ვართო, 40 წელზე ასაკოვანი ხეც კი არ გვინდაო, ამბობენ და უფროსის პატივისცემას მოსთხოვ ამათ?**

რაც შეეხება ისეთ არქაულ ცნებას, როგორიცაა სინდისი, უმეტესობამ ამ სიტყვის მნიშვნელობა საერთოდ არ იცის და, ვინც იცის, იმასაც ხვდება, რომ თავისთავად ეს ცნება კი არის კარგი, მაგრამ დღეს ისეთი ცხოვრებაა, რომ, სჯობს, ეს სინდისი, ცოტა არ იყოს და, მიაძინო, თორემ დაიღუპები, ჩაგძირავენ და ჩაგწიხლავენ... ყველაზე ეს, რა თქმა უნდა, არ ითქმის, **ბევრია ადამიანი, რომლებმაც ვერც უზნეობა იკადრეს, ვერც უტიფრობა და ვერც უკადრებელის კადრება, სწორედ იმიტომ, რომ სინდისმა არ მისცა ამის უფლება, მაგრამ ისიც ყველამ იცის, რომ ყველაზე მეტად სწორედ ასეთ ხალხს უჭირს** არა მხოლოდ მატერიალურად და პროფესიულად, არამედ, პირველ ყოვლისა, მორალურად. **ძნელია, როცა უზნეოებს უყურებ და ხვდები, რომ დღეს ქვეყანა ამათია;** ამათი, ანუ შუბლისძარღვგაწყვეტილთა, **რომ მათ გადმოცემითაც კი არ იციან, რა არის სინდისი** ან საიდან უნდა იცოდნენ, როცა ოჯახში არ აღზრდილან. ოჯახებში კი წინა საქართველოში ზრდიდნენ, დიდი ხნის წინათ.

# ვართ თუ არა «პაკაზუხები»?

**იმ უაზრო ნაკლოვანებებს შორის, რომლებიც ჩვენდა სავალალოდ გვჭირს და რომელთაგან გათავისუფლებაც დღემდე ვერ მოგვიხერხებია (სხვა საკითხია, რეალურად გვინდა კი გათავისუფლება?), ერთ-ერთი მთავარი ისაა, რომ ჩვენი ქმედების უმეტესი ნაწილი სხვათა დასანახად არის გამიზნული და არა იმისთვის, რომ ამის გაკეთება რეალურადაა კარგი ან საჭირო.**

თემა ერთობ საკამათო და არაერთგვაროვანია, მაგრამ, ალბათ, ოდესმე მაინც მივალთ საერთო აზრამდე, ანუ იქამდე, რომ ეს მავნე ჩვევები ნელ-ნელა, მაგრამ მაინც მოისპოს. დღეს კი პარადოქსული ვითარებაა – ვისაც არ უნდა ჰკითხო, **პრობლემის აქტუალურობას ყველა აღიარებს, მანკიერი ჩვევების აღმოფხვრის აუცილებლობაში ყველა დაგეთანხმებათ, მაგრამ... შემდეგ მოდის ტრადიციული მარაზმი: „რა გინდა, რომ ქნა, ტრადიციაა ასეთი“.**

სტუმარს გადავყვებით და თავზე გადავევლებით. ქართველს თავზე გადავუვლით. სუფრაზე ძარღვებს დავიბერავთ, ყველამ კარგად რომ დაინახოს, როგორი კარგები და ყველანაირი ამქვეყნიური სიკეთით შემკულნი ვართ, ავდგებით ამ სუფრიდან და, ვისაც ყველაზე მეტად ვეფიცებოდით სიყვარულს, იმას ვუყრით დანას.

**თუ რამე ცუდი მოხდება ქვეყანაში, ის კი არ გვაღელვებს, რატომ მოხდა და რა უნდა გაკეთდეს, რომ მომავალში მაინც აღარ განმეორდეს, არა, მხოლოდ ის გვაინტერესებს, რას იტყვის „ამაზე“ რუსეთი და რატომ არ აღელვებს „ეს“ ამერიკას.**

არც ფრაზა „შევრცხვით შუაგულ ევროპაშიო“ არის შემთხვევითი და მხოლოდ იუმორისტული დატვირთვის მატარებელი. **ჩვენ, უპირველესად, სწორედ ის გვაინტერესებს, რას იტყვიან ჩვენზე უცხოები თუ უცხოელები, და არა ის, ქართველი რას ფიქრობს ქართველზე.** როგორ, თუ საქართველოში ჩამოსული უცხოელი სცემეს ან გაძარცვესო?! გეგონება, ქართველის ცემა და გაძარცვა სასახელო და მამულიშვილური საქმე იყოს და მხოლოდ უცხოელის ცემა იყოს დაუშვებელი და გასაკიცხი.

ისე, ერთხელ ერთმა ნაცნობმა მკითხა და ვერაფერი ვუპასუხე (რა დაგიმალოთ და, ამ საკითხზე პასუხი არც დღეს მაქვს) — **ჩვენ თუ „პაკაზუხები“ არ ვართ, გაფიცებ, ამიხსენი, რატომ უნდა მოგვინდეს ადამიანს ფეხის წვერებზე ცეკვა?**

გვერდი მოამზადა **არჩილ ჩხარტიშვილმა**

## მოკლედ



### ბიძინა ივანიშვილი — მილიარდელთა სიაში

**ჟურნალმა „Forbes“-მა მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების სია გამოაქვეყნა. სიის მიხედვით, ქართველი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი პოსტსაბჭოთა სივრცეში მცხოვრები უმდიდრესი ადამიანების ათეულში მესამე ადგილზეა. ჟურნალის მონაცემებით, ივანიშვილის ქონება 4,8 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.** „Forbes“-ის ინფორმაციით, პოსტსაბჭოთა სივრცის ყველაზე მდიდარი ადამიანია რუსი ბიზნესმენი ვლადიმირ ლისინი, რომელიც 15,8 მილიარდ აშშ დოლარის კაპიტალს ფლობს. სიაში 5,2 მილიარდი აშშ დოლარით მეორე ადგილი დაიმსახურა უკრაინელმა ბიზნესმენმა რინატ ახმეტოვმა. ყაზახეთის ყველაზე მდიდარი ადამიანი ვლადიმირ კიმა 3,8 მილიარდ დოლარს ფლობს.



### „ტექნო ბუმის“ დამფუძნებელი დააპატიმრეს

**თბილისის საქალაქო სასამართლომ „ტექნო ბუმის“ დამფუძნებელს, „ელიტელექტრონიქსის“ ყოფილ მმართველს, ბიზნესმენ ანზორ ქოქოლაძეს 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.** სამართალდამცავებმა ანზორ ქოქოლაძე განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულადი თანხის — 7 მილიონზე მეტი ლარის თაღლითურად მითვისების ბრალდებით 3 აგვისტოს დააკავეს. გამოძიების მტკიცებით, ბიზნესმენმა 2008-2009 წლებში სხვადასხვა უკანონო გარიგების საფუძველზე თაღლითურად აარიდა თავი სახელმწიფოსა და კრედიტორთა წინაშე ვალდებულებების შესრულებას.



### ხიროსიმა

**იაპონიაში მშვიდობის პარკში შეკრებილმა საზოგადოებამ, რომელთა შორის ქალაქ ხიროსიმას ატომური დაბომბვის შედეგად დაზარალებული ადამიანები, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ნაოტო კანი და 74 ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ, ტრაგედიის 65-ე წლისთავი აღნიშნა.** ცერემონიაში მონაწილეობა პირველად მიიღეს გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა და აშშ-ის ელჩმა იაპონიაში ჯონ რუსმა. პან გი მუნმაც საზოგადოებას ბირთვულ იარაღზე უარის თქმისკენ მოუწოდა. ამერიკელებმა ხიროსიმაში ურანის ბომბი 1945 წლის 6 აგვისტოს ჩამოაგდეს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მოლაპარაკე თოჯინები

**ჰიტლერსა და მის გენშტაბს კარგად ესმოდათ, რომ დასავლეთ ევროპა რომც დაეჩოქებინათ, ინგლისი ნაცისტების ბატონობას საფრთხეს შეუქმნიდა. ისიც ჩინებულად იცოდნენ, რომ, სანამ ინგლისს აშშ და კანადა ეხმარებოდნენ, მას ვერ დაამარცხებდნენ. ამიტომაც დასავლეთში ჰიტლერისთვის იმაზე მნიშვნელოვანი პრობლემა არ იდგა, ვიდრე — ატლანტის ოკეანეში ინგლისის ფლოტისთვის გერმანიის წყალქვეშა ნავების დაპირისპირება.**

ომამდე რამდენიმე წლით ადრე დასავლეთის ნახევარსფერო გერმანიიდან ბევრი ჯაშუშის შეჭრის ობიექტად, ხოლო ლათინური ამერიკა ავანპოსტების შექმნის ბაზად იქცა, რომელთა მიზანიც ომის დროს დანარჩენი სამყაროსგან დიდი ბრიტანეთის იზოლაცია იქნებოდა. ლათინურ ამერიკაში ნაცისტებს გერმანელი ნაციონალისტების მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ, რომელთაგან ბევრი ჰიტლერის ფანატიკოს მომხრედ იქცა. გარდა ამისა, რამდენიმე ლათინურ-ამერიკულ ქვეყანაში ფაშისტური რეჟიმი სუფევდა.

გერმანიის ელჩი ბუენოს-აირესში, ბარონი ედმუნდ ფონ ტერმინი სინამდვილეში მეორე იყო მათ შემდეგ, ვინც იქაურობას რეალურად მართავდა. ესენი კი **გერმანიის სადაზვერვო ორგანიზაციის ხელმძღვანელი მუშაკები: ჰანს ვაზემანი და ერიხ ოტო მაინენი იყვნენ, რომლებიც გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდლის, ადმირალ ერიხ რედერის ქალიშვილთან, უმშვენიერეს ანიტა რედერ-ი-რისტელთან თანამშრომლობდნენ.**

ომამდე რამდენიმე წლით ადრე ანიტა რედერი ავანტიურისტ ლუიჯი რისტელს მისთხოვდა და მასთან ერთად ჩავიდა ლათინურ ამერიკაში. ომის დასაწყისში იგი გერმანიის ჯაშუშობაში დაადანაშაულეს და, ბრიტანეთის საელჩოს მოთხოვნით, გვატემალიდან გააძევეს. ანიტა ბუენოს-აირესში გადასახლდა და რეგიონული რეზიდენტი გახდა. იმ დროს დოქტორი ქრისტიან ცინზერი სადაზვერვო ქსელს ხელმძღვანელობდა ბოლივიაში, ჰანს მიულერი — კოლუმბიაში, ოსკარ ჰელმუტი — ვენესუელაში. **ერთხელ ანიტამ „ჯაშუშური იმპერიის“ ამ წერტილების ინსპექტირება გადაწყვიტა და „მივლინებაში“ წავიდა, რამაც მის შემდგომ მოვლენებში საბედისწერო როლი ითამაშა.**

ანიტას მთავარი ამოცანა მოკავშირეთა ხომალდების გადაადგილების შესახებ ინფორმაციის მოპოვება იყო. **ცნობილია, რომ ატლანტის ოკეანეში გერმანელებისთვის მართვის სადავეების ხელიდან გამოგლეჯა ძვირი დაუჯდათ, მაგრამ ცოტამ თუ იცის, როგორ ახერხებდნენ გერმანელი ჯაშუშები თითქმის დაუბრკოლებლად ინფორმაციის გადაცემას, რამაც ატლანტის ოკეანისთვის ბრძოლაში სასწორის პინა კინაღამ გერმანელების მხარეს გადაწონა. გერმანულმა დაზვერვამ ინგლისისკენ მიმავალი ხომალდების მიმოსვლის განრიგი და ატლანტის სანაპიროზე მათი პორტებიდან გასვლის დრო იცოდა. ინგლისი კი, მიუხედავად უზარმაზარი სადაზვერვო ქსელისა, თითქმის უმწეო იყო ამ საფრთხის წინაშე.** თუმცა რაღაცაში ინგლისელებს ბედმაც გაუღიმა. **სულელური ინციდენტის წყალობით, რომელიც უბრალო საფოსტო გაუგებრობამ გამოიწვია, მოკავშირეთა კონტრდაზვერვა კვალში ჩაუდგა შეთქმულებას, რომელმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.**

აშშ-დან არგენტინაში გაგზავნილ ამანათში რამდენიმე ლამაზი თოჯინა და პატარა ბარათი იდო. მიმღებს ატყობინებდნენ, რომ მალე თოჯინების კიდევ ერთ კოლექციას მიიღებდა. ამანათი ნიუ იორკიდან ჩავიდა ბუენოს-აირესში, ავენიდა ო'ხიჩინეზე მცხოვრები სენიორა ინესა დე მოლინალის სახელზე და უკან დააბრუნეს აღნიშვნით: „ადრესატი უცნობი მიმართულებით გაემგზავრა. დაუბრუნდეს გამომგზავნს“. ამ პატარა შემთხვევას დიდი ალიაქოთი მოჰყვა. ეს შემთხვევა კი ანიტა რედერ-ი-რისტელის, რომელიც სწორედაც რომ „სენიორა მოლინალი“ იყო, ხელქვეითების უხეში შეცდომის შედეგი იყო. იგი სხვა ქვეყნებში რეზიდენტურების გაკონტროლებას ცდილობდა, რის გამოც იმხანად ბუენოს-აირესში არ იმყოფებოდა და მნიშვნელოვანი გზავნილიც ვერ მიიღო.

ამერიკის ფოსტა გამგზავნისთვის ამანათის დაბრუნებას შეეცადა, მაგრამ რაკილა შეფუთვაზე მისი მისამართი ვერ აღმოაჩინა, ამანათი ნიუ იორკის საფოსტო ბიუროში გახსნეს. შიგნით ბარათი ნახეს, სადაც ეწერა, რომ გამგზავნი ოჰაიოში, სპრინგფილდში მცხოვრები მის მერი უოლესი იყო და ამანათიც მას გაუგზავნეს. შინაბერა მის უოლესი საშინლად აღშფოთდა: მას არასდროს არაფერი სმენოდა სენიორა მოლინალის შესახებ. თოჯინებს კი ბავშვობიდან აგროვებდა და 200-ზე მეტი თოჯინისგან შემდგარი მშვენიერი კოლექციაც ჰქონდა, მაგრამ იგი არასდროს ყიდდა მათ და მით უმეტეს, ექსპორტირებას არ ახდენდა არგენტინაში.

როცა პოლიციამ ეს ამბავი შეიტყო, დაეჭვდა და საქმე გფბ-ს გადაუგზავნა, სადაც ამ ამბის გამოძიება სპეციალისტ-ანალიტიკოსებს მიანდეს. მათაც ყურადღებით წაიკითხეს ბარათი, რომელშიც რამდენიმე საინტერესო ფრაზა აღმოაჩინეს. მაგალითად: „ბოლო ხანებში მისტერ შოუ ავადმყოფობდა, მაგრამ განკურნების შემდეგ სამსახურში დაბრუნდება“, ანდა ფრაზა ვინმე ლუიზაზე, რომელიც თურმე შორეულ მოგზაურობაში გაეშურა, ან თოჯინაზე, რომელიც ირლანდიელ მეთევზეს წააგავდა, ვისი „ბადეც გადაკეთებას საჭიროებდა“.



**დიდი სამეულის შეხვედრის თეირანში გამართვის შესახებ გერმანელებმა პირველად სწორედ მისის დიკინსონის ამანათით შეიტყვეს.**

**ანალიტიკოსებმა ინტუიციით დაასკვნეს, რომ „მისტერ შოუ“ — ბრძოლებში ახლახან დაზიანებული კრეისერი „შოუ“, „ლუიზა“ — რეიდში მყოფი კრეისერი „ლუსივილი“, ხოლო მეთევზე თავისი ბადით — ხომალდსაწინააღმდეგო ბადით აღჭურვილი ავიამზიდი იყო, რომელიც ირლანდიის ზღვისკენ გაეშურა.**

ნიუ იორკში, მედისონსკვერზე მდებარე მოდურ მაღაზიას, რომლის მფლობელიც ახალგაზრდა ქვრივი ვალვალი დიკინსონი იყო, ამშვენებდა აბრა: „უცხოური და ადგილობრივი ანტიკვარული თოჯინები“. ვაჭრობას კარგი შემოსავალი მოჰქონდა. მისის დიკინსონის სეიფში 4000 დოლარი იდო და ამასთან, იგი საიუველირო ნაკეთობებსა და ფასიან ქაღალდებსაც ფლობდა. ერთიანობაში კი ეს 100.000 დოლარს შეადგენდა.

მისის დიკინსონი თოჯინების დიდ სპეციალისტად ითვლებოდა, თუმცა ისინი სათამაშოები კი არა, ხელოვნების ნამდვილი ნიმუშები იყო. საწყობში ათასობით თოჯინა იდო, მათ შორის, დიკინსონის ხელნაკეთიც. **აქ ნახავდით ფრანგი მეფეების სამოსში გამოწყობილ თოჯინებს, გეიშებს, კრინოლიან ლედებს, აფრიკელ და სამხრეთ ამერიკელ თოჯინებს, უნგრელ ჰუსარებს, იაპონელ გრანდებს, ირლანდიელ მწყემსებს.**

ეს ჩინებული ბიზნესი იყო, რადგან ბევრი მდიდარი ამერიკელი თოჯინების კოლექციას აგროვებდა და მზად იყო, დიდძალი ფული გადაეხადა შედევრებში. მაგრამ **მისის დიკინსონმა ქონების დიდი ნაწილი თოჯინების გაყიდვით კი არა, იმით იშოვა, რომ მათ ლაპარაკი ასწავლა.** და საერთოდაც, ეს ვალვალი დიკინსონი კი არა, მალვინა ფონ ბლიუხერი იყო, იმ ცნობილი გერმანელი ფელდმარშლის, ფონ ბლიუხერის შთამომავალი, ვატერლოოსთან ნაპოლეონთან ერთად რომ იბრძოდა.



**გფბ-ს დირექტორმა ედგარ გუვერმა განკარგულება გასცა, „ამოეღოთ ყველა წერილი, რომლებშიც თოჯინები იყო მოხსენიებული“.**

მალვინა უფროსი ნაცისტი თანამშრომელი იყო, რომელიც ნიუ იორკში ანიტა რედერ-ი-რისტელმა გაგზავნა. იგი ბუენოს-აირესის რეზიდენტურას ემორჩილებოდა და თავის საყვარელთან, ჰერმან ვერნერთან ერთად მუშაობდა, რომელიც თავს ფიზკულტურის ინსტრუქტორად ასაღებდა და ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სკოლაში ოფიცრებს ასწავლიდა.

ომის დროს აგენტების ყველაზე რთული ამოცანა ინფორმაციის მოპოვება კი არა, მისი დანიშნულების ადგილამდე მიტანაა. შეიძლება ითქვას, რომ დაზვერვის ისტორია ინფორმაციის კოდირებისა და გადაგზავნის ისტორიაა. **მალვინა ფონ ბლიუხერმა და ანიტა რედერმა დაზვერვის ისტორიაში ადგილი იმ ბრწყინვალე კოდით დაიმკვიდრეს, რომელიც მანამდე არავის გამოუყენებია. მათ მიერ მოპოვებული ინფორმაცია ავიაფოსტით დაუბრკოლებლად იგზავნებოდა ნიუ იორკიდან ბუენოს-აირესში (იქიდან კი რადიოთი — ბერლინში) თოჯინებისა და ბარათების დახმარებით.** გზავნილები საქმიან კორესპონდენციას ჰგავდა, რომელიც თოჯინებით ვაჭრობას ეხებოდა. ამანათებსა და ბარათებს მისის დიკინსონის კლიენტების მისამართები ჰქონდა დართული. მალვინა იმედოვნებდა, რომ, თუ რაიმე მიზეზით ამანათი უკან დაბრუნდებოდა, ის თოჯინების კოლექციონერთა ხელში მოხვდებოდა, რომლებიც გზავნილს მალვინას დაუბრუნებდნენ. მალვინა კი კლერკის შეცდომის გამო მოიბოდიშებდა... სრულიად შემთხვევითი იყო, რომ მისის უოლესი ამანათის მიღებამ აალელვა და ალიაქოთი ატეხა, რადგან მალვინა ფონ ბლიუხერს არაერთხელ გამოუყენებია მისი მისამართი.



**მალვინა ფონ ბლიუხერმა და ანიტა რედერმა დაზვერვის ისტორიაში ადგილი იმ ბრწყინვალე კოდით დაიმკვიდრეს, რომელიც მანამდე არავის გამოუყენებია.**

**ერთხელ ამანათში სტალინის, რუზველტის, ჩერჩილისა და სპარსი მეომარის ოთხი თოჯინა იდო. ეს თეირანის კონფერენციის წინა დღეს მოხდა. ნაცისტურმა სპეცსამსახურებმა იცოდნენ, რომ შეხვედრა მზადდებოდა, მაგრამ ვერ დაედგინათ, სად. სავარაუდოდ, კონფერენციის ადგილის შესახებ გერმანელებმა პირველად სწორედ მისის დიკინსონის ამანათით შეიტყვეს.**

თავდაპირველად გფბ-ს აგენტებმა ეჭვი მისის უოლესზე მიიტანეს, მაგრამ, როცა მან თქვა, რომ ზოგიერთ თოჯინას ნიუ იორკში, „დიდ ოსტატთან“ ყიდულობდა, მისის დიკინსონის მაღაზიაზე მეთვალყურეობა დააწესეს და მაშინვე დაიწყეს მალვინას ფოსტისა და ამანათების შემოწმებაც. გფბ-ს დირექტორმა ედგარ გუვერმა განკარგულება გასცა, „ამოეღოთ ყველა წერილი, რომლებშიც თოჯინები იყო მოხსენიებული“. ათი ათასობით უწყინარ წერილს შორის მალვინას ბარათებიც აღმოჩნდა, რომლებსაც იგი ნიუ იორკში აგზავნიდა. ფონ ბლიუხერმა იეჭვა, რომ უთვალთვალებდნენ და გადაწყვიტა, კლივლენდში გერმანიის სადაზვერვო ქსელის ერთ-ერთ ხელმძღვანელს შეხვედროდა. კლივლენდში ჩასულმა კი აღმოაჩინა, რომ მასპინძელი კალიფორნიაში გამგზავრებულიყო და დაედევნა, ყოველი სადგურიდან SOS-ბარათების გაგზავნა დაიწყო ამისთვის წინასწარ გათვალისწინებულ მისამართზე, მაგრამ, რაკი წერილებში მუდამ „თოჯინურ ენას“ იყენებდა, მისი ყველა გზავნილი დააკავეს. **გფბ-ს აგენტებმა მალვინას კონტაქტები დაადგინეს, „თოჯინების ენა“ გაშიფრეს და მისის დიკინსონი გუვერს მიჰგვარეს.** შტაბბინაში მალვინამ ყველაფერი აღიარა და საკუთარი ქონების გადასარჩენად ყველა თანამზრახველი დაასახელა.

**სასამართლო სხდომაზე პროკურორმა ერთ-ერთი ამანათის „ენა“ გაშიფრა. გზავნილში 31 თოჯინა იდო, რომელთაგან 27 ირლანდიურ კოსტიუმებში გამოეწყოთ, ერთი ინდიელების ბელადს განასახიერებდა, ორი — ინგლისელ მეომარს და ერთიც – ნორვეგიელ მეთხილამურეს, რაც შემდეგს ნიშნავდა: კრეისერი „პრეზიდენტი ჰარდინგი“ გააცილებს 27 ხომალდის კონვოის, რომლებიც ორი ინგლისური კრეისერითა და ნორვეგიული ტრანსპორტით („ლეპელი“) ირლანდიაში მიემართებიან. გასვლის თარიღი, ამანათის მიხედვით, 13 ან 14 აპრილი უნდა ყოფილიყო.**

მალვინამ ყველაფერი აღიარა, მაგრამ მოსამართლემ გულცივად მიიღო ეს აღიარება, რადგან მალვინას საქმიანობის წყალობით, არაერთი ხომლადი და ათასობით სიცოცხლე დაიღუპა... ომის კანონების მიხედვით, ელექტროსკამის ნაცვლად, მას მხოლოდ 10-წლიანი ციხე მიუსაჯეს.

მოამზადა
ნანა ჩარკვიანმა

11 — 17 აგვისტო, 2010 წელი. №30 (73)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# რუჰოლა მუსავი ჰომეინი — «დიდი ცივილიზაციის» მირაჟის პირისპირ

**რუჰოლა (სპარსულად „ალაჰის სულს“ ნიშნავს) ჰომეინი 1900 (სხვა მონაცემით — 1898 წელს) დაიბადა თეირანის სამხრეთით მდებარე ქალაქ ჰომეინში. მამა ადრე გარდაეცვალა, 15 წლისას კი დედაც დაეღუპა. ჯერ ჰომეინის, შემდეგ კი შიიტების ვატიკანის — ქალაქ ყუმის რელიგიურ სკოლებში სწავლობდა, სადაც საცხოვრებლად დარჩა და ირანის ყველაზე ავტორიტეტულ რელიგიურ სასწავლო დაწესებულება ფაიზიიეშიც ასწავლიდა.**





ჰომეინის სიკვდილის შემდეგ მასზე ბავშვები ლოცულობდნენ

30-იან წლებში ჰომეინი შაჰის რეჟიმის რეპრესიებს შეეჯახა, რომელიც სასულიერო ფენის დამორჩილებას ლამობდა, მას კი ლექციების ჩატარება აუკრძალა, თუმცა რუჰოლა იატაკქვეშ მაინც განაგრძობდა საქმიანობას და ასობით თანამოაზრე და მიმდევარიც გაიჩინა, რომლებიც, მასწავლებლის მსგავსად, ქვეყნის ყველა უბედურებას მონარქიას აბრალებდნენ. 1963 წელს ჰომეინიმ აშკარად გაილაშქრა შაჰის მიერ გამოცხადებული „თეთრი რევოლუციის“ წინააღმდეგ, რომელიც აგრარული რეფორმის გატარებასა და ქალებისთვის საარჩევნო უფლების მინიჭებას ითვალისწინებდა. იგი ორჯერ დააპატიმრეს, მაგრამ ვერ გააჩუმეს. **საბოლოო ანგარიშსწორებას კი იმიტომ გადაურჩა, რომ სასულიერო ფენამ იგი „დიადი აიათოლას“ რანგში აიყვანა. ამ წოდებას სულ ათიოდე შიიტი რელიგიური მოღვაწე ატარებდა და ის შაჰის რეჟიმის იურისდიქციისგან თავისუფლებას უზრუნველყოფდა.** ახალი სასულიერო წოდება ჰომეინის საშუალებას აძლევდა, ირანის შიიტური თემის ხელმძღვანელი გამხდარიყო.

1964 წელს ჰომეინი ამერიკელი სამხედროებისათვის ირანში დიპლომატიური ხელშეუხებლობის სტატუსის მინიჭების წინააღმდეგ გამოვიდა, რის გამოც თურქეთში გაასახლეს. 11 თვის შემდეგ იგი ერაყში გადავიდა და თავშესაფარი შიიტების წმინდა ქალაქ ნეჯებში პოვა, სადაც პოლიტიკურ-რელიგიური მოღვაწეობის გაგრძელებას გეგმავდა. რუჰოლა უწინდებურად ლექციებს კითხულობდა რელიგიურ სასწავლო დაწესებულებაში და ისლამის „ჭეშმარიტი განმარტებისა“ და ისლამური ლიდერის როლის კონცეფციას ამუშავებდა.

**აიათოლას აზრით, ისლამი „ისლამური რევოლუციის“ იდეოლოგიად უნდა აღორძინებულიყო. ამასთან, იგი დიდ დროს უთმობდა ახალი „ისლამური მმართველობის“ კონცეფციის დამუშავებასაც.** მას სწამდა, რომ შაჰის რეჟიმის აბსოლუტურ ძალაუფლებას მხოლოდ ნგრევა, გარყვნილება და კორუფცია მოჰქონდა, რადგან ეს კერპთაყვანისმცემლობის ფორმა, ღმერთის ერთიანობის იდეის ცოდვიანი უარყოფა იყო. ამიტომაც ამ რეჟიმთან არავითარ კომპრომისებზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა. ერთადერთი გამოსავალი მონარქიის „ისლამური რესპუბლიკით“ შეცვლა იყო, სადაც მთავარი ყურანის, მუჰამედ მოციქულისა და ალი იმამის მიერ დადგენილი წმინდა კანონის უზენაესობა იქნებოდა.

ჰომეინი მალულად აგზავნიდა ირანში თავის გზავნილებს, რომლებსაც ამრავლებდნენ და მეჩეთებში ავრცელებდნენ. ერთ-ერთ ქადაგებაში აიათოლა შაჰს 1971 წელს ირანის მონარქიის 2500 წლისადმი მიძღვნილი დღესასწაულისთვის აკრიტიკებდა, რომელიც ქვეყანას მილიონობით დოლარი დაუჯდა. 1977 წელს კი ჰომეინიმ ირანის არმიას მოუწოდა, სამშობლო „შაჰის ჭირისაგან“ გაეთავისუფლებინა. ეს წერილი ასობით ათას ეგზემპლარად გადაამრავლეს და ფართოდ გაავრცელეს.

**მონარქი მუჰამედ რეზა-შაჰი კი ამასობაში „თეთრი რევოლუციის“ იდეებს ავითარებდა „შუა საუკუნეებიდან ბირთვულ საუკუნეში“ ირანის გადასაყვანად და ამბიციური გეგმებით მთვრალი ვერც კი ამჩნევდა, როგორ უთხრიდა ძირს თავისივე ხელისუფლებას. „თეთრი რევოლუციის“ კერპსა და „დიდი ცივილიზაციის“ მირაჟებს ჰომეინიმ ისლამამდელი საზოგადოების მისეული იდეალი დაუპირისპირა, სადაც საზოგადოების ყველა ფენა ძმებივით, ერთიან მუსლიმანურ თემად იცხოვრებდნენ.** ჰომეინის გარშემო საერთო იდეოლოგიურ პლატფორმაზე ათობით მილიონი ადამიანი გაერთიანდა საზოგადოების სხვადასხვა ფენიდან, რადგან აიათოლას მიერ წამოყენებული „სამართლიანი ისლამური წყობის“ ლოზუნგი ყველასთვის მიმზიდველი იყო.

**1978 წლის მიწურულს ჰომეინი რევოლუციის უხორცო სიმბოლოდან მის რეალურ ბელადად გადაიქცა და მდუმარედ დათანხმდა, რომ მისთვის იმამი ეწოდებინათ, რაც ირანული შიიზმის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა იყო.**

ძლიერმა, საზოგადოების ფენების თვალსაზრისით, უპრეცედენტოდ ფართო საერთო დემოკრატიულმა მოძრაობამ 1979 წლის 16 იანვარს აიძულა შაჰი, ირანის საზღვრები დაეტოვებინა და, როგორც აღმოჩნდა, სამუდამოდ. ხოლო ორი კვირის შემდეგ ჰომეინი ტრიუმფით დაბრუნდა ქვეყანაში.



ჰომეინი საფრანგეთში, თეირანში დაბრუნებამდე

ახლა მთავარი იყო პოლიტიკური ზეწოლის მეთოდებით ხელისუფლების მშვიდობიანად შეცვლის უზრუნველყოფა მოეხდინათ. ამიტომ აშშ-ის წარმომადგენლებს — მათი სამხედრო და სამოქალაქო პერსონალისა და საიდუმლო სამხედრო ტექნიკის უსაფრთხოების, ხოლო ირანის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსს, გენერალ აბას ყარაბაღს უმაღლესი ოფიცრობის ხელშეუხებლობისა და არმიის ერთიანობის შენარჩუნების გარანტია მისცეს.

9 თებერვალს დედაქალაქში, ჰომეინისა და მისი შტაბისთვის მოულოდნელად, შეიარაღებული აჯანყება დაიწყო, რომელიც სამხედრო-საჰაერო ძალების საწვრთნელ ბაზაზე შაჰის „უკვდავთა“ გვარდიის თავდასხმამ გამოიწვია. 10 თებერვალს თეირანის მშრომელებმა, მემარცხენე ორგანიზაციების საბრძოლო რაზმებთან ერთად, „უკვდავებს“ უძლიერესი დარტყმა მიაყენეს. 11 თებერვალს, დილიდანვე აჯანყებამ ქალაქის მთელი მოსახლეობა მოიცვა. **მეამბოხეებმა პოლიციისა და ჟანდარმერიის მთავარი სამმართველოების, ციხეების, მეჯლისის, რადიო და ტელევიზიის შენობები და შაჰის სასახლეები აიღეს. მდგომარეობა ქალაქის ქუჩებში იმამის კონტროლს აღარ ემორჩილებოდა.**

იმავე დღეს ირანის უმაღლესმა სამხედრო საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო, მიმდინარე მოვლენებში შეიარაღებული ძალების „ნეიტრალიტეტის“ შენარჩუნების, „ხალხის მოთხოვნის“ მხარდაჭერისა და ყაზარმებში ჯარების დაბრუნების შესახებ. ამავე დროს ახალმა პრემიერ-მინისტრმა ბაზარგანმა, რომელიც აიათოლამ ჯერ კიდევ 5 თებერვალს დანიშნა, სახელმწიფო ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს ორგანოებზე კონტროლის დამყარება დაიწყო. თვითონ იმამმა ორჯერ მიმართა ხალხს და სიმშვიდისა და წესრიგის შენარჩუნებისკენ მოუწოდა.

12 თებერვალს ჰომეინი და მისი თანამოაზრეები მართვის ყველა ბერკეტს ფლობდნენ. ახალმა პრემიერმა მთავრობაში ახალი დანიშვნების შესახებ გამოაცხადა, სადაც არც ერთი მშრომელი ან მემარცხენე ძალების წარმომადგენელი არ მოხვედრილა. **ჰომეინიმ, რომელიც ფართო უფლებამოსილებებით ირანის ფაქტობრივი მმართველი გახდა, სრული და საბოლოო გამარჯვება მოიპოვა თავის დაუძინებელ მტერზე — შაჰ მუჰამედ რეზა-ფეჰლევიზე.**

1979 წლის 1 მარტს, როცა თეირანში მეტ-ნაკლებად წესრიგი დამყარდა, იმამმა დედაქალაქი დატოვა და ყუმში გადასახლდა. აქ, პატარა სახლში, თითქმის უავეჯო ოთახში, ხალიჩაზე მჯდომი იმამი სტუმრებს, მათ შორის, ოფიციალურ უცხოურ დელეგაციებს მასპინძლობდა. **ამიერიდან ყველა გზა ყუმში, ქვეყნის ფაქტობრივი მმართველის ადგილსამყოფელისკენ უნდა წასულიყო.**

ჰომეინიმ ირანში „ალაჰის მმართველობის“ დასაწყისი გამოაცხადა, ხოლო ქვეყანას ოფიციალურად ეწოდა ირანის ისლამური რესპუბლიკა. ქვეყანაში გაჩნდა მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები, ასოციაციები, ჯგუფები, თუმცა ჰომეინი არც ერთ მათგანს აშკარად მხარს არ უჭერდა. ამგვარად, **დაძაბული შიდაპოლიტიკური ბრძოლის პერიპეტიებში იგი ყოველთვის ახერხებდა მისთვის ყველაზე მომგებიან პოზიციაში აღმოჩენას, რაც საშუალებას აძლევდა, მუდამ გაუსვრელ „ნაციის მამად“ დარჩენილიყო, რომელიც მის გარშემო დახლართული ინტრიგებისგან დაღლილი, მაგრამ მათზე პასუხისმგებელი არამც და არამც არ იყო.** ამიტომ იმამის ავტორიტეტსა და უფლებამოსილებაზე იმთავითვე არავინ დავობდა, ცალკეული მემარცხენე ლიბერალური და ექსტრემისტული ჯგუფების გარდა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ „გვირგვინის ტირანიას“ „ჩალმის ტირანიაზე“ არ გაცვლიდნენ. მათ მხარს უჭერდა ნაციონალურ უმცირესობათა ზოგიერთი რელიგიური და პოლიტიკური ორგანიზაცია, განსაკუთრებით კი — სუნიტი ქურთები, რის გამოც მათ მიმართ მკაცრი რეპრესიები გატარდა. შედეგად, მემარცხენე ლიბერალური ოპოზიცია სრულებით გაქრა ირანის პოლიტიკური არენიდან, ხოლო ქურთისტანში ხანგრძლივი გამოუცხადებელი ომი დაიწყო.

**იმავე დროს მეჩეთებში უზარმაზარი არაფორმალური ორგანიზაციის — „ალაჰის პარტიის“ („ჰეზბოლაჰი“) მკაცრად კონსპირაციული შტაბბინები იქმნებოდა, რომლებიც რელიგიურ ფანატიკოსებს აერთიანებდა.**

1979 წლის ნოემბერში რელიგიურ ლიდერთა მოწოდებით გამართულმა სტუდენტურმა დემონსტრაციებმა ანტიამერიკული მიმართულება მიიღო. 4 ნოემბერს მუსლიმან სტუდენტთა ჯგუფმა, ჰომეინის კურსის მიმდევრებმა თეირანში ამერიკის საელჩოს თანამშრომლები მძევლად აიყვანეს და ირანისთვის ყოფილი შაჰის გადაცემა მოითხოვეს. პრემიერი ბაზარგანი იძულებული გახდა, გადამდგარიყო, რის შედეგადაც მართვის სადავეებს მთლიანად ისლამური მოძრაობა დაეუფლა. **1979 წლის 3 დეკემბერს რეფერენდუმმა დაამტკიცა „ისლამური კონსტიტუცია“. ჰომეინი ირანის დე იურე სამუდამო მმართველი გახდა.** რეფერენდუმის დასრულებისთანავე მან დარჩენილი ლიბერალური ძალები გაანადგურა, რომლებიც ბაზარგანის გადადგომის შემდეგ პოპულარული დიადი აიათოლას — შარიათ-მადარის გარშემო გაერთიანდნენ (შარიათ მადარი პოლიტიკაში სასულიერო ფენის აქტიური მონაწილეობის წინააღმდეგ გამოდიოდა). 1979 წლის დეკემბერში მის მომხრეთა გამოსვლები ირანის აზერბაიჯანში ჩაახშვეს, ხოლო თავად შარიათ-მადარი სიკვდილამდე შინაპატიმრობაში იმყოფებოდა. რეპრესიების ტალღა სხვა სასულიერო პირებსაც შეეხო.

1980 წლის 22 სექტემბერს ერაყის არმია ირანში, ჰუზესტანის პროვინციაში შეიჭრა და მოკლე ხანში სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. 1982 წლისათვის ირანმა დაიბრუნა ერაყის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები, რის შემდეგაც მხარეებმა დამქანცველი და გამომფიტავი ომი გააგრძელეს, რომელსაც ჰომეინიმ „ისლამსა და ღვთისგმობას შორის წმინდა ომი უწოდა“. **ასობით ირანელმა ბიჭუნამ სიცოცხლის ფასად განაღმა ველები ჰომეინის მოწოდების საპასუხოდ, რადგან მიაჩნდა, რომ ამ გზით სამოთხეში მოხვდებოდა. ირანმა ამ ომში მილიონამდე კაცი დაკარგა.**

მრავალი სიცოცხლე შეიწირა ტერორის ტალღამაც, რომელიც რეჟიმისა და მემარცხენე ოპოზიციის დაპირისპირების შედეგად აზვირთდა. შეიარაღებულ ოპოზიციასთან საბრძოლველად **ჰომეინიმ ქვეყნის მთელი მოსახლეობა უშიშროების ორგანოების მოხალისე ინფორმატორებად აქცია. მშობლების მიერ შვილების, ძმების მიერ დებისა და თითოეული მათგანის მიერ ნათესავების, მეზობლების, მეგობრების დასმენა ნაციონალური და რელიგიური მოვალეობის რანგში ავიდა.**

1989 წლის იანვარში ჰომეინიმ ყველა უწინდელი გამოსვლის საწინააღმდეგოდ განაცხადა, რომ სახელმწიფოს ძალაუფლება არ უნდა შეიზღუდოს ღვთის მიერ დადგენილი წესებით, რადგან სახელმწიფოს მართვა ყველა რელიგიურ მოვალეობაზე (მათ შორის, ლოცვაზე, მარხვაზე, მოლოცვაზე) მაღლა დგას. თუ ამ მოვალეობების შესრულება „ისლამის ინტერესების“ საწინააღმდეგო იქნება, სახელმწიფოს შეუძლია მათი აკრძალვა, რადგან ხელისუფლება „ისლამის კანონზე“ მნიშვნელოვანია.

**90 წელს მიტანებული ჰომეინი 1989 წლის 3 ივნისს გარდაიცვალა.**



1978 წლის ზაფხული თეირანში

# ტიმოთი მაქუეის ლეგენდა

**1995 წლის 19 აპრილს ლექსინგტონსა და კონკორდთან ამერიკის მიერ ბრიტანელი ოკუპანტების წინააღმდეგ გამართული პირველი ბრძოლის 220 წლისთავზე აშშ-ის სპეცნაზის ყოფილმა სერჟანტმა ტიმოთი მაქუეიმ ოკლაჰომა-სიტის ადმინისტრაციულ შენობასთან მანქანა მიაყენა, სალონიდან გადმოვიდა და იქაურობას გაეცალა. 9 საათსა და 2 წუთზე კი მძლავრი აფეთქების ხმამ გარემო შეაზანზარა, დაიღუპა 168 და დაიჭრა 500 კაცი.**



ტიმოთი მაქუეი



ტიმოთი მაქუეის დაკავება



მაქუეის ინტერვიუ ფედერალურ ციხეში რობ ნაიტთან და სტეფან ჯონსთან



მაქუეი ფედერალურ ციხეში

მაქუეი მომხდარიდან საათნახევარში დააპატიმრეს. მანქანა, რომელშიც მაქუეიმ ბომბი დატოვა, სიტიში გამვლელებმა დაიმახსოვრეს და მოკლე ხანში სამართალდამცავებმა ფოტორობოტიც შეადგინეს. **მაქუეი ჯერ იარაღის უკანონო შენახვისა და მანქანის გადაჭარბებული სიჩქარით მართვისთვის, შემდეგ კი, ფოტორობოტთან შედარებისას, აშშ-ის ისტორიაში ყველაზე დიდი ტერაქტის ჩადენისთვის დააკავეს.**

ტიმოთი მაქუეი ქალაქ პენდლტონში ხელმოკლე ოჯახში იზრდებოდა. დედ-მამასთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. მშობლები ერთმანეთს მაშინ დაშორდნენ, როცა ტიმოთი 16 წლისა იყო. კოლეჯი მალე მიატოვა, სხვადასხვა სამუშაოს მიჰყო ხელი, მაგრამ დიდხანს ვერსად გაჩერდა. 1988 წელს, 20 წლისა არმიაში წავიდა. მისი თქმით, ეს საუკეთესო წლები იყო მის ცხოვრებაში. იგი სპარსეთის ყურეში გაჩაღებულ ომში მონაწილეობდა და ასეულის საუკეთესო ჯარისკაცად ითვლებოდა. ვადამდე სერჟანტიც გახდა და 6 ორდენი და მედლები მიიღო.

**1993 წლის 19 აპრილს, ტეხასის შტატის ქალაქ უეიკოში გფბ-ის თანამშრომლებმა და არმიის ქვედანაყოფმა „დელტამ“, საერთო რიცხოვნობით 700 კაცმა, დევიდ კორეშის რანჩოში რამდენიმე ნაგებობა დაწვეს, სადაც თავად პატრონი და სექტა „დავითის შტოს“ კიდევ 85 წევრი იმყოფებოდა. ხანძარს თავი 9 ადამიანმა დააღწია, ხოლო 75 კაცი, მათ შორის ქალები და ბავშვები, ცეცხლში ჩაიფერფლა. აღსანიშნავია, რომ აშშ-ის ხელისუფლება „დავითის შტოს“ ტერორისტულ ორგანიზაციას უწოდებდა და ხანძრის გაჩენაშიც დევიდ კორეში დაადანაშაულა.**

თავად ტიმოთის აღიარებით, სწორედ ფედერალური მთავრობის ამ არნახულმა ძალადობამ აშშ-ის რიგით მოქალაქეებზე, უბიძგა მას სისტემის წინააღმდეგ ბრძოლისკენ. არადა, ოკლაჰომაშიც ისევე დაიღუპნენ ბავშვები, როგორც კორეშის რანჩოში (თუმცა მაქუეი ირწმუნებოდა, რომ არ იცოდა, ფედერალურ შენობაში პატარა საბავშვო ბაღი თუ იყო განთავსებული. თორემ სხვა სამიზნეს აირჩევდა). მაშინ ერთ-ერთი ამერიკული ჟურნალი წერდა:

„2001 წლის 11 ივნისს, 7 საათსა და 14 წუთზე, ტიმოთი მაქუეი, 1995 წლის 19 აპრილს ოკლაჰომა-სიტიში მოწყობილი აფეთქების ორგანიზატორი, რომლის შედეგადაც 168 კაცი, მათ შორის 19 ბავშვი დაიღუპა, ქალაქ ტერე-ჰოტის ციხეში სიკვდილით დასაჯეს“.

**ამერიკელები შოკში ჩავარდნენ, რადგან ტერაქტი რომელიმე ისლამელმა ტერორისტმა კი არა, „ტიპიურმა“ საშუალო ამერიკელმა, ერაყის ომის ვეტერანმა მოაწყო, რომელსაც მთელი გულით სძულდა თავისი მთავრობა.**

მაქუეის სიკვდილით დასჯას რამდენიმე მოულოდნელობა მოჰყვა. ტერაქტს სასწაულით გადარჩენილებსა და დაღუპულთა ნათესავებსაც საკუთარი თვალით სურდათ ეხილათ მაქუეის სიკვდილი, რათა მის თვალებში ჩაბუდებული შიში ეხილათ ან მონანიების სიტყვები მოესმინათ. ამის მსურველი გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ფედერალურ ციხეში მოწმეთათვის გათვალისწინებული ადგილები იყო. მაშინ მაქუეიმ ადგილობრივი გაზეთისთვის გაგზავნილ წერილში განაცხადა, რომ ამ პრობლემის ერთადერთი გონივრული გადაწყვეტილება ვიდეოკამერით მისი ცხოვრების უკანასკნელი წუთების აღნიშვნა იქნებოდა. მთავრობამ სიკვდილით დასჯის ტრანსლაციის ნება დართო, თუმცა ჩანაწერის გაკეთება კატეგორიულად აკრძალა.

**თავად მაქუეიმ სიკვდილით დასჯაზე მსოფლიოში ცნობილი მწერალი გორ ვიდალი მიიწვია, რომელმაც არა მარტო მიიღო ეს მოწვევა, არამედ განაცხადა, რომ, როგორც ისტორიკოსი, ამ მოვლენას ჟურნალ „Vanity Fair“-ში („ამაოების ბაზარი“) აღწერდა.**

სპეციალურ სავარძელზე მოთავსებულმა მაქუეიმ დამსწრეთა იმედები არ გაამართლა: არც შიში გამოუხატავს და არც — სინანული. ბევრს დღესაც მიაჩნია, რომ ეს სიკვდილით დასჯა-შოუ დიდი შეცდომა იყო, რადგან ტიმოთი მაქუეი ამის წყალობით წამებულ გმირად და მისი იდეების მიმდევართა მისაბაძ მაგალითად იქცა. **იგი ხომ თავის საქციელს დანაშაულად კი არა, ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლად, ამერიკის მთავრობისთვის ომის გამოცხადების აქტად განიხილავდა.**

მაინც რამ ჩამოუყალიბა ტიმოთი მაქუეის ამგვარი მსოფლმხედველობა, რომელსაც, უნდა ითქვას, რომ მილიონობით ამერიკელი იზიარებდა? როგორც უკვე ვთქვით, **1991 წელს იგი სპარსეთის ყურეში იბრძოდა და სწორედ ამ ომის მოვლენებმა მკვეთრად შეცვალა ჯარისკაცის ფსიქოლოგია. მაქუეი მოწმე იყო, ამერიკული ბომბებითა და ჭურვებით, თითქმის წინააღმდეგობის გაუწევლად, როგორ იღუპებოდნენ ერაყელები. ერაყს სუდანი, შემდეგ ავღანეთი და იუგოსლავიაც მოჰყვა. მაქუეის თქმით, სწორედ არმიამ ასწავლა ადამიანური ემოციების „გამორთვა“ და „სიკვდილის მანქანად“ გადაქცევა.**

ვაშინგტონისთვის ომის გამოცხადებისკენ მას კიდევ ორმა ტრაგიკულმა ინციდენტმა უბიძგა: 1992 წელს ქალაქ რუბი-რიჯში ფედერალურ აგენტებსა და თეთრკანიან სეპარატისტ რენდი უივერს შორის გამართულმა სროლამ, რომლის შედეგადაც უივერის ცოლ-შვილი დაიღუპა, და 1993 წელს უეიკოში 80 სექტანტის ცოცხლად დაფერფვლამ. **ამგვარად იქცა სპარსეთის ყურეში გამართული ანტიტერორისტული ოპერაციის გმირი ჯალათად.**

მას განსაკუთრებით სძულდა გფბ უკონტროლო სისასტიკისა და თვითნებობისათვის. ბედის ირონიით, უსაფრთხოების ყოვლისშემძლე სამსახურების სწორედ ამ თვისებებმა იჩინა თავი მაქუეის სიკვდილით დასჯამდე და შემდეგაც. პირველ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ გფბ-მ მაქუეის ადვოკატებს დოკუმენტების 4400 ფურცელი დაუმალა, რის გამოც სიკვდილით დასჯა მაისამდე გადაიდო და მაქუეის სიცოცხლე 26 დღით გაუხანგრძლივდა. ხოლო 21 ივნისს სენატორმა პატრიკ ლიჰმა სიტყვით გამოსვლისას გფბ უმართაობასა და უპასუხისმგებლობაში დაადანაშაულა, რის შემდეგაც იუსტიციის მინისტრმა ჯონ ეშკროფტმა გამოძიების ფედერალური ბიუროს საქმიანობის ყოველმხრივი შემოწმების დაწყება გამოაცხადა. ამას მიეძღვნა სპეციალური საკომიტეტო მოსმენები სენატში, **მანამდე კი ჯორჯ ბუშმა გფბ-ის დირექტორი ლუის ფრი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა და მის ნაცვლად რობერტ მიულერი დანიშნა.**

2001 წლის 11 ივნისს ტიმოთი მაქუეი სასიკვდილო ინიექციის მისაღებად სამედიცინო მაგიდაზე დაწვა. სიკვდილით დასჯა სამ ეტაპად მიმდინარეობდა: მაქუეის ვენაში სამი ხსნარი შეუყვანეს: პირველმა მას ცნობიერება წაართვა, მეორემ ფილტვების მუშაობა შეწყვიტა, ხოლო მესამემ გული გააჩერა. **სიკვდილის წინ ტიმოთიმ XIX საუკუნის ინგლისელი პოეტის უილიამ ჰენლის ლექსის — „დაუმარცხებლის“ სტრიქონების ციტირება მოახდინა:**

**„მე ჩემი ბედის მბრძანებელი ვარ და ჩემი სულის კაპიტანი...“**

იმავე წლის 11 სექტემბერს, ტიმოთი მაქუეის დაბადების დღეს, უცნობმა პირებმა მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის თვითმკვლელი იერიშისას ზენაციონალური ფინანსური ოლიგარქიის სიმბოლო გაანადგურეს. ეს ორი მოვლენა ერთმანეთს თითქოსდა მისტიკურად გადაეჯაჭვა...



მაქუეის მიერ აფეთქებული ფედერალური შენობა ოკლაჰომა სიტიში



11 სექტემბრის ტერაქტი

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ცხენი შეკაზმულია...

**სოფელი ბოსლები, რომელიც დმანისისაკენ მიმავალი გზიდან ჩრდილოეთით მდებარეობს, მაშავერასთან ერთად, იმ დასახლებებს განეკუთვნება, სადაც უძველესი ქართული მოსახლეობა ცხოვრობს. ერთი ესაა მხოლოდ, რომ XIX საუკუნეში აქ მოღვაწე ტერტერებმა ხალხის, უმთავრესად კი ბავშვების, მონოფიზიტური წესით ნათლობა დაიწყეს და ისინი სომხური ეკლესიისაკენ მიდრიკეს. გასული საუკუნის 80-90-იანი წლებიდან ბოსლელებმა მასობრივად დაიწყეს მართლმადიდებლური დედაეკლესიის წიაღში დაბრუნება და ეს პროცესი დღეს უკვე დასრულებულია.**

## დბანისხევი





ბოსლების „სამება“, XII საუკუნე



200-კომლიან სოფელში, რომელიც გაშენებულია ლუკუნის მთის კალთებიდან ჩამომდინარე ხევის ორსავ მხარეს, უმეტესად ცხოვრობენ ფოლადაშვილები, ყულიაშვილები, ურუმაშვილები, პაპიაშვილები, ნონიაშვილები და სხვანი. ზოგიერთი გვარის შორეული წინაპარი, როგორც ამას აქაურები ამბობენ, საინგილოდან მოსულან. თუ უფრო ძველი დროც გვაინტერესებს, მის შესახებ წერილობითი ცნობა მხოლოდ 1536 წლიდან მოგვეპოვება და იგი დაკავშირებულია ჩვენთვის კარგად ცნობილ ამბავთან — ბარათაშვილთა დიდი სახლის გაყოფასთან. ბოსლების ხევი, მიმდებარე სოფლებთან ერთად, იოთამ ბარათაშვილს რგებია წილად. 1707 წელს აქაურობის ბატონ-პატრონად ვახუშტი ყაფლანიშვილი გვევლინება, რომელსაც 1721 წლისათვის 1 მემამულე (ოღუზაშვილი), 15 გამომღები და 3 ბოგანო ყმა-კომლი ჰყოლია.

უშუალოდ სოფელში, ხევის მარცხენა ნაპირზე, სასაფლაოზე დგას სულ ახლახან აღდგენილი წმ. გიორგის მცირე დარბაზული საყდარი, ნაგები დიდი და მცირე უხეში ფორმის, ლოდებით. საკურთხევლის აფსიდში ორი მცირე ნიშია, კარი კი — არქიტრავული. დარბაზი ნათდება 2 ვიწრო სარკმლით, რომლებიც შიგნით ფართოვდება და გრძელდება. საყდარი ადრეშუასაუკუნეების ძეგლს წააგავს.

ბოსლების მეორე ეკლესია აქედან ჩრდილოეთით, კაკლიანისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არის, მაგრამ ამ გზით ვერ მიუახლოვდებითო, გვაფრთხილებენ ბოსლელები და ზემო მხრიდან შემოვლას გვირჩევენ. და აი, მანქანით ტყისპირა მდელოს მივყვებით, გვირილებისა და ესპასეტების ზღვაში მივცურავთ. საჭესთან მჯდომი გერონტი კაჯილაშვილი ჩვენს გაფრთხილებას, რომ ამ ზღვაში მეჩეჩებიც შეიძლება იყოს წვეტიანი ლოდების სახით, ყურადღებას არ აქცევს — სამოთხეში სიკვდილზე არავინ დარდობსო. შესაძლოა, მშვენიერების ამ განცდით მიღებული დიდი ემოციის შედეგი იყო, რომ ეკლესიის დანახვისთანავე ადგილზე გავშეშდით — თაფლში ნაღველი გაერია. **წარმოიდგინეთ: უკვდავების მაძიებელი გილგამეში წარღვნას გადარჩენილი უთნაფიშთის სანახავად თეთრ და ცისფერ ზღვებს გადალახვს, წალკოტებსაც გაივლის და უკვდავი, გმირი წინაპრის ნაცვლად დასახიჩრებულ, ხეიბარ და სულთმობრძავ ბერიკაცს ნახავს.**

ორი კვირით ადრე ქციისა და ყარაბულახის შესართავთან საგანგებოდ აფეთქებული „ლამაზსაყდრის“ ხილვის შემდეგ თუ კიდევ რამე აღმაშფოთებდა და გამაოცებდა, ვერ ვიფიქრებდი. ბოსლებში უარესი ვნახე. აქაურ ვანდალებს, ჩანს, ტროტილი არ ჰქონიათ, მაგრამ წერაქვებითა და ძალაყინებით შეიარაღებულები მოსულან, თან კიბეც მოუტანიათ, რომ ტაძრის ზედა ქვებს იოლად მისწვდომოდნენ. ვინ იცის, მაღალი ხარაჩოებიც კი მოარგეს შენობას, რომ კარიბჭის მონგრევის შემდეგ, თამარისდროინდელი კალატოზის გათლილი ქვების ჩამოცლა დაეწყოთ. სად წაიღებდნენ მათ, თუ არა რომელიმე ხიდის ან კანტორის ასაშენებლად? აქა-იქ, ალბათ, სახლებშიც წაარბენინეს. ტაძრის ქვედა რეგისტრებში შემორჩენილ ერთ ქვას ახლაც ეტყობა ძალაყინის ნაკვალევი. ჩანს, ველარ მოერივნენ ან რაღაც „სიგნალი“ მიიღეს და აქაურობას გაეცალნენ. ასეა გადარჩენილი, ალბათ, 4-5 სადა ფილა, ზეძირკვლის ქვები, სამხრეთ სარკმლის სამკაულებიანი საპირე და აღმოსავლეთ კედლის უნიკალური, 6-მეტრიანი ნიშების ნახევარი, პილასტრების ნაწილი...

უნდა ითქვას, რომ ასე მდიდრულად გაფორმებული ფასადური ნიშები არც ერთ დარბაზულ საყდარს არ აქვს ჩვენში და დიდ, გუმბათიან ტაძრებშიც იშვიათობაა (ყინწვისი, წულრუღაშენი, ფიტარეთი). ბოსლების „სამების“ ესოდენ მდიდრულად გაფორმებული აღმოსავლეთ ფასადი კლდის პირზე გადის და მხოლოდ ტაძრის გარშემოვლისას თუ დააკვირდები. ახლა წარმოვიდგინოთ, რაოდენ მშვენიერი იქნებოდა დასავლეთის და მეტადრე სამხრეთის ფასადი, რომელიც სამკაულთა შადრევანში ჩაძირული კარიბჭით შეეგებებოდა მრევლს. წარმოვიდგინოთ ყოველივე ეს და დავრწმუნდებით, რომ **ბოსლების „სამება“ XII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების უიშვიათესი ნიმუში იყო.**

ეკლესიის მთავარი დარბაზის ზომები გარედან 11,5X5,8 მ-ზეა. რამხელა იყო სამხრეთის კარიბჭე, გაურკვეველია, ჩრდილოეთიდან მიდგმული ეკვდერის შიდა ფართი კი 16 კვ. მეტრია. ახლა ეკვდერისგან მხოლოდ 2 მეტრის სიმაღლის კედლებია გადარჩენილი. მოხატული იყო თუ არა იგი, ძნელი სათქმელია, მაგრამ მთავარი დარბაზი რომ ფრესკებით იყო მორთული, ეს უდავოა. მათი კვალი ყველაზე მეტად აფსიდში შეიმჩნევა.

შეიძლება თუ არა „სამების“ აღდგენა? შეუძლებელი არაფერია, მაგრამ ამ შემთხვევაში დიდი სახსრებია საჭირო, რადგან ეკლესია ლამის ხელახლაა ასაშენებელი. ვეჭვობ, ამის მოთავე კაცი გამოჩნდეს დღეს ჩვენში.

ბოსლებიდან დასავლეთით, ლუკუნის მთების სამხრეთ კალთებზე შეფენილია სოფელი შინდლარი და მისი VII საუკუნის მცირე, ერთნავიანი ტაძარი, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში აღუდგენიათ. იგი ორსაფეხურიან ზეძირკველზე დგას და ნაგებია რუხი და ოქროსფერი ქვის თანაბარი ზომის, არაწესიერი მართკუთხედის ფორმის კვადრებით. აღსანიშნავია, რომ ძირითადი დარბაზი რუხი ქვითაა ნაშენი, სამხრეთის სტოვა კი — ოქროსფერით. სტოვაში შესასვლელი მის დასავლეთ მონაკვეთშია გაჭრილი და ერთ სვეტზე დაყრდნობილ ორთაღედს წარმოადგენს. ამ თაღების შეერთებაში მცირე ჯვარია ჩასმული. საკურთხევლის აფსიდი და თაღ-კამერები ნალისებრი შემოწერილობისაა, მთავარ დარბაზში შემავალი კარი კი ორივე მხრიდან არქიტრავული. მის ზევით, ოდნავ აღმოსავლეთით, როგორც ეს ამ ეპოქის ტაძრებს შეეფერება, დიდი, მართკუთხა სარკმელია დატანებული.

შინდლარიდან ცენტრალურ გზაზე ჩამოვდივართ, დმანისს ვტოვებთ და, სანამ ხელოვნური ტბის ბოლოში შეფენილ შახმარლოში შევიდოდეთ, შორიდანვე ვამჩნევთ ამ სოფლის ყველაზე შესამჩნევ ადგილზე, ბორცვზე მდგარ ძველ ნაგებობას. შახმარლოში რატომღაც მიწა ძალიან ჭირს და ეკლესიის ეზოს ნაწილი რომელიღაც გაჭირვებულს გამოუყენებია.

თითქმის ყველა დანგრეულ ეკლესიაში საკურთხევლის აფსიდი და კონქი ბოლომდე ფეხზე დგას ხოლმე, აქ კი პირიქით მომხდარა — სწორედ აფსიდია ჩამოშლილი, დანარჩენი კედლები კი კაპიტელების დონემდეა შენარჩუნებული. დარბაზული ტაძარი, რომელიც სიგრძეში 11 მეტრს აღწევს, სიგანეში კი 6 მეტრს აჭარბებს, ნაგებია წმინდად გათლილი რუხი ბაზალტის დიდი კვადრებით, რომლებიც ერთმანეთს ძალიან მჭიდროდ ეკვრის. ზოგან ამ რუხ კვადრებს მოყვითალო ელფერი დაჰკრავს, ზოგან — ლურჯი. ტაძრის პერანგი, ჩამოქცეულ აღმოსავლეთ მხარეს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ხელუხლებელია. შიდა სივრცე დაყოფილია 3 ნაწილად: საკურთხევლად და კიდევ ორ პირობით მონაკვეთად, რომელთაც სამსაფეხურიანი პილასტრები და მათი შემწეობით შექმნილი გრძივი კედლების დეკორატიული, წყვილ-წყვილი თაღები ქმნიან.

პილასტერთა კაპიტელები თხელი რელიეფებით — ნახევარწრეებითა და სამკუთხედებით, ზოგან კი პარალელური ბურცობებითაა გაფორმებული. მორღვეულ აფსიდთან დგას ოდინდელი ტრაპეზის ქვა, რომელსაც წინა მხარეს ჯვარი აქვს გამოსახული. მის ქვევით ასომთავრული ქართული გრაფემები ბჟუტავს: **„ქრისტე, შეიწყალე სოფრონ“.**

ტაძარს 5 სარკმელი ჰქონია. ამათგან 2-ის მორთულობა იდენტურია — ორმაგი წნული ლილვის არშია და ზედა ნაწილში ამ არშიებიდან გამოსული ქუსლები, რომელთაგან ერთ-ერთზე ე.წ. ბოლნური ჯვარი ზის. გარდა ამისა, დასავლეთ სარკმლის მარცხნივ არის ერთსტრიქონიანი წარწერაც **„ქრისტე შეიწყალე ცხოვრება“.** ცხოვრება, ალბათ, ხუროთმოძღვარი იყო. ტაძრის ერთადერთი, სამხრეთის კარი შიგნიდან თაღოვანია, გარედან — არქიტრავული. ბალავარზე არის 3-სტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა: **„ქრისტე, სახელითა ღმრთისაითა, აშენდა ესე ეკლესია ხელითა გლახაკისა სიმონ მღუდელისა სალოცველად ძისა დავით მეფისა და შვილთა მათთა. დაიდვა წმიდაი ბალავარი დავით მეფის ცოდვათა შესანდობად“.** ვინ არის ეს დავითი? დავით დიდი, აღმაშენებელი თუ ტაშირ-ძირაგერტის კვირიკიანი მეფე დავითი (991-1048 წწ.)? თუ საქმე ამ უკანასკნელთან გვაქვს, რომელიც ქართულ წყაროებში „სამშვილდარად“ „ძორაგერტელად“, და „უმიწაწყლოდ“ იხსენიება, მაშინ ტაძარი 1040 წლის შემდეგ უნდა იყოს აგებული. საქმე ისაა, რომ ტაშირ-ძირაგერტის დროებითი სამეფოს ცენტრი სწორედ ამ დავითმა გადმოიტანა სამშვილდეში, 1040 წელს კი, ქართული სამეფოს დახმარებით, დმანისის არაბი ამირა აბუ-სუარიც დაამარცხა. ეს ის პერიოდია, როცა ბაგრატ IV არაბი ამირების წინააღმდეგ მებრძოლ ლიპარიტ IV ბაღვაშს უდგას კრიჭაში. დავით ძორაგერტელმა, ეტყობა, მცირე ხნით დმანისიც დაიკავა, მაგრამ 1066 წელს ვარაზ-ბაკურ გამრეკელმა სომხები დმანისიდანაც განდევნა და სამშვილდიდანაც.

**აქ ვასრულებთ თხრობას დბანისხევისა და ზურტაკეტის ძეგლებზე. მოვდივართ შახმარლოდან და ტაძარს მოდარაჯედ იქვე მდგარ უზარმაზარ (მგონი, საქართველოში უდიდეს) ქვის ცხენს ვუტოვებთ. ჩვენ ამ ცხენზე შეჯდომა მხოლოდ მასშტაბის დასადგენად გამოვიყენეთ, თორემ ჭეშმარიტ მხედარს მამულის გადასარჩენად საქართველო, აკი დიდი ხანია, ეძებს. არადა, შახმარლოს ცხენი შეკაზმულია...**

**გელა ქოქიაშვილი**

ავტორის ფოტოები



შინდლარის საყდარი, VIIს.



შახმარლოს ტაძარი, XI ს.



შახმარლოს ცხენი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი — რუსეთის პირველი გენერალ-ფელდცეიხმეისტერი

**იმერეთის სამეფოს უფლისწული, ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი იმპერატორ პეტრე პირველის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი იყო. მამამისმა, გარეშე მტერთაგან დევნილმა არჩილ მეორემ პეტერბურგში დააარსა ქართველთა პირველი კოლონია, საიდანაც დაიწყო ალექსანდრე ბატონიშვილის ძნელბედობით აღსავსე ცხოვრება. ის იყო უაღრესად განათლებულ პიროვნება. ალექსანდრე ბაგრატიონმა პეტრე პირველთან ერთად იმოგზაურა ევროპის ქვეყნებში, სადაც სრულყოფილად დაეუფლა საარტილერიო საქმეს. საგულისხმოა, რომ ქართველი უფლისწული გახდა რუსეთის პირველი გენერალ-ფელდცეიხმეისტერი (არტილერიის უფროსი). იგი აქტიურად მონაწილეობდა შვედეთთან წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში, სადაც 1700 წელს ტყვედ ჩავარდა და წლების განმავლობაში საპყრობილეში მოუხდა ყოფნა. შვედები მის გათავისუფლებაში ათ ტონა ოქროს ითხოვდნენ. თვით ალექსანდრე არ წავიდა რუსეთისთვის არახელსაყრელ გარიგებაზე. 1710 წელს მისი გათავისუფლება მაინც მოხერხდა, მაგრამ მძიმედ დაავადებული გენერალი გზაში გარდაიცვალა. ალექსანდრე ბატონიშვილის, ისევე, როგორც სხვა ქართველ სამხედრო მოღვაწეთა ბიოგრაფიული ცნობები, საგანგებოდ მხოლოდ რუსული წყაროებიდან გვაქვს ამოკრეფილი. ამ წყაროებში ნათლად და მკაფიოდ ჩანს რუს ისტორიკოსთა ხაზგასმული პატივისცემით აღსავსე დამოკიდებულება, ქართველ მეომართა როლისა და მნიშვნელობის ობიექტური გაანალიზებისა და შეფასების სურვილი.**

**უფრო მეტიც, თანამედროვე რუსული წყაროები პეტრე ბაგრატიონს „რუსული არმიის ლომს“ უწოდებს, ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილი, ვისთვისაც პეტრე პირველმა გენერალ-ფელდცეიხმეისტერის წოდება შემოიღო, რუსული არტილერიის მამად არის მიჩნეული.**





ალექსანდრე კოცებუ, „ბრძოლა ნარვასთან“

პეტრე I, არჩევდა რა თანამებრძოლებს, ყველაზე ნაკლებად აქცევდა ყურადღებას მათ წარმომავლობას — სოციალურს თუ ეროვნულს. მის გვერდით იყვნენ არისტოკრატი ტოლსტოი, ღვეზელების ვაჭარი მენშიკოვი, შვეიცარელი ლეფორტი, პოლონელი იაგუჟინსკი... ფასდებოდა ჭკუა, ენერგია, პირადი თავდადება, საერთო მიზნისადმი ერთგულება. ასე რომ, გასაკვირი არაა, პეტრეს „გუნდში“ ქართველი — იმერეთის უფლისწული ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონიც რომ აღმოჩნდა. მამამისმა არჩილ II-მ, სამშობლოდან თურქებისა და სპარსელების მიერ გამდევნილმა, მოსკოვში სათავე დაუდო ქართულ კოლონიას. **ალექსანდრე არჩილის ძე პეტრე პირველის სიყრმის მეგობარი, მომავალ იმპერატორთან ერთად მოგზაურობდა ევროპაში, მიიღო კარგი განათლება, ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. გახდა პირველი რუსი გენერალი ფელდცეიხმეისტერი (არტილერიის უფროსი).** ასხამდა ქვემეხებს ოლონცსა და ურალში, მონაწილეობდა ბრძოლებში; ნერვოსთან (1700 წ.) ჩავარდა ტყვედ. მას, როგორც უფლისწულს, ყოველთვის თან ახლდნენ სხვა ქართველებიც, რომლებიც მასთან ერთად იზიარებდნენ ბატონიშვილის მძიმე ხვედრს.

**ალექსანდრე არჩილის ძე დაიბადა 1674 წელს თბილისში; იგი 1684 წლის 10 აგვისტოს ძმასთან ერთად მოსკოვში ჩაიყვანეს. რუსეთის სამეფო კარზე ქართველ მეფისწულებს ყველა იცნობდა.**

1688 წელს არჩილ მეფე სამშობლოში გამოემგზავრა თავისი სამფლობელოების დაბრუნების მიზნით, თან თავისი ვაჟებიც წამოიყვანა, მაგრამ 1692 წელს უფლისწული კვლავ მოსკოვშია, რადგან არჩილ მეფემ ნახა, რომ სამშობლოში მისი შვილები საფრთხეში იმყოფებოდნენ. 1694-1696 წლების შუალედში უფლისწული ალექსანდრე დაქორწინდა მებატონის, ივანე მიხეილის ძე მილოსლავსკის ქალიშვილზე.

პეტრე პირველთან ერთად (რომელიც საზღვარგარეთ ინკოგნიტოდ პეტრე მიხაილოვის სახელით მოგზაურობდა) საზღვარგარეთ ყოფნის დროს გაეცნო სამხედრო ტექნიკის მიღწევებს. პეტრეს დავალებით იგი ამსტერდამში დარჩა, რათა საარტილერიო საქმე შეესწავლა. 1699 წლამდე ალექსანდრე გაგეში დარჩა, შემდეგ მამასთან გაიარა და 1999 წლის შემოდგომაზე მოსკოვში დაბრუნდა. ამ პერიოდში იგი დაქვრივდა და 1700 წელს ხელმეორედ იქორწინა გლიკერია ილინიშნაზე, რომლის გვარიც უცნობია. საქორწინო საჩუქრად მან პეტრე პირველისგან მიიღო ტერიუშევსკი, ბელგოროდი, ლისკოვი — ნიჟეგოროდის მაზრაში, რომლებსაც 1000 დესეტინა მოსავლიანი მიწები ეკავა და საკმაოდ კარგ შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. **1700 წლის 19 მაისს უფლისწულ ალექსანდრეს (არტილერიის გენერლის ჩინით) ებრძანა, ეწარმოებინა ყოველგვარი საქმე, რომელიც ქვემეხების წარმოებასთან იყო დაკავშირებული.** იგი შეუდგა ჭურვების დამზადებას და იმავე წლის 8 სექტემბერს უკვე ნარვასთან გამოვიდა, სადაც იმ დროს მთელი არტილერია იყრიდა თავს. 20 ოქტომბერს დაიწყო ნარვის დაბომბვა, როგორც ცნობილია — ნაკლებად წარმატებული. 19 ნოემბერს ნარვასთან რუსები მთლიანად გაანადგურეს; **შვედების მიერ ტყვედ აყვანილ 79 გენერალსა და ოფიცერს შორის იყო უფლისწული ალექსანდრეც. ტყვეებს ძალიან მკაცრად ექცეოდნენ ჯერ ნარვაში, შემდეგ კი — შვეციაში. პეტრეს სურდა, მეგობარი გაეცვალა სხვა ტყვეებში ან გამოესყიდა, მაგრამ შვედები მეტისმეტს მოითხოვდნენ მისგან.**

1806 წლის 19 ნოემბერს უფლისწულმა ალექსანდრემ წერილი გამოუგზავნა პეტრე პირველს თავისი ქვეშევრდომის, ქართველი თავადის ზაალის (გვარი უცნობია) ხელით. ბატონიშვილი ატყობინებდა, რომ ძალიან ცუდ დღეში იმყოფებოდა. არჩილ მეფემაც, თავის მხრივ, შეატყობინა პეტრეს, რომ შვედები თანახმა არიან 60 ტყვეში გაცვალონ უფლისწულიო.

**პეტრემ ჰკითხა ალექსანდრეს, დათანხმდებოდა თუ არა ასეთ გარიგებას, მან კი ღირსეულად უპასუხა, რომ არასოდეს დათანხმდებოდა რუსეთისთვის ასეთ არახელსაყრელ გარიგებაზე.** 1710 წელს შვედები დათანხმდნენ უფლისწული ალექსანდრე, თავადი ნ. ტრუბეცკი, თავადი ი. დოლგორუკი და გოლოვინი ფელდმარშალ რენშილდში გაეცვალათ, მაგრამ რუსეთისკენ მომავალ გზაზე უფლისწული გარდაიცვალა. ალექსანდრესთან ერთად ტყვედ იმყოფებოდა თავადი ზაალი, რომელიც ყოველთვის თან ახლდა უფლისწულს. პოლტავის გამარჯვების შემდეგ იგი ტყვეობიდან გათავისუფლდა.

**ალექსანდრე ბატონიშვილი მოსკოვში სრულიად ახალგაზრდა ჩავიდა, რათა რუსეთის დახმარებით სამეფო უფლებები აღედგინა თავის სამშობლოში, მაგრამ მთელი ცხოვრება რუსეთის ინტერესებისთვის ბრძოლაში, შვეციის ნაპირებთან ტყვეობაში გალია. მისი ნეშტი მოსკოვში წაასვენეს და დონის მონასტრის მიწას მიაბარეს.**

* * *

დღემდე მოღწეული ინფორმაციებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოდან პეტერბურგში პირველად ჩამოვიდა არჩილის ემიგრაციის წარმომადგენელი — ზემოთ ნახსენები ქართველი თავადი ზაალი, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილმა შვედებთან ტყვეობაში ყოფნის დროს გაგზავნა რუსეთის ხელმწიფესთან, რათა გათავისუფლებაში შუამდგომლობა გაეწია. ზაალის მისიას, ისევე, როგორც არჩილ მეფისას, რომელმაც სტოკჰოლმში გაგზავნა ერთ-ერთი იმერელი თავადი, წარმატება არ მოჰყოლია, რადგან **შვედეთის მეფე კარლ XII ალექსანდრე არჩილის ძის სანაცვლოდ დიდ თანხას ითხოვდა — ათ ტონა ოქროს. მან კარგად იცოდა, რომ ხელში ჩაუვარდა არტილერიის საუკეთესო სპეციალისტი და საქართველოს ტახტის მემკვიდრე.**

როგორც ჩანს, თავადი ზაალი ჩამოვიდა პეტერბურგში, სადაც იმყოფებოდა პეტრე პირველი. ეს იყო 1711 წლამდე. თავადმა ზაალმა შემდგომ მიიღო სასულიერო სახელი ზაბედ ზაბედოვიჩი და მას აქეთ იგი მოხსენიებულია ამ სახელით, როცა მოგზაურობდა სახელმწიფო-პოლიტიკური და კულტურულ-რელიგიური საქმეების გამო საქართველოს, მოსკოვსა და პეტერბურგს შორის.



## გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეცხრე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# ყველაზე გრძელფეხება ვარსკვლავები



ყველაზე მაღალი ვარსკვლავი ჩოგბურთელი **მარია შარაპოვაა**, რომლის სიმაღლე 187 სმ-ს შეადგენს. შარაპოვას თქმით, მას ყოველთვის უჭირს თავისი ზომა ჯინსის შერჩევა.




მეორე ადგილზე მსახიობი, მოდელი და მომღერალი, სილვესტერ სტალონეს ყოფილი ცოლი **ბრიჯიტ ნილსენია,** რომლის სიმაღლე 185 სმ-ია. ნილსენი 5-ჯერ იყო გათხოვილი. ახლა იგი 46 წლისაა, მაგრამ უწინდებურად მიმზიდველია.



სიაში მესამე ადგილი ერგო სლოვაკელ მოდელს **ადრიანა სკლენარიკოვას** (185 სმ), რომელსაც ამავე დროს ყველაზე მაღალი ფეხები აქვს (124 სმ), რის გამოც გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდა.



მეოთხე პოზიციაზე აღმოჩნდა **უმა თურმანი** (183 სმ), რომელიც ორ შვილს ზრდის და შეყვარებულთან, არპად ბასონთან შერიგების შემდეგ, მდიდრული ქორწილის გადახდასაც გეგმავს.



მეხუთე ადგილზე სუპერმოდელი და მსახიობი **ბრუკ შილდისია**, რომელსაც დღემდე ახსოვს, „ცისფერი ლაგუნის" გადაღებისას როგორ თხრიდნენ საგანგებოდ მისთვის ორმოებს, რათა პარტნიორი კრისტოფერ ატკინსი მის ფონზე არ მიკარგულიყო.



მეექვსე ადგილი **ელ მაკფერსონს** ერგო (183 სმ). წელს სუპერმოდელსა და ბიზნეს ლედის 46 წელი შეუსრულდა, არადა, ისე გამოიყურება, რომ, თუ მოისურვებს, Sport Illustrated-ის გარეკანს მეშვიდედ დაამშვენებს.



მეშვიდე პოზიციაზეა **ევა ჰერციგოვინა** (183 სმ). სუპერმოდელი მუდამ კარგად ჩანს წითელ ხალიჩაზე, რადგან თავის სიმაღლეს ხაზს ქუსლიანი ფეხსაცმლით უსვამს. 37 წლის ევა წამყვანი მოდური ჟურნალების გარეკანს დღესაც ამშვენებს.



მერვე ადგილზეა ჯეიმს კემერონის ყოფილი მეუღლე **კეტრინ ბიგელოუ,** რომელსაც ფილმმა „ქარიშხლის მბრძანებელი" „წლის საუკეთესო რეჟისორის" წოდება მოუტანა.



მეცხრე ადგილზე რუსული ესტრადის ვარსკვლავი **ლოლიტა** (181 სმ) აღმოჩნდა. ახლა იგი მეოთხე ქორწინებისთვის ემზადება თავის რჩეულთან, სპორტსმენ დიმიტრი ივანოვთან ერთად, რომელიც მასზე 12 წლით უმცროსია.



ნუსხას **ნიკოლ კიდმანი** (180 სმ) აგვირგვინებს. ვინ იცის, „ავსტრალიის" ვარსკვლავი აღზრდიდა თუ არა ქალიშვილს — სანდეის საყვარელ კიტ ურბანთან ერთად, თავის დროზე ტომ კრუზს რომ არ გაჰყროდა თავისი სიმაღლის გამო.



180 სმ სიმაღლისაა აშშ-ის პირველი ლედი **მიშელ ობამა**, მსახიობები სიგურნი უივერი და სოფი დალი, სუპერმოდელები ჟიზელ ბუნდჰენი და ნადია აუერმანი, მომღერალი ტეილორ სვიფტი და Comedy Woman-ის ვარსკვლავი ეკატერინა ვარნავა.

## ყველაზე უჩვეულო სახლები

**სიტყვა „სახლის" წარმოთქმისას ადამიანი, უმეტესწილად, ჩვეულებრივ ნაგებობას წარმოიდგენს: მასიურ რკინა-ბეტონის კონსტრუქციას, ხის კოტეჯს, ტიპიური ან არატიპიური პროექტის ბინას, აგურით ნაშენებ სახლს და ა.შ. თუმცა ის შენობები, რომლებსაც ფოტოებზე იხილავთ, ამ ცნებას არასგზით არ შეესაბამება, რადგან მეტისმეტად უჩვეულოა!**

**მობარბაცე სახლი პოლონეთში, სოპოტში მდებარეობს და იქ ცნობილი ილუსტრატორი იან მარსინ სზენერი და შვედი მხატვარი პერ დაჰლბერგი ცხოვრობენ.**



**არქიტექტორ ჰუნდერტვასერის სახლს ერთნაირი ზომისა და ფორმის ვერც ერთ ფანჯარას ვერ უპოვით. მას არათანაბარი კედლები, ასიმეტრიული ოთხკუთხედებით მოხაზული ფასადი, ტყის ბილიკის მაგვარი იატაკი აქვს. ის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული სახლია ვენაში და უამრავი დამქირავებელი ჰყავს.**



საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ყველაზე ანტისანიტარიული ღირსშესანიშნაობანი



**წმინდა მარკუსის მოედანი (იტალია, ვენეცია).** წმინდა მარკუსის მოედანზე ტურისტებს ასობით მშიერი მტრედი დაფარფატებს თავზე. მართალია, ჩიტების საკვების გაყიდვის პრაქტიკა აქ რამდენიმე წლის წინათ შეწყდა, მაგრამ ტურისტები მაინც კვებავენ მათ და ავიწყდებათ, რომ ჩიტები მათ ტანსაცმელსაც და ძეგლებსაც აბინძურებენ.





**გრომანის ჩინური თეატრის ეზო (აშშ, ჰოლივუდი).** გრომანის ჩინური თეატრის წინ, ვარსკვლავების ხეივანში მსოფლიო კინოს ბევრი ვარსკვლავის ხელისგულისა და ფეხის ნაკვალევს იხილავთ, რომლებსაც ისინი სველ ბეტონზე ტოვებენ. შემდგომ, მილიონობით ფანატი ამ „ნაკვალევს“ ხელით ეხება.

**ოსკარ უაილდის საფლავი (საფრანგეთი, პარიზი).** ოსკარ უაილდის სამარე პერ-ლაშეზის სასაფლაოზე წიგნისმოყვარულთა (მათ შორის არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენელთა) ნამდვილი მექაა. თავისი სიყვარულისა და პატივისცემის გამოსახატავად ისინი საფლავის ქვას კოცნიან და ზედ ტუჩსაცხის ანაბეჭდებს ტოვებენ.

**მჭევრმეტყველების ქვა (ირლანდია).** ლეგენდის თანახმად, ვინც ბლარნის ციხესიმაგრეში არსებულ ქვას აკოცებს, მჭევრმეტყველების უნარს შეიძენს. ყოველწლიურად 400.000-მდე ენამჭევრად გადაქცევის მსურველი მასზე ტუჩებით შეხებისას მილიარდობით მიკრობს ტოვებს. ამასთან, ქვამდე მიღწევა დიდ ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვს.





**საღეჭი რეზინის კედელი (აშშ, სიეტლი).** უცნაურმა ტრადიციამ ადგილობრივ თეატრთან ექსტრავაგანტური და არაჰიგიენური ძეგლის — საღეჭი რეზინებით გაწებილი ქვის კედლის წარმოქმნა განაპირობა. ტრადიციას საფუძველი გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩაეყარა.

# ყველაზე ძვირადღირებული ნივთები



**ჩემოდნების ნაკრები.** იტალიური კომპანია Bottega Veneta ამერიკაში ყველაზე პრესტიჟული ბრენდია. აშშ-ში ის წინ უსწრებს „არმანის,“ „შანელს,“ „გუჩის,“ „ჰერმესსა“ და „კელვინ კლაინსაც.“ ნიანგის ტყავის ჩემოდნების კომპლექტი ექვსი ჩემოდნისა და ჩანთისგან შედგება. ალიგატორის მუქი ტყავი დამშვენებულია ასეთივე მუქი ლითონით, რომელიც ჩემოდნის კუთხეებს დაზიანებისგან იცავს.




**ხიზილალა „ალმასი“.** მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ხიზილალა არც შავია და არც რუხი. ის ალბინოსი ზუთხის ხიზილალა „ალმასია“, რომლის ექსპორტირებასაც ირანიდან იშვიათად ახდენენ. 100 გ ხიზილალა ბაჯაღლო ოქროს ქილაშია და 2 ათასი დოლარი ღირს.



**კონიაკი.** მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული კონიაკი „მეფე ჰენრი მეოთხე“ 100 წლისაა და 41 პროცენტ ალკოჰოლს შეიცავს. 24-კარატიანი ოქროს ბოთლი 6500 ბრილიანტითაა მოოჭვილი და 2.000.000 დოლარი ღირს.



**ქოლგა.** ნიანგის უმაღლესი ხარისხის ტყავისგან შექმნილ ამ ძვირფას აქსესუარს მარტო შეკვეთით, **50.000 დოლარად** ამზადებენ და ისიც, მილიონერების მოდის სახლში. ეს მოდელი მხოლოდ მამაკაცებისთვისაა გათვალისწინებული და უნიკალურ ფუფუნებას, ხარისხს, დახვეწილობასა და ორიგინალობას ასახიერებს.



**ჩინური სურა.** ეს ყველაზე ძვირფასი ფაიფურის ნაკეთობაა.

**XIV საუკუნის სურა „სოთბის“ აუქციონზე 4.720.000 დოლარად გაი**ყიდა. 34 სმ-იანი ჭურჭელი იუანის კლასიკური სტილის ნიმუშია, რომელიც თეთრ ფონზე მოლურჯო-კობალტისფრადაა მოხატული. ეს ერთადერთი შემორჩენილი ეგზემპლარია.



**საქორწინო ტორტი.** ბევერლი-ჰილზში გამართულ საქორწინო ჩვენებაზე მსოფლიოს საუკეთესო კონდიტერის **Nahid La Patisserie Artistique**-სა და იუველირ Mimi-ს მიერ დამზადებული ტორტი წარმოადგინეს, რომელიც უნიკალური ძვირფასი ქვებით იყო დამშვენებული, ამიტომაც მცველთა მთელი არმია ეხვია. ამ ტორტის ფასი 20.000.000 დოლარია.




**მამაკაცის პარფიუმი.** პაკო რაბანის კომპანიამ გამოუშვა მამაკაცის პარფიუმი სახელწოდებით „1 მილიონი.“ ძვირფასი სუნამოს 100 მმ-იანი ფლაკონი 18-კარატიანი ოქროთია შესრულებული და ფორმითაც ძვირფასი ლითონის ზოდს ჰგავს. მისი ფასი 60.000 დოლარია.



**საწოლი.** ბრიტანელი მწარმოებლის მიერ დამზადებული შედევრი „The Majesty“ 217 სმ სიგრძისა და 215 სმ სიგანისაა, ხელნაკეთია, დეკორირებულია აბრეშუმით, ქაშმირით, ცხვრის მატყლითა და ბამბით. მისი ფასი 90.000 დოლარია.

**საწოვარა.** მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული საწოვარა სილიკონისგანაა დამზადებული, თეთრი ოქროს სახელური აქვს და ბრილიანტებითაა ინკრუსტირებული.



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ბრიტანეთში ბაყაყებს უჩივლეს



**ინგლისის ქალაქ კოლჩესტერში პოლიციამ უცნაური საჩივარი მიიღო. ქალაქის მთავრობა ხმამაღლა ყიყინის გამო ბაყაყებს უჩივის. ჩინოვნიკებმა პოლიცია გააფრთხილეს, რომ კოლჩესტერის ბაღებში ევროპაში ფართოდ გავრცელებული ჩვეულებრივი ტბის ბაყაყები კი არა, რაღაც უჩვეულო ფორმის, უკუდო არსებები დასახლდნენ.**

საბრალო პოლიციას რაღა დარჩენოდა, ბაყაყების წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო. გამოძიების პროცესი ისეთივე უჩვეულო იყო, როგორიც საჩივარი — პოლიციელები ქალაქის მკვიდრთა სახლების ირგვლივ გაშენებულ ბაღებში დარბოდნენ და, სადაც კი „ბოროტმოქმედ“ ბაყაყებს წააწყდებოდნენ, ჯერ სურათს უღებდნენ, შემდეგ კი „აკავებდნენ“. მოსახლეობა წინაწარ იყო გაფრთხილებული, რომ გამოძიებას რამდენიმე დღე დასჭირდებოდა, მისი დასრულების შემდეგ კი ბაყაყებს გაანადგურებდნენ. მოკლედ, პოლიცია მთელი სერიოზულობით მოეკიდა მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შემოჭრილ უცხო ჯიშის „ბოროტმოქმედებისგან“ საკუთარი მოსახლეობის დაცვის საქმეს და ერთკვირიანი „დაჭერობანას“ შემდეგ ქალაქმა შვებით ამოისუნთქა — ბაღებში აღარც პოლიციელები დარბოდნენ და აღარც ბაყაყები ყიყინებდნენ.

## ჰაიტს რეპერი პრეზიდენტი ეყოლება



**ამერიკელმა რეპერმა უაიკლეფ ჯინმა გადაწყვიტა, ჰაიტის საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. მას ამის თაობაზე ოფიციალური განცხადება ჯერ არ ჰქონდა გაკეთებული, რომ მისივე წარმომადგენლები და მომხრეები ადასტურებდნენ, რეპერი პოლიტიკური კარიერის დაწყებას გეგმავსო. პრეზიდენტობა კი, უნდა ვაღიაროთ, ნამდვილად მშვენიერი დასაწყისია.** ეს არაჩვეულებრივი არჩევნები იქნება. პრეზიდენტობის კანდიდატ რეპერის გარდა, არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს მისი ღვიძლი ბიძა, აშშ-ში ჰაიტის ელჩი რეიმონდ ჯოზეფი და მრავალი სხვაც, მათ შორის რესპუბლიკის ყოფილი პრემიერი, ჰაიტის რამდენიმე ქალაქის მერი და კიდევ ერთი მუსიკოსი. რეპერს გაპრეზიდენტების არც ისე მცირე შანსი აქვს. იგი ჰაიტში დაიბადა და ბავშვობაც იქ გაატარა, შემდეგ კი ნიუ იორკში გადავიდა საცხოვრებლად. მისი საქველმოქმედო ფონდი მუდმივად უწევდა დახმარებას ჰაიტში სტიქიით დაზარალებულთა ოჯახებს.

## ინდონეზიის პარლამენტს პორნოგრაფია აყურებინეს



**ინდონეზიის პარლამენტის უზარმაზარ ეკრანზე, რომელზეც, როგორც წესი, კენჭისყრის შედეგები აისახება ხოლმე, 15 წუთის განმავლობაში პორნოგრაფიულ სურათებს უჩვენებდნენ.** ზუსტად იგივე სიუჟეტი გადაიცემოდა პრესცენტრშიც, სადაც ჟურნალისტები იღებენ ინფორმაციას პარლამენტარების მუშაობის მიმდინარეობაზე. როგორც თვითმხილველები ირწმუნებიან, ტრანსლაციისას ფოტოები ამოღებული იყო იმ პორნოსაიტიდან, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ დაბლოკეს ინდონეზიის მეზობელ სინგაპურსა და მალაიზიაში. ცხადია, რომ მედიაცენტრს ჰაკერებმა შეუტიეს, მაგრამ დამნაშავეებს ვერ მიაკვლიეს. ახლა პოლიცია სათვალთვალო კამერების ჩანაწერებს შეისწავლის. ვარაუდობენ, რომ აქცია განაპირობა ინდონეზიის პარლამენტის მიერ პორნოგრაფიული საიტების დაბლოკვის საკითხის განხილვამ, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში პორნოგრაფიის მოწინააღმდეგეთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება, ამგვარი კანონის მიღება უახლოეს მომავალში მოსალოდნელი არ არის.

# უფრო დიდი დეპრესია, ვიდრე იყო

**როგორ გაძურდა რუზველტმა საკუთარი მოსახლეობა? — მარტივად, მაგრამ გაცილებით უფრო მომხიბვლელად, ვიდრე, ვთქვათ, ჩუბაისმა. ამერიკის ეკონომიკის დიდი დეპრესიისაგან გადასარჩენად საჭირო იყო ახალი ფულის დაბეჭდვა, ბევრი ფულის. ხალხს კი უფრო მეტად იმ კეთილშობილი მეტალისა სჯეროდა, რომელიც მწვანე ბანკნოტების თანასწორი იყო. რუზველტმა ქვეყანაში ოქროს ზოდები აკრძალა და მოსახლეობა აიძულა, მთელი ოქრო სახელმწიფოსთვის ჩაებარებინა. უნცია 22,6 დოლარი ღირდა. ურჩებს 10-წლიანი პატიმრობა ან 10 000 დოლარით დაჯარიმება ელოდათ. როდესაც მთელი ოქრო სახელმწიფოს ხელში გადავიდა, მისი ფასი 35 დოლარამდე გაიზარდა. ასე მოხერხებულად განახორციელა რუზველტმა დოლარის დევალვაცია, რითაც, ერთის მხრივ, ვალები გაუფასურდა; მეორეს მხრივ კი, იმატა ექსპორტის კონკურენტუნარიანობამ. ხოლო მოსახლეობის გულის მოსაგებად გააუქმა მშრალი კანონი, რომელიც აშშ-ში 1919 წლიდან მოქმედებდა.**



ფინანსური ანალიტიკოსი ჯონ უილიამსი მიიჩნევს, რომ ახლა ამერიკისთვის თამაშიდან გასვლა ძალზე დაგვიანებულია. წასვლა დიდი ხნის წინ იყო საჭირო. თავის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ინტერვიუში ექსპერტი ამბობს:

**„ამერიკა პრაქტიკულად გაკოტრებულია და, როდესაც ქვეყნები ამგვარ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე, ისინი ფულის საბეჭდ მანქანებს რთავენ და იწყებენ იმ კუპიურების ბეჭდვას, რომელიც მათივე ვალდებულებების მომსახურებას სჭირდება. ეს ჯერ ინფლაციას იწვევს, შემდეგ — ჰიპერინფლაციას, საბოლოო ჯამში კი ანადგურებს ვალუტას.**

ობამა ამბობს, რომ აშშ გაკოტრდება, თუ კონგრესი მხარს არ დაუჭერს კანონს აუცილებელი სამედიცინო დაზღვევის შესახებ, მაგრამ **ამერიკა, ნებისმიერ შემთხვევაში, გაკოტრდება. კარგია, რომ წინა ადმინისტრაციისგან განსხვავებით, ობამა ამას ხმამაღლა აცხადებს,** მაგრამ ის, რასაც პრეზიდენტი ჯანდაცვის სფეროში აკეთებს, მხოლოდ დააჩქარებს პროცესს.

**თუ საერთო შიდა პროდუქტის მიხედვით ვიმსჯელებთ, ახლა დეპრესიის ეტაპამდე დაახლოებით შუა გზაზე ვართ, თუ საცალო ვაჭრობისა და სამრეწველო წარმოებით გავავლებთ პარალელს, ეს უკვე დეპრესიაა. ჰიპერინფლაცია, რომელიც არც თუ ისე შორეულ მომავალში გველის, იმხელა დარტყმას მიაყენებს ჩვენს სისტემას, რომ ეკონომიკის მრავალი განხრით ნორმალური მუშაობა შეუძლებელი გახდება და დაიწყება უფრო დიდი დეპრესია, ვიდრე იყო.**

დაახლოებით ისეთ ინფლაციას ვგულისხმობ, როგორიც ვეიმარის რესპუბლიკაში იყო — ფულის კუპიურებს ტუალეტის ქაღალდად რომ იყენებდნენ. სულ ახლახან ვნახეთ ამის მაგალითი ზიმბაბვეში, მაგრამ ზიმბაბვეს ეკონომიკა მაინც ფუნქციონირებდა იმიტომ, რომ მათ ჰქონდათ პარალელური სისტემა ამერიკული დოლარების შავი ბაზრის სახით. ამერიკას არც ეს აქვს. **ჩვენ გადახდების ელექტრონულ სისტემაზე ვართ დამოკიდებულნი, ჰიპერინფლაციის დაწყების შემთხვევაში კი ის ძალზე სწრაფად მოიშლება. წარმოიშობა სურსათის მოწოდების პრობლემა და, ვიდრე ახალი სარეზერვო ვალუტა არ გაჩნდება, ბარტერით მოგვიწევს თავის გატანა.**

**ამის თავიდან აცილება უკვე შეუძლებელია, უკვე ყველაფერი გაკეთდა საიმისოდ, რომ ეს მომხდარიყო და და ახლა მდგომარეობა კონტროლს აღარ ემორჩილება. 2008 წელს გამოცხადებული 450 მილიონის ნაცვლად წლიურმა დეფიციტმა 5,1 ტრილიონი დოლარი შეადგინა. კერძო პირებისა და კორპორატიული შემოსავლების 100%-იც კი მხოლოდ ამ წლის დეფიციტს ვერ დაფარავს. გადასახადების მომატება ამას ვერაფერს უშველის. რომ შეჩერდეს ყველა ფედერალური დანახარჯი, გარდა სამედიცინო და სოციალური ხარჯებისა, მაინც დეფიციტი გვექნება.** საჭიროა, სწორედ ამ ორი პროგრამის მკვეთრი შემცირება, მაგრამ საამისოდ პოლიტიკური ნება არ არსებობს.

ამას ველარაფერი შეაჩერებს. **ფედერალური ვალი და ყველა შეუსრულებელი ვალდებულების მოცულობა 75 ტრილიონს უტოლდება, ეს კი ხუთჯერ აღემატება აშშ-ის საერთო შიდა პროდუქტის მოცულობას.** მოქმედება 20 წლის წინათ უნდა დაგვეწყო, ახლა უკვე ყველაფერი გვიანია. ამაში პოლიტიკური სპექტრის ორივე მხარე — რესპუბლიკელებიც და დემოკრატებიც მთლიანად არიან ჩაფლულნი, ისინი ერთად ეცადნენ, რომ ყველაფერი აქამდე მისულიყო.

**ერთადერთი, რაც დღევანდელი ამერიკის პირობებში რიგით მოქალაქეს შეუძლია გააკეთოს, თავის შველაა.** ეცადონ მაინც. ძალიან მინდა, რაიმე კონკრეტული გეგმა მქონდეს მდგომარეობიდან გამოსასვლელად, მაგრამ სოციალური დანახარჯების მკვეთრი შემცირების გარეშე ეს შეუძლებელია, **სოციალური ხარჯების ამგვარი შეკვეცა კი პირდაპირ აფეთქებას გამოიწვევს“.**

ეს ის სიმართლეა, რომელიც ბევრმა აქამდეც იცოდა, მაგრამ საკუთარ თავსაც არ უმხელდა და ამ სიმართლეში ყველაზე საშიში ახალი დიდი დეპრესიის პერსპექტივაა. მით უფრო მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ გამოცანად რჩება პირველი დიდი დეპრესია, ანუ ამერიკის ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც ეს სახელწოდება მაშინ ქვეყანაში გამეფებული ემოციური მდგომარეობიდან გამომდინარე მიიღო.

მიზეზთაგან ყველაზე პოპულარული ვარიანტების მიხედვით, **1929 წლის დიდი დეპრესია საქონლის ჭარბად წარმოებამ და ამ საქონლის შესაძენი ფულის მასის დეფიციტმა გამოიწვია.** ფული ოქროზე იყო მიბმული, ოქროს რაოდენობის სიმცირემ ფულის სიმცირე განაპირობა, ფულის დეფიციტმა — საქონელზე გადახდისუნარიანი მოთხოვნილების სიმცირე. ამის შემდეგ კი ყველაფერი დომინოს პრინციპით მიეწყო ერთმანეთს.

მეორე ვერსია ის საოცარი სიმბიოზია, რომელიც ან ყველაფერს ახსნის, ან ყველაფერს საბოლოოდ აბურდავს. დიდ დეპრესიას წინ უსწრებდა აშშ-ის ეკონომიკის არნახული ზრდა. 1917-1927 წლებში ქვეყნის შემოსავალი ლამის გასამმაგდა. აითვისეს კონვეიერული წარმოება, ვითარდებოდა საფონდო ბაზარი, ძვირდებოდა უძრავი ქონება. მაგრამ ამავე ტემპებით ვერ იზრდებოდა ქვეყნის ოქროს რეზერვები. **ხელისუფლება ბეჭდავდა ფულს, რომელიც არ იყო ოქროთი უზრუნველყოფილი და გაჩნდა ფარული ინფლაცია. წარმოიშვა მდგომარეობა, რომლის დროსაც შრომის წარმადობა იკლებდა, ფსევდოფულის (ვექსილების, ხელწერილებისა და ასე შემდეგ) რაოდენობა კი იმატებდა. ამ დისბალანსმა აშშ-ს 1929 წელს „შავი სამშაბათი“ გაუთენა.**




ამერიკას, რომელსაც მშვენივრად ახსოვს, რომ იმ კრიზისის პირველივე ტალღამ ქვეყანა ზუსტად 30 წლით დააბრუნა უკან, იმავე გზის კიდევ ერთხელ გავლა მას ნამდვილად არ სურს. ამერიკელებს XX საუკუნის 80-იან წლებში, ანუ 30 წლით უკან გადასახლება სულაც არ ეპიტნავებათ. ეკონომისტები კი ისევ ოქროზე „მიბმას“ სთავაზობენ და ამით საბოლოოდ შეიკვრება წრე, რომლიდან გამოსავალიც ქვეყანამ ერთხელ ვერ იპოვა; ამასთან, რაც მთავარია, არც ეს ძველი-ახალი „ბედნიერება“ უზრუნველყოფს აშშ-ის მომავალს ცხოვრების იმ დონით, რომელსაც მისი მოსახლეობა მიეჩვია. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, როგორც ჯონ უილიამსმაც ბრძანა, აფეთქება გარდაუვალია.

**მოთამაშე, რომელსაც ხელში წაავლებენ ხელს, ნებისმიერ დროს გამოაცხადებს, რომ პატიობს ყველას, ვისი ვალიც აქვს. ეს ხომ ფულზე კი არა, ქაღალდზე თამაში იყო. როგორც ცნობილია, დოლარი აშშ-ის სახელმწიფო საკუთრება არაა, შესაბამისად, ფორმალურად მას მწვანე ქაღალდზე პასუხისმგებლობაც არ ეკისრება. რაც შეეხება რეპუტაციას, რა რეპუტაცია უნდა ჰქონდეს შულერს? მით უფრო, რომ დროთა განმავლობაში დეტალები ყველას დაავიწყდება და ისევ შეეძლება თამაშში ჩართვა. მართალია, არსებობს რისკი, რომ ამგვარი ხუმრობებისთვის ერთხელაც თავში კანდელაბრს ჩასცხებენ, მაგრამ, ვიდრე ყველაზე დიდი იარაღი მის ხელშია, თამაშის წესებსაც ის ადგენს.**

KMnews

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# აშშ დასავლეთ ნახევარსფეროში ომისთვის ემზადება

**კოლუმბიის მთავრობამ კიდევ ერთხელ დაადანაშაულა ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი კოლუმბიის პარტიზანული დაჯგუფებების „საიდუმლო მხარდაჭერაში“ და მათი ლიდერების მფარველობაში. ვენესუელას მწვავე რეაქცია ჰქონდა: პრეზიდენტმა განაცხადა, რომ წყვეტს კოლუმბიასთან დიპლომატიურ კავშირს. ვენესუელა კატეგორიულად უარყოფს ცრუ ბრალდებებს, თითქოს ბოლივარიული რესპუბლიკა „FARC“-სა და „ELN“-ს იარაღით ამარაგებდეს, ფინანსურად უზრუნველყოფდეს, ბოევიკების კადრებს ამზადებდეს, დასასვენებლად და პარტიზანული რაზმების ფორმირებისათვის ტერიტორიით უზრუნველყოფდეს.**



კოლუმბია-ვენესუელის საზღვარი 2000 კილომეტრზე მეტია და მისი სრული კონტროლი ძალზე რთული ამოცანაა. მთები, დაქსაქსული უამრავი მდინარე და მიუვალი ადგილები ჩავესამდე დიდი ხნით ადრეც, მთელი ისტორიის მანძილზე უადვილებდა პარტიზანებს, კონტრაბანდისტებს, ნარკომოვაჭრეებს, ოქროს მაძიებლებსა და ყველა ჯურის ავანტიურისტს იქ „მოღვაწეობას“. **კოლუმბიის პრეტენზიები ვენესუელის მიმართ კრიტიკას რომ ვერ უძლებს, ეს ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ხოსე მიგელ ინსულსამაც განაცხადა: „ეს გაუვალი ტყის ზონაა. პარტიზანები მოდიან და მიდიან. ძალიან ძნელია, მხოლოდ ერთ ქვეყანას სთხოვო, აკონტროლოს ისინი. უბირე ამბობს, რომ არ იცის, რატომ არ აპატიმრებს ვენესუელა პარტიზანებს, მაგრამ ხომ უდავოა, რომ არც კოლუმბიას შეუძლია მათი ნეიტრალიზება“.** მან დადებითად შეაფასა ჩავესის „FARC“-სადმი იარაღის დაყრის მოწოდება, რადგან ეს კრიზისის გადაწყვეტის საქმეში საკვანძო საკითხია, ეს არის გამოსავლის ძებნა იმ საშინელების თავიდან ასაცილებლად, რომელიც კოლუმბიასა და ვენესუელას შორის მწიფდება.

შექმნილი მდგომარეობის გაანალიზებისას ჩავესმა განაცხადა, რომ **ამ, ჯერჯერობით სიტყვიერ დაპირისპირებაში, რომლის მიზანი ვენესუელისა და კონკრეტულად მისი პრეზიდენტის ტერორისტებთან და ნარკომოვაჭრეებთან კავშირში დადანაშაულებაა, კოლუმბიის წამქეზებელი და კოორდინატორი უკვე მრავალი წლის მანძილზე აშშ-ის ადმინისტრაციაა. ვაშინგტონს საერთაშორისო არენაზე ვენესუელის იზოლაციის მიღწევა სურს, ქვეყნის შიგნით „რეჟიმს“ კი ცსს-სა და სხვა სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული ოპერაციების საშუალებით ებრძვის. იმავეს ემსახურება ქვეყანაში აბლაბუდასავით დაქსაქსული ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი, რომლის შენახვაზეც უკვე დაიხარჯა მილიონობით დოლარი. მაგრამ უმცროსი ბუშის შეთქმულებებმა სასურველი შედეგი ვერ მოიტანა.**

**ვაშინგტონი სულაც არ ცდილობს, საგულდაგულოდ შენიღბოს დასავლეთ ნახევარსფეროში ომისთვის მზადების პროცესი.**

ჩავესის ხელისუფლება სახელმწიფო დეპარტამენტის, პენტაგონისა და ცსს-ს მიერ პროგნოზირებულზე გამძლე აღმოჩნდა. ამიტომ **თეთრი სახლის ახალმა ბინადარმა, მშვიდობის ნობელის ლაურეატმა ბარაკ ობამამ ძალოვანი ვარიანტის მომზადება გაააქტიურა და „ანტიდემოკრატიული რეჟიმის ლიკვიდაციისთვის“ დაიწყო მზადება.**

**ობამას მმართველობის დროს ვენესუელის სახმელეთო და საზღვაო საზღვრებზე აშშ-ის ძველი სამხედრო ბაზების გამაგრება და ახლების მშენებლობა დაჩქარებული ტემპით დაიწყო.** მხოლოდ კოლუმბიაში ასეთი ათზე მეტი ბაზაა, თუმცა პენტაგონისთვის ამ ფაქტობრივად ოკუპირებულ ქვეყანაში თავისი სამხედრო ინფრასტრუქტურის გამოყენების მხრივ რაიმე შეზღუდვა არ მოქმედებს. დაჩქარებული წესით შეიქმნა ბაზები კოსტა-რიკასა და პანამაში. **ანალიტიკოსთა შეფასებით, ეს ბაზები წინ უნდა აღუდგეს არა მხოლოდ ვენესუელას, არამედ რეგიონში მის მოკავშირეებს — კუბას, ნიკარაგუასა და ეკვადორს. სულ უფრო მეტი „სამხედრო მრჩეველი“ ჩადის ამერიკიდან გვატემალაში, ჰონდურასსა და სალვადორში. ბოლო დროს აშშ-ის მექსიკასთან საზღვარი საერთოდ „მილიტარიზირებულია“.**

**ვაშინგტონი სულაც არ ცდილობს, მაინცდამაინც საგულდაგულოდ შენიღბოს დასავლეთ ნახევარსფეროში ომისათვის მზადების პროცესი.** კონფლიქტის კულისებში მიმალული ოპერატორი ბოლო დრომდე იყო კოლუმბიაში აშშ-ის ელჩი, ბუშ-უმცროსის ფავორიტი უილიამ ბრაუნფილდი, რომელიც ადრეც „ახლაფორთებდა“ ვენესუელაში შეთქმულებებს, მაგრამ — წარუმატებლად. კოლუმბიის შანსი კი მშვენივრად გამოიყენა — ადგილობრივი ოლიგარქია ხომ ყველაფრისთვის მზადაა, ოღონდ კი რეგიონში „კომუნისტური დიქტატურის შემდგომი ექსპანსია“ არ დაუშვან.

**სანდო წყაროები ივლისის განმავლობაში არაერთხელ იტყობინებოდნენ, რომ ვენესუელის წინააღმდეგ აგრესიის განხორციელების საფრთხე უფრო რეალურია, ვიდრე ოდესმე. საუბარია კოლუმბიის ტერიტორიიდან შეიარაღებულ თავდასხმაზე.**

ჩავესმა ობამას ადმინისტრაცია გააფრთხილა, რომ, თუ ვენესუელის მიწაზე კოლუმბიის ტერიტორიიდან აგრესია განხორციელდება, აშშ მისგან ერთ ბარელ ნავთობსაც ველარ მიიღებს. **ვაშინგტონი კი ისევ თხზავს ზღაპრებს ვენესუელასა და მის პრეზიდენტს ხან ETA–ს ტერორისტების მფარველობას აბრალებს, ხან — ირანელი და პალესტინელი ბოევიკების აშშ-ში გადასვლისთვის დახმარებას. უამისობა არც ადრე იყო, მაგრამ ახლა, როდესაც მოახლოებულია აშშ-ისა და ისრაელის მხრიდან ირანის „ატომური ინფრასტრუქტურის ობიექტებზე“ შეტევა, ამ დეზინფორმაციას გაცილებით დრამატული სახით გამოიყენებენ და ჩავესს ირანელთა საპასუხო აქციების ხელშეწყობაც დაბრალდება.**

შეხსენებაც არაა საჭირო, რომ იანკების იმპერია თავისი მიზნების მისაღწევად ყოველთვის იყენებდა ტყუილსა და პროვოკაციას. არც ეს შემთხვევა იქნება გამონაკლისი. **კარაკასში მდებარე ამერიკულ ობიექტებზე თავდასხმების განხორციელება საამისოდ უკვე მომზადებული კოლუმბიელების ან აშშ-ის სამხედრო დაზვერვის საშუალებითაც შეიძლება. ამ დაზვერვას ქვეყნის უამრავ ინდუსტრიულ-სამრეწველო ცენტრში არალეგალური რეზიდენტურა ჰყავს.**

**ირანის ბირთვული იარაღი ისეთივე მითია, როგორიც თავის დროზე სადამ ჰუსეინის ხელთ არსებული მასობრივი განადგურების იარაღი იყო. მაგრამ დასავლეთის მასმედიაში ირანის დაჟინებულმა, გლობალურმა და თანმიმდევრულმა სატანიზაციამ უკვე მოამზადა საზოგადოებრივი აზრი საიმისოდ, რომ ამერიკა-ისრაელის დუეტი კიდევ ერთხელ გაუსწორდეს დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს.** სწორედ ამგვარი სატანიზაციისთვის იყო განწირული ვენესუელა და მისი პრეზიდენტი უგო ჩავესი, რომლისთვისაც ახლა ირანი პრიორიტეტული პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და ენერგეტიკული პარტნიორია. მიუხედავად ვაშინგტონის განკარგულებისა, არავინ გაეკაროს განდევნილ ირანს, ჩავესი მასთან სოლიდარობას განაგრძობს და უფრო მეტიც, აცხადებს, რომ ირანელ მეგობრებს განსაცდელში არ მიატოვებს.

**ირანის ბირთვული იარაღი ისეთივე მითია, როგორიც თავის დროზე სადამ ჰუსეინის ხელთ არსებული მასობრივი განადგურების იარაღი იყო.**



როგორ განვითარდება შემდგომში კოლუმბიურ-ვენესუელური დაპირისპირება, გარეგნულად კრიზისულ ფაქტორებზეა დამოკიდებული, მაგრამ სულ უფრო ცხადი ხდება, რომ **აშშ ნებისმიერ ფასად შეეცდება ჩავესის ნეიტრალიზებას, რათა ვენესუელიდან ნავთობის მიწოდება არ შეუწყდეს.** უამისოდ ირანთან ომი ძალიან გაუძნელდება, მით უფრო, რომ ეს ომი აუცილებლად ჩაითრევს ახლო და შუა აღმოსავლეთის არაერთ ქვეყანას.

**სტრატეგიული კულტურის ფონდი**

## მის მსუქანა-2010



**იტალიაში მსუქანი ქალების სილამაზის კონკურსი ჩატარდა და 2010 წლის გამარჯვებული გახდა 33 წლის ანჟელა ცკონმილიო, რომელიც 170 კილოგრამს იწონის. სულ კონკურსში 30-ზე მეტი მონაწილე იყო და, წესების შესაბამისად, ყველა მათგანი 100 კილოგრამზე მეტს იწონიდა.** კონკურსში აუცილებელ ტურად არ იყო გათვალისწინებული საცურაო კოსტიუმებით გამოსვლა, მაგრამ მსურველებისთვის ეს არავის აუკრძალავს. მთავარი იყო, ქალბატონებს ჟიურისა და მაყურებლის წინაშე საღამოს კაბებში გამოწყობილთ წარედგინათ თავი. კონკურსის მთავარი სანახაობა დიდ წითელ სასწორზე მონაწილეთა სახალხო აწონვა გახდა. აწონვის შედეგად დაფიქსირებულ მონაცემებს ჟიური საგულდაგულოდ ინიშნავდა, შემდეგ ყველა მონაცემი ერთმანეთს შეადარეს და გამარჯვებული ის გახდა, ვინც ყველაზე მეტს იწონიდა. „მის მსუქანა“-2010-ს საჩუქრად უზარმაზარი ტორტი ერგო, იმდენად დიდი, რომ ნეაპოლელი ანჟელა კონკურსის ყველა მონაწილესა და 2500-მდე მაყურებელს გაუმასპინძლდა. ღონისძიების ორგანიზატორთა თქმით, ყოველწლიურად ეს შოუ იმისთვის იმართება, რომ არასტანდარტული ქალები ერთად შეეკრიბათ და დანარჩენებისთვის დაემტკიცებინათ, რომ მშვენიერება ვერანაირ ჩარჩოებში ვერ თავსდება.

## 25 წელი სხვის ოჯახში



**25 წლის წინათ ბრაზილიის ერთ-ერთმა სამშობიარო სახლმა მოახერხა და ჩვილები ერთმანეთში ისე აურია, რომ ბოლოს რომელ წყვილს რომელი ბავშვი გაატანეს, დაზუსტებით აღარავინ იცოდა. ვერც ვერავინ გაიგებდა, რომ არა ახლა უკვე 25 წლის დიმას ალიპრანდი, რომელსაც ჯერ კიდევ ბავშვობიდან აწუხებდა კითხვა, რატომ არ ჰგავდა თავის ოთხ დას და მშობლებს. და არა მხოლოდ არ ჰგავდა, აბსოლუტურად განსხვავდებოდა მათგან. იტალიური წარმომავლობის ოჯახში ყველას მუქი ფერის თმა და ყავისფერი თვალები ჰქონდა. დიმასი კი ქერა და ცისფერთვალება იყო.** როდესაც 14 წლის გახდა, ტელევიზიით მოისმინა ინფორმაცია სამშობიაროში არეული ბავშვების შესახებ და მამას სთხოვა, დნმ-ის ანალიზი გავიკეთოთო. იმ დროს ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნება იყო, ამიტომ დიმასმა ანალიზი მხოლოდ 10 წლის შემდეგ გაიკეთა, საკუთარი სახსრებით. ადამიანები, რომელთაც დიმასი მთელი ცხოვრების მანძილზე მშობლებს ეძახდა, შოკში იყვნენ, არაფრის გაგონება და დაჯერება არ სურდათ. სკეპტიკურად შეხვდნენ ამ ამბავს იმ სამშობიაროშიც, სადაც ყველაფერი დაიწყო და განმეორებითი ტესტი მოითხოვეს. ამით შედეგი, ცხადია, არ შეცვლილა, საავადმყოფო იძულებული გახდა, არქივები ამოექექა და გაერკვია, რომ იმავე დღეს მათთან კიდევ ერთი ბიჭი ელტონ პლასტერი დაიბადა. დიმასი მის სანახავად მეზობელ ქალაქში გაემგზავრა და დნმ-ის ტესტზე ისიც დაიყოლია. დადგინდა, რომ დიმასის ბიოლოგიური მშობლები ნამდვილად ელტონის დედ-მამა იყვნენ და პირიქით. ცრემლები არავის უღვრია და თავი არავის მოუკლავს, ვინაიდან ელტონისა და დიმასის ოჯახებმა პირველივე წუთს გადაწყვიტეს, რომ ვერავინ ვერავის ვერ შეელეოდა, ალიპრანდები პლასტერების ფერმაში გადასახლდნენ და ახლა ერთ დიდ სახლში ყველა ერთად ცხოვრობს.

## 500 კილომეტრი იხვებთან ერთად



**გერმანელმა ბიზნესმენებმა პია მარი ვიტმა და ვილფრედ არნოლდმა გადაწყვიტეს, 500 კილომეტრი თავიანთ შვიდ იხვთან ერთად გადაცურონ. უჩვეულო მოგზაურების წამომწყებნი ირწმუნებიან, რომ ამისთვის დაახლოებით ექვსი კვირა დასჭირდებათ და სექტემბრის შუა რიცხვებისთვის უკვე შინ იქნებიან.** იხვებთან ერთად ცურვის იდეა 33 წლის ვიტს ეკუთვნის. ერთ მშვენიერ დღეს მასა და არნოლდს ცურვის დროს გედი შეუერთდათ და ყველაფერი ამით დაიწყო. ბიზნესმენები ირწმუნებიან, რომ გედთან ერთად ცურვა არაჩვეულებრივად შთამბეჭდავი იყო. მოგზაურობაში მონაწილე იხვებმა თავიანთ პატრონებთან ერთად წინასწარი მომზადება უკვე გაიარეს. გერმანელები სტარტს მდინარე ფულდზე მდებარე ქალაქ კასელიდან აიღებენ. მათი მთავარი მიზანი ზღვამდე გაცურვაა. წყვილს დღეში 10-15 საათი ცურვა მოუწევს, იხვებს — გაცილებით მეტის.

# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21. 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

FACT www.fact.ge
ACM Group

„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ გაზეთის მთავარ რედაქტორს ირაკლი თოდუას მამის
**რევაზ თოდუას**
გარდაცვალების გამო.

სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ სამძიმარს უცხადებს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარ რედაქტორს ირაკლი თოდუას მამის
**რევაზ თოდუას**
გარდაცვალების გამო.

გულბაათ რცხილაძე და გიორგი ვეკუა ევრაზიის ინსტიტუტის სახელით სამძიმარს უცხადებენ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარ რედაქტორს ირაკლი თოდუას მამის
**რევაზ თოდუას**
გარდაცვალების გამო.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე ტარიელ გაგნიძე და საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე თემურ ქორიძე ორგანიზაციის სახელით სამძიმარს უცხადებენ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარ რედაქტორს ირაკლი თოდუას მამის
**რევაზ თოდუას**
გარდაცვალების გამო.

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი სამძიმარს უცხადებს კავშირის თანათავმჯდომარეს, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარ რედაქტორს ირაკლი თოდუას მამის
**რევაზ თოდუას**
გარდაცვალების გამო.

# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



# აქ ყველაზე დაბალი ფასებია!




## «ტექნო ბუმში» ნამდვილი ბუმი დაიწყო

ტექნიკის მაღაზიათა ქსელ **„ტექნო ბუმში“** ნამდვილი ბუმი დაიწყო და პირველად საქართველოში **„ტექნო ბუმის“** საბითუმო ცენტრი საზეიმოდ გაიხსნა, სადაც მსოფლიო ბრენდების უახლესი ტექნიკის შეძენას საბითუმო ფასად შეძლებთ.

მენეჯმენტის ინფორმაციით, **საბითუმო ცენტრი განსხვავებული სისტემით იმუშავებს და სრულიად განსხვავებული ფასწარმოქმნის პოლიტიკა ექნება.**

გარდა იმისა, რომ **„ტექნო ბუმში“** საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე: კონდიციონერებზე, ტელევიზორებზე, ფოტოაპარატებზე, კომპიუტერებზე, მობილურ ტელეფონებსა და ნებისმიერ ტექნიკაზე — **ყველაზე დაბალი ფასებია**, „ბუმის ცენტრში“ ნებისმიერ მომხმარებელს ტექნიკის შეძენა საბითუმო ფასად შეეძლება.

ამისთვის მომხმარებელი **„ტექნო ბუმის“ ცენტრში** უნდა მობრძანდეს, გააკეთოს შენაძენი თავად ან მეგობრებთან ერთად. ნივთების რაოდენობა დაჯამდება და, ორი ან მეტი ნივთის შეძენის შემთხვევაში, მომხმარებელს მათი შეძენა საბითუმო ფასად შეეძლება.

**თბილისი, ვაჟა-ფშაველას №21, წერეთლის №1, ალმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ (საბითუმო ცენტრი)**

საქართველო და მსოფლიო
**ესტუმრეთ ჩვენს საიტს**
**http://www.geworld.net**

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net